

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია
(ქვედარგი: გერმანული ფილოლოგია)

ნინო გოგელია

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

თბილისი
2020

აბსტრაქტი

წინამდებარე დისერტაცია წარმოადგენს ცნობილი გერმანელი ჟურნალისტის, გაზეთ ZEIT-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის და რედაქტორის, მარიონ დენჰოფის პუბლიცისტური ტექსტების მეცნიერული შესწავლის და მათი დისკურსულ-ლინგვისტური კუთხით გაანალიზების პირველ მცდელობას როგორც ქართულ, ასევე გერმანულ ენათმეცნიერულ წრეებში.

ჩვენი კვლევის საგანია მარიონ დენჰოფის პუბლიცისტური ტექსტების ერთ-ერთი მთავარი დისკურსული ხაზი - პოლიტიკური დისკურსი, რომელიც წარმოდგენილია მისი საგაზეთო კომენტარების ციკლში, სადაც ავტორი კონრად ადენაუერის მმართველობის ბოლო წლების ამსახველ პოლიტიკური შინაარსის თემებს განიხილავს.

კვლევისათვის პრიორიტეტულია განსხვავებულ ინსტიტუციონალურ და საზოგადოებრივ კონტექსტებში ცალკეული გამონათქვამის და მისი სოციალური სიტუაციურობის ანალიზი და ასევე შემდეგი საკითხები: ვინ, როგორ, სად და ვისთვის ემნის გამონათქვამებს.

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური კომენტარების გამონათქვამებზე ორიენტირებული ანალიზი მოიცავს მათი ფორმალური და ენობრივ-რიტორიკული სტრუქტურების კვლევას და ასევე მათი შინაარსის რეკონსტრუქციას. კვლევისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე საანალიზო დისკურსის გავრცელების არეალი. კვლევის ემპირიული ნაწილი ეფუძნება დისკურსის თეორიებს და დისკურსის ანალიზის თანამედროვე მიდგომებს, რომელთაგან ჩვენთვის წამყვანია ფრანგი ენის ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს თეორიაზე დაფუძნებული დისკურსის ლინგვისტური ანალიზის უახლესი მიდგომები გერმანულ ენათმეცნიერებაში.

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის საანალიზოდ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია მულტიფუნქციურია და გულისხმობს დისკურსის ლინგვისტური ანალიზის მრავალდონიან მოდელზე (DIMEAN) და ე.წ. „ერთი ტექსტის დისკურსული

ანალიზის“ მეთოდურ მიდგომაზე დაყრდნობით დისკურსის სამ სხვადასხვა დონეზე (ინტრა-, ტრანსტექსტუალური და სოციალური აქტორების დონეები) კვლევას. აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს საკვლევ დისკურსის საანალიზო კატეგორიები და დადგინდეს აქტორების დისკურსული პოზიციები.

წინამდებარე დისერტაციაში წარმოდგენილი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ქართულ სამეცნიერო წრეებში დისკურსის ლინგვისტიკის, როგორც შედარებით ახალგაზრდა ენათმეცნიერული დისციპლინის, კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაციას და ქართულ ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში დისკურსის ლინგვისტური კვლევის ახალი პერსპექტივების დანერგვას.

წინამდებარე კვლევის თეორიულ ნაწილში წარმოდგენილი კონცეფციები ვფიქრობთ კარგი ორიენტირი იქნება გერმანული ფილოლოგიის მიმართულების სასწავლო კურიკულუმებისა და სალექციო კურსებისათვის. დისერტაციაში წარმოდგენილი ანალიზის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ასევე პრაქტიკულ სემინარებზეც, რაც დაეხმარება დისკურსის ლინგვისტიკით დაინტერესებულ პირებს დისკურსის სტრუქტურისა და მისი რეალიზაციის წესების კვლევაში.

საკვანძო სიტყვები: დისკურსი, აქტორები, ინტრა- და ტრანსტექსტუალური ანალიზი, არგუმენტაციული სტრუქტურები, დისკურსული პოზიციები

Abstract

The given PhD thesis is an attempt of scientific study and analysis of publicistic texts by a famous German journalist, founder of the ZEIT newspaper - Marion Dönhoff. This research, which embraces discourse analysis and linguistic aspects, is the first attempt of this kind both in the Georgian and German linguistic space.

The theme of the given research is one of the chief discourse aspects of Marion Dönhoff's publicistic texts, namely, political discourse represented in the series of her newspaper commentaries in which the author discusses political issues related to the last period of Konrad Adenauer's governance.

The research focuses on the analysis of separate utterances and their social role in different institutional and social contexts. The research also embraces the following issues: by whom, for whom, how and where utterances are created.

The utterance-oriented analysis of Marion Dönhoff's political commentaries embraces the research of their formal and linguistic-rhetorical structures and the reconstruction of their content. Another important factor of the research is the area of spreading of the discourse under analysis. The empirical part of the research is based on the contemporary approaches to discourse theories and discourse analysis. The given research represents a linguistic analysis of discourse focusing on the latest approaches to discourse analysis in German linguistics, chiefly based on the theory of the French language philosopher Michel Foucault.

The research methodology used for the analysis of Marion Dönhoff's political discourse is multifunctional and implies the research of discourse based on a multi-layered model of linguistic analysis (DIMEAN) and the methodological approach called „discourse analysis of one text“. Discourse is researched on three different levels (intra-textual and trans-textual levels and the level of social actors). The above-mentioned methodology helps define the categories of the analyzed discourse and identify the positions of the actors in the discourse.

The outcomes of the PhD research will help promote discourse linguistics as a comparatively young discipline within Georgian linguistic space and introduce new perspectives of the linguistic research of discourse in the field of German studies in Georgia.

The concepts represented in the theoretical part of the given research will form grounds for educational curricula and lecture courses in German philology. The research outcomes may also

be used during practical seminars. This will help scholars interested in discourse linguistics in the research of discourse structure and the rules of its realization.

Key words: discourse, actors, intra-textual and trans-textual analysis, argumentation structures, discourse positions.

შინაარსი

შესავალი.....	1
1. თეორიული საფუძვლები.....	7
1.1. დისკურსის ცნების ისტორიისთვის.....	7
1.2. დისკურსის თეორიული კვლევა: დისკურსის თეორიები.....	11
1.2.1. მიშელ ფუკოს თეორია.....	11
1.2.2. იურგენ ჰაბერმასის დისკურსის ეთიკა.....	17
1.2.3. დისკურსის კვლევა სხვადასხვა თეორიების რაკურსში.....	19
1.3. დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული კვლევები.....	21
1.3.1. დისკურსის ანალიზი - Discourse Analysis (DA).....	21
1.3.2. დისკურსის კრიტიკული ანალიზი - Critical Discourse Analysis (CDA) და მისი სხვადასხვა მიდგომათა პარადიგმა.....	21
1.3.2.1. დისკურსის კრიტიკული ანალიზის ვენის ჯგუფი.....	22
1.3.2.2. ნორმან ფეარკლო.....	22
1.3.2.3. თონ ვან დაიკი.....	23
1.3.2.4. დისკურსის კრიტიკული ანალიზის დუისბურგის სკოლა.....	23
1.3.3. დისკურსის ლინგვისტურ-ისტორიული ანალიზი (საკვლევ კორპუსზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზი).....	24
1.3.4. დისკურსის ლინგვისტური ანალიზის ახალი მიდგომები გერმანულ ენათმეცნიერებაში.....	25
1.3.4.1. ჰაიდელბერგი/მანჰაიმის სკოლა.....	26
1.3.4.2. დიუსელდორფის სკოლა.....	28
1.3.4.3. ოლდენბურგის სკოლა.....	28
2. დისკურსი და ტექსტი	31

3. ემპირიული ანალიზი	41
3.1. დისკურსის ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგია და საკვლევი კორპუსის შერჩევა.....	41
3.2. პოლიტიკური დისკურსი როგორც დომინანტური დისკურსული მწკრივი მარიონ დენჰოფის პუბლიცისტურ ტექსტებში.....	45
3.2.1. „პოლიტიკის ენა“ როგორც დისკურსული ფორმაცია.....	45
3.2.2. რჩეული პოლიტიკური კომენტარების ანალიზი 1: ინტერტექსტუალური დონე.....	49
3.2.2.1. სიტყვათა შერჩევა.....	49
3.2.2.2. პროპოზიციები.....	72
3.2.2.3. ტექსტის სტრუქტურის თავისებურებები.....	149
3.2.3. რჩეული პოლიტიკური კომენტარების ანალიზი 2: აქტორები.....	172
3.2.3.1. ინტერაქციული როლები.....	174
3.2.3.2. დისკურსული პოზიციები.....	176
3.2.3.3. დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების მედიალურობა.....	187
3.2.4. რჩეული პოლიტიკური კომენტარების ანალიზი 3: ტრანსტექსტუალური დონე.....	191
3.2.4.1. ინტერტექსტუალობა.....	191
3.2.4.2. ტოპოსის ანალიზი და დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები.....	200
3.2.4.3. ისტორიულობა, იდეოლოგია და მმართველი წრის მენტალიტეტი.....	215
დასკვნები.....	219
დანართი.....	233
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	249

შესავალი

დისკურსის კვლევას ეძღვნება მრავალი შესავალი კურსი, მიმოხილვა თუ ანთოლოგია, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა *დისკურსის თეორიას ან/და მის ანალიზს*. დისკურსის თეორიები და კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სფეროს განეკუთვნება და ეფუძნება ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა, ისტორია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვა. „დისკურსის“ ცნება, ჩვეულებრივ, გულისხმობს კონკრეტულ ენობრივ სიმბოლოთა/ნიშანთა სისტემების და შესაბამისად სტრუქტურების შინაგან ურთიერთმიმართებას და აგებულებას. ამგვარი სტრუქტურების ძირითადი სახეობები განაპირობებს მნიშვნელობათა პროდუცირებისა და რეპროდუცირების წესებს. სოციოლოგისა და დისკურსის მკვლევრის, რაინერ კელერის, აზრით, „დისკურსი ენობრივ სიმბოლოებს მნიშვნელობებს ანიჭებს და აზროვნების მყარ სისტემებს აყალიბებს, რომლებიც კონკრეტულ სოციუმში ყველასათვის სავალდებულო და მისაღებ ცოდნას ამკვიდრებენ“¹ (Keller 2007 : 7).

დისკურსის თეორია და დისკურსის ანალიზი სხვადასხვაგვარი კუთხით იკვლევენ ცოდნის სისტემებსა და ე.წ. “მოსაუბრე სუბიექტებს” ანუ საზოგადოებრივ აქტორებს, რომლებიც ამ სისტემების ნაწილია. პრაქტიკული გამოცდილების შედეგად შექმნილი განსაზღვრული წესები და რესურსები საზოგადოებრივ აქტორებს დისკურსის პროდუცირება-რეპროდუცირების, მისი გარდაქმნის შესაძლებლობას აძლევს. დისკურსის კვლევისათვის მნიშვნელოვანია გამონათქვამების² ანალიზი, რომელიც საჭიროა მათი პრაქტიკული ფუნქციონირებისთვის ინსტიტუციური რეგულირების

¹ აქაც და შემდგომ თარგმანი ჩვენია (ნ. გ.)

² ფრანგ. énoncé → ფორმულირებული აზრი. ამ სიტყვის ფუკოსეულ გაგებას ქართულში შეესაბამება როგორც ‘გამონათქვამი’, ანუ ფრაზა, გამოთქმა (=ის, რაც გამოთქვეს/გამოითქვა), ასევე ‘ნათქვამი’, ანუ დაწერილი, აღნიშნული, გამოთქმული (=ის, რაც თქვეს/ითქვა) (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია <http://ena.ge/explanatory-online>)

პროცესში, ყველაზე მნიშვნელოვანი კი მათი პერფორმატიული, რეალობის შემქმნელი ძალაა.

დისკურსის ანალიზი მოიცავს ემპირიულ და მეთოდურ კვლევას, როგორცაა ტექსტობრივი მასალის დეტალური ანალიზი. ფრანგი ენის ფილოსოფოსისა და დისკურსის მკვლევრის, მიშელ პეშოს, აზრით, დისკურსის ანალიზი უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს „კვლევის პროცესში გაფართოებული საკვლევი კორპუსის მთავარ მეთოდოლოგიურ იდეას“ (Pêcheux 1983: 54), რომელიც გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა სახეობაში და დისკურსის გავრცელების არეალში სპეციფიკური, ინსტიტუციების შესაბამისი ცოდნის გამოვლენას (მაგ. პოლიტიკური დისკურსი) და ეპისტემურ ელემენტებსა და ცალკეულ გამონათქვამთა წყებაში მათ თემატურ გაერთიანებას.

დისკურსის თეორია იკვლევს დისკურსის სტატუსს რეალური საზოგადოებრივი პროცესების ფონზე. ის ქმნის ზოგადთეორიულ საფუძველს იმ ენობრივი სტრუქტურებისთვის, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სამყაროს ემოციური და ინტელექტუალური აღქმა. გერმანელი მკვლევარი ახიმ ლანდვერი, რომელიც დისკურსს ისტორიული პერსპექტივიდან განიხილავს, თვლის, რომ დისკურსის თეორია იკვლევს სოციოკულტურულ სინამდვილეს – სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და ა.შ. ცხოვრების კონკრეტულ ასპექტებს, რომლებსაც ენობრივი გამოხატვის კონკრეტული თავისებურებები და ფორმა აქვს და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი იკვლევს არამართო სიტყვებს, არამედ სურათებს, საგნებს, საზოგადოებრივ პრაქტიკას, იდეებს, თეორიებსა და სხვ. (Landwehr 2008: 3-4).

ჩვენი კვლევისათვის ამოსავალია დისკურსის ცნება, რომელიც ფრანგი ენის ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს სახელს უკავშირდება. ფუკოსეული დისკურსის ცნება მოიაზრებს საზოგადოებრივი თვალსაზრისით რელევანტური ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბების კოლექტიურ პროცესებს და ინტერტექსტუალურ კავშირებს საზოგადოებრივ დონეზე. დისკურსი მისი გაგებით არის იმ გამონათქვამების ერთობლიობა, რომლებიც ერთი და იგივე წესების სისტემას ემორჩილებიან, ანუ ერთ

საერთო ფორმაციულ სისტემას განეკუთვნებიან. ეს ფორმაციული სისტემა ცოდნის გარკვეული ფრაგმენტებისაგან შედგება, რომლებიც კონტროლს უწევენ გამონათქვამების ენობრივი რეალიზაციის პროცესს და მათი ფორმირების, სტრუქტურირებისა და გამორიცხვის მექანიზმებს ქმნიან (Foucault 1981: 156).

ჩვენი კვლევის სფეროა თემატურად განსაზღვრული ინსტიტუციური დისკურსი, კერძოდ კი პოლიტიკური დისკურსი მარიონ დენჰოფის პუბლიცისტურ ტექსტებში, რომელსაც ქმნის ცნობილი ჟურნალისტი როგორც აქტორი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი სტატიებით ქვეყნის პოლიტიკურ რეალობას განსაზღვრავდა.

აღნიშნული კვლევა ეყრდნობა შემდეგ ჰიპოთეზას: რადგან არსებობს დიალექტიკური კავშირი დისკურსებსა და იმ სოციალურ სტრუქტურას შორის, რომელიც დისკურსულ კონტექსტს ქმნის, ამდენად დისკურსები განიხილება როგორც სოციალური პრაქტიკის ფორმები.

დისკურსები განსაზღვრავენ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ და პირიქით, ჩვენი რეალობა განაპირობებს დისკურსების ფორმირებას. დისკურსები აყალიბებენ კონკრეტულ სოციუმს და ახდენენ მის ტრანსფორმაციას. ისინი ასევე ქმნიან სოციალურად თვითმყოფად სტრუქტურებს, სოციალურ ურთიერთობებს, ცოდნის სისტემებს და დისკურსულ ფორმაციებს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ენობრივი გამოხატვის კონვენციების ქსელს და დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუციებთან (Keller 2007: 44-45).

ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეულია მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარების ციკლი, რომელსაც მოვიაზრებთ როგორც გამონათქვამთა ერთობლიობას, სადაც ავტორის მიერ რამდენიმე პოლიტიკური შინაარსის თემა განიხილება - აზრის გამოხატვის თავისუფლება, არჩევნები, საპარლამენტო პარტიები და მმართველი კოალიცია, ქვეყნის მიერ არჩეული დემოკრატიული განვითარების კურსი, თავდაცვის პოლიტიკა, შეიარაღების საკითხები და სხვ. კომენტარების ტექსტები ერთმანეთისადმი

ფორმალურ და სემანტიკურ ურთიერთმიმართებებს ავლენენ და ისინი წარმოადგენილია როგორც კომპლექსური ქსელური სისტემა, რომელიც ე.წ. შუამავალი ინსტანციის, კერძოდ კი ბეჭდური მედიის ერთ-ერთი სახეობის, გაზეთის DIE ZEIT მეშვეობით ვრცელდება.

კვლევის მიზანია იმ ენობრივი ფენომენების მოძიება, კლასიფიცირება, სისტემატიზება, შედარება და ლინგვისტური ანალიზი, რომლებიც მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ დისკურსში ქმნიან სუბდისკურსს კონრად ადენაუერის და არჩვენების თემით. ანალიზმა უნდა აჩვენოს, თუ როგორ აისახება ე.წ. „ადენაუერის ეპოქა“ ამ პერიოდის ამსახველ ტექსტებში, რადგან პოლიტიკა ის სფეროა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება თავისი არსებობის, თვითმყოფადობისა და ძალაუფლების ლეგიტიმაციას ცდილობს.

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის საანალიზოდ ჩვენი კვლევის ინტერესების გათვალისწინებით შევარჩიეთ ე.წ. **„მეთოდების ნაკრები“**: შპიცმიულერი/ვარნკეს (Spitzmüller/Warnke 2011) მიერ შემოთავაზებული მრავალდონიანი მეთოდოლოგიური მოდელი, რომელიც ცნობილია დიმეანის სახელით (DIMEAN – Diskurslinguistische Mehr-Ebenen-Analyse) და ე.წ. „ერთი ტექსტის დისკურსული ანალიზის“ (Ein-Text-Diskurs-Analyse) მეთოდური მიდგომა (Ulla Fix 2015). ეს მიდგომა წარმოადგენს ასევე ჩვენს მიერ საკვლევი კორპუსის შერჩევის საფუძველს. კვლევის პროცესში ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით შპიცმიულერი/ვარნკეს მეთოდოლოგიურ მოდელს, რის საფუძველზეც შესაძლებელია დისკურსის სამ სხვადასხვა დონეზე კვლევა. ცალკეულ დონეზე დისკურსის ლინგვისტური ანალიზის პროცესში ძირითადი აქცენტები კეთდება იმ მიდგომებზე და ფენომენებზე, რომლებიც კვლევისათვის რელევანტურია (იხ. ქვეთავი 3.1.).

ნაშრომის ძირითადი ნაწილი შედგება სამი თავისაგან, რომლებიც ეტაპობრივად წარმოადგენენ საკვლევი პრობლემის სპეციფიკას.

პირველი თავი ეთმობა დისკურსის შესახებ თეორიებს და დისკურსის კვლევის განსხვავებული ანალიტიკური მიდგომების მოკლე მიმოხილვას. **პირველ ქვეთავში** წარმოდგენილია დისკურსის ცნების ფორმირების და მისი თეორიულ-კონცეპტუალური განვითარების ეტაპები ფრანგულ პოსტსტრუქტურალიზმში და გერმანულ ენათმეცნიერებაში. **მეორე ქვეთავი** ეძღვნება დისკურსის თეორიებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს დისკურსის ცნების პოპულარიზაციას: მიშელ ფუკოს დისკურსის თეორია, იურგენ ჰაბერმასის დისკურსის ეთიკა და დისკურსის კვლევა სხვადასხვა თეორიების რაკურსში. მათგან შედარებით ვრცლად მიმოვიხილავთ მიშელ ფუკოს დისკურსის თეორიას, როგორც ჩვენი შემდგომი ანალიზის მთავარ თეორიულ საფუძველს. **მესამე ქვეთავში** წარმოდგენილია დისკურსის ანალიზის თანამედროვე მიდგომათა პარადიგმა, სადაც მოკლედ აღვწერთ სხვადასხვა სახის კვლევით მიდგომას, დაწყებული დისკურსის ანალიზიდან (Discourse Analysis-DA), დისკურსის ლინგვისტურ-ისტორიული ანალიზის, ანუ საკვლევ კორპუსზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზის ჩათვლით, რომელშიც წარმოდგენილია დისკურსის ლინგვისტური ანალიზის თანამედროვე მიდგომები გერმანულ ენათმეცნიერებაში.

ნაშრომის მეორე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ მოხდა გერმანულ ენის მკვლევართა ნაშრომებში დისკურსის ცნების განვითარება და განზოგადება ტექსტის ცნებასთან მიმართებაში და როგორ იწყება ტექსტის ლინგვისტიკაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ფუკოსეულ კონცეფციაზე დაყრდნობით დისკურსის ცნების მეთოდური ინტეგრირება.

მესამე თავი შედგება მეთოდური და საანალიზო ნაწილებისაგან. მეთოდური ნაწილის ქვეთავი ეძღვნება იმ მეთოდოლოგიების აღწერას, რასაც ეყრდნობა საკვლევ კორპუსის ანალიზი (დისკურსის კვლევის სამდონიანი მოდელი - DIMEAN, ე.წ. „ერთი ტექსტის დისკურსული ანალიზის“ (Ein-Text-Diskurs-Analyse) მეთოდური მიდგომა და დისკურსის ლინგვისტური კვლევის სხვა მეთოდოლოგიური მიდგომები). მომდევნო ქვეთავში განხილულია პოლიტიკური დისკურსი როგორც დომინანტური დისკურსული მწკრივი მარიონ დენჰოფის პუბლიცისტურ ტექსტებში და ე.წ.

„პოლიტიკის ენა“ როგორც დისკურსული ფორმაცია. ანალიზის პროცესში გამოყენებულია რესურსები შემდეგი ლინგვისტური ქვედისციპლინებიდან: ტექსტის ლინგვისტიკა, რიტორიკა, სტილისტიკა, სემანტიკა, არგუმენტაციული სტრუქტურების და ტოპოსის ანალიზი, სამეტყველო აქტების თეორია, მეტაფორების თეორია და სხვა.

ნაშრომის ბოლოს დასკვნის სახით შეჯამებულია კვლევის შედეგები, სადაც საკვანძო პუნქტების სახით წარმოდგენილი და განმარტებულია ის თავისებურებები, რაც ტიპობრივი და ნიშანდობლივია მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსისათვის, რომელიც საზოგადოებაში არსებობს როგორც „სანქციონირებულ გამონათქვამთა ერთობლიობა“ (Foucault 1977: 35), რაც თავისთავად გულისხმობს მის ზეგავლენას კონკრეტული საზოგადოებრივი გაერთიანების აზროვნებასა და ქმედებაზე.

თეორიული მსჯელობისა და საკვლევი მასალის ემპირიული ანალიზის პროცესში ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით დისკურსის გერმანულენოვან მკვლევართა ნაშრომებს. ისინი ასახავენ დისკურსის კვლევის თანამედროვე ტენდენციებს და იმ გამოცდილებას, რომელიც წამყვანი და მნიშვნელოვანია დისკურსის ლინგვისტური ანალიზის შემდგომი განვითარებისათვის.

1. თეორიული საფუძვლები

1.1. დისკურსის ცნების ისტორიისათვის

რა არის დისკურსი? მიღებულია, რომ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, რადგან ის უნივერსალური ტერმინია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება: ზოგადად ის შესაძლოა აღნიშნავდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემური თემის განხილვას, რაც ჩვეულებრივ ორ, უპირატესად ურთიერთსაპირისპირო და განსხვავებულ პოზიციას გულისხმობს; ან შეიძლება ხორციელდებოდეს ზეპირ ან წერილობით ტექსტებში და მასში შესაძლოა მეტად გამოიკვეთოს ენის სოციალური ან სხვა ასპექტები (Landwehr 2008: 2).

გერმანულ ყოველდღიურ მეტყველებაში ამ ტერმინით აღნიშნავენ საჯაროდ განხილულ თემას, კონკრეტულ არგუმენტაციულ ჯაჭვს ან მოსაუბრის გარკვეულ თვალსაზრისს. ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობას ფილოსოფიური პრაგმატიზმის პოზიციიდან კარგად გამოხატავს ჩარლზ ს. პირსისა და ჯორჯ ჰ. მიდის გამონათქვამი – „დისკურსის სამყარო“ („universe of discourse“). მათი აზრით, კონკრეტული ნათქვამის ან გამოთქმული აზრის მნიშვნელობა ყოველთვის უნდა განიმარტოს „დისკურსის სამყაროს“, ანუ კონკრეტულ, სპეციფიკურ გარემოებაში გავრცელებული აზრის გათვალისწინებით, რადგან დისკურსის ცნება გულისხმობს ცალკეულ ენობრივ მოვლენასა და კონკრეტული სიტუაციით განპირობებულ მნიშვნელობათა შორის კავშირს ანუ ენობრივი სიმბოლოებისათვის მნიშვნელობათა მინიჭებას, რომელთაც მხოლოდ, ე.წ. „კომპლექსური ენობრივი თამაშების“ ფონზე ენიჭებათ მნიშვნელობა. ეს გულისხმობს ენობრივი ნიშნების გამოყენებას სხვადასხვა მედიალურ თუ საკომუნიკაციო კონტექსტში, რათა ამგვარად შესაძლებელი გახდეს ფორმალური და შინაარსობრივი სტრუქტურების დადგენა და მათი ანალიზი (Schalk 1997/98: 93).

დისკურსი 'სამყაროს' კი არ ასახავს (როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია არაპროფესიულ წრეებში), არამედ ის რეალობას განსაკუთრებული და სპეციფიკური ფორმით წარმოადგენს, რომლის გააქტიურება და განახლება მხოლოდ და მხოლოდ

ენობრივად რეალიზებული ფორმებითაა შესაძლებელი. ამა თუ იმ ინსტიტუციის ფარგლებში ეს ფორმები ფიქსირდება და ვითარდება „დისპოზიტივების“ ანუ ე.წ. „მარეგულირებელი ღონისძიებების“ მეშვეობით, რომელთაც ფრანგი ენის ფილოსოფოსი და დისკურსის თეორეტიკოსი, მიშელ ფუკო შემდეგნაირად განმარტავს:

[...] ის, რასაც მე ჰეტეროგენულ მთლიანობას ვუწოდებ, არის დისპოზიცია, რომელიც ქმნის დისპოზიტივის შემადგენელ ელემენტებს და მოიცავს დისკურსს, ინსტიტუციებს, არქიტექტურულ ნაგებობებს, სისტემურ გადაწყვეტილებებს, კანონებს, ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, სამეცნიერო გამონათქვამებს, ფილოსოფიურ, მორალურ ან ფილანთროპიულ პოსტულატებს, მოკლედ, ყოველივე ნათქვამსა და გაცხადებულს, ისევე როგორც არანათქვამსა და არაგაცხადებულსაც. დისპოზიტივი კი ამ ელემენტებს შორის გაბმული ქსელია [...]. ამ ელემენტებს შორის ხშირად ხდება პოზიციებისა და ფუნქციების ცვლილება [...]. დისპოზიტივის ცნებაში ვგულისხმობ ერთგვარ ფორმაციას, რომლის მთავარი სტარტეგიული ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ ისტორიულ დროში დააფიქსიროს და ასახოს გადაუდებელი აქტუალობის მოვლენები (Foucault 1978: 119-120).

ტერმინი “დისპოზიტივი“ აღნიშნავს მატერიალურ და ინტელექტუალურ ინფრასტრუქტურას, ანუ მთელ რიგ ღონისძიებათა ინსტიტუციონალიზებულ ერთობლიობას, რომლებიც ხელს უწყობს დისკურსის პროდუცირება-რეპროდუცირებას. მათი მეშვეობით დისკურსი, როგორც „ენის ინსტიტუციონალური გამოყენების ფორმა და მოვლენათა მთელი სპექტრის შესახებ სარწმუნო და დამაჯერებელ გამონათქვამთა ერთობლიობა“, ქმნის ჩვენი რეალობის ამსახველ მნიშვნელობათა სტრუქტურებს (Keller 2007: 61-64).

დისკურსის ცნების ფორმირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თეორიულ-კონცეპტუალური განვითარების ეტაპები ფრანგულ სტრუქტურალიზმსა და პოსტსტრუქტურალიზმში. თეორეტიკოსმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ, როლან ბარტი, მიშელ ფუკო, პიერ ბურდიო, ლუი ალთუსერი და ჟაკ ლაკანი, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ და მეტ-ნაკლებად სტრუქტურალისტური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, თავიანთი თეორიებით განავითარეს ნეო- და პოსტსტრუქტურალისტური მიდგომა და მეთოდები. ისინი იკვლევდნენ არა მხოლოდ კულტურულ არტეფაქტებში მოძიებულ სტრუქტურებს, არამედ უფრო ვრცელ სტრუქტურებსაც, რომლებიც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია დისკურსებისათვის (Keller 2007: 7-17).

დისკურსის ცნების განმარტებისას საკუთარი მოსაზრებები ძალაუფლებასთან, ცოდნასთან და რეალობასთან დაკავშირებით განაზოგადა მიშელ ფუკომ:

დისკურსი - როგორც ამას ისტორია გვასწავლის - არ არის მხოლოდ ის მექანიზმი, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლას ან მართვისა და კონტროლის სისტემებს ენობრივად აფორმებს, არამედ დისკურსი არის ის, რისთვისაც და რისი საშუალებითაც იბრძვიან [...] (Foucault 1977: 8).

ამ განსაზღვრებით ფუკომ გამოკვეთა დისკურსის სპეციფიკური ბუნება, მაგრამ მისთვის, როგორც დისკურსის თეორეტიკოსისათვის, უფრო საინტერესო იყო არა მისი დროის აქტუალური გამონათქვამები ან ტექსტები, არამედ, ე.წ. *რეგულირებადი დისკურსული პრაქტიკა*, ანუ ის წესები და სტრუქტურები, რომლებიც ამ გამონათქვამებისა და ტექსტების პროდუცირებას განაპირობებდნენ.

ფუკოს დისკურსის თეორია საფუძვლად დაედო დისკურსის ლინგვისტურ ანალიზს, რაც აისახა დისკურსის ცნების შემდგომ განვითარებაში, კერძოდ კი დისკურსის შესახებ კონცეფციების და მიდგომების განვითარებისას გერმანულ ენათმეცნიერებაში, რომელთა მიხედვითაც:

- დისკურსი ცოდნის სეგმენტების მარკირებული ნიშნების ქსელს წარმოადგენს (Busse 2000);
- დისკურსი ადგენს მიმართებს ცალკეულ ტექსტებს შორის, რადგანაც ტექსტები არ არის იზოლირებული, არამედ ერთმანეთს უკავშირდება (Warnke 2002);
- დისკურსი შეიძლება განისაზღვროს “როგორც ტექსტების ვირტუალური კორპუსები, რომელთა შედგენილობაც შინაარსობრივი კრიტერიუმებით განისაზღვრება”(Busse/Teubert 1994: 14);
- დისკურსი ერთგვარი „თემების ამაღვამებია (=შენადნობებია) ტექსტში“ (Sauer 1998: 155);
- დისკურსი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „დიალოგი“ ტექსტებს შორის, ანუ მისთვის დამახასიათებელია დიალოგური პრინციპი (Wichter 1999);

- დისკურსი, თუ მას ლინგვისტური პოზიციიდან განვიხილავთ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებობს, ამიტომ ის, ერთი მხრივ, გამონათქვამთა ერთობლიობაა, რომლითაც ერთ რომელიმე თემას განვიხილავენ. მეორე მხრივ, დისკურსი კონკრეტულ ტექსტებშია ფიქსირებული. საერთო თემატიკით დაკავშირებული ტექსტები ერთმანეთის მიმართ ფორმალურ და სემანტიკურ ურთიერთმიმართებებს ავლენს და კომპლექსურ ქსელურ სტრუქტურებად არის წარმოდგენილი (Fraas 1996).

მოკლე რეზიუმე:

დისკურსის ცნების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ:

- დისკურსის საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია. ის ქმნის გამონათქვამთა ჯგუფებს, რომელსაც ზემოქმედების ძალა აქვს. თუ დისკურსს მისი ზემოქმედების თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა, რეალობა/სინამდვილე, ძალაუფლება და ცოდნა, რადგანაც სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს დისკურსის ზემოქმედების ძალას.
- დისკურსი არ არის გამონათქვამების არაკანონზომიერი თავმოყრა. ის გამონათქვამების ან წინადადებების ორგანიზებული ერთობლიობაა, რომლის ობიექტივაცია/რეალიზაცია კონკრეტულ სოციუმში ხდება და ამ სოციუმის შემდგომ არსებობასაც განაპირობებს. მეორეს მხრივ დისკურსიც სწორედ ამ სოციალური კონტექსტის მეშვეობით განისაზღვრება. ამრიგად, სოციალურ კონტექსტს თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება დისკურსის განვითარების, შენარჩუნებისა და ცირკულაციის პროცესში.
- ცოდნა და რეალობა სწორედ დისკურსის სოციალური სტრუქტურირების შედეგად წარმოიქმნება. დისკურსი შესაძლებლობას იძლევა სააზროვნო ფორმებს ხორცი შეესხას ისე, რომ მათ მეტი დამაჯერებლობა შეიძინონ.

1.2. დისკურსის თეორიული კვლევა: დისკურსის თეორიები

1.2.1. მიშელ ფუკოს თეორია

მიშელ ფუკოს ნაშრომებმა ხელი შეუწყო დისკურსის ცნების პოპულარიზაციას და საყოველთაო გავრცელებას. იგი, როგორც პოსტსტრუქტურალისტური თეორიის მიმდევარი და ლინგვისტი, იკვლევდა თუ როგორ ყალიბდება სოციუმში ობიექტური სამყარო ინსტიტუციებისა და განსაკუთრებით ენის მეშვეობით. სტრუქტურალისტური თეორიიდან მომდინარე იმპულსების გავლენით მან 1966 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „საგნების წესრიგის“ შესახებ (Les mots et les choses), რომელშიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციფიკური, ფუნდამენტური ცოდნის სისტემებსა და შემეცნების ზოგად სტრუქტურებს, ეპისტემებს (épistémè). ფუკო მათ რენესანსის, განმანათლებლობის, რომანტიზმისა და მოდერნიზმის ისტორიული რეტროსპექტივის ფონზე განიხილავს. ეს სტრუქტურები საფუძვლად უდევს კონკრეტულ, შემეცნებითი ხასიათის ქმედებებს და მათ ენობრივ გამოხატვას სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში, ისევე როგორც ენა (langue) უდევს საფუძვლად სიტყვას (parole). ეპისტემები კოლექტიური აზროვნების სტრუქტურებია, რომლებიც სამეცნიერო დისციპლინების მიღმა არსებობს. ფუკო მათ საზოგადოებაში დადასტურებულ წესებთან აიგივებს, „რომლებიც კონკრეტულ სტრუქტურებს ქმნის, მაგრამ თვითონ ჩამოყალიბებული თეორიული ფორმა არ გააჩნია და სხვადასხვა თეორიაში, ცნებებსა და კვლევის ობიექტებში ვლინდება“ (Foucault 1974:12).

ფუკოს შემოქმედების ძირითადი პრინციპია თანამედროვე სუბიექტური შეხედულებების გენეზისი და განვითარება. წიგნებში „დისკურსის წესრიგი“ (L'ordre des discours) და „ცოდნის არქეოლოგია“ (L'archéologie des savoirs), ასევე თავის მრავალრიცხოვან ესეებში ფუკო გამოთქვამს ფუნდამენტურ მოსაზრებებს დისკურსის შესახებ, აყალიბებს საკუთარ თეორიას პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

დისკურსის ცნების მისეული გააზრება ეფუძნება რიგ მეცნიერულ დისციპლინებს, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ფსიქოლოგიურ თეორიებს, სამართალმცოდნეობას, მედიცინას, ფილოსოფიასა და რელიგიას, ანუ ისეთ ინსტიტუციებსა და სამეცნიერო სფეროებს, სადაც დისკურსი იქმნება და ვითარდება.

მიშელ ფუკო შეეცადა ეტაპობრივად, დროის გარკვეული მონაკვეთში შეესწავლა ცვლილებები დისკურსულ სისტემებში, გაენალიზებინა და სამეცნიერო კვლევების ყურადღების ცენტრში მოექცია ნებისმიერი საკომუნიკაციო პროცესის კულტურული წანამდვრები. 1969 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „ცოდნის არქეოლოგია“ ფუკომ სისტემურად აღწერა ცვლილებები კონკრეტული ეპისტემეს დისკურსული სტრუქტურის, როგორც მთლიანობის, ფარგლების დასადგენად, რომლის შიგნითაც მოქცეულია კონკრეტული კულტურული აზროვნება. „ცოდნის არქეოლოგია“ ფუკოს თეორიული მოსაზრებების არსს წარმოადგენს, რომელშიც წარმოდგენილია დისკურსის ანალიზის პირველი მეთოდოლოგიური კონცეფცია. ფუკოსეული დისკურსის ანალიზის ამოსავალი კითხვაა, „თუ როგორ ხდება, რომ მოცემულ ადგილებში აქტიურდება მაინცდამაინც ერთი რომელიმე კონკრეტული გამონათქვამი და არა რომელიმე სხვა“ (Foucault 1981: 42).

ტერმინით „არქეოლოგია“ ფუკო კომპლექსური, სოციალურ-სამეცნიერო პროგრამის მონახაზს იძლევა, რომლის მიზანია არა მხოლოდ გამონათქვამების შინაარსობრივი ანალიზი, არამედ პრაქტიკული გამოცდილების, ობიექტების, ადამიანების, იდეებისა და, საერთოდ, რეალობის ამსახველი კონტექსტის საზოგადოებისათვის მისაღები ფორმებით ჩამოყალიბება და მათი მოწესრიგება-დალაგება. აქ იგულისხმება აქცენტების ახლებური განლაგება, კერძოდ კი ყურადღების გადატანა იმ გამონათქვამების პრაქტიკაზე, რომლის საშუალებითაც დისკურსი მოსაუბრე სუბიექტებს ქმნის. კვლევის ობიექტია ასევე ის რეალური პროცესებიც, რომლებიც ასახავენ თავისებურ, საკუთარი დინამიკის მქონე სინამდვილეს, სადაც ხდება ობიექტურ რეალობასა და დისკურსს შორის ურთიერთმონაცვლეობა (Keller 2007: 42-48).

დისკურსის არქეოლოგიის მთავარი იდეა ფუკოსთან დისკურსის ასე ვთქვათ, „ხელშეუხებლად“ გამოვლენაა. მისი აზრით, არსებულმა ვითარებამ და კონტექსტმა ის არ უნდა გადაფაროს. დისკურსმა უნდა აჩვენოს შეულამაზებელი რეალობა და არა ყალბი სინამდვილე. კვლევის საგანია ცალკეულ გამონათქვამებს შორის კავშირების ძიება. ყოველი გამონათქვამი განსაკუთრებული დისკურსული მოვლენაა, რომელიც „[...] მთლინად ისტორიული წარმოშობისაა, ისტორიის ფრაგმენტია და ამავე დროს მისი უწყვეტობის დარღვევაა [...]“ (Foucault 1981: 170). დისკურსის საანალიზო მეთოდი მიზნად ისახავს, ერთმანეთისაგან განსხვავებული დისკურსული მოვლენები ამოიღოს თავდაპირველი კონტექსტიდან, თავიდან დააჯგუფოს და აღწეროს, როგორც „სხვა ერთეულები“. სწორედ ეს „სხვა ერთეულები“ ქმნის დისკურსს. დისკურსის შიგნით იქმნება წესები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი გამონათქვამები ითვლება „ჭეშმარიტად“ კონკრეტულ ეპოქაში და რის გამო იქცევა ისინი დისკურსის შემადგენელ ელემენტებად. დისკურსის არქეოლოგიამ უნდა წარმოაჩინოს, რატომ არის ზოგიერთი გამონათქვამი მისაღები და რატომ გაემიჯნება სხვა გამონათქვამები სათანადო და ჭეშმარიტებად მიჩნეულ ცოდნის სივრცეს (Foucault 1981: 50-55).

ფუკოს მიხედვით დისკურსის არქეოლოგია შედგება 5 (ხუთი) კომპონენტისაგან. ესენია: *გამონათქვამი, დისკურსული ფორმაცია, დისკურსი, ისტორიული აპრიორი და არქივი.*

გამონათქვამი ყველაზე ადვილად განსასაზღვრავ კატეგორიად ითვლება. ფუკო მას „დისკურსის საწყის ერთეულს“ უწოდებს (Foucault 1981: 117). დისკურსი შედგება ცალკეული გამონათქვამებისაგან, რომლებიც გაბნეულია საკვლევ სივრცეში. დისკურსის ანალიზის დროს მათ აჯგუფებენ და შესაბამის დისკურსულ სივრცეს მიაკუთვნებენ. ყოველი მათგანი განსაკუთრებული და უნიკალური მოვლენაა. გამონათქვამები თვითმყოფადობას ინარჩუნებს ენობრივი გამოხატვის ფორმების მეშვეობით. ფუკოსთვის გამონათქვამი ის გამოთქმული აზრებია, რომლებსაც გარკვეული ინსტიტუციონალური ძალა აქვს, მისი არსებობის უფლება კი კონკრეტული ფორმით დასტურდება. გამონათქვამები კლასიფიცირდება, როგორც სიმართლე, როგორც რეალობის შეულამაზებელი ასახვა. „[...] ნამდვილი და სწორია ნათქვამი, თუ

ის ემორჩილება დისკურსული ფორმირების წესებს [...]“ (Foucault 1977: 25). სწორად გამოთქმულ აზრებსა და ტექსტებს, რომლებიც აღიარებულია, როგორც ცოდნა, გამონათქვამების კლასიფიკაცია ენიჭება.

ფუკო დისკურსულ ფორმაციებს წარმოადგენს, როგორც ურთიერთკავშირთა მთელ წყებას. გამონათქვამების ფორმაციებს, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია, შინაგანი კავშირი აქვთ და თავიანთი გავრცელების ველებში განიბნევიან. დისკურსული ფორმაცია იქმნება დისკურსის შიგნით დისკურსის თემის, გამოხატვის მოდალობის და დისკურსული ცნებების პოზიციური განლაგებით, რაც ქმნის დისკურსის სტრატეგიას. სტრატეგიაში ფუკო გულისხმობს „სისტემურად განსხვავებულ თავისებურებას დისკურსის იმ ობიექტებისა და გამოხატვის ფორმების კვლევისა და განხილვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ „მარეგულირებელ საშუალებას დისკურსის შესაძლებლობების გამოსაყენებლად“ (Foucault 1981: 102). დისკურსულ ფორმაციაში შესაძლო ან სავარაუდო გამონათქვამები უკვე რეალურ გამონათქვამებად გადაიქცევა. ფუკო შემდეგნაირად აღწერს კავშირს გამონათქვამსა და დისკურსულ ფორმაციას შორის:

გამონათქვამი დისკურსულ ფორმაციას მიეკუთვნება ისევე, როგორც წინადადება – ტექსტს, ხოლო პროპოზიცია – ლოგიკას დაქვემდებარებულ დედუქციურ მთლიანობას. თუ წინადადების სისტემატურობა ენის კანონებით, პროპოზიციისა კი ლოგიკის კანონებით განიმარტება, გამონათქვამის სისტემატურობას ისევ დისკურსული ფორმირება განსაზღვრავს. ამგვარად, გამონათქვამის მიეკუთვნება დისკურსულ ფორმაციასთან და მისი გამოვლენის კანონზომიერებასაც ერთი და იგივე მოვლენა განაპირობებს (Foucault 1981: 169-170).

დისკურსის კვლევა ფუკოსთან კვლევის პროცესში ისტორიულის გარდა ლოგიკური, ლინგვისტური და ფსიქოლოგიური განზომილებების ჩართვასაც გულისხმობს. ფუკო დისკურსს განიხილავს სოციოლოგიური ცოდნისა და კონსტრუქტივიზმის ფარგლებში, როგორც პირობით მოვლენას, რომლის არსებობას ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებული ფორმირება განაპირობებს. დისკურსს, ერთი მხრივ, დაგროვილი ცოდნის გამტარის, ანუ მედიუმის, ფუნქცია ენიჭება, ხოლო, მეორე მხრივ, იგი პრაქტიკულად ხორციელდება საზოგადოებაში და აღნიშნავს სივრცეში გაბნეულ უამრავ გამონათქვამს, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში ერთი სახით

და რეგულირების ერთი სისტემით შეიძლება გამოიყენებოდეს. ამგვარი გამონათქვამები ერთ დისკურსს მიეკუთვნება და ერთ თემატიკას ასახავს. დისკურსის ანალიტიკოსის ამოცანაა რეგულირების ამგვარი სისტემის რეკონსტრუქცია (Foucault 1981: 58).

ფუკო დისკურსს განიხილავს, როგორც ცოდნის სეგმენტების მაფორმირებელ სისტემას, რომელსაც შეუძლია მართოს ის პროცესები, რომლებიც კონკრეტული გამონათქვამების პროდუცირების შესაძლებლობას განაპირობებს. დისკურსი შუალედური რგოლია აზროვნებასა და მეტყველებას შორის, რომელშიც ქმედითია ისეთი დისკურსული მექანიზმები, როგორებიცაა, დისკურსული მოვლენების პროდუცირების შეზღუდვა, ეპისტემების სტრუქტურირება, ასევე ცოდნის ფორმირების და (თემატური) გამორიცხვის სისტემები. დისკურსს მიეკუთვნება გამონათქვამთა კონკრეტული ტიპები, რომლებიც მის მხოლოდ ექსპლიციტურ ანუ ხილულ ნაწილს ასახავს. დისკურსის ცნება დისკურსულ პრაქტიკებთან შერწყმით აქტიურდება, რომელთაც ფრანგი ისტორიკოსი და ფუკოს თანამედროვე, პოლ ვენი, „პირამიდის დაფარულ ნაწილს“ უწოდებს (Veyne 1992: 22).

ტერმინებით *ისტორიული აპრიორი* და *არქივი* აღინიშნება კულტურის ისტორიის თეორიის გაერთიანება დისკურსის ანალიზში. *ისტორიული აპრიორი* მიაჩნებს, რომ ყოველ დისკურსს საკუთარი ისტორია აქვს და საკუთარ დროში არსებობს. დისკურსი არ ექვემდებარება დროის მიღმა მდგომ მუდმივ ფორმალურ ღირებულებებს. ის წესებს თვითონ განსაზღვრავს და საკუთარ დროში არსებობისას უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ფორმლობები. დისკურსულ წესებს ემორჩილება ის, ვინც ამა თუ იმ კონკრეტულ დისკურსს ქმნის. ისტორიული აპრიორი ეფუძნება „იმ წესების ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია დისკურსული პრაქტიკისათვის“ (Foucault 1981: 185). იმას კი, რაც ამ წესებით იქმნება და ერთი კონკრეტული ეპოქის დისკურსული პრაქტიკის ერთობლიობას წარმოადგენს, ფუკო *არქივს* უწოდებს:

არქივი გამონათქვამთა წარმოქმნის, მათი ფუნქციონირებისა და მართვის მთელი სისტემაა.[...] [...] ის ასევე წარმოადგენს გამონათქვამების ფორმირებისა და ტრანსფორმირების ზოგად სისტემასაც (Foucault 1981: 188).

1970 წელს ფუკოს ირჩევენ პროფესორად ცნობილ Collège de France-ში. იმავე წლის დეკემბერში ის კითხულობს საინაუგურაციო ლექციას სათაურით „დისკურსის წესრიგი“ (L'ordre du discours), რომლის სრული ვერსიაც 1971 წელს გამოაქვეყნა პარიზის გამომცემლობა „გალიმარმა“. ფუკოს ეს ნაშრომი დაემთხვა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი ორიენტაციის ძებნისა და გარდატეხის, კრიტიკული შეფასებისა და ახალი ფილოსოფიური პარადიგმის დაწყების პერიოდს, როცა განვითარდა, დაინერგა და დაიხვეწა ახალი ასპექტები, ცნებები და მოდელები. ნაშრომში საუბარია დისკურსის შემზღვეველ, მაკონტროლებელ სისტემებსა და იმ პროცედურებზე, რომელთა აღსრულებაც დისკურსს ეკისრება. ფუკო ასევე განიხილავს იმ მეთოდებს, რომლებიც არსებითია დისკურსისათვის და სისტემურ თეორიულ მიდგომას წარმოგვიდგენს. ფუკოს მიერ გაანალიზებული *დისკურსის ცნება* გულისხმობს როგორც შეზღუდვას, ასევე ამ შეზღუდვის საზღვრებსაც და ასევე ამ საზღვრების დარღვევის შესაძლებლობას. ამავე დროს ის გულისხმობს როგორც აკრძალვას, ასევე აკრძალვის დარღვევასაც. ამ მხრივ, საგულისხმოა ციტატა ფუკოს ნაშრომიდან „ცოდნის დესტრუქციულობის შესახებ“ (Von der Subversion des Wissens):

მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დისკურსის პროდუცირებისას იმავდროულად ხდება მისი კონტროლი, შერჩევა, ორგანიზება და მისთვის კონკრეტული მიმართულების მიცემაც. კერძოდ კი, მისი განხორციელება შესაძლებელია კონკრეტული პროცედურების მეშვეობით, რომელთა მიზანია დისკურსის ძალისა და რისკების განეიტრალება, დისკურსის, როგორც მოვლენის არაპროგნოზირებადობის ალაგმვა და მისი რთული მატერიალურობისათვის თავის არიდება (Seitter 2000: 10 – „მიშელ ფუკოსა და პაოლო კარუზოს დიალოგი“³)

გერმანელი ფილოსოფოსის, რალფ კონერსმანის, აზრით, „დისკურსის წესრიგში“ გაანალიზებული ფუკოსეული დისკურსის ცნება ძალიან ზოგადია, რაც იმავდროულად მისი სისუსტეც არის და სიძლიერეც. ეს განპირობებულია როგორც დისკურსული ფორმაციით, ასევე დისკურსული პრაქტიკითაც (Konersmann 1991: 76-77). ფუკო თვლის, რომ დისკურსი უნდა გაანალიზდეს, როგორც წყვეტილი, პერიოდული პრაქტიკა,

³ Michel Foucault: Von der Subversion des Wissens - წიგნი გამოსცა და გერმანულ ენაზე თარგმნა ვალტერ ზაითერმა. წიგნში გამოქვეყნებულია ფუკოს სამი ესე, კერძოდ, მისი საუბრები პაოლო კარუზოსთან, ჟილ დელუზთან და პარიზელ სტუდენტებთან.

რომელიც ხშირად ერთმანეთს გადაკვეთს და ზოგჯერ ერთმანეთის არსებობასაც კი გამოირიცხავს (Foucault 1977: 19-21).

ნაშრომში „დისკურსის წესრიგი“ ფუკო ერთმანეთისაგან განასხვავებს დისკურსის ორ ძირითად სახეობას: ა) დისკურსი, რომელსაც ყოველდღიურობა წარმოქმნის და გამოთქმისთანავე ქრება და ბ) დისკურსი, რომლის წიაღშიც სხვა დანარჩენი სამეტყველო აქტები ყალიბდება. ისინი დისკურსს მუდმივად განაახლებენ, განმარტავენ, განიხილავენ და გარდაქმნიან. ეს ის დისკურსია, რომელიც მუდმივად არსებობს, როგორც გამონათქვამი, გამოთქმულად რჩება და მომავალშიც გამოითქმის (Foucault, 1977: 17).

ფუკოს აზრით, ჩვენ ვსაუბრობთ და ვმოქმედებთ იმ საზღვრებში, რომლებსაც გვიწესებს დისკურსი, ხოლო დისკურსული შეზღუდვა ნებადართულია გარკვეული ინსტიტუციების მიერ. ფუკოსთვის ნაკლებად საინტერესოა ამ შეზღუდვების ინსტრუმენტი. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია შეზღუდვების ზეგავლენა ადამიანის ენობრივი გამოხატვის უნარზე. დისკურსის საზღვრებს ადგენს ის ტრადიციები და წესები, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში ზღუდავს კონკრეტული აზრების გამოხატვას. ფუკოსეული დისკურსის ანალიზი ყურადღებას ამახვილებს იმ შეზღუდვაზე, რომელიც ამავე დროს კონკრეტული დისკურსის ფარგლებში ჩვენს მოქმედებასაც განაპირობებს.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ნაშრომები, რომლებიც თავად ფუკოს აზრით არ არის არც იდეების სისტემა და არც რომელიმე განზოგადებული თეორია, მოიცავს თემატიკის ფართო სპექტრს და ფუკოს წარმოგვიდგენს, როგორც მკვლევარს, რომელიც ერთდროულად არის ისტორიკოსიც, ფილოსოფოსიც, ფსიქოლოგიც და თეორეტიკოს-კრიტიკოსიც.

1.2.2. იურგენ ჰაბერმასის დისკურსის ეთიკა

გერმანულენოვან სივრცეში ეთიკაზე დაფუძნებული დისკურსის ცნების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გამოყენებას გერმანელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის,

იურგენ ჰაბერმასის სახელს უკავშირებენ. ჰაბერმასმა შექმნა ე.წ. „კომუნიკაციური ქმედების თეორია“, რომელიც სრულიად განსხვავდება ენის ფილოსოფიური თეორიისა და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა თეორიებისაგან და რომელშიც ძირითადია „გავლენებისაგან თავისუფალი დისკურსის“ (herrschaftsfreier Diskurs) იდეა. ჰაბერმასის დისკურსის ეთიკა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ადამიანის ენობრივი კომპეტენცია გამოთქმული აზრის სარწმუნოდ ცნობის (Geltungsanspruch) ოთხ, მეცნიერულად დადასტურებულ მოთხოვნას გულისხმობს, რომლებსაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ მოსაუბრეები⁴ ყოველი კონკრეტული სამეტყველო აქტის განხორციელების პროცესში. ჰაბერმასის თეორიის თანახმად, შესაძლებელია ამ მოთხოვნების გამიზნულად გამოყენება „დისკურსის“ სახით. ჰაბერმასისთვის „დისკურსი“ ჩვეულებრივი კომუნიკაციის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით. მეცნიერი დისკურსში გულისხმობს ორგანიზებულ სადისკუსიო პროცესებს, რომლებიც არგუმენტირებული განხილვებისა და დისკუსიებისას წარმოიქმნება. ექსპლიციტური წესებისა და აზრების ფორმირებისათვის საჭირო სხვადასხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით, ასევე ამ ოთხი მოთხოვნის გათვალისწინებით დისკურსმა გამოთქმულ აზრს მეტი დამაჯერებლობა უნდა შესძინოს; იგი ასევე ყველა იმ შესაძლო გამონათქვამსაც მოიცავს, რომელთაც ერთი თემა აერთიანებს. თუმცა ჰაბერმასის თეორია ნაკლებად ეხება დისკურსის კვლევის საკითხებს. ის დისკურსის ეთიკას იყენებს როგორც კრიტიკულ სტანდარტს დისკურსის ანალიზის (Critical discourse analysis - CDA) დროს, რათა „რეალურ დისკურსში“ (იგულისხმება რეალური დიალოგის პროცესი - ნ.გ.) დადგინდეს დარღვევები ან ენობრივი თვალსაზრისით დამახინჯებული ფორმები (Wodak/Cillia/Reisigl et. al. 1998). რაც შეეხება დისკურსის ანალიზზე დაფუძნებულ კვლევას, აქ დისკურსის ეთიკა არ წარმოადგენს კრიტიკის ნორმატიულ სტანდარტს. ჩატარებული კვლევები ადასტურებს რომ საჯარო დისკურსული პროცესები არ შეესაბამება ჰაბერმასის დისკურსის თეორიის იდეალს (Gerhards 2003).

⁴ ჰაბერმასის მიხედვით, კომუნიკაციისათვის აუცილებელია მონაწილე სუბიექტები საღად მოაზროვნენი იყვნენ და, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ საკომუნიკაციო მიზნის ან თემის მიზანმიმართულად წარმოდგენა. წარმოთქმული აზრი უნდა იყოს: 1. გასაგები (Anspruch auf Verständlichkeit), 2. სინამდვილის ამსახველი (Anspruch auf Wahrheit), 3. ჭეშმარიტი და მართალი (Anspruch auf Wahrhaftigkeit), 4. სწორი (Anspruch auf Richtigkeit) (Habermas 1983: 55-120).

1.2.3. დისკურსის კვლევა სხვადასხვა თეორიების რაკურსში

ა. დისკურსის კვლევა კულტუროლოგიური თეორიის რაკურსში წარმოადგენს დისკურსის კვლევის პერსპექტივებს, რომლებიც დისკურსის ცნების ენათმეცნიერულად ან იდეოლოგიურად დასაბუთებული ფორმისაგან განსხვავებით, სოციოლოგიური თეორიების ტრადიციების ფარგლებში განვითარდა. დისკურსის კულტუროლოგიური თეორია იკვლევს სიმბოლური წესრიგის სოციალურ მნიშვნელობას და გულისხმობს მიდგომებს, რომლებიც სოციოლოგიის ინტერპრეტაციული პარადიგმის ტრადიციიდან მომდინარეობს. ამ თეორიის მიხედვით კოლექტიური ინტერპრეტაციის პროცესებში მონაწილე სოციალური აქტორები, ანუ მოსაუბრე სუბიექტები ინტერაქციულ დონეზე განიხილავენ რეალობის დეფინიციისა და სიმბოლური წესრიგის პრობლემებს (Keller 2007: 34-41).

ბ. დისკურსის კვლევის პოსტმარქსისტული თეორია დაკავშირებულია არგენტინელი პოლიტიკის თეორეტიკოსის, ერნესტო ლაკლოსა და ბელგიელი პოლიტოლოგის, შანტალ მუფის, სახელებთან და ძირითადად ეფუძნება ალთუსერისა და ფუკოს მოსაზრებებს და ლაკანის ფსიქოანალიტიკურ თეორიას. ლაკლომ და მუფმა განავითარეს დისკურსის თეორია, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბების ზოგადსოციალურ თეორიასთან და დისკურსის ცნება გაუთანაბრეს სოციალურობის, ანუ საზოგადოებრიობის ცნებას. ლაკლო და მუფი თვლიან, რომ 'სოციალურობა' (ანუ საზოგადოებრიობა) ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე 'სიმბოლურობა' (ანუ მნიშვნელობათა წესრიგი) და მოიცავს როგორც კონკრეტულ, მატერიალურ ობიექტებს, ასევე ქცევის თავისებურებებს და მოქმედების ფორმებს, ანუ სოციუმში გაერთიანებული მოლაპარაკე სუბიექტების - აქტორების, პრაქტიკასა და პოზიციას (Laclau/Mouffe 2000).

გ. დისკურსის კვლევა ცოდნის სოციოლოგიური თეორიის ჭრილში დაკავშირებულია პეტერ ბერგერისა და თომას ლუკმანის ცოდნის სოციოლოგიურ თეორიასთან. მისი მიზანია დისკურსის კვლევის კულტუროლოგიური მიდგომებისა და დისკურსის შესახებ თეორიების, განსაკუთრებით კი, ფუკოს თეორიის, ერთმანეთთან დაკავშირება.

ამ თეორიის მიხედვით ყველაფერი, რასაც ადამიანი აღიქვამს, იგებს და გრძნობს, გადმოიცემა სოციალურად ჩამოყალიბებული, ტიპობრივი, კანონიერად აღიარებული და ობიექტური ცოდნის მეშვეობით. ჩვენ არ გვაქვს უშუალო კავშირი „თავისთავად“ არსებულ სამყაროსთან, ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ არ არის თანდაყოლილი. ის ემყარება სოციუმში წარმოქმნილ სიმბოლურ სისტემებს ან წესრიგს, რომელიც დისკურსში და დისკურსის მეშვეობით იქმნება. ცოდნის სოციოლოგიურ თეორიაზე დაფუძნებული დისკურსის ანალიზი იკვლევს სოციალურ პრაქტიკასა და პროცესებს, რომლებიც სიმბოლური წესრიგის შექმნას, მის სტაბილიზაციასა და ტრანსფორმაციას განაპირობებენ. ამ პროცესების შედეგია კანონები, სტატისტიკა, კლასიფიკაცია, ტექნიკა, საგნები ან ნივთები, რომლებიც ამ თვალსაზრისით ახალი დისკურსის შექმნის წინაპირობას წარმოადგენენ (Berger/Luckmann 1980).

მოკლე რეზიუმე:

ჩვენ მიერ განხილულ დისკურსის თეორიებში წარმოდგენილი კვლევის პერსპექტივა ასახავს კონკრეტული სოციუმის სტრუქტურირების მექანიზმებს და მის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ ასპექტებს, რომლებიც დისკურსის ფენომენს რეალობით განპირობებული საზოგადოებრივი პროცესების ფონზე შეისწავლიან. წარმოდგენილი პერსპექტივა იკვლევს როგორც დისკურსის ცნებას, რომელიც გათანაბრებულია 'სოციალურობის' ანუ საზოგადოებრიობის ცნებათან, ასევე არგუმენტაციული განხილვისა და დისკუსიების დროს წარმოქმნილ დისკურსის ეთიკას, რომელშიც ძირითადი ყურადღება ეთმობა მორალურ ნორმებსა და ცნებებს.

განხილული თეორიებიდან ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია მიშელ ფუკოს დისკურსის თეორია, რომელშიც იგი დისკურსს გაიაზრებს ინტერდისციპლინური კუთხით. დისკურსული წესრიგი განაპირობებს მჭიდრო კავშირს ენობრივ სტრუქტურებთან, რეალობასთან და შესაბამისი ეპოქის სოციოკულტურულ ფონთან, რაც ჩვენი შემდგომი ანალიზის თეორიულ საფუძველსაც ქმნის.

1.3. დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული კვლევები

1.3.1. დისკურსის ანალიზი - Discourse Analysis (DA)

ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ 1952 წელს ამერიკული ენათმეცნიერული სტრუქტურალიზმისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის თეორიებში შემოიტანა ზელიგ ს. ჰარისმა ინდიელთა ენების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზის მისეული კონცეფციის აღსანიშნავად. ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინით აღნიშნავენ სხვადასხვა სახის კვლევით მიდგომას, რომელიც ლინგვისტური, სოციოლინგვისტური, ეთნომეთოდოლოგიური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კუთხით იკვლევს „ბუნებრივ“ საკომუნიკაციო პროცესებს განსხვავებულ კონტექსტში. გერმანულენოვან სამეცნიერო სივრცეში დისკურსის ანალიზი ძირითადად გულისხმობს ენის გამოყენების თვისობრივ კვლევას ან დიალოგური მეტყველების ემპირიულ ანალიზს. იგი შემეცნების კვლევასთან არის დაკავშირებული და ძირითადად იკვლევს თუ ვინ, როგორ, რატომ, როდის და რისთვის იყენებს ენას კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში.⁵

1.3.2. დისკურსის კრიტიკული ანალიზი - Critical Discourse Analysis (CDA) და მისი სხვადასხვა მიდგომათა პარადიგმა

დისკურსის კრიტიკული ანალიზი უმეტესწილად სოციალურ-თეორიული ორიენტაციისაა და მიზნად ისახავს კოლექტიური ცოდნის სისტემების კვლევას. დისკურსის კრიტიკული ანალიზისათვის, ისევე როგორც დისკურსის ანალიზის სხვა მიდგომებისათვის წერილობითი და ზეპირი ტექსტები არსებობს თემატურად მონათესავე ტექსტების სინქრონულ და დიაქრონულ მიმართებათა ქსელში. ანალიზის საგანია კონკრეტული თემატიკის შემცველი ტექსტები ან გამონათქვამები იმ დისკურსული კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც მნიშვნელოვანია ტექსტის გასაგებად, როცა დისკურსის მოქმედების არეალი სცდება ერთი ტექსტის ფარგლებს.

⁵ მნიშვნელოვან კონცეფციებს და მიდგომებს ამ მიმართულებით გვათავაზობენ დეპერმანი (Deppermann 1999), ელიჰი (Ehlich 1994), ფრიტცი/ჰუნდსნურშერი (Fritz/Hundsnurscher 1994), ლუკმანი (Luckmann 1979), ებერლე (Eberle 1997), კნობლაუხი (Knoblauch 2006), ბრუნერ/გრეფენი (Brünner/Graefen 1994).

დისკურსის კრიტიკული ანალიზი როგორც ზეპირ, ასევე წერილობით დისკურსს სოციალური პრაქტიკის ფორმად მიიჩნევს, რომელიც არამარტო ასახავს, არამედ ქმნის და ორგანიზებას უწევს სოციალურ ურთიერთობებს ასევე განმარტავს დისკურსული პრაქტიკისა და პოლიტიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური რეალობის ურთიერთქმედებას; გარდა ამისა, კვლევის ინტერესი მოიცავს ასევე ორ ასპექტს: ზეგავლენას დისკურსზე და იმ ძალასა და გავლენას, რომელსაც დისკურსი ფლობს (Van Dijk 1993).

1.3.2.1. დისკურსის კრიტიკული ანალიზის ვენის ჯგუფი. დისკურსის კრიტიკული ანალიზის ვენის ჯგუფი ეფუძნება ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლისა და ბერნშტაინისეული სოციოლინგვისტიკის ტრადიციებს. ის შეიქმნა ავსტრიელ მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუთ ვოდაკის ირგვლივ გაერთიანდნენ.

დისკურსის კრიტიკული ანალიზის ვენის ჯგუფის მიერ გამოყენებული დისკურსის კვლევის ისტორიული მეთოდი ითვალისწინებს ყველა ხელმისაწვდომი ანუ საზოგადოებრივი ფონის შემქმნელი ინფორმაციის სისტემატურ ჩართვას განსხვავებული საზოგადოებრივი წარმოშობის ზეპირი და წერილობითი ტექსტების ანალიზის პროცესში (Bluhm et. al. 2000).

1.3.2.2. ნორმან ფეარკლო. დისკურსის კრიტიკული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ნორმან ფეარკლო, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში თავისი მიდგომა წარმოადგინა მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში. ფეარკლოს ვარაუდს იმის შესახებ, თუ რა კვალს ტოვებს საზოგადოებრივი სტრუქტურები კონკრეტულ ენობრივ მოვლენებზე, საფუძვლად დაედო ლუი ალთუსერისა და ანტონიო გრამსკის კონცეფციები. ფეარკლო იკვლევს დისკურსისა და სოციოკულტურული ცვლილებების ურთიერთკავშირს. მის მიერ შემუშავებულ დისკურსის დეფინიციასა და კონცეფციას საკმაოდ ბევრი აქვს საერთო დისკურსის ანალიზის (DA) თეორიასთან, მაგრამ მისგან განსხვავდება არამარტო სოციალურ-თეორიული და ენობრივ-თეორიული საფუძვლით, არამედ საზოგადოებისადმი

გამოკვეთილად კრიტიკული ინტენციითაც. ფეარკლო დისკურსად განიხილავს ენის გამოყენებას ზეპირი და წერიტი მეტყველებისას და განმარტავს მას, როგორც სოციალური პრაქტიკის ერთ-ერთ ფორმას. ფეარკლოს მიხედვით, ერთი მხრივ დისკურსი განსაზღვრავს რეალობას და, მეორე მხრივ, რეალობა განაპირობებს დისკურსს; დისკურსის მეშვეობით ხდება საზოგადოების ტრანსფორმაცია, ის აყალიბებს სოციალურ იდენტობასა და ურთიერთობებს, ქმნის ცოდნისა და რწმენის სისტემებს. დისკურსი „დისკურსული წესრიგის“ (Diskursordnungen) მეშვეობით „ცოცხლდება“. „დისკურსული წესრიგი“ წარმოადგენს ენობრივი გამოყენების კონვენციათა ქსელს და დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუტებთან (Fairclough 1992: 64).

1.3.2.3. თონ ვან დაიკი. თუ ფეარკლოსთან ტექსტსა და საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი რგოლი დისკურსული წესრიგია, ვან დაიკის დისკურსის ანალიზში ენობრივსა და სოციალურ პრაქტიკას შორის შუამავალ რგოლს ინდივიდუალური და სოციალური ცოდნის სტრუქტურები წარმოადგენენ. მისი აზრით, არ შეიძლება არსებობდეს უშუალო მიმართება ტიპობრივ საზოგადოებრივ მაკროსტრუქტურებსა (არსებული მმართველობის ფორმა, ინსტიტუციონალური ძალაუფლება, სოციალური უთანასწორობა) და მიკროსტრუქტურებს (ტექსტი, საჯარო გამოსვლა ან კომუნიკაციური ინტერაქცია) შორის. თუმცა ეს თეორიული დეფიციტი შეიძლება აღმოიფხვრას, თუკი სოციოკოგნიტიურ დონეზე ერთმანეთს დაუკავშირდება ენობრივი და სოციალური სტრუქტურები, ანუ დისკურსისა და არსებული მმართველობის ფორმები (Van Dijk 1993: 251).

1.3.2.4. დისკურსის კრიტიკული ანალიზის დუისბურგის სკოლა. ეს სკოლა, პირველ რიგში, დაკავშირებულია ზიგფრიდ იეგერის სახელთან. გერმანულენოვან სივრცეში ენათმეცნიერმა ზიგფრიდ იეგერმა შექმნა და განავითარა დისკურსის კრიტიკული ანალიზის დამოუკიდებელი მიდგომა, რაც, უპირველეს ყოვლისა, თეორიული საფუძვლით განსხვავდება CDA-სგან. იეგერი ძირითადად ეფუძნება ფუკოს შრომებს და ლიტერატურათმცოდნე იურგენ ლინკის მიერ შემოთავაზებულ ფუკოს რეცეფციას.

იურგენ ლინკმა ურსულა ლინკ-ჰეერთან და სხვა მკვლევრებთან ერთად განავითარა მიდგომა, რომელიც არსებულ იდეოლოგიებს აკრიტიკებს და, ამასთან, ქმნის დისკურსის თეორიულ და ანალიზურ საფუძვლებს. იურგენ ლინკი მიშელ ფუკოს კონცეფციებზე დაყრდნობით დისკურსში გულისხმობს, ინსტიტუციონალიზებულ სპეციალურ ცოდნას, რომელიც ვლინდება შესაბამის წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული სასაუბრო ფორმებისა და ქცევების სახით (Link 1995). როგორც იეგერის, ასევე ლინკისთვისაც განხილვისა და კვლევის საგანია პოლიტიკურად აქტუალური დისკურსი და მისი უპირატესობის დამაკანონებელი ფუნქცია საზოგადოებაში (Jäger 1993: 151).

იეგერის აზრით, დისკურსული სტრუქტურები გასაგები და მისაწვდომია ისეთი ტერმინების საშუალებით, როგორებიცაა, მაგ.: ინტერდისკურსი, დისკურსული ფრაგმენტი, დისკურსული მწკრივი ან რიგი, დისკურსული მოვლენა, დისკურსული კონტექსტი, დისკურსული დონეები. იგი ტექსტებს ნაკლებად აღიქვამს როგორც ინდივიდუალური ქმედების შედეგს და თვლის, რომ ისინი უფრო მეტად განზოგადებული და სოციოისტორიული დისკურსის ფრაგმენტებია, რომლებიც გარკვეულ მიმართებებს ავლენენ სოციალური პროცესების მიმართ და მათი სტაბილიზება ან შეცვლა შეუძლიათ. იეგერი დისკურსს განმარტავს, როგორც „დროში განფენილი სოციალური ცოდნის მარაგის ნაკადებს“. ეფუძნება რა ლინკის თეორიას, იგი დისკურსს „ინსტიტუციონალიზებულ და მოწესრიგებულ მეტყველების თავისებურებას უწოდებს, რადგან ის მოქმედებებთან არის დაკავშირებული და ზეგავლენის მოხდენა შეუძლია“ (Jäger 1993: 158).

1.3.3. დისკურსის ლინგვისტურ-ისტორიული ანალიზი (საკვლევ კორპუსზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზი)

ისტორიული მეცნიერებებისა და ენის ლინგვისტური კვლევის შერწყმამ შექმნა და განავითარა ცნებათა სემანტიკის ისტორიის (Begriffsgeschichte), ისტორიული

სემანტიკის და დისკურსის ისტორიის ძირითადი ცნებები და კონცეფციები, რომლებიც „ანალების“ ფრანგული სკოლისა⁶ და ლინგვისტიკის სხვადასხვა მიდგომას ეფუძნება.

საკვლევ კორპუსზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზისას საქმე ეხება მონაცემთა ვრცელ კორპუსში თავმოყრილი ცალკეული ტექსტების (მაგ. საგაზეთო სტატიები) ენათმეცნიერულ დამუშავებას, მათი ლექსიკური ან თემატური (შინაარსობრივი) კრიტერიუმების გათვალისწინებით. ასეთ კორპუსს განიხილავენ, როგორც საერთო ვირტუალური კორპუსიდან შერჩეულ ტექსტების ნაკრებს, რომელიც აერთიანებს პრინციპულად საერთო თემატიკის (დისკურსის) მქონე ყველა ტექსტს. ასეთი კორპუსი შეიძლება მოიცავდეს თანამედროვე ან ისტორიულ ტექსტებს. კორპუსის შიგნით იკვლევენ სიტყვებისა და გამონათქვამების როგორც შერწყმულ, ისე ცალკეულ ფორმებს, ასევე მათ ცვლილებას დროის კონკრეტულ მონაკვეთში სტატისტიკურ-რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. კორპუსზე დაფუძნებული და ისტორიული მიმართულების დისკურსის ანალიზის კონცეფცია 60-იანი წლების ბოლოს შეიმუშავეს საფრანგეთში მიშელ პეომომ, რეჟინ რობენმა, ჟაკ გიომომ, დენიზ მალდიდიემ და სხვებმა. მათ მიერ ჩატარებული ლინგვისტურ-ისტორიული კვლევების ინტერესის სფერო მოიცავდა ანალიზის განსხვავებულ დონეებს: ცნებების ლექსიკოლოგიურ დონეს, ცნებათა ველებს, სიტყვათა ველის სტრუქტურებს, სემანტიკური ველების აღწერასა და სხვა.

1.3.4. დისკურსის ლინგვისტური ანალიზის ახალი მიდგომები გერმანულ ენათმეცნიერებაში

გერმანულ ენათმეცნიერებაში დისკურსის ლინგვისტური ანალიზის უახლესი მიდგომები განხილულია იმ მკვლევრების თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებში, რომლებიც დისკურსის ანალიზის ცალკეულ სკოლებს წარმოადგენენ. დისკურსის ლინგვისტური ანალიზისათვის გამოყენებული მეთოდები და მიზნები ეფუძნება ფუკოს ეპისტემოლოგიური კვლევის პერსპექტივას, რომელიც თეორიულად მოიცავს და

⁶„ანალების“ ფრანგული სკოლა წარმოადგენს მე-20 საუკუნის 20-იან წლებში შექმნილ ჯგუფს, რომელიც ფრანგ ისტორიკოსთა რამოდენიმე თაობას აერთიანებდა. ამ სკოლის წარმომადგენლები სხვა პრობლემებთან ერთად იკვლევდნენ მენტალობის, მასობრივი ცნობიერების და ცნობიერების ისტორიის საკითხებს.

ემპირიულად აღწერს ცოდნის შეძლებისდაგვარად ფართო არეალს და შეიძლება ყოვლისმომცველი ეპისტემოლოგიის ნაწილად მივიჩნიოთ.

1.3.4.1. ჰაიდელბერგი/მანჰაიმის სკოლა. დისკურსის ლინგვისტური ანალიზი, რომელსაც გვთავაზობს ჰაიდელბერგი/მანჰაიმის ჯგუფი (დიტრიჰ ბუსე, ფრიც ჰერმანსი და ვოლფგანგ ტოიბერტი), უკავშირდება ცნებათა სემანტიკის ისტორიას (Begriffsgeschichte) და მის ერთგვარ ალტერნატიულ გაგრძელებას წარმოადგენს. ცნებათა სემანტიკის ისტორია იკვლევს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობას, ჰაიდელბერგი/მანჰაიმის ჯგუფის კვლევის ობიექტი კი ენობრივი ნიშნების კომუნიკაციურ მნიშვნელობათა მრავალფეროვნება და მათი სემანტიკური ანალიზია. ამ ჯგუფის წარმომადგენელები საკუთარი მოსაზრებების ფორმულირებისას ეყრდნობიან ფუკოს, თუმცა, ფუკოსგან განსხვავებით, მათი მიზანი არ არის იდეოლოგიის კრიტიკა.

ჰაიდელბერგი/მანჰაიმის სკოლის წარმომადგენლებმა განავითარეს უახლესი მიდგომები დისკურსის ლინგვისტური კვლევის ისტორიაში. დისკურსის ერთ-ერთი ლინგვისტურ-სემანტიკური მიდგომის მიხედვით, რომელიც ბუსესა და ტოიბერტის მოსაზრებას ეფუძნება, დისკურსი ტექსტის ვირტუალურ კორპუსს მოიაზრებს. კორპუსის შემადგენლობას განსაზღვრავს შინაარსობრივი ანუ სემანტიკური კრიტერიუმები. დისკურსს მიეკუთვნება ყველა ის ტექსტი, რომელთაც საერთო თემატიკა, ცოდნის საზღვრები და კონცეფცია აერთიანებს და ერთმანეთის მიმართ სემანტიკურ კავშირს ავლენს ან საერთო გამონათქვამებით, მიზნებით, კომუნიკაციური და ფუნქციური მიმართებებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული (Busse/Teubert 1994). ჰაიდელბერგი/მანჰაიმის ჯგუფის წარმომადგენლების თვალსაზრისით, დისკურსის ანალიზისათვის ასევე აუცილებელია საკვლევი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სიტყვის, წინადადებისა და ტექსტის სემანტიკაში. დიტრიჰ ბუსეს მიხედვით, ისტორიული სემანტიკის ახლებური გააზრება ყოველთვის ვერ აყალიბებს და ავითარებს ენობრივი ნიშნების მნიშვნელობისა და მათი მიკროანალიზის ახალ მეთოდოლოგიას. მისი აზრით, ნებისმიერი ენობრივი ანალიზი, რომელიც ისტორიულ-სემანტიკური კუთხით წარიმართება, გულისხმობს ენობრივი მასალის განლაგებას

სივრცეში, ასევე სიმბოლურ, სემანტიკურ და ეპისტემოლოგიურ მიმართებებს, ანუ გარკვეული სახის კონტექსტუალიზაციას, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოცემულობის შესაბამისად განიხილება. ეს მიმართებები ხშირად შეიძლება თავისთავად არ გამოვლინდეს და გარკვეული ტიპის საძიებო მიდგომის შედეგი იყოს, რომელსაც რაიმე კონკრეტული ჰიპოთეზა უდევს საფუძვლად. საქმე ეხება ინტერპრეტაციული თვალსაზრისით რეალურ ჰიპოთეზებს ენობრივი ნიშნების, ნიშანთა თანმიმდევრობისა და მათი ეპისტემურ-სემანტიკური ელემენტების კონტექსტუალიზაციის შესახებ. ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით დისკურსი აშუქებს ფართო კონტექსტუალურ კავშირურთიერთობებს და არა ცალკეულ ტექსტებს შორის კავშირს, რომლებსაც, როგორც წესი, თანამდევ ტექსტებს, ანუ კონტექსტებს უწოდებენ (Busse 2003: 5).

ამ საკითხს განმარტავს ასევე ქართველი გერმანისტი და ენის მკვლევარი, ლალი ქეცბა-ხუნდაძე, როდესაც ეპისტემური კონტექსტუალიზაციის გერმანულ თეორიას განიხილავს:

[...] ამიტომ კონტექსტუალიზაცია ნიშნავს ადგილის მიჩენას ცოდნის სივრცეში, იმისგან დამოუკიდებლად, არის ეს ცოდნა ჭეშმარიტი, კოჰერენტული, დამტკიცებული, თუ ასეთად არ გვევლინება. რეპრეზენტაციის, ანუ სამყაროს წარმოსახვისა და გაგების უმნიშვნელოვანესი საშუალებების სახეობებს სწორედ ენა იძლევა. ამდენად, ენობრივი ნიშნებისა და მათი ფუნქციების განლაგება კონტექსტში, მსგავსი ან ალტერნატიული ნიშნებით, დისკურსულ კონტექსტუალიზაციად უნდა მივიჩნიოთ (ქეცბა-ხუნდაძე 2012: 257-258).

ბუსეს კონტექსტუალიზაციის თეორიის თანახმად, თუ ჩვენ სიღრმისეული სტრუქტურების სემანტიკური ანალიზის აღიარებული მეთოდებით (მაგ. იზოტოპიების ანალიზი, არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზი, პრესუპოზიციების ანალიზი, იმპლიკატურების ანალიზი, ფიქსირებული სქემების (Topos) ანალიზი, ფაქტებზე დაფუძნებული, კულტურულად და ისტორიულად დადასტურებული ეპისტემური წინაპირობებისა და მიმართებების ანალიზი და ა.შ.) შევეცდებით დისკურსული მიმართებების ჩვენებას, ანუ სემანტიკური და ეპისტემური კონტექსტების შესახებ დასაბუთებული ან შესაძლო ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას, ეს საკმარისი იქნებოდა დისკურსული მიმართებების „არსებობის“ დასამტკიცებლად. დისკურსი და,

შესაბამისად, დისკურსული მიმართებები ვლინდება ყოველ ენობრივ წარმონაქმნში თუ ნებისმიერ ტექსტში და ჩვენი ცოდნის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია (Busse 2007: 99-102).

1.3.4.2. დიუსელდორფის სკოლა. დიუსელდორფის სკოლა დააარსა გეორგ შტეცელმა გასული საუკუნის 80-იან წლებში. მისი მოსაზრებები წარმოდგენილია მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში, რომლებშიც შტეცელი განიხილავს ენის ისტორიის საკითხებს. დისკურსის ცნება პირველად გაკვრით ნახსენებია 1995 წელს გეორგ შტეცელისა და მარტინ ვენგელერის რედაქციით გამოსულ კრებულში „Kontroverse Begriffe“ (“საპირისპირო ცნებები”). შტეცელი ენის ისტორიის ფონზე განიხილავს საზოგადოებრივი დისკურსის თემებს, როგორცაა, მაგ., კონფლიქტის დისკურსი (Stötzel 1995: 14). დიუსელდორფის სკოლის წარმომადგენლების კონცეფცია და მოსაზრებები ძირითადად ემთხვევა ჰაიდელბერგი/მანჰაიმის სკოლის წარმომადგენლების დისკურსის სემანტიკის ისტორიასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. მათ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ლინგვისტური თვალსაზრისით, დისკურსის ცნების დაზუსტებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების კვლევის საქმეში. დიუსელდორფის სკოლის წარმომადგენელმა მათიას იუნგმა კიდევ უფრო განავითარა ბუსესა და ტობერტის მიერ 1994 წელს შექმნილი დისკურსის ლინგვისტური ანალიზის პროექტი-პროგრამა. იგი გვთავაზობს, ე.წ. „კამათლის მოდელს“ (Würfelmodell), რომელიც შესაძლებელს ხდის საერთო თემატიკის მომცველი ერთიანი დისკურსი მის შემადგენელ ნაწილებად (Teildiskurse) და ტექსტის სახეობებად დაიყოს, რაც მის ანალიზს კიდევ უფრო ამარტივებს. დისკურსი იუნგის მიერ განმარტებულია, როგორც „ერთმანეთთან თემატურად დაკავშირებულ გამონათქვამთა კომპლექსების ერთობლიობა“ (Jung 1996: 463).

1.3.4.3. ოლდენბურგის სკოლა. ოლდენბურგის სკოლის მიერ დისკურსის განმარტება ასევე ეფუძნება ფუკოსეული დისკურსის ცნებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფუკოსგან განსხვავებით, ოლდენბურგის ჯგუფის ინტერესის სფეროა დისკურსის არა ეპისტემური თვალსაზრისით კვლევა, არამედ საზოგადოებრივი დისკურსის ანალიზი. მათ მიერ

განსაზღვრული დისკურსის ცნება მსგავსებას ავლენს ბუსე/ტობერტის, იეგერის, იუნგის, ასევე გერმანულენოვან ლინგვისტურ სივრცეში არსებულ დისკურსის სხვა კონცეფციებთან და შესაბამისად, შინაარსის კვლევაზე ორიენტირებულ ენათმეცნიერებას უკავშირდება.

მოკლე რეზიუმე:

- დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული კვლევები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, წარმოადგენს ერთმანეთისაგან განსხვავებულ კვლევით მიდგომებს. ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში *დისკურსის ანალიზი* - *Discourse Analysis (DA)* კრებითი ტერმინია და გამოიყენება იმ კვლევების აღსანიშნავად, რომლებიც მოიცავს განსხვავებულ დისციპლინებს და „ბუნებრივ“ საკომუნიკაციო პროცესებს განსხვავებულ კონტექსტში ანალიზებს. ზოგადად, *დისკურსის ანალიზი (DA)* შემეცნებით კვლევასთან არის დაკავშირებული.
- მისგან განსხვავებით, *დისკურსის კრიტიკული ანალიზი* - *Critical Discourse Analysis (CDA)* უფრო მეტად მოიცავს სოციალურ-თეორიულ კვლევებს და ძირითადად ეყრდნობა „კრიტიკული თეორიის“ ტრადიციებს.
- *დისკურსის ლინგვისტურ-ისტორიული ანალიზი*, რომელიც მოიცავს კორპუსის კვლევის ანალიზსაც, წარმოადგენს სემანტიკური კვლევის ნაწილს ფართო მნიშვნელობით. ის ძირითადად ლინგვისტურ-ისტორიული ხასიათის კვლევებზეა ორიენტირებული. გერმანულ ენათმეცნიერებაში დისკურსის ლინგვისტური ანალიზის უახლეს მიდგომებს წარმოადგენს ჰაიდელბერგი/მანჰაიმისა და დიუსელდორფის სკოლები, ასევე ოლდენბურგის სამუშაო ჯგუფი, რომელთაც საერთო კონცეფცია აერთიანებთ.
- რაც შეეხება გერმანულენოვანი დისკურსის კვლევის თანამედროვე მიდგომარეობას, გამოკვეთილია ორი განსხვავებული მიმართულება – „*დისკურსის კრიტიკული ანალიზი*“ და „*დისკურსის ისტორიული სემანტიკა*“. დისკურსის დონეზე ორივე დასახელებული მიმართულება ერთი და იმავე

კატეგორიებს იყენებს. მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს ფუკოს თეორიისა და მისი მრავალშრიანი დისკურსის ცნების ელემენტების გამოყენების თავისებურება. დისკურსის კრიტიკული ანალიზი ცდილობს დისკურსის თეორია და დისკურსის ემპირიული ანალიზი პრაქტიკულ, სოციალური ცვლილებების განმახორციელებელ მოქმედებებს დაუკავშიროს. რაც შეეხება დისკურსის ისტორიულ სემანტიკას, მისი მიდგომა ანალიზურ-დესკრიფციულია და მხოლოდ დისკურსულ-ეპისტემური ურთიერთობების ზედმიწევნითი და საფუძვლიანი აღწერით არის შესაძლებელი აიხსნას ის მიზეზები, რომლებიც კონკრეტული ისტორიული მოვლენების წარმოშობას განაპირობებს.

2. დისკურსი და ტექსტი

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ენის კვლევის არეალი წინადადების ფარგლებს გასცდა და საფუძველი ჩაუყარა ახალ დისციპლინას სახელწოდებით *ტექსტის ლინგვისტიკა*. ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინის დაკანონებას, საფუძველი შეუქმნა ე.წ. „გაფართოების პოსტულატმა“ (Heinemann/Viehweger 1991: 26), რამაც ასევე განაპირობა ენის მკვლევრების იმ ტრანსტექსტუალური ენობრივი სტრუქტურებით დაინტერესება, რომლებიც ისტორიული სემანტიკის კონცეფციას ემყარება და დისკურსებად მოიხსენიება.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ტექსტის ლინგვისტიკაში ფუკოსეულ კონცეფციაზე დაყრდნობით იწყება დისკურსის ცნების მეთოდური ინტეგრირება ტექსტის როგორც ინტერ- და ტრანსტექსტუალური ფენომენის თანმიმდევრული გააზრების პროცესთან ერთად. ამგვარი კვლევების მიზანია ტექსტების გადამფარავი, ყოვლისმომცველი სტრუქტურებისა და მათ შორის არსებული ქსელური კავშირების აღწერა.

ტექსტის ლინგვისტიკის საზღვრების გაფართოების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ულა ფიქსის შემდეგი მოსაზრება:

„დისკურსი განიხილება იმ ტექსტების ქსელურ გაერთიანებად, რომლებიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს და საზოგადოებაში მიმდინარე რეალური ინტერაქციის პროცესებშია ჩართული [...] ამ მხრივ, ტექსტის ლინგვისტიკა მოიაზრება, როგორც ტექსტების კვლევა დისკურსის ფარგლებში“ (Fix et al. 2002: 11).

ნაშრომის ამ ქვეთავში ჩვენ შევეცდებით იმის განხილვას, თუ როგორ მოხდა ტექსტის ცნებასთან მიმართებაში დისკურსის ცნების განვითარება და განზოგადება გერმანულ ენათმეცნიერთა ნაშრომებში. ამ მხრივ წინა პლანზე იწვევს ტექსტის სახეობების დაქსელვის ანუ *ინტერტექსტუალობის* კონცეფცია, რომელიც მიხაილ ბახტინის ე.წ. „ხმების“ დიალოგურობის თეორიაზე დაყრდნობით ლიტერატურის თეორიაში შემოიტანა ბულგარული წარმოშობის ფრანგმა ფსიქოანალიტიკოსმა, კულტურისა და ლიტერატურის მკვლევარმა იულია კრისტევაძემ.

ტერმინი *ინტერტექსტუალობა* და შესაბამისად ამ ცნების გამოყენება დაკავშირებულია ტექსტის მნიშვნელობის გაფართოებასთან. შვეიცარიელი მკვლევარი კირსტენ ადამციკი თვლის, რომ ტექსტის ცნება ფართოვდება მაშინ, როცა ის უკვე კულტურის ნიშანთა სისტემის ყველა ფორმას აერთიანებს, ადარ განიხილება მხოლოდ ენის ჭრილში და შესაბამისად, „ზოგადი ტექსტის თეორიის“ ფარგლებში თავსდება, რომლის შექმნასაც საზოგადოებაში არსებული სოციოკულტურული მრავალფეროვნება განაპირობებს (Adamzik 2004: 96). მისი აზრით ცალკეული ტექსტი წარმოიქმნება დისკურსისაგან, რომელიც კომპლექსურ მთლიანობას წარმოადგენს და საერთო თემატიკისა და ერთმანეთთან გარკვეული მიმართების მქონე გამონათქვამების უსასრულო რაოდენობას აერთიანებს. საქმე ეხება არა ერთმანეთისაგან გამიჯნულ კომპლექსებს, არამედ იმ კონტექსტს, რომელიც ქმნის კომუნიკაციურ ერთობას საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესების მიმდინარეობისას და წარმოადგენილია, როგორც გარკვეული წესრიგის მქონე სიდიდე. მის ფონზე იქმნება ცალკეული გამონათქვამები და ტექსტები, რომლებიც ერწყმიან და ეგუებიან უკვე ჩამოყალიბებულ აზრობრივ წესრიგს (Sinnesordnung). გამონათქვამები და ტექსტი არ ქმნიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ მოდელებს, რომლებიც უშუალოდ ენის სისტემას ეფუძნება და მისი წესებით მოქმედებს, არამედ ისინი ყოველთვის გაერთიანებულია უკვე ნათქვამისა თუ ენობრივად გაცხადებულის, ანუ დისკურსის სამყაროში (Adamzik 2004: 254-255).

დისკურსი ცალკეული ტექსტების კონფიგურაციას არეგულირებს. ადამციკის აზრით, სწორედ დისკურსი განსაზღვრავს, თუ რომელი პოზიცია, შეხედულება ან ფუნქციაა სასურველი და დასაშვები და რომელი უგულებელყოფილი ან უარყოფითად აღიარებული საზოგადოების მიერ. ყოველი ცალკეული ტექსტი რომელიმე დისკურსის კუთვნილებაა. ადამციკიც, ისევე როგორც დიტრიჰ ბუსე, თვლის, რომ ტექსტები დისკურსის სამყაროს „ამონაჭრებად“, საერთო დისკურსის ფრაგმენტებად აღიქმება, რომლებიც მეტ-ნაკლებად დასრულებული ენობრივი ერთეულებია. შესაბამისად, ყოველი ტექსტი დისკურსულობის ნიშნით არის აღბეჭდილი (Adamzik 2004: 253).

ინგო ვარნკე თავის ადრეულ შრომებში, სადაც ის დისკურსს ლინგვისტური თვალსაზრისით იკვლევს, განიხილავს ფუკოსეული დისკურსის ცნებას. ვარნკეს აზრით, დისკურსი სხვა არაფერია, თუ არა ტექსტების “ნაკრები“, რომელთაც საერთო სამოქმედო მიზანი აერთიანებს. ვარნკეც, ისევე როგორც ეს ფუკოს თეორიაში წარმოდგენილი, ტექსტსა და დისკურსს შორის დამოკიდებულებას აღიქვამს, როგორც დამოკიდებულებას *მოვლენასა* (ცალკეული ტექსტი) და *სერიულობას* (დისკურსი, როგორც ტექსტების ერთობლიობა) შორის (Warnke 2000, 2002). იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ ტექსტების გაგება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მათ ისტორიულად დასაბუთებული საზოგადოებრივი პრაქტიკის ფონზე განიხილავენ. ვარნკე თავის ნაშრომებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტექსტების სათანადო ინტერპრეტაციისათვის გასათვალისწინებელია ეპისტემეს, ანუ ცოდნის იმ სტრუქტურის ფენომენი, რომელიც ტექსტებს აერთიანებს, რადგან ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტის ცალკეული ნიმუშის გაგების პროცესში (Warnke 2002a: 132-136).

ვარნკეც იზიარებს შეხედულებას, რომ ცალკეული ტექსტი დისკურსში ინტერტექსტუალობის მეშვეობით ერთვება, რადგან ტექსტების სტრუქტურული და შინაარსობრივი მიმართება წინამავალ ტექსტებთან, მათ ერთი რომელიმე კონკრეტული დისკურსის კონტექსტში აქცევს. ინტერტექსტუალობა, როგორც „ტექსტების სტრუქტურული და შინაარსობრივი კავშირი, სახეზეა, როცა ცხადი ხდება მიმართება ტექსტებსა და ამ ტექსტების წინმსწრებ ტექსტუალურ სივრცეში გადატანილ თემებს შორის“ (Warnke 2000: 220). ეს თემები, მისი აზრით, ზოგადად აქტუალურობით გამოირჩევა, მთელ საზოგადოებას მოიცავს, ხანგრძლივად არსებობს და დისკურსებად მოიაზრება. ამის დასტურია ის, რომ ტექსტებში მრავალგზის ფიქსირდება სხვათა გამონათქვამები. მათი მეშვეობით ტექსტები ერთმანეთს უკავშირდება და ტექსტურ ქსელს ქმნის. სწორედ დისკურსების მეშვეობით მკვიდრდება საზოგადოებაში ცოდნა აქტუალური თემების შესახებ. ეს ცოდნა სტრუქტურირებულია და, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება ყოველდღიურობის აღქმას, შეგრძნებებს, განმარტებებს,

ინტერპრეტაციებს, რაც საზოგადოებრივი აქტორების ქმედებების საფუძველია (Warnke 2000: 221-222).

ვინაიდან დისკურსის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალობის ცნება, ვარნკე მის შესატყვისად გვთავაზობს ტერმინ *დისკურსულობას* ტექსტუალობის იმ კრიტერიუმისათვის, რომელიც დისკურსის ცნებას აფართოებს და ინტერტექსტუალურ შინაარსებს ტრანსტექსტუალური ენობრივი სტრუქტურების ერთეულებად წარმოადგენს. დისკურსულობა თავის მხრივ იქმნება და ყალიბდება ცალკეულ ტექსტებს შორის არსებული მიმართებათა ქსელით. ვარნკეს აზრით, ერთი მიმართულების მქონე თემატიკის ტექსტობრივ სივრცეში გადატანას, ანუ ტექსტუალიზაციას, რომელიც კონკრეტულ კონტექსტშია მოქცეული, შეიძლება დისკურსი ეწოდოს, ხოლო სივრცეს, რომელიც ცალკეული ტექსტის ფარგლებს სცდება და სადაც პარალელურად ხდება ასეთი გამიზნული ქმედებების თანხვედრა, ვარნკე *დისკურსულობას* უწოდებს. ამ ცნების ქვეშ ის გულისხმობს ცალკეული, ტექსტობრივ სივრცეში გადატანილი თემების (ტექსტუალიზაციების) კომუნიკაციურ ერთობლიობას, რომელიც გარკვეული ხასიათის ცნებათა ჯგუფებს აერთიანებს, ერთგვარ ანონიმურ ხასიათს ატარებს და ფუნქციურ ენობრივ თავისებურებებს განაპირობებს (Warnke 2002b: 2).

დისკურსულობის ცნებას იყენებს ჰაიკო გირნთიც, რომელიც იკვლევს ენის გამოყენებას პოლიტიკაში. იგი ამ ტერმინით აღნიშნავს „კონკრეტულ დისკურსში შემავალი ტექსტების ურთიერთდამოკიდებულებათა ნაზავს, რომელიც სტრუქტურირებული სახით არსებობს“ (Girnth 1996: 68).

ვარნკეს განმარტება, რომ დისკურსულობას წარმოქმნის ცალკეული ტექსტების კომუნიკაციური ერთობლიობა დისკურსულ დონეზე, მიანიშნებს მისი მოსაზრების კავშირზე მიხაილ ბახტინის დიალოგურობის პრინციპთან. ტექსტებს შორის ჰომო- და პოლიფონიური დიალოგის ბახტინისეულ იდეას, ანუ მოსაზრებას ტექსტების დიალოგურობის შესახებ, რომელიც პოსტსტრუქტურალისტური მეცნიერებების საბაზისო ინვენტარია, შეესაბამება ვარნკეს დისკურსულობის ცნება. ტექსტის

დისკურსულობა ცალკეულ ტექსტებს და მათ ნაწილებს შორის ინტერტექსტუალური კავშირების მეშვეობით ხორციელდება და მათ ერთი კონკრეტული დისკურსის ირგვლივ დისკურსულობის ნიშნით აერთიანებს.

ზიგფრიდ იეგერისა და იურგენ ლინკის თანახმად ცალკეული ინდივიდები კომუნიკაციისათვის საჭირო თემებით სწორედ დისკურსებიდან საზრდოობენ და ენისა თუ სხვა მედიუმების მეშვეობით იზიარებენ იმ ცოდნას, რეალობის აღქმისა და ინტერპრეტაციის იმ თავისებურებებს, ნორმებს, მოლოდინსა და ქცევის მოდელებს, რომლებსაც მათი კულტურული გარემო ქმნის. ამდენად, მათში გარკვეულწილად აისახება საზოგადოებრივი ფორმირების პროცესები. ისინი დისკურსის გაანალიზებისას იმ ტექსტებს ეყრდნობიან, რომლებიც მეტწილად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და კერძო საუბრებში გამოიყენება, და სადაც ერთმანეთს კვეთს ცოდნის სხვადასხვა სფერო (Link 2006, Jäger 2006).

ზიგფრიდ იეგერი თვლის, რომ კონკრეტულ დისკურსში შემავალი ტექსტების გაანალიზება ძირითადად მათი კონტექსტის ფარგლებში ხდება. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ტექსტის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები კომპლექსურად უნდა გაანალიზდეს, რადგან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შედარებით მცირე რაოდენობის ტექსტების ანალიზის პროცესშიც ხშირად მეორდება გარკვეული კანონზომიერებები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდონ დისკურსის შემადგენელი ელემენტების შესახებ. დიდი რაოდენობის მონაცემთა ზედაპირულ ანალიზთან შედარებით, მცირე რაოდენობის კომპლექსური ტექსტების ზედმიწევნითი ანალიზისას, შესაძლებელია ზოგადი დასკვნები გაკეთდეს არა რაოდენობრივი ანალიზის გზით, არამედ ტექსტური ნიმუშების აღდგენა-რეკონსტრუქციით და ტიპობრივი მოდელების შექმნით (Jäger 2006).

პეტერ აუერის აზრით, დისკურსი საზოგადოებრივი პრაქტიკის სრულიად დამოუკიდებელი საფეხურია, ერთგვარი რეალობის შემცვლელი მოდელია, რომელიც ორგანიზებას უწევს გარკვეული დროის მონაკვეთში საზოგადოებაში არსებულ კოლექტიურ ცოდნას გარემომცველი რეალობის კონკრეტული პერიოდის შესახებ.

დისკურსი უამრავი ტექსტისა და გამონათქვამისაგან შექმნილი აბსტრაქტულ მიმართებათა სისტემაა, რომელშიც ისინი ერთმანეთის მიმართ პრაგმატულ და სემანტიკურ მიმართებებს ავლენენ და ხშირად ერთმანეთთან ინსტიტუციური თვალსაზრისითაც არიან დაკავშირებული. ეს სისტემა მოიცავს ასევე ტექსტებში ასახული და ტექსტების მეშვეობით რეალიზებული საზოგადოებრივი ცოდნის მარაგს. დისკურსული ერთეული, რომელიც კომუნიკაციურ დონეზე არსებობს და ცალკეული ტექსტის ფარგლებს სცდება, ყალიბდება და იქმნება ცალკეულ გამონათქვამებს შორის არსებულ იმ მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც რომელიმე კონკრეტული დისკურსის წესებს ემორჩილებიან (Auer 1999: 233-235).

მარგოტ და ვოლფგანგ ჰაინემანები მიიჩნევენ, რომ ერთი დისკურსი აერთიანებს ტექსტების ერთგვარ წყებას, რომელიც მუდმივად არის დაკავშირებული მნიშვნელოვან მოვლენებთან და წინამავალ ტექსტებთან. მათი აზრით, დისკურსში შემავალი ცალკეული ტექსტები კოჰერენტულია, რასაც ტექსტის წრფივი რანგირებისა და დაქსელვის პრინციპი განაპირობებს. ჰაინემანების მიხედვით დისკურსი წარმოადგენს ღია ტექსტების ნაკრებს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ სემანტიკურ, თემატურ და პრაგმატულ კავშირებს ავლენენ. ავტორები ასახელებენ ორ ძირითად კრიტერიუმს - თემატურ მიმართებას და პრაგმატულ თავსებადობას ანუ შესაბამისობას, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ტექსტის მიღმა არსებული ყოვლისმომცველი დისკურსის კუთვნილების ან დანიშნულების განსაზღვრა. დროის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ტექსტები შეიძლება ერთ დისკურსულ ერთეულად გაერთიანდეს, თუ მათ საერთო თემატიკა უდევთ საფუძველად. დისკურსული სტრუქტურის პრაგმატულობის განსაზღვრა მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკურსის თემატურ საფუძველთან. ამ შემთხვევაში ლინგვისტური ანალიზის საგანია ტექსტები, რომლებიც დისკურსის თემატურ საფუძველს ქმნიან, ისევე როგორც ის ტექსტები, რომელთა შექმნაც უკვე არსებულმა დისკურსმა განაპირობა (Heinemann/Heinemann 2002: 114-120).

დისკურსის ცნების ტექსტის ლინგვისტიკაში ჩართვის მცდელობა წარმოდგენილია ასევე ზიგურდ ვიჰტერის შრომებშიც. ვიჰტერი იკვლევს საკითხებს, როგორებიცაა, ცოდნის ტრანსფერი, სოციალური კომუნიკაცია და კომუნიკაცია დისკურსის დონეზე. ვიჰტერის აზრით, არსებობს ტექსტები, რომლებიც დისკურსს ქმნის და მის არსებობას უცილობლად განაპირობებს (პირველადი დონე), და არის ისეთებიც, რომლებიც უკვე არსებული დისკურსის გარშემო ერთიანდებიან (მეორადი დონე) (Wichter 1999: 265-270).

დისკურსის განზოგადების საკითხს ტექსტთან მიმართებით განიხილავს ოლივერ სტენშეკე. მისი აზრით, დისკურსს სხვა ენობრივი ერთეულებისაგან განსხვავებით, მკაფიო საზღვრები არ გააჩნია. მას აქვს დასაწყისი, მაგრამ არა აქვს დასასრული. დისკურსის გაანალიზების და ანალიზის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ერთი შეხედვით დასრულებული დისკურსი თემატურად მასთან დაკავშირებულ სხვა ტექსტებში გრძელდება. სტენშეკე თვლის, რომ ფორმალური განსხვავება ტექსტსა და დისკურსს შორის ისეთ პარამეტრებს ეყრდნობა, როგორებიცაა, *ადგილი*, *დრო* და *ინტენცია* (ქმედების განზრახვა). კონკრეტულ ადგილზე (სიტუაციაში) და კონკრეტულ დროს შექმნილ ტექსტებს ქმედების განზრახვა აერთიანებს. ტექსტებისაგან განსხვავებით, დისკურსი ყოვლისმომცველი ერთეულია, ერთგვარი ზეერთეულია, რომელშიც ერთმანეთს არ ემთხვევა არც ადგილი და დრო და არც ქმედების განზრახვა. ტექსტი და დისკურსი სხვადასხვა დონეებზე არსებობს. სტენშეკე ცნებებს *დისკურსი* და *ტექსტი* ოპოზიციურ წყვილებად განიხილავს: ერთი მხრივ დისკურსები, რომლებიც *უსასრულო, ერთმანეთისგან განზიდულ და მნიშვნელობით ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიდიდეებს* წარმოადგენენ და მეორე მხრივ ტექსტები, რომლებიც *დახურული, მნიშვნელობით ერთმანეთთან გადაჯაჭვული ენობრივი ერთეულებია* (Stenschke 2002: 114).

ტექსტსა და დისკურსს შორის ურთიერთმიმართების საკითხს იკვლევს ასევე შტეფან ჰაბშიდი. მისი აზრით, დისკურსის, როგორც ტექსტის კორპუსის, განსაზღვრა შესაძლებელია როგორც თავად ტექსტის, ასევე სოციალური, თემატური,

ქრონოლოგიური, სივრცობრივი, პრაგმატული, ტექსტის ტიპოლოგიისა და ა.შ., ფაქტორების გათვალისწინებით. ტექსტის დონეზე იკვლევენ, თუ როგორ არის წარმოდგენილი თემატიზებული ფაქტები ენობრივ-მედიალურ ჭრილში, სადა ავლენს ავტორი საკუთარ პოზიციას, მისი ქმედებიდან და მეტყველების მანერიდან გამომდინარე, როგორ ამყარებს ურთიერთობას მკითხველთან და რა ფუნქცია აქვს მის ტექსტს (მაგ. მოწოდება, მოტივირება და სხვ.). დისკურსი კი სოციალური პრაქტიკის უკვე დადგენილი წესებით არეგულირებს, თუ რისი თქმა შეიძლება კონკრეტულ ვითარებაში და რის არა. ანალიზის საგანია ასევე სხვადასხვა სტილი, რის მიხედვითაც განისაზღვრება საზოგადოებაში საკუთარი აზრის გამოხატვის ადგილი, ისევე როგორც ჟანრები (ტექსტის სახეობები), რომლებიც კომპლექსურ სანიმუშო მოდელებს წარმოადგენს საკომუნიკაციო განზრახვებისა და დავალებების შესასრულებლად (Habscheid 2009: 80).

დიტრიკ ბუსეს აზრით, დისკურსი, ერთი მხრივ, იმით გამოირჩევა, რომ კონკრეტული შინაარსობრივი ელემენტები სისტემატურად ჩნდება მასთან დაკავშირებულ ტექსტებში. მეორე მხრივ, კანონზომიერებად ჩამოყალიბებული შინაარსობრივი ელემენტები ტექსტებში ილექება და ქმნის ცალკეული დისკურსის კორპუსს. ტექსტების შექმნისას ავტორი იყენებს ე.წ. ჩანაცვლებით, ანუ მოძრავ შინაარსობრივ ელემენტებს, რომლებიც მის ეპისტემურ-კოგნიტიურ საბაზისო აღჭურვილობას წარმოადგენს და ამოკრეფილია ადრე შეთვისებული ტექსტებიდან ახალი ტექსტების შექმნის მიზნით. ბუსე მათ აღსანიშნად იყენებს *დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურების* ცნებას. დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები მოქმედებს ტექსტის „სიღრმისეული სემანტიკის დონეზე“. დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები აწესრიგებენ ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს, მართავენ მათ გამოჩენას დისკურსის კონკრეტულ წერტილებში, განსაზღვრავენ მის შინაგან სტრუქტურას, რომელიც ტექსტების თემატური სტრუქტურის იდენტური არ არის. ისინი ქმნიან ქსელს, რომელიც ზედდისკურსულია. დისკურსული საბაზისო ფიგურები არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე კონკრეტული დისკურსით, არამედ ისინი შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა დისკურსში გამოვლინდეს. ამგვარად, ეს ფიგურები ხელს უწყობს

ინტერდისკურსული კავშირების განვითარებასა და დამკვიდრებას. დისკურსული საბაზისო ფიგურების ანალიზი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მიმდინარე და აქტუალური დისკურსის კვლევით, რადგან ზოგიერთ დისკურსულ ნაკადს და საბაზისო ფიგურას ისეთი ისტორიულ-ეპისტემოლოგიური სიღრმისეული განზომილება აქვს, რომლის არსებობაც, ერთი შეხედვით, ტექსტის ზედაპირული სემანტიკიდან გამომდინარე, საერთოდაც ძნელად სავარაუდო შეიძლება იყოს (Busse 2000: 50-51).

ჩვენ მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე მარტინ ვენგელერის მოსაზრება. იგი თვლის, რომ დისკურსში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება ასევე რიტორიკულ და სტილისტიკურ ფენომენებს, რომლებიც მნიშვნელოვნად სცილდებიან ტექსტის ფარგლებს, ანუ ზეტექსტურია და შესაბამისად მათი გათვალისწინება აუცილებელია დისკურსის ლინგვისტური ანალიზისას. თუ რიტორიკასა და სტილისტიკაში მნიშვნელოვანია ტექსტისათვის „სწორი“ სიტყვის მოძებნა, რომელიც შემდგომ შეიძლება გაანალიზდეს, დისკურსში სიტყვები განიხილება, როგორც სტილისტიკური ფენომენი, უპირველეს ყოვლისა, მათ მიერ თვით რეალობის შემქმნელი პოტენციის გამო. დისკურსის ლინგვისტური ანალიზისას ცალკეული სიტყვები, როგორც დისკურსის ინდიკატორები, საზოგადოებრივი ცოდნის შედარებით სტაბილურობას უზრუნველყოფენ და „რეალობების“ განსხვავებულად გააზრებასა და გადმოცემას განაპირობებენ, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ სიტყვას მივიჩნევთ ამოსავალ სიტყვად ანუ თუ იმ დისკურსისათვის (Wengeler 2009).

ტექსტის ლინგვისტიკა, ისევე როგორც დისკურსის ლინგვისტიკა, სუბდისციპლინებია, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუძლია მეორის სრულად ჩანაცვლება, რაც კვლევის განსხვავებული ინტერესებით არის გამოწვეული: ტექსტის ლინგვისტიკაში უპირატესობა ენიჭება ინტერტექსტუალური კავშირებისა და ზეტექსტური სტრუქტურების ანალიზს, რაც კულტურის კვლევის შედეგებით აიხსნება (იგულისხმება ტექსტის სახეობათა ანალიზი კულტურის კვლევების მეთოდოლოგიის ჭრილში). ინტერტექსტუალურ მიმართებებს შეისწავლის

დისკურსის ლინგვისტიკაც, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე ეხება ცოდნისა და ძალაუფლების სტრუქტურების ანალიზს (Warnke/Spitzmüller 2008: 17-18).

მოკლე რეზიუმე:

საბოლოოდ, თუ შევაჯამებთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს, შეიძლება ითქვას, რომ:

- დისკურსის როგორც ენათმეცნიერების შემადგენელი ნაწილის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია ტექსტსა და დისკურსს შორის ურთიერთმიმართების დადგენა;
- დისკურსის ლინგვისტიკა ენის სისტემის ანალიზისას წინადადებისა და ტექსტის ფარგლებს სცდება. სწორედ ამიტომაც საუბრობენ ენის ტრანსტექსტუალურ ანალიზზე;
- დისკურსის ლინგვისტური ანალიზი ორ პერსპექტივას აერთიანებს: ა) დისკურსის დეტალების ზედმიწევნით ანალიზსა და ბ) დისკურსის მთელი სისრულით გაგებას და გააზრებას მისი კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით;
- დისკურსის ლინგვისტური ანალიზი ინტერდისციპლინური ხასიათისაა და რამდენიმე დისციპლინას ერთად მოიცავს, ესენია ტექსტის ლინგვისტიკა, სტილისტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და სხვა ლინგვისტური ქვედისციპლინები.

3. ემპირიული ანალიზი

3.1. დისკურსის ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგია და საკვლევო კორპუსის შერჩევა

დისკურსის ლინგვისტური კვლევები, რომელთა მიზანია ტრანსტექსტუალური ენობრივი სტრუქტურების ანალიზი, როგორც წესი კვლევის განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ. ამ სფეროში იშვიათია საყოველთაოდ მიღებული და ფართოდ გამოყენებული მეთოდი. ნაშრომთა უმრავლესობაში, რომელთა ავტორებიც დისკურსს ძირითადად ლინგვისტური კუთხით იკვლევენ, წარმოდგენილია დისკურსზე მუშაობის საკუთარი გზები და მეთოდები. დისკურსის ლინგვისტური კვლევის განსხვავებული კონცეფციების გამო, არსებობს განსხვავებული მიდგომები დისკურსის, როგორც კვლევის ობიექტის მიმართ. დისკურსის ლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ვარნკესა და შპიცმიულერის მიერ შემოთავაზებული მრავალდონიანი მეთოდოლოგიური მოდელი DIMEAN – Diskuslinguistische Mehr-Ebenen-Analyse (Spitzmüller/Warnke 2011). DIMEAN-ი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ინტეგრაციული მოდელია. ამ მოდელის მეშვეობით შესაძლებელია დისკურსში ორიენტირება და დისკურსის სხვადასხვა დონის კვლევა. მისი სტრუქტურა ეფუძნება ტრიანგულაციის პრინციპს, რომელიც წარმოადგენს ლინგვისტური ქვედისციპლინების (ტექსტის ლინგვისტიკა, სტილისტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა და სხვ.) სხვადასხვა მეთოდის, მონაცემის, თეორიისა და ანალიზის ერთობლიობას. ცალკეულ დონეზე დისკურსული ანალიზის პროცესში გამოიყენება ის მიდგომები, რომლებიც კვლევისათვის რელევანტურია. კვლევის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული ტექსტების ანალიზი, რომელსაც საბოლოოდ საკვლევო დისკურსის მიზანმიმართულ ანალიზამდე მივყავართ. შემოთავაზებულ მოდელში ანალიზი *სამი* ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: *ინტრატექსტუალურ, აქტორებისა და ტრანსტექსტუალურ დონეებზე*.

ინტრატექსტუალურ დონეზე ხორციელდება ცალკეული ტექსტების მიკროანალიზი, რომელიც ტექსტს განიხილავს, როგორც სინტაქსური და სემანტიკური

ურთიერთმიმართებების მქონე გამონათქვამების ერთობლიობას, სადაც გამონათქვამები ერთი თემის ირგვლივ არის თავმოყრილი და ერთი ფორმალური და სიტუაციური ჩარჩო აერთიანებთ. ეს დონე მოიცავს ცალკეულ ტექსტებში დისკურსულ-ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვან შემდეგ ქვედონეებს: *სიტყვების ანალიზი* (პირველი ქვედონე), *პროპოზიციების ანალიზი* (მეორე ქვედონე), *ტექსტის სტრუქტურული თავისებურებების ანალიზი* (მესამე ქვედონე);

სოციალური აქტორების დონეზე ანალიზის საგანია საზოგადოებრივი დისკურსის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესები. ის აერთიანებს ანალიზის ინტრა- და ტრანსტექსტუალურ დონეებს და დაკავშირებულია სოციალურ პროცესებთან, დინამიკასა და დისკურსულ პრაქტიკასთან. აქტორებს ფილტრაციის ფუნქცია აკისრიათ: მათი მეშვეობით იფილტრება, თუ რომელი გამონათქვამი და ტექსტი უნდა განიხილებოდეს საზოგადოებრივი დისკურსის ნაწილად. აქტორების დონის ანალიზი სამი სხვადასხვა ასპექტით მიმდინარეობს, ესენია: *აქტორების როლი ინტერაქციაში, მათი დისკურსული პოზიციები და დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების მედიალოგობა.*

ტრანსტექსტუალური ანალიზის დონე შეისწავლის ენის კომპლექსურ სტრუქტურას და მის ფუნქციებს ტექსტის საზღვრებს მიღმა. ტრანსტექსტუალური ანალიზი იკვლევს სხვადასხვა გამონათქვამში ან შესაბამისად, განსხვავებული კონტექსტის მქონე ტექსტებში სტრუქტურულ თანხვედრასა და მიმართებებს. მახასიათებლები, რომლებითაც ეს თანხვედრა შეიცნობა, დადასტურებული უნდა იყოს დისკურსის ლინგვისტურ ანალიზში. ამისათვის გამოიყენებენ სხვადასხვა საანალიზო კატეგორიას, რომელიც აქტორების მეშვეობით შეისწავლის მიმართებებს ცალკეულ ტექსტებსა და მათ კონტექსტუალიზაციებს შორის. ესენია: *ინტერტექსტუალობა, ჩარჩოს/ფრეიმის კონცეფცია, ტოპოსის ანალიზი, დისკურსულ-სემანტიკური ფიგურები, სოციალური სიმბოლიკა, ისტორიულობა, იდეოლოგია, მენტალიტეტი და მმართველობითი მენტალიტეტი.* ყველა ამ მახასიათებელს დისკურსის ლინგვისტიკის

ტრანსტექსტუალური დონისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს (Spitzmüller/Warnke 2011: 197-201).

დისკურსის ლინგვისტური კვლევის საკუთარ მეთოდოლოგიურ მიდგომებს გვთავაზობენ ასევე ანდრეას გარდტი (Gardt 2007), კონსტანც შპისი (Spieß 2013) და სილვია ბენდელ ლარჩერი (Bendel Larcher 2015). ანდრეას გარდტი დისკურსის ლინგვისტური ანალიზის კომპონენტებს წარმოგვიდგენს სიტყვის, წინადადების და ტექსტის სემანტიკასთან კავშირში და გვთავაზობს მეთოდოლოგიურ ანალიზს ენობრივი სტრუქტურებისა და ტრანსფრაზულ დონეზე. მოცემულ მოდელში განიხილება ასევე თემატური ველები, სუბთემები და დისკურსული სტრატეგიები, რომლებიც სცილდება ცალკეული ტექსტის საზღვრებს (Gardt 2007: 30-32).

დისკურსის ლინგვისტური ანალიზის განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მოდელს წარმოგვიდგენს კონსტანც შპისი. მასთან დისკურსის საკვლევ დონეები ინტეგრირებულია პრაგმატული საფუძვლის მქონე საანალიზო მოდელში, სადაც ის განასხვავებს ტექსტის აღწერის ოთხ განზომილებას: სიტუაციურ-კონტექსტუალური, თემატური, ფუნქციონალური და სტრუქტურული (Spieß 2013: 326).

სილვია ბენდელ ლარჩერის მეთოდოლოგიური მოდელი ეფუძნება დისკურსის კრიტიკული ანალიზის ფეარკლოსა და ვოდაკის თეორიებს და ორიენტირებულია ცალკეული ტექსტების ანალიზზე შემდეგი დისკურსული პოზიციებიდან: ა)ხედვის კუთხე, ანუ რომელი პერსპექტივიდან არის დაწერილი ტექსტი; ბ)ნომინაცია და პრედიკაცია, ანუ როგორ არიან წარმოდგენილი სოციალური აქტორები ტექსტებში; გ)თემების სტრუქტურული ანალიზი; დ)მოდალობა, ანუ როგორ ჩარჩოებში ექცევა გამონათქვამები; ე) ევალუაცია; ვ) არგუმენტაცია (Bendel Larcher 2015: 100-101).

მარიონ დენჰოფის პუბლიცისტურ ტექსტებში, რომლებიც ჩვენი ემპირიული კვლევის ობიექტია, პოლიტიკის თემა მთავარ დისკურსულ ხაზს ქმნის. მისი პოლიტიკური დისკურსის ანალიზი არ ეფუძნება რომელიმე ერთ სპეციფიკურ მეთოდს. ცნება „დისკურსის ანალიზი“ ჩვენს შემთხვევაში გააზრებულია როგორც კვლევის

პერსპექტივა, რომელიც პირველ რიგში იმ თემებს მოიცავს, რომლებიც მოცემულ დისკურსს ემნიან, ამიტომ ამ თემების საანალიზოდ ჩვენი კვლევის ინტერესების გათვალისწინებით შევარჩიეთ ე.წ. მეთოდების ნაკრები, რომელიც ერთი მხრივ გაერთიანებულია შპიცმიულერი/ვარნკეს მიერ შემოთავაზებულ მრავალდონიან მეთოდოლოგიურ მოდელში DIMEAN და მეორე მხრივ წარმოადგენს ე.წ. „ერთი ტექსტის დისკურსული ანალიზის“ (Ein-Text-Diskurs-Analyse) მეთოდურ მიდგომას, რომელიც შემუშავებულია უტც მასის (Maas 1984), ზიგფრიდ იეგერის (Jäger 1993, 2001), ულა ფიქსის (Fix 2015), და სხვა მკვლევართა მიერ. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს ცალკეული ტექსტებისათვის ე.წ. „ეგზემპლარული“ და საკვანძო ტექსტების სტატუსის მინიჭებას და მათ რეპრეზენტატიულ ტექსტებად დეკლარირებას. ულა ფიქსის აზრით, ასეთი ტექსტები ექვემდებარებიან დისკურსულ ანალიზს, რადგან ისინი ინფორმაციას გვაწვდიან იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ცალკეული ინდივიდების ან ინდივიდთა ჯგუფების მიერ ჩვენი გარემომცველი რეალობის ფორმირება და ინტერპრეტირება (Ulla Fix 2015: 317-320). ულა ფიქსის ეს მიდგომა წარმოადგენს ასევე ჩვენს მიერ საკვლევი კორპუსის შერჩევის საფუძველს. ტექსტების შერჩევისას ჩვენ შემოვიფარგლეთ იმ გამონათქვამებით, რომლებიც მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ დისკურსში ერთ კონკრეტულ სუბდისკურსს (კონრად ადენაუერი და არჩვენების თემა) ეხება და მინიმალური კონტრასტირების პრინციპით შევარჩიეთ ცხრა საგაზეთო კომენტარი, რომლებიც პოლიტიკური კომენტარების ციკლს ემნიან. ისინი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია გაზეთში DIE ZEIT და ასევე შესულია მარიონ დენჰოფის 1963 წელს გამოქვეყნებულ პოლიტიკური კომენტარების კრებულში „Die Bundesrepublik in der Ära Adenauer. Kritik und Perspektiven“ („გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ადენაუერის დროს. კრიტიკა და პერსპექტივები“) და 2002 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „Was mir wichtig war. Letzte Aufzeichnungen und Gespräche“ („რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. ბოლო ჩანაწერები და საუბრები“).

3.2. პოლიტიკური დისკურსი როგორც დომინანტური დისკურსული მწკრივი მარიონ დენჰოფის პუბლიცისტურ ტექსტებში

3.2.1. „პოლიტიკის ენა“ როგორც დისკურსული ფორმაცია

პოლიტიკასა და ენას შორის არსებობს ურღვევი კავშირი, რადგან პოლიტიკური შინაარსები ენობრივი სტრუქტურების მეშვეობით გადმოიცემა. ეს თეზა პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ ამოსავალ დებულებად ითვლება და იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ მხოლოდ ენის ფარგლებშია შესაძლებელი კონსენსუსის მიღწევა ან კომპრომისზე მოლაპარაკება (Bergsdorf 1991: 9).

საზოგადოებრივი ინსტიტუციები, რომლებიც ერთი სოციუმის ფარგლებში სტაბილურობასა და კავშირს არეგულირებენ, განაპირობებენ პოლიტიკური კომუნიკაციის არსებობას. ისტორიული პერსპექტივიდან გამომდინარე პოლიტიკური ენა გულისხმობს უშუალო კომუნიკაციას პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ ფართო გაგებით მას ასევე განიხილავენ როგორც საჯარო კომუნიკაციას, რომელიც მოიაზრებს საჯარო თუ პირადი ხასიათის საუბრების ან განხილვების ფორმებს პოლიტიკურ თემებთან და ფაქტებთან დაკავშირებით. არმინ ბურკჰარდი, რომლის სახელსაც უკავშირდება ცნება „პოლიტოლინგვისტიკა“, პოლიტიკურ ენას განიხილავს როგორც ერთგვარ ზე-ცნებას, რომელიც აერთიანებს „საჯარო, ინსტიტუციონალური და კერძო საუბრების ყველა სახეობას პოლიტიკის თემაზე, პოლიტიკური შინაარსის ტექსტების ყველა სახეობას და ასევე ლექსიკურ-სტილისტიკური ენობრივი საშუალებების გამოყენების ყველა იმ ხერხს, რაც ტიპობრივია პოლიტიკურ კონტექსტებზე საუბრისას“ (Burkhardt 1996: 79).

„პოლიტიკის ენა“ ლინგვისტური კვლევის მნიშვნელოვანი ობიექტია. ბურკჰარდი გამოყოფს მის შემდეგ მახასიათებლებს: “მეტაფორების სიმრავლე, რიტორიკული ფიგურების ხშირი გამოყენება, მეტყველების პათეტიკური მანერა, დისკურსულობა [...],

აგრეთვე საკვანძო მნიშვნელობის სიტყვების მრავალფეროვანი გამოყენება“ (Burkhardt 2000: 81).

დიტრიჰ ბუსეს აზრით, პოლიტიკური შინაარსით დატვირთული ენობრივი გამოხატულების ფორმები დიდ გავლენას ახდენენ ე.წ. „საყოველთაო გამოყენების ენაზე“. ისინი საზოგადოებრიობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რითაც აიხსნება მათი ხშირი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამის გამო საკმაოდ ძნელია მათი გარჩევა ზოგადსოციალური და იდეოლოგიაზე დაფუძნებული სემანტიკისაგან (Busse 2001: 39-40).

„პოლიტიკის ენა“ შეიცავს შინაარსებს, რომლებიც წამყვანია ენის ზოგადი გამოყენების თვალსაზრისით. მისთვის სპეციფიკურია ისეთი ენობრივი ასპექტები, როგორცაა რიტორიკული სტრატეგიები და არგუმენტაციული სტრუქტურები, რომლებიც ყველგან პოულობენ ანალოგს, სადაც ენა - პოლიტიკის მიღმაც კი - არგუმენტაციული მიზნებით გამოიყენება. ეს პირველ რიგში ეხება სამართლებრივი ტიპის ტექსტის სახეობებს, თუმცა ასევე აქტუალურია საჯარო გამოსვლებისათვის და პროგრამული, სარეკლამო ან პუბლიცისტური ტექსტებისათვის. ენის პოლიტიკური ნიშნით გამოყენების მახასიათებლები, რომელთაც ბურკჰარდი პოლიტიკის ენისათვის ტიპობრივად მიიჩნევს, სახეზეა როგორც პოლიტიკური შინაარსის მქონე პუბლიცისტურ ტექსტებში, ასევე ყველა იმ ტექსტში, სადაც ავტორი ენას არგუმენტაციული მიზნით იყენებს. ენის პოლიტიკური მიზნით გამოყენების კონკრეტული სემანტიკური და ტექსტის ფუნქციის განმსაზღვრელი ნიშნები შეიძლება განვიხილოთ როგორც განსაკუთრებული შემთხვევები, სადაც ენობრივი პროდუქცია სტრატეგიული მიზნებისათვის (დარწმუნება, დაყოლიება) გამოიყენება.

დისკურსის კვლევის თეორიული პერსპექტივიდან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია „პოლიტიკის ენა“ განვიხილოთ როგორც დისკურსული ფორმირება/ფორმაცია და განვსაზღვროთ ის როგორც „პოლიტიკური დისკურსი“, რადგან პოლიტიკური თემები საზოგადოების ფორმირების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. პოლიტიკური დისკურსი თავისი მრავალფეროვნების წყალობით

კვლევის ფართო სფეროს წარმოადგენს, რომლის გაანალიზებაც სხვადასხვა თვალთახედვიდან არის შესაძლებელი. თუ დისკურსები აღქმულია როგორც სოციალური თანამშრომლობის ან კონფლიქტის შედეგი, მაშინ ისინი აუცილებლად უკავშირდებიან პოლიტიკის სფეროს. ამიტომაც დისკურსის კვლევის ისტორიაში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, პოლიტიკურად მოტივირებული თემების განხილვა და შესწავლა (Busse 2001: 41-42).

არგენტინელი პოლიტიკის თეორეტიკოსის ერნესტო ლაკლოსა და ბელგიელი პოლიტოლოგის შანტალ მუფის აზრით, რომელთაც ერთად შეიმუშავეს ჰეგემონიისა და დისკურსის თეორია, დისკურსებს საზოგადოებაში ცენტრალური ფუნქციის შესრულება აკისრიათ. დისკურსები ქმნიან საზოგადოებრივ წესრიგებს და უზრუნველყოფენ მათ არსებობას. დისკურსები ერთი და იმავე დროს წარმოადგენენ ძალაუფლებით გაჯერებული პოლიტიკური დაპირისპირებების საგანსაც და იარაღსაც. ამ თვალსაზრისით ისინი აღიქმებიან პოლიტიკური ნორმის⁷ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად, რომელიც შეიძლება გაგებული იქნეს როგორც სოციალური ინსტიტუტი, სადაც ხდება სოციალური ურთიერთობების წარმოება, რეპროდუქცია და ტრანსფორმირება (Laclau/Mouffe 2000).

ამრიგად, დისკურსის პოლიტიკური ანალიზი სწორედაც პოლიტიკური ნორმის ცნებას ეფუძნება, რომელიც რეგულარულ, უწყვეტ ხასიათს ატარებს და რომელიც დროდადრო კონკრეტულ დისკურსებში იჩენს თავს.

დისკურსის პოლიტიკური ანალიზი მჭიდრო კავშირშია იდეოლოგიის ანალიზთან. დისკურსის მკვლევრისა და სოციოლოგის, პაოლო დონატის მიხედვით ბოლოდროინდელ კვლევებში პოლიტიკური დისკურსი მოიაზრება იმ ადგილად, „სადაც იქმნებიან ის სააზროვნო ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია რეალობის გააზრებული აღქმა. პოლიტიკური დისკურსი სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური იდეოლოგია“ (Donati 2001: 147-148). ასევე ზიგფრიდ იეგერიც თვლის,

⁷ ცნება პოლიტიკური ფილოსოფიიდან; პოლიტიკური აზროვნების ნორმა, რომელიც აერთიანებს პოლიტიკის თემასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

რომ “სწორედ დისკურსების მეშვეობით ხდება იდეოლოგიების რეალიზაცია“ (Jäger 1994:13).

თუ დავვერდნობით დისკურსის შემსწავლელ მეცნიერებებში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რის მიხედვითაც სხვადასხვა ტიპის დისკურსები გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილებიან, მაშინ აქტუალური ხდება ასევე პოლიტიკური ნიშნით აღბეჭდილი დისკურსების კანონზომიერების შესწავლის საკითხიც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩვენს მიერ საანალიზოდ არჩეული მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარების ციკლი, სადაც ავტორი კონრად ადენაუერის მმართველობის ბოლო წლების პოლიტიკას განიხილავს. ეს ტექსტები, როგორც ერთგვარი პოლიტიკური ნორმა, იმ კანონზომიერებას ანდა ლოგიკას ექვემდებარება, რის მიხედვითაც შესაძლებელია მათი პოლიტიკურ დისკურსად კვალიფიცირება, რაც საშუალებას იძლევა პოლიტიკური დისკურსები იმ სფეროს მიღმაც მოვიძიოთ, რასაც პოლიტიკა ან პოლიტიკური სისტემა ჰქვია.

3.2.2. რჩეული პოლიტიკური კომენტარების ანალიზი 1: ინტრატექსტუალური დონე.

წინამდებარე ანალიზის საგანია ლინგვისტური რესურსების დახმარებით ენის გამოყენების იმ ფორმების აღწერა, რომლებიც განსხვავებული ინტენსივობით გვხვდება მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარების ციკლში, რომელიც კონრად ადენაუერის პოლიტიკას ეძღვნება. ეს ფორმები ტექსტის ფორმირების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობენ, ისინი გამოხატავენ ავტორის მოსაზრებებსა და პოზიციებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია პოლიტიკასთან და შესაბამისად პოლიტიკურ დისკურსს ქმნიან.

ინტრატექსტუალურ დონეზე დისკურსის ანალიზი ორიენტირებულია **სიტყვათა შერჩევაზე, პროპოზიციებზე და ტექსტის სტრუქტურის თავისებურებებზე**. ის ენობრივი ელემენტები, რომელთაც მნიშვნელობის შექმნა ანუ მისი გენერირება შეუძლიათ, გაანალიზებულია იერარქიულად, მცირე ენობრივი ერთეულიდან დიდ ენობრივ ერთეულამდე, ლინგვისტურ შემადგენელთა ასცენდენტური ანუ აღმავალი სისტემის საყოველთაოდ მიღებული მოდელის მიხედვით.

3.2.2.1. სიტყვათა შერჩევა

დისკურსების, როგორც ცოდნის ფორმირების სისტემების, რეგისტრირება, აღწერა და ანალიზი ხდება ტექსტების მეშვეობით. ტექსტები თავის მხრივ შედგებიან ერთეულებისაგან, რომელთა აღწერაც ლექსიკური და სტილისტიკური კატეგორიებით არის შესაძლებელი. ამ კატეგორიების ანალიზისას საინტერესოა არა მხოლოდ მათი ფუნქცია ტექსტის საერთო ენობრივი ქსოვილის შექმნის პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე მათი როლიც საზოგადოებრივი ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბებისას, რადგან ეს სტრუქტურები ამ ერთეულებშია პრესუპონირებული და მათი მეშვეობით გამოიხატება და გადმოიცემა. ამგვარი ლექსიკური ერთეულების რეგულარული გამოყენება მიანიშნებს ცოდნაზე, რომელიც გარკვეული დროის მონაკვეთში კონკრეტულ ჯგუფებში დომინირებს. სწორედ ამგვარი ცოდნაა მიჩნეული საერთო საზოგადოებრივ ცოდნად. დისკურსის ლინგვისტური ანალიზისას სიტყვათა მარაგის, ანუ ლექსიკის შერჩევა განიხილება როგორც ერთი კონკრეტული დისკურსის

სტილისტიკური ან რიტორიკული თავისებურება. ფრიც ჰერმანსის მიხედვით სიტყვის დონე, როგორც „ნააზრების, შეგრძნებების და სურვილების“ გამოხატულება, ინფორმაციას გვაწვდის საერთო კოლექტიური ცოდნის ან აზროვნების შესახებ და სხვადასხვა ტექსტებში ყოველთვის მსგავსი პოზიციების, სტრატეგიებისა და მსოფლმხედველობების გადმოცემა შეუძლია (Hermanns 1995).

შვეიცარიელი მკვლევარი სილვია ბენდელ ლარჩერი ასევე თვლის, რომ სიტყვების შერჩევა ტექსტში დისკურსული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. კონკრეტული პირები, საგნები ან ნივთები ტექსტებში არ არიან წარმოდგენილი მათი რეალური სახით, ანუ ისე როგორც სინამდვილეში „არიან“, რადგან სპეციფიკურად შერჩეული ენობრივი საშუალებები, კერძოდ კი სიტყვები, ტექსტში მათ კონკრეტულ იმიჯს განაპირობებს (Bendel Larcher 2015: 63).

გამონათქვამები, რომლებიც დისკურსის ყველაზე მცირე ზომის ერთეულებს შეადგენენ, როგორც წესი კონკრეტულ ტექსტებში ფიქსირდებიან (მაგ. საგაზეთო სტატია), ხოლო გამონათქვამების საბაზისო ელემენტებს სიტყვები წარმოადგენენ, რომლებიც ამა თუ იმ ტექსტში კონკრეტულ დისკურსულ-ლინგვისტურ ანალიზს ექვემდებარებიან და ტექსტის სემანტიკურ მთლიანობას ქმნიან.

საგაზეთო კომენტარი 1: Meine Meinung, deine Meinung⁸

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Meine Meinung, deine Meinung“ („ჩემი აზრი, შენი აზრი“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1957 წლის 1 აგვისტოს ნომერში.

სიტყვების შერჩევის დონეზე საგაზეთო კომენტარში გამოვლინდა ისეთი საანალიზო კატეგორიები, როგორცაა საკუთარი სახელები, ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც კონკრეტული ეპოქის წარმოდგენებს და პოზიციას გამოხატავენ:

⁸ რჩეული პოლიტიკური კომენტარების ციკლი სრული სახით იხილეთ დანართში.

1. საკუთარი სახელები, სადაც ორი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა:

ა) სახელები, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია და კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში:

- DIE ZEIT (გერმანული ყოველკვირეული გაზეთი „დრო“);
- Rheinischer Merkur (გერმანული ყოველკვირეული გაზეთი „რაინის მერკური“; ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1946–2010 წლებში; 2010 წლის დეკემბრიდან იგი აღარ არის დამოუკიდებელი გამოცემა და გამოდის ახალი სათაურით „Christ und Welt“ („ქრისტიანები და სამყარო“);
- Deutsche Soldaten-Zeitung (გაზეთი დაარსდა 1950/51 წლებში; 1962 წელს გაზეთის სათაური შეიცვალა ახალი სათაურით „Deutsche National-Zeitung und Soldaten-Zeitung“ („გერმანული ეროვნული გაზეთი და ჯარისკაცების გაზეთი“); 1968 წელს გაზეთის სათაური შემოკლდა და მას დაერქვა „Deutsche National-Zeitung“ („გერმანული ეროვნული გაზეთი“); 1999 წელს იგი გაერთიანდა გერმანულ ყოველკვირეულ გაზეთთან „Deutscher Anzeiger“ („გერმანული მაუწყებელი“); 2008 წლიდან გაზეთი გამოდის სრულიად ახალი სახით და წარმოადგენს გერმანულ ულტრამემარჯვენე გამოცემას);
- SPD, CDU (პარტიები გერმანიის ბუნდესტაგში/პარლამენტში)

ბ) ანტროპონიმები: **ROBERT KEMPNER, KONRAD ADENAUER, HERBERT WEHNER, WALTER ULBRICHT, Kardinal FRINGS, Bischof DIBELIUS, Verleger und CDU-Abgeordneter BUCERIUS**

მათში ტექსტის ვიზუალიზაციის მიზნით ასო-ნიშნები/სიმბოლოები წარმოდგენილია ერთი ზომის დიდი შრიფტის შემცირებული ფორმით, ე.წ. „კაპიტელის“ სახით, გარდა სახელისა და გვარის აღმნიშვნელი პირველი ასო-ნიშნებისა, სადაც გამოყენებულია ლათინური დამწერლობის მთავრული ასო-ნიშნები, ე.წ. „მაიუსკულები“.

ანტროპონიმებთან **Kardinal FRINGS, Bischof DIBELIUS, Verleger und CDU-Abgeordneter BUCERIUS** დამატებულია მათი ტიტულის და ფუნქციის აღმნიშვნელი სიტყვებიც.

ამით ხაზგასმულია მათი კომპეტენცია და ასევე მათი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის.

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Andersdenkende, Gegner, Parteigänger, Nazis, Ankläger, Angeklagte, Wähler, Bundeskanzler, Leser, Gegenspieler, Autor, Verleger, Politiker

ისინი კონკრეტული სოციალური კლასის აღმნიშვნელია და განაზოგადებენ თვისებებს, რომლებიც გამოკვეთენ მათ სიტუაციურ როლებს საზოგადოებაში და მათი საქმიანობის სფეროებს.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Wahlkampf, Freiheit, Stellung, Kurzschluß, Wähler, Regierung, Folge, Wahlpropaganda, Außenpolitik, Andersdenkende, Konrad Adenauer, Politiker, Außenpolitik, Zeitung, Redaktion

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Anfechtbarkeit, Nachteile, Unrecht, Nürnberger Prozeß, Parteigänger, Untergang, Klischee, Gereiztheit, Führer, Byzantinismus, Sklaverhalter, Blutensauger, Nazis, Zweckpredigte, Zornesröte, Gehorsam, Pflicht

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამოხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Volk, Gewerkschaften, Sonderrecht, Fachleute

საკვანძო სიტყვები, რომლებიც საგაზეთო კომენტარში გვხვდება, შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით. ამგვარად ისინი ქმნიან

მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა „თავისუფალი საზოგადოება“ / „აზრის გამოხატვის თავისუფლება“ აერთიანებთ:

- მნიშვნელობის ველი „ემოციური ფონი“:
Gereiztheit, Zornesröte, Gehorsam
- მნიშვნელობის ველი „აზრის გამოხატვის ფორმები“:
Meinung, Standpunkt, Ansicht, Stellung, Betrachtung, Vorstellung
- მნიშვნელობის ველი „საზოგადოებრივი სპექტრი“:
Andersdenkende, Gegner, Parteigänger, Gegenspieler,
- მნიშვნელობის ველი „საარჩევნო პროცესი“:
Wahlkampf, Anfechtbarkeit, Zweckpredigt, Wähler, Wahlpropaganda
- მნიშვნელობის ველი „უფლება-მოვალეობები“:
Sonderrecht, Unrecht, Pflicht
- მნიშვნელობის ველი „საზოგადოებრივი განწყობები“/„საზოგადოების დამოკიდებულება“:
Nachteile, Kurzschluß, Klischee
- მნიშვნელობის ველი „ქვეყნის უახლოესი წარსული“:
Nazis, Nürnberger Prozeß, Führer, Untergang, Folge, Außenpolitik
- მნიშვნელობის ველი „სასამართლო სფერო“:
Ankläger, Angeklagte, Gericht, Schlußfolgerung
- მნიშვნელობის ველი „სახელისუფლებო ინსტიტუციები“:
Regierung, Bundeskanzler, Partei, Politiker, Gewerkschaften, Kaiser
- მნიშვნელობის ველი „საგაზეთო ინდუსტრია“:
Leser, Zeitung, Redaktion, Autor, Verleger, Fachleute
- მნიშვნელობის ველი „ეკლესია და რელიგია“:
Kardinal, Bischof, Pastor, Jesuit

საგაზეთო კომენტარი 2: Von Demokraten und Führern

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Von Demokraten und Führern“ („დემოკრატებისა და ბელადების შესახებ“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1957 წლის 5 სექტემბრის ნომერში.

დისკურსის ანალიზის ლექსიკურ დონეზე საგაზეთო კომენტარში გამოვლინდა სიტყვებზე ორიენტირებული შემდეგი საანალიზო კატეგორიები: საკუთარი სახელები (=Nomina Propria), ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც ხდება იმ სააზროვნო ჩვევების მარკირება, რომლებიც გადამწყვეტია კონკრეტული დისკურსის ჩამოყალიბების პროცესში:

1. საკუთარი სახელები:

ანტროპონიმები KONRAD ADENAUER და OLLENHAUER (იგულისხმება გერმანელი პოლიტიკოსი ერიკ ოლლენჰაუერი - ნ.გ.). დასახელებულ ანტროპონიმთაგან პირველი (KONRAD ADENAUER) ტექსტში მოიხსენიება სახელითა და გვარით, რაც ხაზს უსვამს მისი როგორც ინდივიდის სხვებისაგან გამორჩეულობას, ხოლო მეორე ანტროპონიმში (OLLENHAUER) მხოლოდ გვარის დასახელებით იკვეთება ინდივიდის, როგორც სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებელი პირის სტატუსი, როგორც ეს მიღებულია პრესაში.

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Ausländer, Deutsche, Verführer, Beobachter, Teilnehmer, Zuhörer - ისინი გამოკვეთენ და განაზოგადებენ სოციუმში მათი საქმიანობის და სხვებისადმი დამოკიდებულების ფორმებს, მათ ეთნოსს ან სხვა პოტენციალს.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Der starke Mann, Deutschland, Bevölkerung, Europa, Gemeinschaft, Wahlkampf, Wahlversammlungen, Parteien, Haltung, Staatsordnung, Tatsachen, Staatsmann, Kanzler, grand old man, Berichtserstattung, Auftritt, Staatsordnung

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Verführer, Unterton, Führer, Verdacht, Tarnung, Vormachtstellung, Persönlichkeitskult, Diktator, Nationalismus

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Umwelt, Gewähr, Aufrechterhaltung, Errungenschaften

საკვანძო სიტყვები რომლებიც ტექსტში გვხვდება ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა "გერმანია და გარესამყარო" აერთიანებთ და შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით:

- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფო მოწყობა“:
Kanzler, Parteien, Staatsordnung
- მნიშვნელობის ველი „გერმანული სახელმწიფო“:
Deutsche, Deutschland, Bevölkerung, Errungenschaften
- მნიშვნელობის ველი „საარჩევნო ღონისძიებები“:
Teilnehmer, Wahlversammlungen, Wahlkampf, Auftritt
- მნიშვნელობის ველი „გერმანელებისადმი დამოკიდებულება ევროპაში“:
Verdacht, Tarnung, Vormachtstellung, Unterton
- მნიშვნელობის ველი „უსაფრთხო თანაცხოვრება“:
Staatsmann, grand old man, Gewähr, Umwelt, Europa, Gemeinschaft, Aufrechterhaltung
- მნიშვნელობის ველი „მძიმე წარსული“:
Verführer, Führer, Nationalismus, Persönlichkeitskult, Diktator, der starke Mann

- მნიშვნელობის ველი „საზოგადოებრივი პოზიცია“:
Ausführungen, Vorstellungen, Haltung, Tatsachen, Beweis

საგაზეთო კომენტარი 3: Der doppelte Konrad: wenn der CDU-Chef stärker ist als der Kanzler

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Der doppelte Konrad: Wenn der CDU-Chef stärker ist als der Kanzler“ („ორგვარი კონრადი: როდესაც ქრისტიან-დემოკრატების კავშირის (CDU) შეფი უფრო ძლიერია ვიდრე კანცლერი“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1958 წლის 24 ოქტომბრის ნომერში.

საგაზეთო კომენტარში სიტყვებზე ორიენტირებული ანალიზისას გამოვლინდა ის ცენტრალური კატეგორიები, კერძოდ კი საკუთარი სახელები, ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთა კონტექსტუალური და კონოტაციური მნიშვნელობა დომინანტურია კონკრეტულ დისკურსში:

1. საკუთარი სახელები, სადაც სამი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა:

ა) სახელები, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია და

კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში:

- SPD, CDU (პარტიები გერმანიის ბუნდესტაგში/პარლამენტში)
- Frankfurter Allgemeine Zeitung (გერმანული რეგიონთაშორის ყოველდღიური გაზეთი)

ბ) ანტროპონიმები: Hauptmann von Köpenick, **WILHELM. II**, **ERLER**, **BERKHAN**, **HELMUT SCHMIDT**, **DR. ADENAUER** (=Parteführer ADENAUER, Bundeskanzler ADENAUER). მათგან მხოლოდ ერთში - Hauptmann von Köpenick - არ არის გამოყენებული ტექსტის ვიზუალიზაციის მიზნით დიდი ზომის შრიფტი, დანარჩენებში კი ასონიშნები/სიმბოლოები ისევ წარმოდგენილია ერთი ზომის დიდი შრიფტის შემცირებული ფორმით, ანუ კაპიტელის სახით, გარდა სახელისა და გვარის

აღმნიშვნელი პირველი ასო-ნიშნებისა, სადაც გამოყენებულია ლათინური დამწერლობის მთავრული ასო-ნიშნები - მაიუსკულები.

დასახელებული ანტროპონიმები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფიგურებს, რომელთაც გამორჩეული როლი ითამაშეს გერმანული სახელმწიფოს ისტორიაში.

გ) ტოპონიმი: Darmstadt

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Zivilisten, Staatsbürger, Genossen, Funktionäre, Parteimitglieder, Bundestagsabgeordnete, Einsichtige, Soldaten, Parteiführer, Radikale, Kräfte [der Partei]

ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ სოციალურ კლასებს, საერთო სოციალური მახასიათებლებით, სოციალური პოზიციით და სოციალური საქმიანობით.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Bekenntnis, Argwohn, Militarismus, Reichswehr, Kontakt, Erkenntnis, Versäumnis, Parteiapparat, Funktionäre, Wehrpolitik, Vorstand, Reserveübung, Einstellung, Wahlkampf, Einsichtigen, Angriff, Bundesregierung, Abrüstung, Armee, Sozialdemokratie, Bundeskanzler, Parteimitglieder, Parteiführer, Standpunkt Bundestagsabgeordnete, Staatsbürger, Bundeswehr, Wehr- und Außenpolitik, Innenpolitik, Einstellung, Bundestagsfraktion, Behauptung, Ausprüche, Aufforderung

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Isolierung, Aversion, Fragwürdigkeit, Genossen, Uniform, Waffen, Instanz, Radikale

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Gebot, Einsichtige, Oberhand, Erfolg, Sieg, Frieden

საკვანძო სიტყვები, რომლებიც საგაზეთო კომენტარში გვხვდება, შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით. ამგვარად ისინი ემნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა „სწორი სახელმწიფოებრივი აზროვნება“ აერთიანებთ:

- მნიშვნელობის ველი „ურთიერთობის ფორმები“:
Isolierung, Kontakt, Verhältnis
- მნიშვნელობის ველი „ემოციები და გაცნობიერება“:
Argwohn, Aversion, Versäumnis, Bekenntnis, Erkenntnis
- მნიშვნელობის ველი „გერმანიის სამხედრო პოლიტიკა“:
Militarismus, Reichswehr, Wehrpolitik, Bundeswehr, Armee
- მნიშვნელობის ველი „მმართველობითი ფორმები“:
Führung, Vorstand, Instanz
- მნიშვნელობის ველი „პარტიული სტრუქტურა“:
Parteiparat, Parteitage, Parteimitglieder, Parteiführer, Genossen
- მნიშვნელობის ველი „გერმანიის პარლამენტის სტრუქტურა“:
Bundestagsfraktion, Gremien, Bundestagsabgeordnete, Funktionäre
- მნიშვნელობის ველი „სამხედრო საქმე“:
Reserveübungen, General, Soldaten, Uniform, Truppe
- მნიშვნელობის ველი „პოზიციის გამოხატვა“:
Einstellung, Standpunkt, Behauptung, Aussprüche, Aufforderung
- მნიშვნელობის ველი „პარტიული სპექტრი“:
Einsichtigen, Radikale, Kräfte
- მნიშვნელობის ველი „ომის პოლიტიკა“:
Waffen, Angriff, Abrüstung
- მნიშვნელობის ველი „მეგობრული თანაარსებობა“:
Erfolg, Sieg, Frieden

საგაზეთო კომენტარი 4: Konrad Adenauers großer Entschluss zur richtigen Stunde

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Konrad Adenauers großer Entschluss zur richtigen Stunde“ („კონრად ადენაუერის მიერ საჭირო დროს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1959 წლის 10 აპრილის ნომერში.

დისკურსის ანალიზის ლექსიკურ დონეზე საგაზეთო კომენტარში გამოვლინდა სიტყვებზე ორიენტირებული შემდეგი საანალიზო კატეგორიები: საკუთარი სახელები (=Nomina Propria), ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთაც მოცემულ ტექსტში არსებითი ხასიათის აზრობრივი დატვირთვა აქვთ:

1. საკუთარი სახელები:

ანტროპონიმი KONRAD ADENAUER განხილულ ტექსტში ექვსჯერ არის მოხსენიებული. ბუნებრივია დიდი ზომის შრიფტის გამოყენება ავტორის მიერ არ არის შემთხვევითი და არ ემსახურება მხოლოდ ტექსტის ვიზუალიზაციას. ავტორს ამგვარად სურს საგაზეთო კომენტარის მთავარ ადრესატზე მინიშნება, რომელსაც იგი თავისი გამონათქვამების მთავარ აქტორად მიიჩნევს და ამით ხაზს უსვამს მისი, როგორც პიროვნების მნიშვნელობას და უნიკალურობას, ასევე მის განსაკუთრებულ დამსახურებას გერმანელი ხალხის წინაშე.

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Funktionäre, Nachfolger, Kritiker, Bewunderer - ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომელთაც კონკრეტული სოციალური ფუნქცია აკისრიათ. ისინი განაზოგადებენ ერთი კონკრეტული პირისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ასპექტებს, კერძოდ კი მათი სხვებთან ურთიერთობის ფორმებს, ანუ მათ სოციალურ პოზიციას.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Bundeskanzler, Bundespräsident, Staatsoberhaupt, Verfassung

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Macht, Elastizität, Flexibilität, Funktionäre, Bürokratie, Regierungsmaschinerie

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Schirmherr, Wächter, Steuermann

საკვანძო სიტყვები, რომლებიც საგაზეთო კომენტარში გვხვდება, შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით. ამგვარად ისინი ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა „პოლიტიკა“ აერთიანებთ:

- მნიშვნელობის ველი „ინსტიტუციონალური დაწესებულებები“:

Amt, Parteien, Staat, Regierung

- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფო მოწყობა“:

Bundeskanzler, Bundespräsident, Staatsoberhaupt, Bundesrepublik, Verfassung

- მნიშვნელობის ველი „თვისებები“:

Flexibilität, Elastizität, Beharrlichkeit, Starrheit, Spontaneität

- მნიშვნელობის ველი „გრძნობები“:

Reaktionen, Gespür

- მნიშვნელობის ველი „კონფლიქტები“:

Arena, Kampf, Streit

საგაზეთო კომენტარი 5: Mit dem Volke spielt man nicht: Grosser Mann – Was nun?

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Mit dem Volke spielt man nicht: Grosser Mann – Was nun?“ („ხალხს არ ეთამაშებიან: დიდო კაცო - რას აპირებ?“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1959 წლის 12 ივნისის ნომერში.

სიტყვების შერჩევის დონეზე საგაზეთო კომენტარში გამოვლინდა ისეთი საანალიზო კატეგორიები, როგორცაა საკუთარი სახელები, ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთაც მოცემულ ტექსტში არსებითი ხასიათის აზრობრივი დატვირთვა აქვთ:

1. საკუთარი სახელები, სადაც სამი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა:

ა) სახელები კონკრეტული ფუნქციით საზოგადოებაში, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია:

- CDU, CSU (პარტიები გერმანიის ბუნდესტაგში/პარლამენტში)

ბ) ანტროპონიმები: KONRAD ADENAUER (=Bundeskanzler ADENAUER), BISMARCK, *Polonius*, *Hamlet*, Bundesverkehrsminister SEEBOHM, EUGEN GERSTENMAIER, LUDWIG ERHARD . მათგან ორში - *Polonius*, *Hamlet* - ტექსტის ვიზუალიზაციის მიზნით გამოყენებულია იტალიკის (დახრილი) შრიფტი. საგაზეთო კომენტარში, რომელიც თავის მხრივ მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის „ამონაჭერია“, ანტროპონიმები *Polonius*, *Hamlet* უმცირეს ფრაგმენტულ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ. ისინი ქმნიან ინტერტექსტუალურ მიმართებას უილიამ შექსპირის ტექსტთან და შესაბამისად დისკურსულობის ნიშნით არიან აღბეჭდილი.

გ) ტოპონიმები: Genf, Berlin, Sachsenwald, Rhöndorf

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Bundeskanzler, Bundespräsident, Vizekanzler, Ja-Sager, Nachfolger, Regierende(n), Widersacher, Gegner, Starke(n), Recke, Regierungschef, Opfer, Abgeordnete(n), Minister, Unabhängige(n), Gesinnungsgenossen, Boswillige(n), Repräsentanten

ისინი განაზოგადებენ იმ ფუნქციებსა და თვისებებს, ასევე სოციუმში ურთიერთობისა და საქმიანობის იმ ფორმებს, რაც კონკრეტული სოციალური ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Fehler, der Reinecke Fuchs, Der Recke aus dem Sachsenwald, Grundgesetz, Amtszeit, Posten, Beschluß, Mandat, Rehabilitierung, Außenpolitik, Republik, Amt, Lage, Fraktion, Staat, Demokratie, Institutionen, Spielregeln, Ruf, Geschichtsbücher, Hebelstellung

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Schaden, Wankelmütigkeit, Willkür, Vorurteil, Skepsis, schmutziges Geschäft, tausendjähriges Reich, Trümmerhaufen, Zusammenbruch, Spannungen, Menschenverachtung, Frohlocken, Staatskrise, Selbstherrlichkeit, Untertanengeist, Rebellion, Druck, Schande, Protest, Nichtachtung

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Staatsraison, Rehabilitierung, Kompetenz, Rücksicht, Bilanz, Vertrauen, Ruf, Autorität

საკვანძო სიტყვები რომლებიც ტექსტში გვხვდება ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა "საზოგადოების განწყობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ" აერთიანებთ და შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით:

- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფოს მმართველი პირები“:

Bundeskanzler, Bundespräsident, Vizekanzler, Regierungschef

- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფო აპარატი“:

Amt, Amtszeit, Posten, Minister, Hebelstellung

- მნიშვნელობის ველი „არალოიალური/არაკეთილსაიმედო მართვის სტილი“:
Wankelmütigkeit, Willkür, Frohlocken, Selbstherrlichkeit
- მნიშვნელობის ველი „არსებული სოციუმი“:
Öffentlichkeit, Volk, Gesellschaft, Repräsentanten
- მნიშვნელობის ველი „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა“:
Vertrauen, Kompetenz, Mißtrauensvotum, Nichtachtung
- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფო მოწყობა“:
Bundesrepublik Deutschland, tausendjähriges Reich, Republik, Demokratie
- მნიშვნელობის ველი „პოლიტიკური ყოველდღიურობა“:
Spielregeln, Bilanz, Vergleich, Kontinuität
- მნიშვნელობის ველი „საკანონმდებლო ორგანო“:
Fraktion, Koalition, Parlament, Abgeordnete, Mandat
- მნიშვნელობის ველი „თანამოაზრეთა შორის ურთიერთობა“:
Ja-Sager, Untertanengeist, Nibelungentreue
- მნიშვნელობის ველი „პოლიტიკური პერსონა“:
Ruf, Autorität, Rücksicht, Stellung
- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფო მმართველობა“:
Regierende, Regierung, Staatsraison, Grundgesetz
- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფო კრიზისი“:
Skepsis, Spannungen, Empörung, Protest
- მნიშვნელობის ველი „პროტესტის უკიდურესი ფორმა“:
Rebellion, Fronde, Aufruhr
- მნიშვნელობის ველი „ომისშემდგომი გერმანია“:
Trümmerhaufen, Zusammenbruch, Opfer, Menschenverachtung, Schande,
- მნიშვნელობის ველი „მოწინააღმდეგე მხარე“:
Widersacher, Böswillige(n), Gesinnungsgenossen, Gegner
- მნიშვნელობის ველი „პოლიტიკა როგორც პროფესია“:
schmutziges Geschäft, Wille, Vorurteil

საგაზეთო კომენტარი 6: Das Mass ist voll!

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Das Mass ist voll!“ („მოთმინების ფიალა აივსო!“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1961 წლის 3 ნოემბრის ნომერში.

საგაზეთო კომენტარში სიტყვებზე ორიენტირებული ანალიზისას გამოვლინდა ის ცენტრალური კატეგორიები, კერძოდ კი საკუთარი სახელები (=Nomina Propria), ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთაც დისკურსის მარკირების ფუნქცია გააჩნიათ.

1. საკუთარი სახელები, სადაც ორი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა:

ა) სახელები, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია და კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში:

- CDU, CSU, FDP (პარტიები გერმანიის ბუნდესტაგში/პარლამენტში)

ბ) ანტროპონიმები: KONRAD ADENAUER, LUDWIG ERHARD (=ERHARD, Minister ERHARD, Professor ERHARD), KRONE, RASNER, HEINRICH VON BRENTANO, SIEGFRIED ZOGLMANN, Staatssekretär GLOBKE, GERD BUCERIUS.

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Wähler, Meinungsforscher, Beobachter, Parteigenossen, Koalitionspartner, Hampelmänner, Minister, Aufpasser, Opfer, Nachfolger, Staatsbürger, Regierungsmacher, Abgeordnete(n), Beteiligte(n),

ისინი წარმოადგენენ საზოგადოებაში არსებულ ჯგუფებს კონკრეტული სოციალური ფუნქციით და განაზოგადებენ მახასიათებლებს, რომლებიც მიაწინებენ მათი საქმიანობის სფეროებზე და მათ სოციალურ პოზიციაზე.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოადგენილნი არიან შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Schlüsselfigur, Wähler, Regierungszeit, Wahlergebnis, Bundeskanzler, Macht, Maß, Demokratie, Grundgesetz, Richtlinien, Sozialpolitik, Politik, Kabinett, Entschluß, Aufpasser, Fraktion, „FDP-Papier“, Team, Konstellation, Wahlsieg, Publikum, Institution, Verhandlung, Bundesregierung, Kanzlerkandidat, Ansehen, Intrigen, Enttäuschungen, Koalitionskräfte, Posten, Erfahrung, Dokument

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Hirngespinnste, Pervertierung, Hampelmänner, Scherbenhaufen, Ehrgeiz, [ein] Fetzen Papier, Schacherei, HJ-Führer, Erpressungen, Mißtrauen, Skupellosigkeit

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Wille, Ansehen, Beste(n), Wahlsieg, Unbefangtheit

საკვანძო სიტყვები, რომლებიც საგაზეთო კომენტარში გვხვდება, შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით. ამგვარად ისინი ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა „ხანგრძლივად ხელისუფლებაში ყოფნა ნეგატიურ განწყობებს ქმნის“ აერთიანებთ:

- მნიშვნელობის ველი „არჩევნები“:
Wähler, Wahl, Wahlergebnis, Wahlplakaten, Wahlsieg, Wahlperiode
- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფოს ფუნქციონირების საფუძველი“:
Regierungszeit, Regierungsbildung, Regieren, Regierungsmacher, Bundesregierung
- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფოს მმართველი პირები“:
Bundeskanzler, Staatsminister, Vizekanzler, Bundespräsident, Posten
- მნიშვნელობის ველი „ხელისუფლების ორგანოები“:
Institution, Staatsämter, Bundeskanzleramt, Parlament
- მნიშვნელობის ველი „საზოგადოების წარმომადგენლები“:
Beobachter, Aufpasser, Opfer, Beteiligte(n), Publikum, Staatsbürger

- მნიშვნელობის ველი „ძალაუფლების მახასიათებელი ელემენტები“:
Maß, Pervertierung, Ehrgeiz, Skrupellosigkeit, Schachrei
- მნიშვნელობის ველი „მართვის მეთოდები“:
Erpressungen, Intrigen, Konkurrenz
- მნიშვნელობის ველი „კანონშემოქმედებითი საქმიანობა“:
Grundgesetz, Richtlinien, Gesetzentwürfe, Dokument
- მნიშვნელობის ველი „თანამოაზრეთა სპექტრი“:
Parteigenossen, Koalitionspartner, Hampelmänner, Vassale, Koalitionskräfte
- მნიშვნელობის ველი „პარლამენტის სტრუქტურა“:
Koalitionsvertrag, Koalitionspartei, Fraktion, Verhandlungen, Koalition, Abgeordnete(n)
- მნიშვნელობის ველი „აღმასრულებელი ორგანოების მმართველობის ფორმები და სტილი“:
Kabinettsitzungen, Minister, Team, Entscheidungen, Erfahrung
- მნიშვნელობის ველი „განწყობები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სპექტრში“:
Mißtrauen, Enttäuschungen, Kränkungen, Unbefangenheit, Wille
- მნიშვნელობის ველი „დავის საგანი“:
Schlüsselfigur, Zielscheibe, Kanzlerkandidat
- მნიშვნელობის ველი „პოლიტიკური წარმატების საწინდარი/წინაპირობა“:
Konstellation, Ablauf, Schachzüge
- მნიშვნელობის ველი „საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი მექანიზმი“:
Meinungsforscher, Presse, Maßnahmen, Ansehen

საგაზეთო კომენტარი 7: Gewählt, aber nicht gewollt

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Gewählt, aber nicht gewollt“ („არჩეული, მაგრამ არასასურველი“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1961 წლის 10 ნოემბრის ნომერში.

დისკურსის ანალიზის ლექსიკურ დონეზე საგაზეთო კომენტარში გამოვლინდა სიტყვებზე ორიენტირებული შემდეგი საანალიზო კატეგორიები: საკუთარი სახელები, ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები,

რომლებიც კონკრეტული სოციალური ჯგუფის ან ეპოქის წარმოდგენებს და საზოგადოებრივ პოზიციას გამოხატავენ:

1. საკუთარი სახელები, სადაც ორი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა:

ა) სახელები - პარტიული აბრევიატურები, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია და კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში:

- CDU, CSU, FDP (პარტიები გერმანიის ბუნდესტაგში/პარლამენტში)

ბ) ანტროპონიმები: KONRAD ADENAUER, WALTER SCHEEL, Professor ERHARD

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Partner, Bürger, Abgeordnete(n), Wähler - ისინი იმ სოციალური ჯგუფების აღმნიშვნელია, რომელთაც კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში და სადაც წინა პლანზე წამოწეულია ზოგადი თვისებები, რაც გამოიკვეთება მათი საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის დროს.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Papst, Kanzler, Gebaren, Kandidat, Wahlversammlung, Fraktionen, Kompetenzen, Methoden, Regierungsbildung, Gesichtspunkte, Abgeordnete(n), Einstellung, Fraktionen, Abstimmung, Überzeugung, Affäre, Schicksalsentscheidungen, Wähler, Ereignisse, Vergangenheit, Zukunft, Konsequenz, Demokratie, Regierungsform

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Methoden, Affäre, deprimierend, der oberste Herr, List

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამოხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს ჰოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:
Entwicklungshilfe, Kompetenzen, Demokratie

საკვანძო სიტყვები ტექსტში ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა „ხალხის არჩევანი“ აერთიანებთ და შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით:

- მნიშვნელობის ველი „ხელისუფალნი“:
Papst, Kanzler, der oberste Herr
- მნიშვნელობის ველი „არჩევნები“:
Wahl, Wahlversammlung, Wähler, Kandidat, Abstimmung, Regierungsbildung
- მნიშვნელობის ველი „საპარლამენტო მუშაობა“:
Fraktionen, Partner, Abgeordnete(n), Fraktionssitzung, Gesichtspunkte, Entscheidungen
- მნიშვნელობის ველი „ისტორიული მეხსიერება“:
Ereignisse, Vergangenheit, Zukunft, Schicksal, Entwicklung, Affäre, Bürger
- მნიშვნელობის ველი „სახელისუფლო უნარები“:
Kompetenzen, Zuständigkeit, Methoden, Überzeugung

საგაზეთო კომენტარი 8: *Finis Germaniae*

მარიონ დენჰოვის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Finis Germaniae“ („გერმანიის დასასრული“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1957 წლის 11 ივლისის ნომერში.

სიტყვების შერჩევის დონეზე საგაზეთო კომენტარში გამოვლინდა ისეთი საანალიზო კატეგორიები, როგორცაა საკუთარი სახელები, ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთა კონტექსტუალური მნიშვნელობა დომინანტურია კონკრეტულ დისკურსში:

1. საკუთარი სახელები, სადაც სამი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა:

ა)სახელები, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია და კონკრეტული როლი/ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში:

- SPD - პარტია გერმანიის ბუნდესტაგში/პარლამენტში
- Labour (=Labour Party) – დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, რომელიც კონსერვატიულ პარტიასთან ერთად მნიშვნელოვანწილად განკარგავს ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებას

ბ) ანტროპონიმები: Konrad Adenauer, *Macmillan*, Wilhelm Kaisen, Otto Suhr.

ანტროპონიმში *Macmillan* ასონიშნები/სიმბოლოები წარმოდგენილია შრიფტის დახრილი სახესხვაობის, ანუ იტალიკის სახით, სადაც მას ვიზუალურის გარდა ფუნქციური დატვირთვაც გააჩნია. ტექსტის ავტორი ამგვარად მიაწინებს თავისი გამონათვამების ერთ-ერთ აქტორზე და გამოკვეთს მის, როგორც პიროვნების და პოლიტიკოსის, მნიშვნელობას.

გ) ტოპონიმი: Nürnberg

2. ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები:

Politiker, Feldherren, Gegner – ისინი მიაწინებენ განსხვავებული სოციალური პოზიციის, საქმიანობისა და სიტუაციური როლების მქონე კონკრეტულ ჯგუფებზე საზოგადოებაში.

3. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):
Regierung, Deutschland, Opposition, Konzept, Außenpolitik, Regierungschef, Veränderung, Klima, Innenpolitik, Bundesrat, Wahlkampf, Gültigkeit, Wechsel, Linie
- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Zorn, Untergang, Finis, Fehler, Schlachten

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Sicherheit, Einigkeit, Regel

საკვანძო სიტყვები საგაზეთო კომენტარში შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით. ამგვარად ისინი ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა „ქედმაღლობა საზიანოა პოლიტიკისთვის“ აერთიანებთ:

- მნიშვნელობის ველი „პოლიტიკური ემოციები და ურთიერთობები“:
Zorn, Klima, Fehler, Sicherheit
- მნიშვნელობის ველი „სახელმწიფოს მართვა“:
Regierung, Regierungschef, Bundesrat, Einigkeit
- მნიშვნელობის ველი „პოლიტიკური ყოველდღიურობა“:
Opposition, Wahlkampf, Regel, Gültigkeit
- მნიშვნელობის ველი „ქვეყნის კეთილდღეობა“:
Deutschland, Veränderung, Untergang, Wechsel
- მნიშვნელობის ველი „ქვეყნის პოლიტიკური კურსი“:
Außenpolitik, Innenpolitik, Konzept, Linie

საგაზეთო კომენტარი 9: Brief aus dem Süden

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარი სათაურით „Brief aus dem Süden“ („წერილი სამხრეთიდან“) დაიბეჭდა ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT 1998 წლის 1 ოქტომბრის ნომერში.

საგაზეთო კომენტარში სიტყვებზე ორიენტირებული ანალიზისას გამოვლინდა ის ცენტრალური კატეგორიები, კერძოდ კი კრებითი სახელები და საკვანძო სიტყვები, რომელთაც დისკურსის მარკირების ფუნქცია გააჩნიათ:

1. კრებითი სახელები:

- Koalition (ფოკუსირება ხდება პარტიებზე Rot-Grün, Grünen და SPD)
- Volk (არის გენერალიზირება ცნებებისა Bürger, Regierende)

2. საკვანძო სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგი ენობრივი ერთეულების სახით:

- ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკვანძო სიტყვები (Schlüsselwörter):

Wahlsonntag, Wechsel, Wende, Aufbruch, Ideologie, Geschichte, Prozess

- სიტყვები, რომლებიც სტიგმატიზირებულია (Stigmawörter) და როგორც პეიორატიულ (=უარყოფითი შეფერილობის) ლექსემებს ნეგატიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Abgeschiedenheit, Last, Blinde, Lahme, Sorge, Sachzwang, Stillstand, Bewahren, Risiko

- სიტყვები, რომლებიც მაღალხარისხოვნების და სრულფასოვნების გამომხატველია (Hochwertwörter) და როგორც მელიორატიულ (=დადებითი შეფერილობის) ლექსემებს პოზიტიური ემოციების აღძვრა შეუძლიათ:

Wende, Energie, Entwicklung, Umbruch, Hoffnung, Chancen

საკვანძო სიტყვები ქმნიან მნიშვნელობის ლექსიკურ-სემანტიკურ ველებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თემა "არჩევნები" აერთიანებთ და შესაძლებელია დალაგდეს მათი გამოყენების სფეროების მიხედვით:

- მნიშვნელობის ველი „საარჩევნო პროცესი“:

Wahlsonntag, Umbruch, Motto

- მნიშვნელობის ველი "პარტიები“:

Koalition, Grünen, SPD, Rot-Grün

- მნიშვნელობის ველი "სასურველი ცვლილებები“:

Aufbruch, Wechsel, Entwicklung

- მნიშვნელობის ველი “არჩევნების შემდგომი რეალობა“:
Zugkraft, Ideologie, Sachzwang
- მნიშვნელობის ველი „წინასაარჩევნო დებატები“:
Argumente, Meinungen, Entscheidungen

3.2.2.2. პროპოზიციები

დისკურსის ლინგვისტიკაში გამონათქვამებს ყოველთვის მთავარი ფუნქცია აკისრიათ. წინადადება როგორც საანალიზო დონე საკმაოდ მოცულობითია იმისათვის, რომ ზუსტი ანალიზის საგანი იყოს, ამიტომაც ანალიზის ობიექტს წარმოადგენენ პროპოზიციები, რომელთაც როგორც კონკრეტული გამონათქვამის ენობრივ ერთეულებს კონკრეტული ფუნქციების შესრულება შეუძლიათ.

ბრინკერის მიხედვით პროპოზიციის ცნება ფუნდამენტურია ტექსტის როგორც გრამატიკული ასევე თემატური სტრუქტურის ანალიზისთვის. იგი თვლის, რომ წინადადება კომპლექსურ სიდიდეს წარმოადგენს და მისი მნიშვნელობის დასაზუსტებლად საჭიროა ტექსტის სეგმენტი, წინადადება და პროპოზიცია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კონცეპტუალური და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ეს ერთეულები მართალია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ მათ შორის არ არსებობს ზუსტი შესატყვისობა, ისინი გამონათქვამის სტრუქტურის განსხვავებულ ფენებს წარმოადგენენ: ტექსტის სეგმენტები ტექსტის ზედაპირის სტრუქტურული ერთეულებია, წინადადებები სინტაქსური, ხოლო პროპოზიციები კი სემანტიკური (Brinker 2005: 26).

დისკურსის კვლევა მიმართულია გამონათქვამებზე, რომლებშიც საზოგადოებრივი ცოდნის მარაგი სტრუქტურირებული ფორმით აისახება. შესაბამისად, დისკურსის ანალიზი ცალკეულ გამონათქვამთა კონტექსტის რეკონსტრუირებას გულისხმობს. ვინაიდან ჩვენს შემთხვევაში სახეზეა ტექსტების მცირე რაოდენობის კორპუსი, მივმართავთ საანალიზო ტექსტების რედუცირების/კომპრიმირების სტრატეგიას,

რომელიც ტექსტში საკვანძო ადგილების შერჩევის პრინციპს ეფუძნება. საანალიზო მასალის შესაკვეცად და რეალურად დამუშავებადი ტექსტის მოცულობის მისაღებად ვეყრდნობით ვან დაიკის ე.წ. *ტექსტის მაკროსტრუქტურათა აგების მოდელს*, რომელიც ტექსტს პროპოზიციათა კომპლექსად მოიაზრებს, სადაც სემანტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა მარტო პროპოზიციათა ტიპი და მათი შინაარსი, არამედ პირველ რიგში პროპოზიციური ბმა, რაც პროპოზიციების ჰიპერპროპოზიციად ინტეგრაციის საფუძველია და საბოლოო ჯამში ერთიანი ტექსტის მაკროსტრუქტურის სახით არის წარმოდგენილი. ვან დაიკი მაკროსტრუქტურებს სემანტიკურ სტრუქტურებად განიხილავს: საქმე ეხება მნიშვნელობის პროპოზიციონალურ სტრუქტურებს, რომელთა ერთმანეთთან დასაკავშირებლად იგი გვთავაზობს გამონათქვამების მნიშვნელობათა სემანტიკური ტრანსფორმაციის წესებს. ეს წესები პროპოზიციათა კონკრეტულ მწკრივებს იმავე ან განსხვავებული ტიპის პროპოზიციულ მწკრივებად გარდაქმნის. ვან დაიკი ამ წესებს მაკროწესებს უწოდებს, რომელთა სემანტიკური ფუნქცია პროპოზიციული მწკრივების/ბლოკების შექმნაში მდგომარეობს. იგი მათ განიხილავს ინფორმაციის სემანტიკური ნიშნით კომპრიმირების საშუალებად შემდეგი მაკროწესების გათვალისწინებით: 1.არარელევანტური და არაარსებითი ინფორმაციის გამოტოვება; 2.ინფორმაციის შერჩევა(=სელექცია); 3.შერჩეული ინფორმაციის განზოგადება(=გენერალიზება); 4.ინფორმაციის „შექმნა“ (=კონსტრუირება) და მისი ინტეგრაცია (Van Dijk 1980: 41-45).

საანალიზო ტექსტების კორპუსში ჩვენ შემოვიფარგლებით გამონათქვამების იმ ტიპობრივი სტრუქტურული ელემენტების ანალიზით, რომლებიც ერთ კონკრეტულ დისკურსს (იგულისხმება მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსი - ნ.გ.) ეხება.

პროპოზიციებზე ორიენტირებული ანალიზის დროს ჩვენ განვიხილავთ დიკურსულ-ლინგვისტური საანალიზო კლასების შემდეგ კატეგორიებს: **პროპოზიციული სტრუქტურა და სამეტყველო აქტები, იმპლიკატურები, პრესუპოზიციები, დეონტური მნიშვნელობა, რიტორიკული ტროპები და ფიგურები.**

ა) პროპოზიციული სტრუქტურა და სამეტყველო აქტები

საგაზეთო კომენტარი 1: Meine Meinung, deine Meinung

პროპოზიციების ანალიზისათვის შერჩეულია ტექსტის მონაკვეთი, რომელიც ავტორის მთავარ გზავნილს გადმოსცემს:

Bei uns ist allenthalben eine merkwürdige Gereiztheit gegenüber Andersdenkenden ausgebrochen. [...] Wir haben uns in der ZEIT von Anfang an [...]die Freiheit genommen zu schreiben, was wir dachten. [...] Wir haben uns in jenen ersten Jahren [...]nicht gescheut, die Besatzungsmächte anzugreifen [...]. [...] Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchlichten [...]. [...] Wir sind hier von jeher für die oft heftig angefochtene Außenpolitik ADENAUERS eingetreten, aber wir halten es für unser gutes Recht – und für unsere Pflicht - , den Kanzler auch zu kritisieren, wann immer dies sachlich gerechtfertigt ist. [...] Wir sind der Meinung, daß zu Fragen von allgemeiner Bedeutung in unserer Zeitung sowohl links- wie rechtsorientierte Politiker oder Fachleute Stellung nehmen können [...]. [...] Der Verleger, DR. BUCERIUS, vertritt die Meinung, die Redaktion habe das, was sie schreibt, zu vertreten und müsse darum vollständig frei sein [...].

წარმოდგენილი მონაკვეთი შედგება 7 გამონათქვამისაგან:

1. Bei uns ist allenthalben eine merkwürdige Gereiztheit gegenüber Andersdenkenden ausgebrochen.
2. [...]Wir haben uns in der ZEIT von Anfang an [...]die Freiheit genommen zu schreiben, was wir dachten.
3. [...]Wir haben uns in jenen ersten Jahren [...]nicht gescheut, die Besatzungsmächte anzugreifen [...].
4. [...]Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchlichten [...].
5. [...] Wir sind hier von jeher für die oft heftig angefochtene Außenpolitik ADENAUERS eingetreten, aber wir halten es für unser gutes Recht – und für unsere Pflicht - , den Kanzler auch zu kritisieren, wann immer dies sachlich gerechtfertigt ist.
6. [...] Wir sind der Meinung, daß zu Fragen von allgemeiner Bedeutung in unserer Zeitung sowohl links- wie rechtsorientierte Politiker oder Fachleute Stellung nehmen können [...].
7. [...]Der Verleger, DR. BUCERIUS, vertritt die Meinung, die Redaktion habe das, was sie schreibt, zu vertreten und müsse darum vollständig frei sein [...].

გამონათქვამებში გადმოცემულია ავტორის დამოკიდებულება კონრად ადენაუერის მიერ გატარებული პოლიტიკური ხაზისადმი და იმ არაჯანსაღი პოზიციისადმი, რომელიც შეიქმნა საზოგადოებაში და საბოლოოდ თავისუფალი აზრის შეზღუდვაში გამოიხატა. წარმოდგენილ მონაკვეთში გამონათქვამების შინაარსი შეიცავს შემდეგ პროპოზიციებს:

1. [Eine merkwürdige Gereiztheit ist ausgebrochen]
2. [Wir schrieben frei in der ZEIT]
3. [Wir dachten]
(was)
4. [Wir scheuten uns nicht]
5. [Wir haben Besatzungsmächte angegriffen]
(Infinitiv mit „zu“)
6. [Wir mühten uns]
7. [Wir haben die Nürnberger Prozesse durchlichtet]
(Infinitiv mit „zu“)
8. [Wir sind immer für Außenpolitik ADENAUERS eingetreten]
9. [Es ist unser Recht und unsere Pflicht]
10. [Wir kritisieren den Kanzler]
11. [Das ist gerechtfertigt]
(aber) (Infinitiv mit „zu“) (wann [immer])
12. [Wir meinen]
13. [Zu bedeutenden Fragen können sich alle äußern]
14. [Es sind linksorientierte Politiker]
15. [Es sind rechtsorientierte Politiker]
16. [Es sind Fachleute]
(daß) (sowohl ... wie [auch]) (oder)
17. [Der Verleger meint]
18. [Die Redaktion vertritt die Meinung]
19. [Sie(= die Redaktion) schreibt eigene Meinung]
20. [Sie(= die Redaktion) muss frei sein]
[daß] (was) (und)

პროპოზიციების ცალკეულ სინტაქსურ ერთეულებს შორის ფიქსირდება მიმართებები სემანტიკურ დონეზე (Heinemann/Heinemann 2002: 77, Heinemann/Viehweger 1991: 43). წარმოდგენილ ტექსტის მონაკვეთში პროპოზიციათა შორის სემანტიკური ხასიათის მიმართებები გადმოიცემა შემდეგი კონექტორების მეშვეობით:

- მიმართება 2.-3. პროპოზიციას შორის არის დამაზუსტებელი ანუ განმსაზღვრელი ხასიათის და გამოხატულია მიმართებითი კონექტორით was, რომელსაც ჰარალდ ვაინრიხი ჰორიზონტული ტიპის გლობალურ მიმართებას უწოდებს, რადგანაც ის გამოიყენება ზოგადი და არასპეციფიკური (არაკონკრეტულად გამოხატული) გარემოებების გადმოსაცემად და შესაბამისად „ყველა შესაძლო ვითარების“ ზღვარზე გადის (Weinrich 1993: 774).
- მიმართება 4.-5. და 6.-7., ასევე 9.-10. პროპოზიციებს შორის არის განმარტებითი ხასიათის და გამოხატულია „zu“ ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქციით, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით დამატებით დამოკიდებულ წინადადებას ენაცვლება.
- მიმართება 8.-9. პროპოზიციას შორის არის კონტრასტული ხასიათის და გამოხატულია მაპირისპირებელი კავშირით aber.
- მიმართება 10.-11. პროპოზიციას შორის არის ტემპორალური ხასიათის და გამოხატულია კონექტორით wann [immer], რომელიც ფუნქციურად ენაცვლება დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებს wenn, sooft და დროის კონკრეტულ მონაკვეთს განსაზღვრავს.
- მიმართება 12.-13. პროპოზიციას შორის არის განმარტებითი ხასიათის და გამოხატულია მაქვემდებარებელი კავშირით dass.
- მიმართება 14.-15. პროპოზიციას შორის არის შედარებითი ხასიათის და გამოხატულია მტკიცებითი შინაარსის ორკომპონენტიანი მაერთებელი კავშირით sowohl ... wie [auch].
- მიმართება 15.-16. პროპოზიციას შორის არის ალტერნატიული ხასიათის და გამოხატულია მაცალკევებელი კავშირით oder.

- მიმართება 17.-18. პროპოზიციას შორის არის განმარტებითი ხასიათის და მათ შორის მიმართებას გამოხატავს დამატებითი შინაარსის (იგულისხმება კონექტორი dass) უკავშირო დამოკიდებული წინადადება.
- მიმართება 18-19. პროპოზიციას შორის არის დამაზუსტებელი ანუ მიმანიშნებელი/განმსაზღვრელი ხასიათის და გამოხატულია მიმართებითი კონექტორით was.
- მიმართება 19.-20. პროპოზიციას შორის არის ადიტიური/მაკავშირებელი ხასიათის და გამოხატულია მაერთებელი კავშირით und.

პროპოზიციების შინაარსი მიანიშნებს ცნებებზე, როგორც მოცემული პროპოზიციული სტრუქტურის რეფერენციულ ელემენტებზე (v.Polenz 1985: 167-174), სადაც მათი სემანტიკური როლები შემდეგნაირად არის განაწილებული:

1. აგენსი (AG), რომელიც უშუალოდ ასრულებს აქტივობას:
 - Wir (→AG) schrieben frei [...]
 - Wir (→AG) dachten
 - Wir (→AG) haben [...] angegriffen
 - Wir (→AG) sind [...] eingetreten
 - Wir (→AG) kritisieren [...]
 - Wir (→AG) meinen
 - Alle (→AG) äußern sich [...]
 - Die Redaktion (→AG) vertritt [...]
 - Sie(=die Redaktion) (→AG) schreibt [...]
2. პაციენსი (PAT), რომელიც ექვემდებარება აქტივობას:
 - Eine [...] Gereiztheit (→ PAT) ist ausgebrochen
 - Wir haben Besatzungsmächte (→ PAT) angegriffen
 - Wir haben die Nürnberger Prozesse (→ PAT) durchlichtet
 - Wir kritisieren den Kanzer (→ PAT)
 - Die Redaktion vertritt die Meinung (→ PAT)
3. შემავსებელი სიტყვა, რომელიც სუბიექტის პოზიციას იკავებს (Expletivum):
 - Es (→ Expletivum) sind [...] Politiker
 - Es (→Expletivum) sind Fachleute
4. ლოკაცია, როგორც აქტივობის მიზანი (Goal):
 - Zu bedeutenden Fragen (→GOAL) können sich alle äußern

5. ლოკაცია, როგორც მდგომარეობის, პროცესის, აქტივობის სივრცობრივი პოზიციონირება (LOC):
 - Wir schrieben [...] in der ZEIT (→LOC)
6. ბენეფიციენტი (BEN) - ის, ვისთვისაც სრულდება აქტივობა და ვინც აქტივობისაგან სარგებელს იღებს:
 - Wir sind [...] für Außenpolitik ADENAUERS (→BEN) eingetreten

გამონათქვამები შედგება სამეტყველო აქტებისაგან, რომელთათვისაც ტიპობრივია, რომ ისინი ხორციელდება ადრესანტის კონკრეტული ინტენციით (Searle 1984, Meibauer 2002: 228-238), რაც აისახება როგორც ადრესანტზე/ავტორზე ასევე ადრესატზეც. პირველ და მეშვიდე გამონათქვამებში, ასევე მეხუთე გამონათქვამის საწყის ნაწილში (*[...] Wir sind hier von jeher für die oft heftig angefochtene Außenpolitik ADENAUERS eingetreten,*) სახეზეა ასერტიული სამეტყველო აქტი (Assertiva), სადაც გამონათქვამების შინაარსი ორიენტირებულია ობიექტურ რეალობაზე, რაც ავტორის მიერ გადმოცემულ ფაქტებთან მაქსიმალურ შესაბამისობაშია. მეორე და მეოთხე გამონათქვამები, ასევე მეხუთე გამონათქვამის შუა და ბოლო ნაწილები (*aber wir halten es für unser gutes Recht – und für unsere Pflicht - , den Kanzler auch zu kritisieren, wann immer dies sachlich gerechtfertigt ist.*) წარმოდგენილია ვალდებულებითი სამეტყველო აქტით (Kommissiva), სადაც რეალობა ორიენტირებულია გამონათქვამების შინაარსზე და ავტორი საკუთარ თავზე იღებს ქმედების ვალდებულებას, რაც ამ შემთხვევაში მომავალზე არის მიმართული. მესამე გამონათქვამი ექსპრესიულ ხასიათს (Expressiva) ატარებს, სადაც გამონათქვამის შინაარსის რეალობასთან შესაბამისობა არ ფიქსირდება და ის გამოხატავს ავტორის ემოციურ ან სულიერ მდგომარეობას, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებული „გულწრფელობის“ წესების ან ნორმების გათვალისწინებით მოქმედებს. მეექვსე გამონათქვამში სახეზეა დეკლარაციული სამეტყველო აქტი (Deklarativa), სადაც გამონათქვამის შინაარსსა და რეალობას შორის მიმართება ორმხრივია. ავტორი ცდილობს გამონათქვამით შეცვალოს რეალური სურათი გამოთქმული აზრის შესაბამისად, ეყრდნობა რა კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტებს.

საგაზეთო კომენტარი 2: Von Demokraten und Führern

პროპოზიციების ანალიზისათვის შერჩეული ტექსტის მონაკვეთი ზუსტად გადმოსცემს ტექსტის მთავარ სათქმელს:

[...] Niemand daheim achte und verehere ihn (=Adenauer) gebührend [...]. [...]In Deutschland seien eben nur die Verführer populär. [...] Und schon schleicht sich in manche Berichterstattung der Unterton ein: es ist halt typisch für die Deutschen, immer glauben sie an den starken Mann, sie müssen immer einen Führer haben. [...] Die Deutschen können es ihrer Umwelt nicht leicht recht machen [...]. [...] Nun, damit muß man sich abfinden. Schlimmer ist, daß auch im eigenen Land recht konfuse Vorstellungen über die Begriffe Demokrat und Führer herrschen. [...] Sowohl ADENAUER wie OLLENHAUER bieten die absolute Gewähr für eine bedingungslose Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung. [...] Durch die spezifische Form des „Persönlichkeitskults“ wird aus dem Demokrat ein Führer. Das aber stimmt ebensowenig wie die Vorstellung, der Diktator könne zum Demokrat werden [...].

წარმოდგენილი მონაკვეთი შედგება 9 გამონათქვამისაგან:

1. [...] Niemand daheim achte und verehere ihn (=Adenauer) gebührend [...]
2. [...] In Deutschland seien eben nur die Verführer populär.
3. [...] Und schon schleicht sich in manche Berichterstattung der Unterton ein: es ist halt typisch für die Deutschen, immer glauben sie an den starken Mann, sie müssen immer einen Führer haben.
4. [...] Die Deutschen können es ihrer Umwelt nicht leicht recht machen [...]
5. [...] Nun, damit muß man sich abfinden.
6. Schlimmer ist, daß auch im eigenen Land recht konfuse Vorstellungen über die Begriffe Demokrat und Führer herrschen.
7. [...] Sowohl ADENAUER wie OLLENHAUER bieten die absolute Gewähr für eine bedingungslose Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung.
8. [...] Durch die spezifische Form des „Persönlichkeitskults“ wird aus dem Demokrat ein Führer.
9. Das aber stimmt ebensowenig wie die Vorstellung, der Diktator könne zum Demokrat werden [...].

გამონათქვამები ასახავენ ავტორის პოზიციას ომისშემდგომ გერმანიაში განვითარებულ დემოკრატიულ პროცესებთან და ასევე იმ წინასაარჩევნო განწყობებთან დაკავშირებით,

რის შესახებაც იწერებოდა იმდროინდელ გერმანულ და უცხოურ პრესაში. გამონათქვამები შედგება შემდეგი პროპოზიციებისაგან:

1. [Adenauer wird nicht gebührend verehrt]
2. [In Deutschland sind die Verführer populär]
3. [Manche Berichterstattung hat einen Unterton]
4. [Die Deutschen verhalten sich typisch]
5. [Sie(=die Deutschen) glauben an den starken Mann]
6. [Sie(=die Deutschen) mögen einen Führer]
[daß] [daß]
7. [Die Deutschen können ihre Umwelt nicht zufrieden stellen]
8. [Das muß man ertragen]
9. [Es ist schlimm]
10. [Die Vorstellungen über *Demokrat* und *Führer* sind unklar]
(daß)
11. [Adenauer garantiert keine absolute Demokratie]
12. [Ollenhauer bietet keine uneingeschränkte Demokratie]
(sowohl ... wie [auch])
13. [„Persönlichkeitskult“ macht aus einem Demokrat einen Führer]
14. [Die Vorstellung stimmt nicht]
15. [Der Diktator wird nicht zum Demokrat]
[daß]

წარმოდგენილ ტექსტის მონაკვეთში სემანტიკური ხასიათის მიმართებები პროპოზიციათა შორის გადმოიცემა შემდეგი კონექტორების მეშვეობით:

- მიმართებები 4.–5. და 4.–6. პროპოზიციებს შორის არის განმარტებითი ხასიათის და მათ შორის მიმართებას გამოხატავს დამატებითი შინაარსის (იგულისხმება კონექტორი dass) უკავშირო დამოკიდებული წინადადება.
- მიმართება 9.–10. პროპოზიციას შორის არის განმარტებითი ხასიათის და გამოხატულია მაქვემდებარებელი კავშირით dass. მისი გამოყენება მნიშვნელოვანია გამონათქვამებისათვის, სადაც ამ კონექტორის საშუალებით ფიქსირებულია მტკიცებითი ხასიათის შინაარსები.

- მიმართება 11.–12. პროპოზიციას შორის არის შედარებითი ანუ კომპარატიული ხასიათის და გამოხატულია მტკიცებითი შინაარსის ორკომპონენტური მაერთებელი კავშირით sowohl ... wie [auch].
- მიმართება 14.–15. პროპოზიციას შორის არის განმარტებითი ხასიათის და მათ შორის მიმართებას გამოხატავს დამატებითი შინაარსის (იგულისხმება კონექტორი dass) უკავშირო დამოკიდებული წინადადება.

პროპოზიციების შინაარსი მიმართულია კონკრეტულ ცნებებზე, რომლებიც მოიაზრება მოცემული პროპოზიციული სტრუქტურის რეფერენციულ ელემენტებად, სადაც მათი სემანტიკური როლები შემდეგნაირად ნაწილდება:

1. აგენსი (AG), რომელიც უშუალოდ ასრულებს აქტივობას:
 - Die Deutschen (→AG) verhalten sich typisch
 - Sie(=die Deutschen) (→AG) glauben an [...]
 - Die Deutschen (→AG) können [...] nicht zufrieden stellen
 - Das muß man (→AG) ertragen
 - Adenauer (→AG) garantiert [...]
 - Ollenhauer (→AG) bietet [...]
 - Persönlichkeitskult (→AG) macht [...]
 - Die Vorstellung (→AG) stimmt
 - Der Diktator (→AG) wird [...]
2. პაციენსი (PAT), რომელიც ექვემდებარება აქტივობას:
 - Adenauer (→PAT) wird verehrt
 - Manche Berichterstattung hat einen Unterton (→PAT)
 - Die Deutschen können ihre Umwelt (→PAT) nicht zufrieden stellen
 - Das (→PAT) muß man ertragen
 - Adenauer garantiert keine [...] Demokratie (→PAT)
 - Ollenhauer bietet keine [...] Demokratie (→PAT)
 - Persönlichkeitskult macht [...] einen Führer (→PAT)
3. ლოკაცია (LOC), როგორც მდგომარეობის, პროცესის, აქტივობის სივრცობრივი პოზიციონირება:
 - In Deutschland (→LOC) sind die Verführer populär
4. ლოკაცია, როგორც აქტივობის საწყისი წერტილი (Source):
 - Persönlichkeitskult macht aus einem Demokrat (→SRC) einen Führer
5. კონკრეტული პირის, ობიექტის, საგნის და ა.შ. მფლობელი ანუ პოსესორი (POSS):

- Manche Berichterstattung (→POSS) hat einen Unterton
- 6. აქტივობის მონაწილე, რომელიც აღიქვამს და გრძნობს ემოციას (Experiencer):
 - Sie (=die Deutschen) (→EXP) mögen ([lieben]) einen Führer
- 7. სტიმული (STIM) - ის, რასაც/ვისაც აღიქვამენ ან განიცდიან:
 - Sie (=die Deutschen) mögen ([lieben]) einen Führer (→STIM)
- 8. ლოკაცია, როგორც აქტივობის მიზანი (Goal):
 - Der Diktator wird zum Demokrat (→GOAL)

გამონათქვამები შედგება სამეტყველო აქტებისაგან. მათში გამოხატული ინტენცია თანაბრად აისახება ადრესანტზეც/ავტორზეც და ადრესატზეც. პირველი, მეორე, მეოთხე, მეექვსე, მერვე, მეცხრე გამონათქვამები და ასევე მესამე გამონათქვამის საწყისი ნაწილი (*[...] Und schon schleicht sich in manche Berichterstattung der Unterton ein: es ist halt typisch für die Deutschen, immer glauben sie an den starken Mann,*) წარმოდგენილია ასერტიული სამეტყველო აქტით (Assertiva). სამეტყველო აქტი ორიენტირებულია აღწერილი ფაქტების სიზუსტეზე, ანუ ობიექტური სინამდვილის ადექვატურ ასახვაზე, სადაც რეალობა განსაზღვრავს ნათქვამ სიტყვას. მესამე გამონათქვამის ბოლო ნაწილში (*sie müssen immer einen Führer haben*) სახეზეა დირექტიული სამეტყველო აქტი (Direktiva), სადაც რეალობა ორიენტირებულია გამონათქვამზე და ავტორი ცდილობს ადრესატს კონკრეტული ქმედებისაკენ უბიძგოს, რაც ექსპლიციტური ხდება მოდალური ზმნა müssen-ის საშუალებით. მეხუთე და მეშვიდე გამონათქვამები ვალდებულებით ხასიათს (Kommissiva) ატარებენ, სადაც გამონათქვამი განსაზღვრავს რეალობას და იკვეთება მომავალზე ორიენტირებული განზრახვის შესრულების ვალდებულება.

საგაზეთო კომენტარი 3 : Der doppelte Konrad: wenn der CDU-Chef stärker ist als der Kanzler

პროპოზიციების ანალიზისათვის შევარჩიეთ ტექსტის ის მონაკვეთი, რომელიც ზუსტად გამოხატავს ავტორის სათქმელს:

[...]Auf allen Parteitag der Sozialdemokratie spielte die Frage nach Verhältnis zur Wehrpolitik und zur Bundeswehr eine entscheidende Rolle. [...] So muß man es denn aufrichtig begrüßen, daß die SPD sich jetzt entschlossen hat, ihren Parteimitgliedern nahezu legen, in die

Bundeswehr einzutreten. [...] Wie die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ berichtet, hat DR. ADENAUER die Aufforderung der Bundestagsfraktion an die Mitglieder der Sozialdemokratischen Partei, in die Bundeswehr einzutreten, als geradezu unverantwortlich bezeichnet, falls die Sozialdemokraten nicht gleichzeitig bereit seien, der Bundeswehr die notwendigen Waffen zu geben, um einem Angriff entgegentreten zu können. „Die notwendigen Waffen“, damit dürften ja wohl atomare Waffen gemeint sein [...]. [...]Es ist sehr bedauerlich, daß der Parteiführer ADENAUER so eindeutig die Oberhand gewann über den Bundeskanzler ADENAUER. Jene [...] gesprochenen Sätze mögen vom wahltaktischen Standpunkt aus ein Erfolg sein, für das Klima der deutschen Innenpolitik aber waren sie gerade in diesem Moment ganz gewiß schädlich [...].

წარმოდგენილი მონაკვეთი შედგება 6 გამონათქვამისაგან:

1. [...]Auf allen Parteitagen der Sozialdemokratie spielte die Frage nach Verhältnis zur Wehrpolitik und zur Bundeswehr eine entscheidende Rolle.
2. [...] So muß man es denn aufrichtig begrüßen, daß die SPD sich jetzt entschlossen hat, ihren Parteimitgliedern nahezulegen, in die Bundeswehr einzutreten.
3. [...] Wie die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ berichtet, hat DR. ADENAUER die Aufforderung der Bundestagsfraktion an die Mitglieder der Sozialdemokratischen Partei, in die Bundeswehr einzutreten, als geradezu unverantwortlich bezeichnet, falls die Sozialdemokraten nicht gleichzeitig bereit seien, der Bundeswehr die notwendigen Waffen zu geben, um einem Angriff entgegentreten zu können.
4. „Die notwendigen Waffen“, damit dürften ja wohl atomare Waffen gemeint sein [...].
- მიმართება 8.–9. პროპოზიციას შორის არის პირობითი და გამოხატულია კონექტორით wenn, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით შეფასებითი ხასიათისაა და 8. პროპოზიციაში გამოთქმულ შინაარს გარკვეულ პირობას უქვემდებარებს.
- მიმართება 14.–15. პროპოზიციას შორის არის დამაზუსტებელი ხასიათის და ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია მიმართებითი დამოკიდებული წინადადებით, სადაც wer როგორც ნეიტრალური მიმართებითი ნაცვალსახელი განუსაზღვრელ პირებზე მიანიშნებს და ამდენად განმაზოგადებელი ფუნქციის მატარებელია.
- მიმართება 15.–16. პროპოზიციას შორის არის კაუზალური ხასიათის, რომელიც სუბიექტურად არის განპირობებული და გამოხატულია კონექტორით denn. მისი გამოყენება ხაზს უსვამს ავტორის მსჯელობის არგუმენტაციულ ხასიათს.

პროპოზიციების შინაარსი მიმართულია კონკრეტულ ცნებებზე, რომლებიც მოიაზრება მოცემული პროპოზიციული სტრუქტურის რეფერენციულ ელემენტებად, სადაც მათი სემანტიკური როლები შემდეგნაირად ნაწილდება:

1. აგენსი (AG), რომელიც უშუალოდ ასრულებს აქტივობას:
 - Man (→AG) kennt [...]
 - Die einen (→AG) sagen
 - Die anderen (→AG) argumentieren
 - Eine Wende könne Rot-Grün (→AG) bringen
 - Einen Blinden und [...] spannt man (→AG) zusammen
 - Wir (→AG) brauchen [...]
 - Die Leute (→AG) setzen auf Stillstand [...]
 - Die Geschichte (→AG) rast [...] vorüber
 - Die Geschichte (→AG) geht [...] hinweg
2. პაციენსი (PAT), რომელიც ექვემდებარება აქტივობას:

- Daraus erwächst wenig Zugkraft (→PAT)
- Man kennt [...] Meinungen (→PAT)
- Entscheidungen (→PAT) werden getroffen
- Eine Wende (→PAT) könne [...] bringen
- Einen Blinden (→PAT) und einen Lahmen (→PAT) spannt man zusammen

3. ლოკაცია, როგორც აქტივობის საწყისი წერტილი (Source):

- Daraus (→SRC) erwächst wenig Zugkraft

4. სტიმული (STIM) - ის, რასაც/ვისაც აღიქვამენ ან განიცდიან:

- Wir brauchen einen Aufbruch (→STIM)

გამონათქვამები შედგება სამეტყველო აქტებისაგან, სადაც გამოხატულია ავტორის ინტენცია, რომელიც ადრესატებზე აირეკლება. გამონათქვამების უმრავლესობაში სახეზეა ასერტიული სამეტყველო აქტი (Assertiva), სადაც რეალობა განსაზღვრავს გამონათქვამების შინაარსს. პირველ, მეორე და მესამე გამონათქვამებში ავტორი წარმოადგენს საყოველთაო პოზიციას, რომელიც მისაღებია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, რასაც მიაწინებს პროპოზიციების რეფერენციულ ნაწილში განუსაზღვრელი ნაცვალსახელების man, einer გამოყენება. ასერტიული სამეტყველო ფუნქციის მქონე სხვა გამონათქვამები (მეშვიდე, მერვე მეცხრე გამონათქვამი და ასევე მეთექვსმეტე გამონათქვამის ბოლო ნაწილი (*über den geht die Geschichte gnadenlos hinweg – denn die Geschichte ist ein Prozess.[...]*), რომელთა მეშვეობითაც ავტორი ცდილობს არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი შეხედულებები, მის ცხოვრებისეულ ცოდნასა და გამოცდილებას ასახვენ. გამონათქვამები შეიცავენ მტკიცებულებას, რაც რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული. მეოთხე და მეხუთე გამონათქვამები დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ (Deklarativa), სადაც ფიქსირდება ურთიერთმიმართება გამონათქვამების შინაარსსა და რეალობას შორის. ისინი ცხადყოფენ ავტორის დამოკიდებულებას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენისადმი და გამოკვეთენ მის საზოგადოებრივ პოზიციას. გამონათქვამების შინაარსი რეალურ ვითარებას ასახავს და ამავე დროს არსებული სიტუაციის ცვლილებასაც განაპირობებს. მეექვსე გამონათქვამში სახეზეა დირექტიული სამეტყველო აქტი (Direktiva), სადაც რეალობა ორიენტირებულია გამონათქვამზე, ხოლო ზმნა brauchen-ის მეშვეობით ავტორის ინტენცია ადრესატებზეა უშუალოდ მიმართული და მათ კონკრეტული

ქმედებისაკენ უბიძგებს. მეათე გამონათქვამის საწყისი ნაწილი (*Wer darum auf Stillstand und Bewahren setzt*.) წარმოადგენილია ვალდებულებითი სამეტყველო აქტით (*Kommissiva*), სადაც ნათქვამი განსაზღვრავს რეალობას და იკვეთება მომავალზე ორიენტირებული განზრახვის შესრულების ვალდებულება.

ბ) იმპლიკატურები და პრესუპოზიციები

იმპლიკატურებისა და პრესუპოზიციების ანალიზი მნიშვნელოვანია დისკურსული კონტექსტების შესაცნობად, რადგან დისკურსები მსგავსი სტრუქტურის მქონე ტექსტების ნაკრებს წარმოადგენენ და მათ როგორც ზეტექსტურ სტრუქტურებს ტექსტების მსგავსად კოჰერენტულობის პრინციპი აერთიანებთ. კოჰერენტულობა ვლინდება გამონათქვამების პროპოზიციულ შინაარსებში, როგორც ექსპლიციტური ისე იმპლიციტური ფორმით (Spitzmüller/Warnke 2011: 148-149).

იმპლიციტური ხასიათის მინიშნებები, რომლებიც ზოგად ცოდნას უკავშირდება, მნიშვნელოვანია დისკურსის კოჰერენტულობისათვის, რადგან კონკრეტული დისკურსის შემადგენელ ცალკეულ ტექსტებს ან გამონათქვამებს შორის კავშირი არ გამოიხატება მხოლოდ ექსპლიციტური ფორმით. გამონათქვამებში კონკრეტული ფაქტები და მოვლენები არა მხოლოდ ღიად არის განმარტებული, არამედ ინფორმაცია ასევე დაფარული ანუ ირიბი ფორმითაც მიეწოდება ადრესატს. პროპოზიციები მიაწოდებენ ე.წ. „ფონურ ცოდნაზე“, რაც გამონათქვამებში იმპლიციტურად არის თემატიზებული.

საქმე ეხება იმპლიკატურის ცნებას, ანუ მოვლენას, როცა გამონათქვამის შინაარსი ლოგიკურ დასრულებას ან ინფორმაციით შევსებას ექვემდებარება. შესაბამისად იმპლიკატურა ლოგიკური დასკვნის შედეგია, რომელსაც მსმენელი აკეთებს ტექსტში არსებული წანამდღვრებიდან გამომდინარე.

იმპლიკატურებისაგან განსხვავებით პრესუპოზიციული შინაარსები წარმოადგენენ გამონათქვამების უტყუარობის და სინამდვილესთან შესაბამისობის წინაპირობას. პრესუპონირებული ინფორმაცია ეყრდნობა კონვენციურ ცოდნას, რომელიც

დაშვებულია საზოგადოების მხრიდან და ორმხრივად აღიარებულია როგორც პროდუცენტის/ავტორის, ასევე რეციპიენტის მიერ და აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ რეციპიენტმა გაიგოს გამონათქვამის დაფარული აზრი (Meibauer et al. 2002: 212-227). ეს ცოდნა ქმნის ე.წ. „საერთო საფუძველს“ (common ground), რომელსაც ვარნკე/შპიცმიულერი ტექსტსა და სამყაროს ანუ რეალობას შორის მიმართების მენტალურ მოდელს უწოდებენ (mentales Text-Welt-Modell). იგი გასაგები და რეციპიენტისათვის მისაწვდომი ხდება ლოგიკური დასკვნების გაანალიზების შედეგად და ასევე დისკურსის კოჰერენტულობასაც განაპირობებს (Spitzmüller/Warnke 2011: 150).

პრესუპოზიციები, რომლებსაც შეიცავენ დისკურსები, იმპლიკატურებისაგან განსხვავებით იშვიათად არის თემატიზებული. ისინი მოიცავენ ცოდნის იმ ყველა ელემენტს ყოველდღიური გამოცდილების ჩათვლით, რაც ტექსტის გაგების წინაპირობას ქმნის. გამონათქვამებში პრესუპონირებული ცოდნა მხოლოდ ნაწილობრივ იკვეთება მოცემული კონტექსტიდან და ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაში აისახება (Bendel Larcher 2015: 78-79).

ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეულ ტექსტის მონაკვეთებში სახეზეა ერთი მხრივ შინაარსები, რომლებიც გამონათქვამების ლოგიკიდან გამომდინარეობს და მათში ნაგულისხმევი ინფორმაციით შევსებას ექვემდებარება, ანუ იმპლიკატურები და მეორე მხრივ შინაარსები, რომლებიც სავარაუდოდ წინაპირობის არსებობაზე მიაწინებენ, რაც შეთანხმებული და აღიარებულია კონკრეტულ სოციუმში, ანუ პრესუპოზიციები.

გამონათქვამებში, რომელიც საანალიზოდ შეირჩა, იკითხება შემდეგი **იმპლიციური შინაარსები**:

საგაზეთო კომენტარი 1: Meine Meinung, deine Meinung

პირველი გამონათქვამი: ადამიანები, რომლებიც განსხვავებულად აზროვნებენ, არ უყვართ;

მეორე გამონათქვამი: გაზეთის (იგულისხმება DIE ZEIT) თანამშრომლებისათვის პრიორიტეტულია გამოხატვის თავისუფლება;

მესამე გამონათქვამი: ჟურნალისტს გაბედულება არ უნდა აკლდეს;

მეოთხე გამონათქვამი: ჟურნალისტი მოვალეა თანაბრად გააშუქოს როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური მოვლენები;

მეხუთე გამონათქვამი: ჟურნალისტისთვის აუცილებელია საქმიანი და ობიექტური კრიტიკა, რომელიც ჯანსაღად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე;

მეექვსე გამონათქვამი: თავისუფალი გაზეთის ფურცლები ეთმობა ყველას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ;

მეშვიდე გამონათქვამი: სარედაქციო პოლიტიკა ხელშეუხებელია.

საგაზეთო კომენტარი 2: Von Demokraten und Führern

პირველი გამონათქვამი: საკუთარ ქვეყანაში აღიარების მოპოვებას დამსახურება სჭირდება;

მეორე გამონათქვამი: ადვილია, პოლიტიკოსს თავი აცდუნებინო;

მესამე გამონათქვამი: გერმანელებს სამართავად ძლიერი ხელი სჭირდებათ;

მეოთხე და მეხუთე გამონათქვამები: გარე სამყარო გერმანელებს აღარ ენდობა და ამ ფაქტის გათავისებაა საჭირო;

მეექვსე გამონათქვამი: ცნებების ბუნდოვანება გაურკვევლობის და შესაბამისად ქაოსის მომტანია;

მეშვიდე გამონათქვამი: დემოკრატიის შენარჩუნება რთული პროცესია;

მერვე და მეცხრე გამონათქვამები: პოლიტიკოსი ბუნებით ან დემოკრატია და ან დიქტატორი.

საგაზეთო კომენტარი 3 : Der doppelte Konrad: wenn der CDU-Chef stärker ist als der Kanzler

პირველი გამონათქვამი: ქვეყნის თავდაცვა და შეიარაღება საპარლამენტო პარტიისათვის (იგულისხმება SPD - გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) პროპრიეტული ხდება;

მეორე გამონათქვამი: პარტიის ასეთი პოზიცია საზოგადოების უმეტეს ნაწილში მოწონებას იმსახურებს;

მესამე და მეოთხე გამონათქვამები: კანცლერისათვის სოციალ-დემოკრატების განაცხადი პოპულისტურ ნათქვამად და დემაგოგიად დარჩება, თუ პარტიამ ფინანსურადაც არ იზრუნა ქვეყნის უსაფრთხოებაზე;

მეხუთე გამონათქვამი: კანცლერი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვიწროპარტიული ინტერესებით;

მეექვსე გამონათქვამი: ქვეყნის შიდა საქმეებზე აქცენტის გაკეთება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმატებული საარჩევნო კამპანია.

საგაზეთო კომენტარი 4: Konrad Adenauers großer Entschluss zur richtigen Stunde

პირველი გამონათქვამი: კანცლერი ყოველთვის გულისხმიერად და ტაქტიანად მოქმედებს და მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრობს;

მეორე გამონათქვამი: მოსალოდნელია ვითარება დაიძაბოს და მესაჭის მოვალეობაა გემის მართვა;

მესამე გამონათქვამი: მიღებული გადაწყვეტილება დამაჯერებელია და ვითარება კონტროლს ექვემდებარება;

მეოთხე გამონათქვამი: არსებობენ ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომლებიც გააგრძელებენ მთავრობის მიერ გაცხადებულ/არჩეულ კურსს და ბუნებრივ

კატასტროფებს, თუ მათ პოლიტიკურ სივრცეში გადმოვიტანთ, მძიმე შედეგების გამოწვევა შეუძლიათ.

საგაზეთო კომენტარი 5: Mit dem Volke spielt man nicht: großer Mann – was nun?

პირველი გამონათქვამი: მიღებული გადაწყვეტილების შესაცვლელად უფრო დამაჯერებელი არგუმენტების მოძიებაა საჭირო;

მეორე გამონათქვამი: მიღებული გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ქვეყნის იმიჯის შემლახველია;

მესამე გამონათქვამი: მიღებულმა გადაწყვეტილებამ სერიოზულად დააზიანა კანცლერის საშინაო ავტორიტეტი;

მეოთხე გამონათქვამი: მიღებული გადაწყვეტილების გამო ეჭვის ქვეშ დადგა ზოგადად ავტორიტეტის ცნება;

მეხუთე გამონათქვამი: ქვეყნის განახლების პროცესისათვის არასწორი პოლიტიკური ნაბიჯი შეიძლება შემაფერხებელი აღმოჩნდეს;

მექვსე და მეშვიდე გამონათქვამები: მცდარი გადაწყვეტილება პოლიტიკური მარცხის პირდაპირპროპორციულია;

მერვე გამონათქვამი: პრველ რიგში ადენაუერის თანაპარტიელები არ უნდა ეგუებოდნენ დემოკრატიის სულ მცირე ხელყოფასაც კი;

მეცხრე გამონათქვამი: კანცლერის პოლიტიკური გუნდი პასუხისმგებელია ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე.

საგაზეთო კომენტარი 6: Das Mass ist voll!

პირველი გამონათქვამი: რთულია პოლიტიკოსის არჩევნების შემდგომი ქმედების წინასწარ გათვლა;

მეორე გამონათქვამი: პოლიტიკური ამბიციების გამო დადებულმა კოალიციურმა შეთანხმებამ შეიძლება არ გაამართლოს;

მესამე გამონათქვამი: გადაწყვეტილების მისაღებად საკუთარი გუნდის წევრებისაგან წინასწარი თანხმობაა საჭირო;

მეოთხე და მეხუთე გამონათქვამები: შეთანხმების დარღვევისათვის გაღებული მსხვერპლი ერთგული თანაპარტიელების ხარჯზე ხდება;

მეექვსე და მეშვიდე გამონათქვამები: ხშირად მცირე მიზეზიც საკმარისია ერთი შეხედვით დალაგებული სიტუაციის ასარევად;

მერვე, მეცხრე და მეთათე გამონათქვამები: შექმნილი სიტუაციის განსამუხტავად საჭიროა ფედერაციის პრეზიდენტმა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება.

საგაზეთო კომენტარი 7: Gewählt, aber nicht gewollt

პირველი და მეორე გამონათქვამები: კანცლერის არჩევნები ჩატარდა;

მესამე გამონათქვამი: არჩევნების უცვლელი შედეგი ამ მოვლენისადმი ინტერესს ანელებს;

მეოთხე გამონათქვამი: ადენაუერის კანცლერად არჩევა დანარჩენი ორი საპარლამენტო ფრაქციისათვისაც (იგულისხმებიან CDU/CSU - ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ქრისტიან-სოციალისტური კავშირი და FDP - თავისუფალი დემოკრატიული პარტია) არასასურველია;

მეხუთე და მეექვსე გამონათქვამები: მთავრობის ფორმირება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს;

მეშვიდე გამონათქვამი: მუდმივად წარსულში ძიება პროგრესის შემაფერხებელია.

საგაზეთო კომენტარი 8: *Finis Germaniae*

პირველი გამონათქვამი: პოლიტიკოსის ნათქვამი სიტყვა ხალხის გაღიზიანებას არ უნდა იწვევდეს;

მეორე გამონათქვამი: პოზიციასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობას არ უნდა განსაზღვრავდეს მხოლოდ ვიწროპარტიული ინტერესები, მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორიც;

მესამე და მეოთხე გამონათქვამები: კარგად გათვლილი საარჩევნო კამპანიისათვის შემდეგი ოქროს წესი მოქმედებს: ჭკვიანურად გამოიყენე მოწინააღმდეგის შეცდომა.

საგაზეთო კომენტარი 9: *Brief aus dem Süden*

პირველი გამონათქვამი: საზოგადოებაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები დიდი სამთავრობო კოალიციის შესახებ;

მეორე გამონათქვამი: კოალიცია მიიღებს და განახორციელებს მთელ რიგ საჭირო გადაწყვეტილებას;

მესამე გამონათქვამი: კოალიციის შექმნის წინაპირობაა თვალსაჩინო და მკვეთრი ცვლილებები სამთავრობო პოლიტიკაში;

მეოთხე გამონათქვამი: სასურველია გერმანიის სოციალისტური პარტიისა და გერმანიის მწვანეთა პარტიის ალიანსი;

მეხუთე გამონათქვამი: სხვა ალტერნატიული სამთავრობო კოალიცია (თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP), ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (CDU) და ქრისტიან-სოციალისტური კავშირი (CSU)) ნაკლებად ეფექტური იქნება;

მეექვსე გამონათქვამი: საჭიროა გარდამტეხი ცვლილებები საზოგადოებრივ ცნობიერებაში;

მეშვიდე გამონათქვამი: პარტიულ იდეოლოგიაზე მნიშვნელოვანი, პოლიტიკური აუცილებლობით გამოწვეული იძულებითი გაერთიანებაა;

მერვე გამონათქვამი: ისტორია უწყვეტი პროცესია;

მეცხრე გამონათქვამი: მხოლოდ გაბედულ ადამიანებს ეძლევათ ისტორიის შეცვლის შანსი;

მეათე გამონათქვამი: ადამიანები, რომლებიც უმოქმედო და პასიური ცხოვრების წესს ირჩევენ, ისტორიაში კვალს ვერ ტოვებენ.

საგაზეთო კომენტარების ტექსტებში **პრესუპონირებულია ინფორმაცია**, რომელიც ზოგადი კონტექსტის გასაგებად საჭირო ცოდნის იმ ელემენტებს ეფუძნება, რომელთაც რეციპიენტი იღებს როგორც მოცემულობას:

საგაზეთო კომენტარი 1: Meine Meinung, deine Meinung

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: არსებობენ ადამიანები, რომელთაც განსხვავებული აზრი აქვთ და მათთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია (1-ლი და მე-2 გამონათქვამები). ქვეყნისათვის პრიორიტეტულია თავისუფალი და კრიტიკული პრესა (მე-3, მე-4 და მე-5 გამონათქვამები), სადაც ნებისმიერი შეხედულებისა და მრწამსის მქონე მოქალაქეს შეეძლება საკუთარი პოზიციის დაფიქსირება (მე-6 და მე-7 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 2: Von Demokraten und Führern

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც სათავეში უდგას განახლებისა და აღმშენებლობის პროცესს იმ ქვეყანაში, რომელმაც თავისი აგრესიული პოლიტიკით უახლოეს წარსულში ორი ომი მოახვია თავს მსოფლიოს (1-ლი, მე-2 და მე-3 გამონათქვამები), ვალდებულია აღუდგინოს ქვეყანას და მის მოსახლეობას შელახული ავტორიტეტი და ნდობა (მე-4 და მე-5 გამონათქვამები), გაატაროს ზომიერი პოლიტიკა, არ დაუშვას ღირებულებების მორიგი გადაფასება (მე-6 გამონათქვამი) და უზრუნველყოს დემოკრატიული ინსტიტუტების შეუფერხებლად ფუნქციონირება (მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 3 : Der doppelte Konrad: wenn der CDU-Chef stärker ist als der Kanzler

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: შეიარაღებული ძალები და თავდაცვა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საფუძველია და პოლიტიკური პარტია, რომელიც ამ თვალსაზრისს იზიარებს, ამით სახელმწიფო საჯარისო ფორმირებების არსებობის აუცილებლობაზე მიანიშნებს (1-ლი და მე-2 გამონათქვამები). თემები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება, არ უნდა იქცეს დავის საგნად მმართველ და ოპოზიციურ ძალებს შორის (მე-3 და მე-4 გამონათქვამები) და ასევე დაუშვებელია მათი გამოყენება წინასაარჩევნოდ ქულების ჩასაწერად (მე-5 და მე-6 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 4: Konrad Adenauers großer Entschluss zur richtigen Stunde

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: ყოველ ცივილიზებულ სახელმწიფოში არსებობს მმართველობის ცივილიზებული ფორმები და ასევე მმართველი პირები (1-ლი გამონათქვამი), რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო წყობის/წესრიგის შენარჩუნებას (მე-2 გამონათქვამი) და მმართველობის ფორმების თანმიმდევრულ ცვლილებას (მე-3 და მე-4 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 5: Mit dem Volke spielt man nicht: großer Mann – was nun?

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი კეთილგონიერ პოლიტიკოსებსაც კი ხშირად რეალობის ობიექტურად აღქმის უნარს აკარგვინებს (1-ლი გამონათქვამი). ეს კი უარყოფითად აისახება მათ როგორც საშინაო, ისე საგარეო ავტორიტეტზე (მე-2, მე-3 და მე-4 გამონათქვამები). ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნა ასევე ქვეყნის წინსვლასაც აფერხებს, რადგან სახელმწიფო აპარატის სტრუქტურები ნაკლებად ექვემდებარება განახლებას (მე-5 გამონათქვამი), რაც საბოლოო ჯამში ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. ხელისუფლებაში მყოფებს ხშირად ავიწყდებათ, რომ სწორედ ხალხია მათი ხელისუფლების მთავარი წყარო (მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 6: Das Mass ist voll!

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: ერთპიროვნულად და თანაპარტიელებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის მოტივით არის გამართლებული, პოლიტიკოსის არაპროგნოზირებად ქცევას განაპირობებს (1-ლი, მე-2 და მე-3 გამონათქვამები). ეს იწვევს დამაბულობას და სიტუაციის განსამუხტავად არასასურველ დათმობებზე წასვლას საჭირო (მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 გამონათქვამები), რაც საბოლოოდ შეიძლება იმპიჩმენტის მიზეზიც გახდეს (მე-8, მე-9 და მე-10 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 7: Gewählt, aber nicht gewollt

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: არჩევნები, რომელსაც სასურველი ცვლილებები არ მოაქვს, იმედგაცრუებას იწვევს (1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 გამონათქვამები). არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალებიდან ახალი მთავრობის ფორმირების პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს ამომრჩევლებისათვის (მე-5 და მე-6 გამონათქვამები). ქვეყნისათვის პრიორიტეტულია მომავალზე და პროგრესზე ორიენტირებული საზოგადოება (მე-7 გამონათქვამი).

საგაზეთო კომენტარი 8: Finis Germaniae

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: არჩევნები მასში მონაწილე პოლიტიკური ძალებისათვის სერიოზული გამოწვევაა და სწორედ ამიტომაც საარჩევნო კამპანიის პერიოდში ნათქვამ სიტყვას კარგად დაფიქრება სჭირდება, რადგან მან შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს (1-ლი და მე-2 გამონათქვამები) და არჩევნების შედეგებზეც იქონიოს გავლენა (მე-3 და მე-4 გამონათქვამები).

საგაზეთო კომენტარი 9: Brief aus dem Süden

კომენტარში პრესუპონირებული ინფორმაცია: კოალიციური მმართველობა, რომელიც ეფუძნება საპარლამენტო პარტიების ალიანსს არის მმართველობის ის ფორმა, რომელსაც შეუძლია ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებების განხორციელება (1-ლი, მე-

2, მე-3 გამონათქვამები). ქვეყნის კეთილდღეობა პრიორიტეტულია ნებისმიერი მმართველი ძალისათვის (მე-4, მე-5, მე-6, მე-7 გამონათქვამები) და ნებისმიერი საზოგადოების განვითარება უწყვეტი პროცესია, რაც ისტორიას ქმნის (მე-8, მე-9, მე-10 გამონათქვამები).

გ) დეონტური მნიშვნელობა

ტექსტებში უმეტესად წინა პლანზე იწევს მათი დესკრიპციული ფუნქცია, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის ინტენციაც, რომელიც მოქმედების და ქცევის კონკრეტულ ნორმებზე და სტანდარტებზე მიაჩნებს.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ვითარებებისა და გარემოებების რეგულირების ფუნქცია, რომელიც ტიპობრივია მტკიცებითი შინაარსის მქონე პროპოზიციებისათვის და დირექტიულ და ნორმით განსაზღვრულ ქმედებებს ეფუძნება. ფრიც ჰერმანსი ამ ფუნქციას განიხილავს ასევე როგორც სიტყვის მნიშვნელობის მრავალშრიანობის გამოვლინებას ისეთ განზომილებებთან მიმართებაში, როგორცაა ნორმების დადგენა, ვალდებულება, მოვალეობა, ნებადართული ქმედება, აკრძალვა და ა.შ. და ფილოსოფიური ტრადიციიდან გამომდინარე „დეონტურ ან პრესკრიპციულ მნიშვნელობას“ უწოდებს (Hermanns 1986, 1989).

დეონტური მნიშვნელობას ერთი მხრივ პროპოზიციული კონტექსტი, ხოლო მეორე მხრივ სოციალური, ზნეობრივი და ეთიკური ნორმები განაპირობებს. იოზეფ კლაინი თვლის, რომ პოლიტიკური შინაარსის ტექსტებისათვის ტიპიურია გამონათქვამის შინაარსის დეონტიზება, სადაც მნიშვნელობის ემოციურ, შეფასებით და ნორმატიულ ელემენტებს განასხვავებენ, რომლებიც ხშირად რთულ და კომპლექსურ გარემოებებზე მიაჩნებენ და მათ მიმართ დამოკიდებულებას აჩვენებენ (Klein 2009).

დეონტური მნიშვნელობა გადმოიცემა ვალდებულებითი ანუ „უნდა“-ფორმით, რომელიც ენობრივი ფორმების მეშვეობით ვლინდება და მიაჩნებს რეალობას, რომელიც კონკრეტულ ნორმას ან დაშვებას ექვემდებარება (Bendel Larcher 2015: 84).

საანალიზო ტექსტების მონაკვეთები შეიცავენ გამონათქვამებს, სადაც აღწერილია კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარება და გადმოცემულია ფაქტები, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ფაქტების უბრალო კონსტატაცია, არამედ აღიქმება როგორც საზოგადოებრივი ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც მნიშვნელობის ერთ-ერთ, კერძოდ კი დეონტურ განზომილებას წარმოადგენს და შეესაბამება კრიტერიუმებს „საჭირო და აუცილებელი“, „ნებადართული“ და „აკრძალული“(Kirchner 2005).

საგაზეთო კომენტარებში საანალიზოდ შერჩეული გამონათქვამები შეიცავენ მონაკვეთებს/ფრაგმენტებს, სადაც სახეზეა პროპოზიციულ კონტექსტებში გამონათქვამების შინაარსის დეონტიზება:

საგაზეთო კომენტარი 1: **Meine Meinung, deine Meinung**

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:

ა) zu ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქციები:

- [...]Wir haben uns in der ZEIT von Anfang an [...]die Freiheit genommen zu schreiben, was wir dachten. (მეორე გამონათქვამი)
- [...]Wir haben uns in jenen ersten Jahren [...]nicht gescheut, die Besatzungsmächte anzugreifen [...]. (მესამე გამონათქვამი)
- [...]Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchlichten [...]. (მეოთხე გამონათქვამი)
- [...] Wir sind hier von jeher für die oft heftig angefochtene Außenpolitik ADENAUERS eingetreten, aber wir halten es für unser gutes Recht – und für unsere Pflicht - , den Kanzler auch zu kritisieren, wann immer dies sachlich gerechtfertigt ist. (მეხუთე გამონათქვამი)

ბ) მოდალური ზმნა können:

- [...] Wir sind der Meinung, daß zu Fragen von allgemeiner Bedeutung in unserer Zeitung sowohl links- wie rechtsorientierte Politiker oder Fachleute Stellung nehmen können [...]. (მეექვსე გამონათქვამი)

გ) მოდალური ზმნა müssen და haben+zu ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქცია:

- [...]Der Verleger, DR. BUCERIUS, vertritt die Meinung, die Redaktion habe das, was sie schreibt, zu vertreten und müsse darum vollständig frei sein [...]. (მეშვიდე გამონათქვამი)
2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:
- ნებადართული და დაშვებული“ (მეორე, მესამე და მეექვსე გამონათქვამები)
 - „საჭირო და აუცილებელი“ (მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე გამონათქვამები)
3. დეონტური განზომილება:
- კონკრეტული ნების/დაშვების აღსრულების ვალდებულება მეორე, მესამე და მეექვსე გამონათქვამებში;
 - კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე გამონათქვამებში
4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
- ემოციურად არის შეფერილი ზმნა sich scheuen (მესამე გამონათქვამი);
 - ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ შესიტყვებები sich die Freiheit nehmen (=sich erlauben) (მეორე გამონათქვამი), sich mühen (მეოთხე გამონათქვამი), etw. für Recht und Pflicht halten (მეხუთე გამონათქვამი), Stellung nehmen (მეექვსე გამონათქვამი), etw. zu vertreten haben, frei sein müssen (მეშვიდე გამონათქვამი);
 - შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს das seltsame Gestrüpp (მეოთხე გამონათქვამი), heftig angefochtene Außenpolitik Adenauers (მეხუთე გამონათქვამი), vollständig frei (მეშვიდე გამონათქვამი).

საგაზეთო კომენტარი 2: Von Demokraten und Führern

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
- ა) მოდალური ზმნა müssen:
- [...] Und schon schleicht sich in manche Berichterstattung der Unterton ein: es ist halt typisch für die Deutschen, immer glauben sie an den starken Mann, sie müssen immer einen Führer haben. (მესამე გამონათქვამი)
 - [...] Nun, damit muß man sich abfinden. (მეხუთე გამონათქვამი)

ბ) მოდალური ზმნა können:

- [...] Die Deutschen können es ihrer Umwelt nicht leicht recht machen [...] (მეოთხე გამონათქვამი)
- Das aber stimmt ebensowenig wie die Vorstellung, der Diktator könne zum Demokrat werden [...]. (მეცხრე გამონათქვამი)

გ) ნორმატიული შინაარსის შემცველი ზედსართავი bedingungslos და ზმნა bieten, რომელიც განზრახვის ან ვალდებულების საკუთარ თავზე აღებას გამოხატავს:

- [...] Sowohl ADENAUER wie OLLENHAUER bieten die absolute Gewähr für eine bedingungslose Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung (მეშვიდე გამონათქვამი)

2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:

- „საჭირო და აუცილებელი“ (მესამე, მეხუთე, მეშვიდე გამონათქვამები)
- „ნებადართული და დაშვებული“ (მეოთხე და მეცხრე გამონათქვამები)

3. დეონტური განზომილება:

- კონკრეტული ნების/დაშვების აღსრულების ვალდებულება მეოთხე და მეცხრე გამონათქვამებში;
- კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება მესამე, მეხუთე და მეშვიდე გამონათქვამებში

4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:

- ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ შესიტყვებები etw. haben müssen (მესამე გამონათქვამი), es macht j-m/etw. recht (მეოთხე გამონათქვამი), sich mit etw. abfinden (მეხუთე გამონათქვამი), Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung (მეშვიდე გამონათქვამი), zu etw. werden (მეცხრე გამონათქვამი);
- შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს starker Mann (მესამე გამონათქვამი), es macht der Umwelt nicht leicht recht (მეოთხე გამონათქვამი), eine bedingungslose Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung (მეშვიდე გამონათქვამი)

საგაზეთო კომენტარი 3 : Der doppelte Konrad: wenn der CDU-Chef stärker ist als der Kanzler

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
 - ა) მოდალური ზმნა müssen და zu ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქციები, აგრეთვე ზმნები sich entschließen(=ვალდებულების, განზრახვის საკუთარ თავზე აღება) და nahelegen(=სურვილი ან ვალდებულება, ვინმეს კონკრეტული ქმედებისკენ უბიძგო):
 - [...] So muß man es denn aufrichtig begrüßen, daß die SPD sich jetzt entschlossen hat, ihren Parteimitgliedern naheulegen, in die Bundeswehr einzutreten. (მეორე გამონათქვამი)
 - ბ) პირობის აღმნიშვნელი დამოკიდებული წინადადება zu ნაწილაკიანი ინფინიტიურ კონსტრუქციასთან ერთად, აგრეთვე um...zu ინფინიტიური კონსტრუქცია მოდალურ ზმნა können-თან ერთად:
 - [...] Wie die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ berichtet, hat DR. ADENAUER die Aufforderung der Bundestagsfraktion an die Mitglieder der Sozialdemokratischen Partei, in die Bundeswehr einzutreten, als geradezu unverantwortlich bezeichnet, falls die Sozialdemokraten nicht gleichzeitig bereit seien, der Bundeswehr die notwendigen Waffen zu geben, um einem Angriff entgegenzutreten zu können. (მესამე გამონათქვამი)
2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:
 - „საჭირო და აუცილებელი“ (მეორე გამონათქვამის საწყისი ნაწილი და მესამე გამონათქვამის falls კავშირიანი დამოკიდებული წინადადება)
 - „ნებადართული და დაშვებული“ (მეორე და მესამე გამონათქვამების ბოლო ნაწილები)
3. დეონტური განზომილება:
 - კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება მეორე გამონათქვამის საწყის ნაწილში და მესამე გამონათქვამის falls კავშირიან დამოკიდებულ წინადადებაში;

- კონკრეტული დაშვების და ნების აღსრულების ვალდებულება მეორე და მესამე გამონათქვამების ბოლო ნაწილებში
4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
- ემოციურად არის შეფერილი ზმნა begrüßen (მეორე გამონათქვამი);
 - ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ ზმნები და შესიტყვებები sich entschließen, j-n etw. nahelegen, in die Bundeswehr eintreten (მეორე გამონათქვამი), zu etw. bereit sein, etw./j-m entgegentreten (მესამე გამონათქვამი);
 - შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს es aufrichtig begrüßen (მეორე გამონათქვამი), die notwendigen Waffen (მესამე გამონათქვამი)

საგაზეთო კომენტარი 4: Konrad Adenauers großer Entschluss zur richtigen Stunde

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
 - ა) ზმნა leisten(=კონკრეტულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა):
 - Der Kanzler hat immer in Millimetern gemessen und Maßarbeit geleistet (პირველი გამონათქვამი)
 - ბ) მოდალური ზმნა sollen და პირობითობის გამომხატველი წინადადება:
 - Das sollte diejenigen beruhigen, die fürchten, ohne den gewohnten Steuermann würde das Schiff in schwerer See vom sichtbaren Kurs abkommen. (მეორე გამონათქვამი)
 - გ) მოდალური ზმნა können:
 - Daß mithin jüngere Kräfte die Politik der neuen Phase in die Hand nehmen können, ohne daß ein Erdrutsch entsteht. (მეოთხე გამონათქვამი)
2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:
 - „საჭირო და აუცილებელი“ (პირველი და მეორე გამონათქვამები)
 - „ნებადართული და დაშვებული“ (მეოთხე გამონათქვამი)
3. დეონტური განზომილება:

- კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება პირველ და მეორე გამონათქვამებში;
 - კონკრეტული ნებადართული და დაშვებული ქმედების ვალდებულება მეოთხე გამონათქვამში
4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
- ემოციურად არის შეფერილი ზმნები beruhigen, fürchten (მეორე გამონათქვამი);
 - ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ შესიტყვებები in Millimetern messen, Maßarbeit leisten (პირველი გამონათქვამი), etw. in die Hand nehmen (მეოთხე გამონათქვამი);
 - შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს der gewohnte Steuermann (მეორე გამონათქვამი), [...] ohne daß ein Erdrutsch entsteht (მეოთხე გამონათქვამი)

საგაზეთო კომენტარი 5: Mit dem Volke spielt man nicht: großer Mann – was nun?

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
- ა) პირობის აღმნიშვნელი დამოკიდებული წინადადება და ohne...zu ინფინიტიური კონსტრუქცია:
- [...] Es sei angesichts der sich verschlechternden außenpolitischen Lage besser, so sagte er, wenn er bleibe (პირველი გამონათქვამი)
 - [...] In dieser Situation wäre es wirklich eine Schande, wenn die Fraktion [...]die Nichtachtung der Demokratie [...]schweigend duldete, ohne Protest vor der Öffentlichkeit einzulegen. (მეორე გამონათქვამი)
- ბ) ზმნა verlangen(=ვალდებულება, ვინმეს გარკვეული ქმედებისკენ უბიძგო):
- Die Staatsraison der Demokratie verlangt [...], daß die Repräsentanten des Volkes dort rebellieren, wo sich Ansätze von Willkür zeigen und die Institutionen der Republik nicht respektiert werden. (მეცხრე გამონათქვამი)
2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:
- „საჭირო და აუცილებელი“ (პირველი და მეცხრე გამონათქვამები)
 - „აკრძალულია“ (მეორე გამონათქვამი)

3. დეონტური განზომილება:
 - კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება პირველ და მეცხრე გამონათქვამებში;
 - კონკრეტული აკრძალვის ვალდებულება მერვე გამონათქვამში
4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
 - ემოციურად არის შეფერილი შესიტყვება Protest einlegen (მერვე გამონათქვამი);
 - ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ შესიტყვებები და ზმნები angesichts der [...] Lage [...] bleiben (პირველი გამონათქვამი), rebellieren (მეცხრე გამონათქვამი);
 - შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს verschlechternde außenpolitische Lage (პირველი გამონათქვამი), etw. schweigend dulden (მერვე გამონათქვამი)

საგაზეთო კომენტარი 6: Das Mass ist voll!

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
 - ა) მოდალური ზმნა müssen:
 - Merkwürdig, daß es soviel leichter ist, die politische Meinung von 37 Millionen Wählern vorauszusagen als die politischen Handlungen eines einzigen Mannes nach der Wahl, der [...]in seinen politischen Reaktionen doch einigermaßen berechenbar sein müßte. (პირველი გამონათქვამი)
 - [...] Jetzt muß der Bundespräsident [...] von sich aus dem Parlament einen Kanzlerkandidaten vorschlagen. (მეცხრე გამონათქვამი)
 - ბ) zu ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქცია:
 - [...] Der Bundeskanzler, der entschlossen war, um jeden Preis an der Macht zu bleiben, [...]sah sich genötigt, einen Koalitionsvertrag abzuschließen [...]. (მეორე გამონათქვამი)
 - [...] Also: keine Koalitionsverhandlungen, sondern einen Kanzler, der aus allen drei Parteien die fähigsten Männer auffordert, die ihnen gemäßen Posten zu übernehmen [...]. (მეათე გამონათქვამი)
 - გ) ზმნა verlangen(=ვალდებულება, ვინმეს გარკვეული ქმედებისკენ უბიძგო):

- [...] Die FDP, darob erbost, verlangte um so stürmischer ein Opfer[...]. (მეოთხე გამონათქვამი)
- 2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:
 - „საჭირო და აუცილებელი“ (პირველი, მეორე, მეოთხე, მეცხრე და მათე გამონათქვამები)
 - „ნებადართული და დაშვებული“ (მეორე გამონათქვამის საწყისი ნაწილი)
- 3. დეონტური განზომილება:
 - კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება პირველ, მეორე, მეოთხე, მეცხრე და მათე გამონათქვამებში;
 - კონკრეტული ნებადართული და დაშვებული ქმედების ვალდებულება მეორე გამონათქვამის საწყის ნაწილში
- 4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
 - ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ შესიტყვებები berechenbar sein (პირველი გამონათქვამი), an der Macht bleiben, sich genötigt sehen, einen Koalitionsvertrag abschließen (მეორე გამონათქვამი), j-m einen Kandidaten vorschlagen (მეცხრე გამონათქვამი), j-n zu etw. auffordern, den Posten übernehmen (მათე გამონათქვამი);
 - შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს einigermaßen berechenbar (პირველი გამონათქვამი), um jeden Preis (მეორე გამონათქვამი), die fähigsten Männer (მათე გამონათქვამი)

საგაზეთო კომენტარი 7: Gewählt, aber nicht gewollt

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
 - ა) მოდალური ზმნა sollen:
 - Doch sollte man nicht versuchen, die jüngste Vergangenheit zu „bewältigen“, sondern sich möglichst rasch von ihr ab- und der Zukunft zuwenden. (მეშვიდე გამონათქვამი)
2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:

- „აკრძალულია“ (მეშვიდე გამონათქვამი)
- 3. დეონტური განზომილება:
 - კონკრეტული აკრძალვის ვალდებულება მეშვიდე გამონათქვამში
- 4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
 - ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებს შესიტყვება etw. versuchen sollen (მეშვიდე გამონათქვამი)

საგაზეთო კომენტარი 8: *Finis Germaniae*

აღნიშნული საგაზეთო კომენტარის საანალიზოდ შერჩეულ გამონათქვამებში არ ფიქსირდება დეონტური შინაარსის შემცველი ფრაგმენტები.

საგაზეთო კომენტარი 9: *Brief aus dem Süden*

1. დეონტური მნიშვნელობის გამომხატველი ენობრივი ფორმები:
 - ა) პასივური კონსტრუქცია:
 - [...]So sagen die einen, dass Entscheidungen, die längst fällig sind, getroffen und durchgesetzt werden. (მეორე გამონათქვამი)
 - ბ) პირობითობის გამომხატველი წინადადება:
 - Die anderen argumentieren, die Voraussetzung dafür sei der sichtbare Wechsel. (მესამე გამონათქვამი)
 - გ) მოდალური ზმნა können:
 - Eine echte Wende, die könne nur Rot-Grün bringen. (მეოთხე გამონათქვამი)
 - დ) პირობის აღმნიშვნელი დამოკიდებული წინადადება:
 - [...] Wenn man einen Blinden und einen Lahmen zusammenspannt, erwächst daraus wenig Zugkraft. (მეხუთე გამონათქვამი)
2. გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამისი დეონტური კრიტერიუმი:
 - „საჭირო და აუცილებელი“ (მეორე და მესამე გამონათქვამები)
 - „ნებადართული და დაშვებული“ (მეოთხე და მეხუთე გამონათქვამები)
3. დეონტური განზომილება:

- კონკრეტულ ნორმებს დაქვემდებარებული ვალდებულება მეორე და მესამე გამონათქვამებში;
 - კონკრეტული ნებადართული და დაშვებული ქმედების ვალდებულება მეოთხე და მეხუთე გამონათქვამებში
4. პერსონალური დამოკიდებულების გამომხატველი დეონტური მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ:
- ნორმატიულ-ვალდებულებით ხასიათს ატარებენ შესიტყვებები Entscheidungen treffen und durchsetzen (მეორე გამონათქვამი), etw. ist die Voraussetzung für...(მესამე გამონათქვამი), eine Wende bringen (მეოთხე გამონათქვამი);
 - შეფასებითი ელფერი აქვთ შესიტყვებებს der sichtbare Wechsel (მესამე გამონათქვამი), eine echte Wende (მეოთხე გამონათქვამი).

დ) რიტორიკული ტროპები და ფიგურები

მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკას, სტილისტიკასთან და ტექსტის ლინგვისტიკასთან ერთად, უშუალო გავლენა აქვს დისკურსის ლინგვისტიკაზე, დისკურსის ლინგვისტურ ანალიზს ვერ გავაიგივებთ ტექსტების რიტორიკულ-სტილისტიკურ ანალიზთან. დისკურსის ლინგვისტიკის ძირეული ინტერესის საგანს ენის ტრანსტექსტუალური სტრუქტურების კვლევა წარმოადგენს, რაც ბევრად სცილდება რიტორიკული და სტილისტიკური საშუალებების გამოყენებით გამონათქვამების სტრუქტურული აგებულების კვლევის ფარგლებს, რადგან რიტორიკული და სტილისტიკური ფენომენების გაანალიზება მხოლოდ ტექსტის დონეზეა შესაძლებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ლინგვისტურმა სტილისტიკამ შეიმუშავა ტრანსტექსტუალური, სოციალური სტილის ცნება და ამდენად მისი მიზნები ნაწილობრივ ემთხვევა დისკურსის ლინგვისტიკის მიზნებს.

გერმანელი ლინგვისტი მარტინ ვენგელერი თვლის, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დისკურსი საერთო თემატიკის მქონე ტექსტების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა აღწერა რიტორიკული და სტილისტიკური კატეგორიების

გამოყენებით ხდება, მაშინ ყველა ის ენობრივი ერთეული, რომელიც ინტერპრეტირებადია როგორც რიტორიკული ან სტილისტიკური ფენომენი, ასევე დაექვემდებარება დისკურსულ-ლინგვისტურ ანალიზს (Wengeler 2009: 1631).

ავსტრიელი ლინგვისტის მარტინ რაიზიგლის აზრით, გამონათქვამების რიტორიკული ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დისკურსულ-ლინგვისტური ინტერესების უკეთ შეცნობა და განმარტება. დისკურსის ლინგვისტიკა თანაბრად შეისწავლის როგორც გამონათქვამების ფორმირების თავისებურებებს, ასევე ენობრივი ფორმების კონკრეტულ კონტექსტში წარმოქმნისა და არსებობის პირობებს (Reisigl 2007).

გერმანელი ლინგვისტი ანგელიკა ლინკე სტილის ცნებაში მოიაზრებს ტიპობრივი და განმეორებადი ენობრივი ფორმების არჩევანს და თვლის, რომ დისკურსის ლინგვისტური ანალიზის ზოგიერთი კატეგორია (მაგ. მეტაფორა, ტოპოსი) ტრადიციული რიტორიკიდან იღებს სათავეს, თუმცა ეს კატეგორიები დისკურსებში შემეცნების სხვა პერსპექტივიდან განიხილება და მათი ინტერპრეტაცია სხვა კუთხით ხორციელდება, ვიდრე ეს რიტორიკასა და სტილისტიკაშია მიღებული (Linke 2003: 42) (იხ. ქვეთავები 3.2.2.3 - მეტაფორული ველი და 3.2.4.2).

დისკურსში რიტორიკული ტროპები და ფიგურები წარმოადგენენ გამომსახველობით საშუალებებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დისკურსული გამონათქვამების ენობრივი ფორმირების პროცესში.

ინტრატექსტუალური დონის ანალიზი უფრო დაზუსტებული და კონკრეტული ხდება, თუ კვლევის პროცესში რიტორიკულ და სტილისტიკურ ენობრივ ფენომენებსაც გავითვალისწინებთ.

ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეული საგაზეთო კომენტარების ტექსტები შედგება ენობრივი ერთეულებისაგან, რომელთა აღწერა რიტორიკული და სტილისტიკური კატეგორიებით არის შესაძლებელი. ანალიზისას იკვეთება მათი ფუნქცია, რომელიც ტექსტების დისკურსულ მთლიანობას განაპირობებს.

ანალიზის საფუძველზე საგაზეთო კომენტარებში ვლინდება რიტორიკული ტროპებისა და ფიგურების შემდეგი ფუნქციური ჯგუფები:

1. აღწერილობითი სტილისტიკური საშუალებები:

ა) *ემფაზა*, რაც სიტყვის განსაკუთრებულად ხაზგასმას გულისხმობს. ემფაზის მაგალითებად უნდა ჩაითვალოს საგაზეთო კომენტარებში პოლიტიკოსებისა და ცნობილი ადამიანების სახელების ერთი ზომის დიდი შრიფტის შემცირებული ფორმით ანუ კაპიტელით დაწერა და ამ გზით მათზე ყურადღების გამახვილება, რაც აძლიერებს ტექსტის ემოციურ გამომხატველობას, მაგ.: **ROBERT KEMPNER, KONRAD ADENAUER, HERBERT WEHNER, WALTER ULBRICHT, HELMUT SCHMIDT, EUGEN GERSTENMAIER, LUDWIG ERHARD** და ა.შ.

ბ) *ჰიპერბოლის* გამოყენება კონკრეტულ მოვლენას უარყოფითი თვალსაზრისით გადაჭარბებულად წარმოადგენს:

- „Eine Meinung, die sich mit der eigenen nicht deckt, wird [...] **als Verrat an der guten Sache** [...] geächtet.“ (საგაზეთო კომენტარი 1)

გ) სიტყვის ან გამოთქმის შემცვლელად, რომელიც მოცემულ ენობრივ კონტექსტში უსიამოვნოდ და უხეშად მიიჩნევა და რომელსაც უარყოფით ვითარებას შელამაზებულად ან შერბილებული ფორმით წარმოადგენს, გამოყენებულია *ევფემიზმი*:

- „Jene merkwürdige, unheilvolle Abart des **Byzantinismus** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)

წარმოდგენილ მაგალითში სიტყვა Byzantinismus (=ქედის მოხრა) ანაცვლებს უფრო მკვეთრი და ხისტი შინაარსის მქონე სიტყვებს, როგორცაა Schmeichlerei (=ქლესაობა) ან kriecherische Unterwerfung(=პირფერობა), რითაც შენიღბულია მისი უარყოფითი კონოტაციით გამოყენება, თუმცა ისინი ერთი და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებენ.

დ) *ანტონომასია*, როცა სახეზეა საკუთარი სახელის პერიფრაზირება:

- „[...] sie kennen **den großen alten Mann** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „[...] wenn sie die [...] Ausführungen des **grand old man** [...] zur Kenntnis genommen haben.“ (საგაზეთო კომენტარი 2)

წარმოდგენილ მაგალითებში ფრაზებით **der große alte Mann** და **grand old man** ავტორი მიანიშნებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კონრად ადენაუერის პიროვნებაზე, რითაც მის მიმართ ამ კონტექსტში გარკვეულწილად კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს.

2. ლექსიკური მარაგის გამომხატველი სტილისტიკური საშუალებები:

ა) ლექსიკური *არქაიზმის* ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ წინდებულ über-ის ჩანაცვლება მისი მოძველებული და ხმარებიდან გამოსული ფორმით *ob*. იგი ავტორის მიერ გამოიყენება როგორც სტილისტიკური ხერხი, რომელიც საანალიზო ტექსტში კანცლერ ადენაუერისა და მისი მინისტრთა კაბინეტის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ ირონიული განწყობის გადმოცემას ემსახურება:

- „Als in der vorigen Woche die CDU-Fraktion **ob** solcher Bevormundung zu meutern begann, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „Die FDP, **darob** erbost, verlangte um so stürmischer ein Opfer – [...]“ (საგაზეთო კომენტარი 6)

ბ) საგაზეთო კომენტარებში გვხვდება ავტორისეული *ნეოლოგიზმები*. სიტყვათწარმოებითი დერივაციის გზით ავტორი ენაში ამკვიდრებს ახალ შესიტყვებებს ახალი საგნების ან მოვლენების აღსანიშნავად:

- „Wir haben die **Zweckpredigten** der SPD zum Thema Atomkrieg (<Schluß mit Atomkrieg – wählt SPD>) kritisiert, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „[...] man spricht oft von der **Regierungsmaschinerie** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „Die Fraktion ist [...] zu zwar zornigen, aber doch zu **Ja-Sagern** abgestempelt worden.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „Da fragten sich die **Regierungsmacher** nicht etwa: Wer ist [...] der beste Außenminister, [...]?“ (საგაზეთო კომენტარი 6)

გ) ტექსტებში სახეზეა *კონოტაცია*, ანუ სიტყვის, როგორც ენობრივი ერთეულის, დამატებითი, თანამდევნი მნიშვნელობით გამოყენება:

- “[...] wie **ein Rädchen zwangsläufig in das andere greift**, wie keines aus seiner Bahn herauskann [...]” (საგაზეთო კომენტარი 4)

წარმოდგენილ მაგალითში სიტყვის „das Rädchen“ (→ქართ. „ჭანჭიკი“) კონოტაციური მნიშვნელობა დაკავშირებულია უარყოფით ემოციურ ეფექტთან და იწვევს იმ ადამიანის ასოციაციას, რომელიც ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელია.

3. სიტყვების კომბინაცია როგორც სტილისტიკური საშუალება:

ა) *ორმაგი ანუ ბინომიალური ფორმულირება* გამოყენებულია როგორც სტილისტიკური ხერხი, რომელიც წარმოადგენს მოკლე ფრაზეოლოგიზმს, სადაც ანტითეზური ცნებების წყვილი ერთმანეთს ალიტერაციის საშუალებით უკავშირდება:

- „[...] dann soll man gefälligst entweder die As immer kritisieren [...] oder [...] durch **dick und dünn** zu ihnen halten - [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)

ბ) ასევე გვხვდება *ანტითეზა*, როცა ავტორი ცდილობს ოპოზიციური წყვილების და გამოხატვის ექსპრესიული საშუალებების გამოყენებით რეციპიენტის ყურადღება უშუალოდ კონტრასტზე მიმართოს:

- „[...] daß zu Fragen von *allgemeiner Bedeutung* in unserer Zeitung sowohl **links- wie rechtsorientierte Politiker** [...] Stellung nehmen können; wir finden, daß es uns zur Ehre gereicht, wenn in der <Zeit> **protestantische Pastoren** und auch **Jesuiten** schreiben [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „Jene in Darmstadt gesprochenen Sätze mögen vom wahltaktischen Standpunkt aus **ein Erfolg sein**, für das Klima der deutschen Innenpolitik aber waren sie gerade in diesem Moment **ganz gewiß schädlich**.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „**Er hat es versucht**, [...] **er hat diesen [...]** Prozeß **nun sogar verhindert**.“ (საგაზეთო კომენტარი 5)

გ) ტექსტებში სახეზეა *ირონია*, როგორც სტილისტიკურ ხერხი. მახვილგონივრული, მწვავე კრიტიკა და თავაზიანობით შენიღბული დაცინვა, რაც ძირითადად კანცლერ

ადენაუერის პერსონისადმი არის მიმართული, გამოხატულია ენობრივი საშუალებებით, რომლებიც ირონიულ ელფერს ანიჭებენ ტექსტებს. ირონიულ ტონს კიდევ უფრო ამძაფრებს ემოციურად შეფერილი ეპითეტების და პირის ნაცვალსახელების (მაგ. მრ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი wir) გამოყენება, რაც ავტორის მიერ ფაქტებისა და მოვლენების სუბიექტურ შეფასებაზე მიანიშნებს:

- „[...] wenn sie die äußerst nüchternen und die Phantasie keineswegs beflügelnden Ausführungen **des grand old man** - [...] zur Kenntnis genommen haben.“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „**Welch staatsmännische Art und Weise**, seinen Nachfolger auf das Kanzleramt vorzubereiten.“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „**Wir haben wieder einen Kanzler**“ (საგაზეთო კომენტარი 7)
- „[...] aber in der Fraktionssitzung **vor dem Angesicht des obersten Herrn**, da gab es [...] Abgeordnete, die sich offen zu ihrer Überzeugung bekannten.“ (საგაზეთო კომენტარი 7)

ავტორისათვის შეფარული ირონიის ობიექტს წარმოადგენენ აგრეთვე პერიოდული გამოცემები, საპარლამენტო პარტიები (CDU, SPD და FDP), არსებული პოლიტიკური ვითარება და მილიტარისტული იდეოლოგია, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანად სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას მიიჩნევს:

- **Mit jenen tiefgründigen Betrachtungen** gesellt sich der <Rheinische Merkur> übrigens zwanglos der Münchener <Soldatenzeitung> zu.“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „Und zwar nicht nur jetzt in der letzten Phase des Wahlkampfes, in der die beiden großen Parteien einander **mit Vorliebe** undemokratische Haltung vorwerfen, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „Aus dem Argwohn gegen den Militarismus und **die <schimmernde Wehr> WILHELMS II.** wurde unbemerkt die Aversion gegen alles Militärische.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „**Es ist eine Lust**, sich in Deutschland mit Politik zu befassen.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „[...] obgleich sie (=FDP) höchstens drei Leute hat, **die man mit gutem Gewissen** zu Ministern machen kann.“ (საგაზეთო კომენტარი 6)

დ) საანალიზო ტექსტებში სახეზეა *ალუზია*, როცა ავტორი მინიმუმით მოიხსენიებს ცნობილ ფაქტებს, პიროვნებებს ან ლიტერატურულ ნაწარმოებს, რითაც გამოკვეთს კონკრეტულ შინაარსებს:

- „Das aber stimmt ebensowenig wie die Vorstellung, **der Diktator könne zum Demokraten werden dadurch, daß er die KZs verschweigt und von sozialen Errungenschaften redet.**“ - ალუზია იოსებ სტალინზე - (საგაზეთო კომენტარი 2)
- „[...] wenn es jemand übernimmt, der all das nicht nur an Eigenschaften, sondern vor allem auch am Renommee mitbringt, **was in jenem Haus nicht entstehen kann.**“ - ალუზია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციაზე - (საგაზეთო კომენტარი 4)
- Mit dem Volke spielt man nicht: **Grosser Mann – was nun?** - მეხუთე საგაზეთო კომენტარის სათაური, სადაც ავტორი მიანიშნებს ჰანს ფალადას ცნობილი რომანის სათაურზე: Kleiner Mann – was nun?
- **Der Recke aus dem Sachsenwald und der Rheinische Fuchs** - მეხუთე საგაზეთო კომენტარის ქვესათაური, სადაც ავტორი მიანიშნებს პირველ რაიხსკანცლერ ოტო ფონ ბისმარკზე (Der Recke aus dem Sachsenwald) და კანცლერ კონრად ადენაუერზე (der Rheinische Fuchs)
- Untertanengeist verbrämt mit **Nibelungentreue** - მეხუთე საგაზეთო კომენტარის ქვესათაური, სადაც ავტორი მიანიშნებს შუა საუკუნეების გერმანულ საგმირო ეპოსზე
- „Wer dächte da nicht an **Hamlets Phantasien und des Polonius Echo.**“ - ალუზია უილიამ შექსპირის ტრაგედიაზე (საგაზეთო კომენტარი 5)
- „**Wenn man einen Blinden und einen Lahmen zusammenspannt**, erwächst daraus wenig Zugkraft.“ - ალუზია მოკავშირე პარტიების CDU/CSU ალიანსზე.

4. გამეორების სტილისტიკური საშუალებები:

ა) საანალიზო ტექსტებში გამოყენებულია *გემინაცია*, როგორც სტილისტიკური ხერხი, როცა სახეზეა წინადადებაში სიტყვების გამეორება-გაორმაგება:

- „**Immer und immer** wieder ist in den verschiedensten Gremien um die Einstellung zu diesen Fragen schwer gerungen worden.“ (საგაზეთო კომენტარი 3)

ბ) ტექსტებში გვხვდება ასევე *ალიტერაცია*, როგორც გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება, როდესაც ხდება სიტყვების საწყისი ბგერების გამეორება წინადადებაში, რასაც ავტორი

არა მხოლოდ კეთილზმომავანებისათვის, არამედ რეციპიენტზე ემოციური ზემოქმედებისათვისაც იყენებს:

- „[...] aber nicht dieses unentschlossene **Hin und Her!**“
- „[...] seine **Gegner und Gegenspieler** genau **zu kennen** und sie einschätzen **zu können.**“
(საგაზეთო კომენტარი 1)

გ) საგაზეთო კომენტარების ტექსტებში სახეზეა ორ ან მეტ ერთმანეთის მომდევნო წინადადებაში ერთნაირი წევრების ერთნაირი განლაგება ანუ *პარალელიზმი*, როცა ტექსტში მეორდება ერთგვაროვანი სინტაქსური კონსტრუქციები. ამ სტილისტიკური ხერხით ავტორი უზრუნველყოფს შინაარსის მეტ სიცხადეს, რაც შესაბამისად უფრო აძლიერებს ტექსტის ემოციურობას:

- “ [...] **mit einer ganz bestimmten Vorstellung von Deutschland** vor Augen und **einem ganz bestimmten Bild vom Menschen** im Herzen.” (საგაზეთო კომენტარი 1)
- „ **Sprach** 's, **griff** ohne Zaudern zum Bleistift und **strich** kurzerhand das Dokument zusammen, [...] “ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „[...] ein Bundeskanzler und ein Vizekanzler **waidwund**, der Außenminister **tot**, und alle Institutionen „**angekratzt**“ [...]“ (საგაზეთო კომენტარი 6)

დ) საანალიზო ტექსტებში არანაკლებ მნიშვნელოვანია *გამეორება*, როგორც სტილისტიკური ხერხი, როცა ავტორი შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით შეგნებულად იმეორებს სიტყვებს ან გამოთქმებს:

- „ [...] es steige einem die **Zornesröte** ins Gesicht, wenn man KONRAD ADENAUERS Nürnberger Rede höre, [...] „**Zornesröte**“, weil unseres Erachtens der deutsche Kanzler [...] dem ganzen Volke verantwortlich ist.“
- „In der Bundesrepublik gibt es **niemand, aber auch wirklich niemand**, der ULBRICHT so genau kennt [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „[...] den Entschluß zu fassen, **sein Amt** in Frage zu stellen; in wahrstem Sinne des Wortes **sein Amt**, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „ [...] „Wenn die SPD die Regierung übernimmt, so bedeutet das **den Untergang Deutschlands**“ – wörtlich: **den Untergang Deutschlands!** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 8)
- მესამე საგაზეთო კომენტარის ერთ აბზაცში სიტყვა „die Waffe“ (→ქართ. „იარაღი“) ექვსჯერ მეორდება - die notwendigen **Waffen**, atomare **Waffen**,

Atomwaffen, Waffen, notwendige Waffen, Atomwaffen - რაც ავტორის ნათქვამს უფრო დამაჯერებელს ხდის და აძლიერებს იმ ზემოქმედების ეფექტს, რასაც ავტორის აზრი იწვევს მკითხველში.

ე) ტექსტებში *ანაფორის* გამოყენებით ძირითადი აქცენტი კეთდება გამონათქვამების შინაარსობრივ მხარეზე. ფრაზის დასაწყისში ცალკეული სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფების გამეორებით ავტორი ცდილობს კონკრეტული აზრების, ფაქტების ან ვითარებების წინ წამოწევას:

- „[...] und schildern, **wie** die Bevölkerung in den Straßen Spalier bildet, **wie** die Teilnehmer der Wahlversammlung sich erheben [...]“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „**Stellt man aber die Frage**, welche Waffen für Deutschland „notwendige Waffen“ sind [...], **stellt man die Frage** so, dann läßt sie sich nicht beantworten.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- “[...] **Jetzt** geht’s los, **jetzt** lohnt es sich.”
- “[...] **seid** nicht kleinmütig, **seid** voller Hoffnung.“ (საგაზეთო კომენტარი 9)

ვ) ავტორი ტექსტებში იყენებს *აკუმულაციას*, როგორც სტილისტიკურ ხერხს:

- “[...] **seine Reaktionen, sein Gespür für Macht, seine Beharrlichkeit und Instinkt** festzuhalten [...]” (საგაზეთო კომენტარი 4)
- „Unter seiner Regierung wurde aus einem zusammengetriebenen Haufen **zerlumppter, geflüchteter, ausgebombter, hungernder, verängstigter** Menschen eine [...] bürgerliche Gesellschaft [...]“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „Keiner der unmittelbar Beteiligten wird die vielen **Schachzüge, Erpressungen, Intrigen, das Mißtrauen, die Enttäuschungen und vielen Kränkungen** dieser Wochen vergessen können.“ (საგაზეთო კომენტარი 6)

ზ) საგაზეთო კომენტარებში ასევე სახეზეა *ტრიკოლონი*, გამეორების სამწევრა რიტორიკული ფიგურა:

- „[...] und seither mit unendlicher **Mühe, Hege und Pflege** wenigstens in den Grundzügen wiederhergestellt, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „Die FDP hat alle Prognosen über dieses „Zünglein an der Waage“ lückenlos gerechtfertigt: **Ehrgeiz, Opportunismus, Skrupellosigkeit**, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 6).

5. სტილისტიკური საშუალებები წინადადების აგებულებისა და წინადადების ტიპების ფარგლებში:

ა) საანალიზო ტექსტებში ხშირია *ჰიპოტაქსი*, ანუ რთული წინადადებების ბმული, რომელიც შედგება სხვადასხვა ხარისხის მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან. ავტორის მიერ ამ სტილისტიკური ხერხის გამოყენება უფრო კომპლექსურად და დეტალურად წარმოადგენს საგაზეთო კომენტარების თემატიკას:

- „Und wehe dem, der weder den Standpunkt von A teilt, noch dessen Gegner B zustimmt, sondern der es sich leistet, unter Umständen an beiden Ansichten etwas Richtiges zu finden oder auch die Nachteile und vielleicht die Anfechtbarkeit beider Meinungen zu sehen – von ihm heißt es ganz gewiß, er habe keine Linie!“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „Und zwar nicht nur jetzt in der letzten Phase des Wahlkampfes, in der die beiden großen Parteien einander mit Vorliebe undemokratische Haltung vorwerfen, obgleich doch eine der wenigen Tatsachen, auf die man sich verlassen kann, die ist, daß sowohl ADENAUER wie OLLENHAUER die absolute Gewähr für eine bedingungslose Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung bieten.“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „Wie die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ berichtet, hat DR. ADENAUER die Aufforderung der Bundestagsfraktion an die Mitglieder der Sozialdemokratischen Partei, in die Bundeswehr einzutreten, als geradezu unverantwortlich bezeichnet, falls die Sozialdemokraten nicht gleichzeitig bereit seien, der Bundeswehr die nötigen Waffen zu geben, um einem Angriff entgegenzutreten zu können.“ (საგაზეთო კომენტარი 3)

ბ) ტექსტებში გამოყენებულია შემოკლების სტილისტიკური ხერხი, რაც გამოხატულია *ელიფსისის* მეშვეობით, როცა წინადადებაში ერთი ან რამოდენიმე სიტყვის გამოტოვება მასში გამოთქმულ აზრს ლაკონიურს და შესაბამისად უფრო მეტყველს ხდის, რითაც ავტორი რეციპიენტს უმდაფრებს რეალობასთან სიახლოვის განცდას:

- „[...] dann soll man [...] durch dick und dünn zu ihnen halten – aber nicht dieses „unentschlossene Hin und Her!“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- Der Vizekanzler ist schwer blessiert – Ausgang noch ungewiß.“ (საგაზეთო კომენტარი 5)

- „Soweit das eindrucksvolle Fazit der letzten sechs Wochen in der Bundeshauptstadt.“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „Wir haben wieder einen Kanzler. **Endlich.**“ (საგაზეთო კომენტარი 7)

გ) იმ სტილისტიკურ საშუალებათაგან, რომლებიც ენის სინტაქსური სტრუქტურის ჩარჩოებშია მოქცეული, საანალიზო ტექსტებში ყველაზე ხშირია ავტორის მიერ *პარენტეზის*, ანუ ჩადგმული, ჩამატებული ინფორმაციის შემცველი წინადადების გამოყენება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ავტორისათვის ეს ინფორმაცია განსაკუთრებულად პრიორიტეტულია:

- „Wir haben uns in der „Zeit“ von Anfang an – **das war gewissermaßen das Gesetz, wonach wir 1946 antraten** – die Freiheit genommen zu schreiben, was wir dachten.“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „[...] andernfalls (**also wenn von ihm zu viel die Rede ist**) werde eben [...] aus dem Demokrat ein Führer.“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „Angesichts solcher Vorstellungen ist es wirklich bewegend zu sehen, wieviel Spontaneität – **und das heißt doch nicht nur Geist, sondern auch Menschlichkeit** – ungeachtet aller Bürokratie am Werke sind.“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „Die Fraktion ist – **von ein paar Ausnahmen abgesehen** – zu zwar zornigen, aber doch ui Ja-Sagern abgestempelt worden.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „[...] wir – **die Regierenden und das Volk** – stehen ratlos am Ufer [...]“ (საგაზეთო კომენტარი 9)

დ) საანალიზო ტექსტებში სტილისტიკურ ნიუანსს ქმნის *ინვერსიული სიტყვათწყობა*, როცა ავტორი წინადადებაში სიტყვებს გადაადგილებს მათი დადგენილი რიგის საწინააღმდეგოდ:

- „**Selten nur werden** die Starken von ihren Gegnern erledigt.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „[...] **nichts dergleichen geschah** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 9)

ე) საგაზეთო კომენტარების ტექსტებში ასევე სახეზეა *სინტაქსური პროლეფსისი*, ანუ მთავარი წინადადების არსებითი სახელის ნაცვალსახელური ფორმით ჩანაცვლება დამოკიდებულ წინადადებაში:

- „**Eine echte Wende, die** könne nur Rot-Grün bringen.“ (საგაზეთო კომენტარი 9).

6. სტილისტიკურ საშუალებათა გამომხატველობა/ხატოვანება:

ა) ავტორი საანალიზო ტექსტებში იყენებს *პერსონიფიკაციას*, ანუ გაპიროვნებას, როგორც სტილისტიკურ ხერხს, როდესაც ადამიანური თვისებები საგნებზე და მოვლენებზეა გადატანილი მათი უფრო კონკრეტულად წარმოსახვის მიზნით:

- „In der letzten Woche **hat sich der „Rheinische Merkur“ wortreich darüber empört**, daß [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „Und schon **schleicht sich** in manche Berichterstattung **der Unterton ein**: [...]“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „[...] es **wäre diese Staatskrise** vielleicht **an uns vorübergegangen**.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „[...] auch im Wahlkampf **hat diese Regel schon ihre Gültigkeit bewiesen**.“ (საგაზეთო კომენტარი 8)
- „[...] **rast die Geschichte** an uns vorüber [...]“
- „[...] über den **geht die Geschichte gnadenlos hinweg** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 9)

ბ) საანალიზო ტექსტებში ხშირია საგნების, მოვლენების ან შინაარსების ერთმანეთთან *შედარება*:

- „[...] wird **er als Schirmherr und Wächter der Bundesrepublik** noch lange wirken können.“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „Freilich ist kaum anzunehmen, daß ein **so loyaler Geist wie ERHARD** seine Hebelstellung zu solchem Druck benutzt, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „[...] **so ruhige, besonnene Politiker wie Wilhelm Kaisen und Otto Suhr** sagten das Essen beim Bundesrat ab, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 8)
- „**[Geschichte] wie ein reißender Strom** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 9)

გ) საგაზეთო კომენტარებში ავტორი კონკრეტულ მოვლენებს *ალეგორიული ფორმით* წარმოგვიდგენს, როდესაც გადაკრულად ნათქვამით იგი ნიღბავს საკუთარ აზრს, მაგრამ ამავდროულად მას სურს კონკრეტული შინაარსის გამოკვეთა:

- „Die SPD hat es nicht leicht. **Seit den Tagen des Hauptmanns von Köpenick** war für sie das Bekenntnis zum Zivillisten oberstes Gebot.“ (საგაზეთო კომენტარი 3)

წარმოდგენილი მაგალითი არის ალეგორია ფრიდრიჰ ვილჰელმ ფოიგტის ისტორიაზე⁹, რომელიც ცნობილი გახდა როგორც „კეპენიკის კაპიტანი“. ამ ფორმით ავტორს სურს მიანიშნოს გერმანულ-პრუსიულ მილიტარიზმზე და გერმანელი სამხედროების დომინანტურ როლზე როგორც იმდროინდელი გერმანიის პოლიტიკურ სისტემაში, ასევე საზოგადოებაშიც.

- “ [...] **ohne den gewohnten Steuermann** würde das Schiff in schwerer See vom sichtbaren Kurs abkommen.” - ალეგორია კანცლერ კონრად ადენაუერზე - (საგაზეთო კომენტარი 4)

დ) საანალიზო ტექსტებში საკმაოდ ხშირია *მეტაფორების* მეშვეობით რეალობის წარმოდგენა, რაც მკითხველში გარკვეულ ასოციაციებს თუ ანალოგიებს იწვევს:

- „Wir mühten uns, **das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchlichten**, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „Offenbar aber meinen viele, ein Demokrat müsse wie **ein Veilchen im Verborgenen blühen**, [...]“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „[...] gerade die Einsichtigen in der SPD **mit einem Eimer kalten Wassers zu übergießen**.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „Er [...] hat nicht versucht, **den Personalkredit „Konrad Adenauer“ in einen Realkredit „Bundesrepublik Deutschland“ umzuwandeln**.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „Das Kabinett [...] würde, dergestalt **an die Leine gelegt, zu einem Verein von Hampelmännern werden**.“ (საგაზეთო კომენტარი 6)

ე) საანალიზო სტატიებში გვხვდება *ფრაზეოლოგიზმები* და *სიტყვათშენაერთები*, რომლებიც ძირითადად სალიტერატურო ენისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ხშირად პოლიტიკურ კონტექსტებშიც გამოიყენებიან. ისინი მაღალი ექსპრესიულობით გამოირჩევიან, რაც გამონათქვამების ხატოვანებას აძლიერებს. მათი გამოყენებით

⁹ 1906 წლის 16 ოქტომბერს კაპიტნის ფორმაში გადაცმულმა ფოიგტმა ჯარისკაცების რაზმთან ერთად თაღლითური გზით შეაღწია ბერლინთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ კეპენიკის მერიამში, დააპატიმრა ქალაქის მერი და გამარცხა ქალაქის ხაზინა. ამ ფაქტმა დიდი საზოგადო ინტერესი გამოიწვია და გერმანულ ენაში დამკვიდრდა როგორც გამოთქმა - „Köpenickiade“ („კეპენიკიადა“), რომელიც აღნიშნავს თაღლითობის ფორმას, როდესაც თანამდებობის უკანონო მითვისებით ცდილობენ მორჩილებაში ამყოფონ სხვები. (Jeck, M. Auf allerhöchsten Befehl. 12. Oktober 2006/Quelle: DIE ZEIT, 42/2006. Online im Internet: URL: https://www.zeit.de/2006/42/Auf_allerhoechsten_Befehl [Stand- 2018-08-30])

ავტორი ხაზს უსვამს და გამოკვეთს პოლიტიკურ შინაარსებს, რომლებიც სოციალური ურთიერთობების დონეზე ტრანსფორმირდებიან:

- keine Linie haben
- ins Blaue hineindenken (საგაზეთო კომენტარი 1)
- Spalier bilden
- etw. Zur Kenntnis nehmen (საგაზეთო კომენტარი 2)
- die Oberhand gewinnen (საგაზეთო კომენტარი 3)
- aus heiterem Himmel
- aus der Bahn herauskönnen(=geraten) (საგაზეთო კომენტარი 4)
- in alter Frische
- bis auf den letzten Rest (საგაზეთო კომენტარი 5)
- j-m als Zielscheibe dienen
- um jeden Preis (საგაზეთო კომენტარი 6)
- etw./ einer Sache Ausdruck verleihen (საგაზეთო კომენტარი 7)
- es besteht Einigkeit über etw. (საგაზეთო კომენტარი 8)
- j-m. zur Last werden/fallen
- etw. in die Hand nehmen (საგაზეთო კომენტარი 9)

7. პერსუასიული ეფექტის შემქმნელი სტილისტიკური საშუალებები:

რეციპიენტზე ზემოქმედებისათვის საანალიზო ტექსტებში ავტორი იყენებს სტილისტიკურ საშუალებებს, რათა მიზანმიმართულად წამოწიოს კონკრეტული შინაარსები, მაგ.:

ა) *რიტორიკული და სუბესტიური შეკითხვების* საშუალებით, რომლებიც გამოკვეთენ კონკრეტული გამონათქვამების მნიშვნელობას. მათი გამოყენებით ავტორი უშუალოდ მიმართავს რეციპიენტს, უბიძგებს მას გარკვეული ქმედებისაკენ ან გავლენას ახდენს მის აზრზე:

- „[...] **Aber die Fortsetzung? Wer wird in Zukunft noch das Wort des demokratischen Regierungschefs ernst nehmen können, der erst das Grundgesetz ändern wollte, [...] schließlich aber [...] erklärte, daß er wegen der gleichen Kontinuität Bundeskanzler bleiben müßte?**“ (საგაზეთო კომენტარი 5)

- „Kann man sich vorstellen, daß der vom Kanzler so geschätzte *Macmillan* je sagen [...] würde, Englands Untergang stehe bevor, wenn Labour ihn ablöse?“ (საგაზეთო კომენტარი 8)
- „Man fragt sich, was wird erst losgehen, wenn man sich nunmehr den „Personalfragen“ zuwendet?“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „[...] wir [...] stehen ratlos am Ufer und fragen, wo der uns wohl hinträgt?“ (საგაზეთო კომენტარი 9)

წარმოდგენილი მაგალითებით ავტორი არამარტო აღწერს ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ აფასებს კიდევ მათ.

ბ)რეციპიენტზე უფრო ძლიერი ზეგავლენის მოსახდენად ავტორი საანალიზო ტექსტებში იყენებს შემდეგ სტრატეგიას: იმოწმებს ანდაზებს, *ცნობილ ავტორიტეტებს* ან ახდენს მათ *ციტირებას*:

- „Wes' Brot ich eß, des' Lied ich sing“¹⁰ - ავტორი ანდაზის ციტირებას ახდენს პრესის თავისუფლებასთან კავშირში (საგაზეთო კომენტარი 1)
- „[...] und so läßt denn die Bereitschaft der „Genossen und Funktionäre im Lande“ [...] noch zu wünschen übrig.“ - ციტატა ფრიც ერლერის გამოსვლიდან, რომელიც წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, იყო ექსპერტი თავდაცვის საკითხებში და გარკვეულ პერიოდში პარტიის სავარაუდო კანდიდატი კანცლერის პოსტზე - (საგაზეთო კომენტარი 3)
- „[...] der Bundeskanzler habe sein Mandat vom Volk erhalten ... „bis Gott ihm das Ruder aus der Hand nimmt“!“ - ადენაუერის მთავრობის ტრანსპორტის მინისტრ ჰანს-კრისტოფ ზეებომის ციტირება - (საგაზეთო კომენტარი 5)
- „Habemus Papam - [...]“ - ფრაზა ციტირებულია ტექსტიდან, რომელსაც ამბობს კარდინალ-პროტოდიაკონი, მას შემდეგ რაც ცნობილი ხდება რომის პაპის ვინაობა, პაპის არჩევნების წარმატებით დამთავრების შემდეგ (საგაზეთო კომენტარი 7)

¹⁰ ეს ანდაზა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც საუკუნეების წინ. ის ლათინური წარმოშობისაა და უკავშირდება სულიერი მამის, ეგბერტ ფონ ლიუტიხის სახელს და მოიხსენიება მისი ანდაზების, იგავ-არაკებისა და სატირული მოთხრობების კრებულში (1022-1024 წწ.). მოგვიანებით ის გვხვდება მე-16 ს.-ის ანდაზების კრებულში და ასევე მარტინ ლუთერის ნაწერებშიც (Scholze-Stubenrecht/Steinhauer 2008).

- „[...] **„Wenn die SPD die Regierung übernimmt, so bedeutet das den Untergang Deutschlands“** - [...]“ - ციტატა კონრად ადენაუერის 1957 წლის წინასაარჩევნო პროგრამიდან - (საგაზეთო კომენტარი 8)
- „Das Motto **„Verweile doch, du bist so schön“** gilt für sie nicht.“ - ციტატა გოეთეს „ფაუსტიდან“ (საგაზეთო კომენტარი 9)

ციტატების გამოყენებით ავტორს სურს საკუთარი მოსაზრება გააძლიეროს, რათა რეციპიენტმა ირწმუნოს მსჯელობის სანდოობა და ობიექტურობა. საანალიზო ტექსტებში ციტატების მეშვეობით ხდება ტექსტის თემის განზოგადება; ისინი ავტორის პერსპექტივიდან არის ინტეგრირებული, რაც ღია სივრცეს გვთავაზობს ავტორის სუბიექტურობისათვის.

გსტილისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, როგორცაა მაგალითად *გრამატიკული კილოს ცვლილება* ასევე ქმნის პერსუასიულ-მანიპულაციურ ეფექტს. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ავტორი საანალიზო ტექსტებში იყენებს *ირიბ ნათქვამს* როგორც სტილისტიკური გამომსახველობის ფორმას:

- „[...] Feldherren **gewönnen** ihre Schlachten meist deshalb, weil der Gegner Fehler **mache**, und nur selten deshalb, weil sie überlegen **seien** – auch im Wahlkampf hat diese Regel schon oft ihre Gültigkeit bewiesen.“ (საგაზეთო კომენტარი 8)

კონდიციონალისის ფორმების გამოყენებით ავტორი გამოთქვამს ეჭვებს და ვარაუდებს იმ მოვლენებთან და ვითარებებთან დაკავშირებით, რომლებიც მომავალზეა გათვლილი:

- „[...] ein Wechsel der Regierung **würde** daher nicht wie in Deutschland eine totale Veränderung der außenpolitischen Linie **mit sich bringen** [...] „
- „[...] daß die SPD eine solche Veränderung auch tatsächlich **durchführen würde** [...]“
- „[...] daß die Opposition das Konzept der Außenpolitik **verderben würde** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 8)

დ)მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების სარწმუნო სახით გადმოსაცემად საანალიზო ტექსტებში გამოყენებულია *ზედსართავი სახელები*,

რომლებიც მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოხატავენ ავტორის პოზიციას და ამასთანავე *ქმნიან ადენაუერის ეპოქის დისკურსულ ხაზს*:

- falsche, unberechtigte Meinung, unverbesserliche Nazis, heftig angefochtene Politik Adenauers, historisches Versäumnis, wahltaktischer Standpunkt, verständigungsbereite und gemäßigte Kräfte, parteipolitischer Frieden, antipräsidential angelegte Verfassung, höchste Ämter, zornige Ja-Sager, überwundene Skepsis, unendliche Mühe, neidische Gegner, verachteter und rauchender Trümmerhaufen, geachteter Staat, schwere soziale Spannungen, zufriedene Gesellschaft, staatsmännische Art und Weise, unschlagbares Team, schwierige Zeiten, unwürdige Schachrei, überraschend errungener Wahlsieg, unmittelbare Beteiligte, deprimierende Erfahrungen, neuerliche Kandidatur Adenauers, jüngste Vergangenheit, grundlegender Unterschied, letzte Ereignisse, unbrauchbare Regierungsform, totale Veränderung, ruhige, besonnene Politiker, entscheidender Wahlsonntag, konkurrierende Meinungen, große Umbrüche და სხვა.

3.2.2.3. ტექსტის სტრუქტურის თავისებურებები

ტექსტის თემატურ და შინაარსობრივ შემადგენლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დისკურსის ლინგვისტური კვლევის პროცესში. დისკურსული სტრუქტურების ფორმირებისას ტექსტში წამყვანი ხდება „თემა“ და „თემის დამუშავება“. შესაბამისად, ტექსტის სტრუქტურაზე ორიენტირებული ანალიზისას წინა პლანზეა ტექსტის ფორმალური მახასიათებლები და მათი სემანტიკური ფუნქცია (Konerding 2009: 171).

წინამდებარე ქვეთავში ჩვენს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილია შემდეგი დისკურსულ-ლინგვისტური კატეგორიები: **ტექსტის სახეობა, ტექსტის ფუნქცია, ტექსტის თემის გაშლა, არგუმენტაციული სტრუქტურები, იზოტოპიური ჯაჭვები, თემატური ოპოზიციები და მეტაფორული ველი.**

ა) ტექსტის სახეობა

საანალიზო ტექსტები წარმოადგენენ საგაზეთო კომენტარებს და მიეკუთვნებიან პერსუასიული ფუნქციის მქონე ჟურნალისტური ტექსტის სახეობას - კომენტარს, რომელშიც წამყვანი ფუნქცია ენიჭება აზრის გადმოცემა-შეფასებას. კომენტარები

ხშირად აგებულია კონკრეტულ მოვლენაზე ან ისეთ თემაზე, რომელზეც მიმდინარეობს საზოგადოებრივი დისკუსია. კომენტარის ავტორი კარგად უნდა ფლობდეს იმ ინფორმაციას, რომელიც პრიორიტეტულია საზოგადოებისათვის. „კომენტარში განმარტავენ თემის მნიშვნელოვნებას, ახდენენ მისი შინაარსის ინტერპრეტირებას მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით; კომენტარი გვთავაზობს კომბინაციებს, სადაც შეჯერებულია განსხვავებული მოსაზრებები და გათვალისწინებულია სხვადასხვა პოზიციები მოცემულ თემასთან დაკავშირებით, რაც ეხმარება მკითხველს შეიქმნას სრული წარმოდგენა მიმდინარე მოვლენასთან დაკავშირებით“ (ABC des Journalismus 1990: 109).

ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეული საგაზეთო კომენტარების ციკლი, სადაც მარიონ დენჰოფი აშუქებს ისეთ საკამათო საკითხს, როგორცაა არჩევნები და წინასაარჩევნო გარემო და აღწერს ვითარებას, რომელიც როგორც პოლიტიკური მოვლენა მნიშვნელოვანი და რეზონანსული აღმოჩნდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დასავლეთგერმანული საზოგადოებისთვის: საკუთრივ, კონრად ადენაუერის კანდიდატურის წამოყენება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად (იხ. დანართში საგაზეთო კომენტარი 4). კომენტარების თემატიკა ეხმიანება იმდროინდელი მკითხველის ინტერესებს. ავტორის მიერ კომენტარებში გამოთქმული მოსაზრებების მიზანია მკითხველმა შეძლოს ვითარების ობიექტური შეფასება და რეალური ორიენტირების დასახვა დასმულ საკითხთან მიმართებაში.

როგორც შინაარსის, ასევე ენობრივი ფორმულირების თვალსაზრისით კომენტარებისათვის ტიპობრივია მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების სხვადასხვა კუთხით გაშუქება, მათი ძირითადი არსის გადმოცემა და უფრო ფართო კონტექსტში წარმოდგენა. ავტორი საკუთარი პოზიციიდან აღწერს საზოგადოებისათვის აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს, ახდენს მათ ინტერპრეტაციას და შეფასებას, სადაც იგი ძირითადად ეყრდნობა იმ ფონურ ინფორმაციულ მასალას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. კომენტარები არ შეიცავენ ჭარბ

ინფორმაციას, რადგან იგულისხმება, რომ მკითხველი თემის შესახებ ფაქტობრივად ინფორმირებულია და მას დაფიქრებისკენ, განსჯისკენ და კონკრეტული ქმედებისაკენ მოუწოდებენ.

კომენტარებში ავტორი მოკლედ აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ ასევე წარმოადგენს განსხვავებულ თვალსაზრისებსაც. იგი შემოიფარგლება რამდენიმე დამაჯერებელი და წონიანი არგუმენტით, აფასებს მიმდინარე მოვლენებს და ნაკლებად იძლევა რჩევებს ან საერთოდ თავს იკავებს რეკომენდაციებისაგან.

კომენტარებში თემატიზებულია ავტორის რეფლექსიები პოლემიკის ფორმით. მათში წარმოდგენილი ყველა თემა პოლიტიკურად რელევანტურია, რაც საზოგადოების დიდი ნაწილის დაინტერესებას იწვევს, ავტორი სთავაზობს მათ მოვლენების ხედვის განსხვავებულ პერსპექტივას და ახდენს მკითხველის პროვოცირებას. ავტორისათვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მკითხველმა შეძლოს კომენტარებში გამოთქმული მოსაზრებების გათავისება, რისთვისაც იგი ცდილობს კომპლექსური და რთული ვითარებები მათთვის მისაღები, გამარტივებული და განზოგადებული ფორმით წარმოადგინოს.

ცნობილი მედიამკვლევარი ვალტერ ფონ ლა როში განასხვავებს სამი ტიპის კომენტარს: ა) არგუმენტაციული კომენტარი, როცა ავტორი საკუთარ მოსაზრებას არგუმენტებით ამყარებს, ბ) არაორაზროვანი ანუ „პირდაპირ“-კომენტარი, როცა მოცემულობიდან გამომდინარე აღარ ხდება არგუმენტირება და სახეზეა მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი ქება ან კრიტიკა, გ) „ერთი მხრივ/მეორე მხრივ“-კომენტარი, როცა ავტორი საზოგადოებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებს განსხვავებული მოსაზრებების ჭრილში წარმოადგენს (La Roche 2006). კლასიფიკაციის ამ მოდელის გათვალისწინებით საანალიზოდ წარმოდგენილი მარიონ დენჰოფის ტექსტები ავლენენ როგორც არგუმენტაციული, ასევე „ერთი მხრივ/მეორე მხრივ“-კომენტარის ნიშან-თვისებებს, შესაბამისად, სახეზეა ორივე სახეობის კომენტარის მახასიათებლები: ავტორი ცდილობს მკითხველი საკუთარი შეფასებების სისწორეში დაარწმუნოს, ამისათვის მას მოჰყავს

საფუძვლიანი არგუმენტები და განსხვავებული ალტერნატივები, წინა პლანზე იწევს განსახილველი თემის კომპლექსურობა და არა მხოლოდ ერთი რომელიმე თვალსაზრისის მხარდაჭერა.

მარიონ დენჰოფის კომენტარების ტექსტის აგებულება (იხ. დანართი) ძირითადად მიყვება და იმეორებს კლასიკური საგაზეთო კომენტარის სტრუქტურას: **სათაური, მოკლე და კომპაქტური შესავალი ნაწილი, მთავარი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი.**

საგაზეთო კომენტარებში **სათაური** როგორც პრესიგნალი იმპლიციტურად მიუთითებს ტექსტის ძირითად არსზე. კომენტარების სათაურები ლაკონური, აქტუალური, ტექსტის შინაარსზე კონცენტრირებული, გასაგები და ემოციურია. მათში საკმაოდ ძლიერად არის გამოხატული ავტორის პოზიცია და ჩანს მისი დამოკიდებულება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში.

კომენტარების **შესავალ ნაწილში** მინიშნება კეთდება კომენტარების თემაზე. ავტორი საკმაოდ ორიგინალურად წარმოადგენს არსებულ ვითარებას, რაც მკითხველში კითხვის გაგრძელების სურვილს აღძრავს.

კომენტარების **მთავარ ნაწილში** ავტორი გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებიც კომენტარების მთავარი გზავნილია. ის აღწერს მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს კონრად ადენაუერის კანცლერის თანამდებობაზე ყოფნის ერთ კონკრეტულ პერიოდში, განიხილავს და აანალიზებს ყველა რელევანტურ ინფორმაციას. აქტუალური თემების გაშუქებისას ავტორი გაბედულად უზიარებს მკითხველს საკუთარ თვალსაზრისს, მისი არგუმენტები ლოგიკურად დასაბუთებული და თანმიმდევრულია. იგი არ ექცევა მის მიერ მკითხველისათვის მიწოდებული ინფორმაციის გავლენის ქვეშ, ცდილობს შეინარჩუნოს გარკვეული დისტანცია და იმისდა მიუხედავად, რომ კომენტარი, როგორც ტექსტის სახეობა ჟურნალისტური გამოხატვის სუბიექტური ფორმაა, ავტორი ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისას.

კომენტარების **დასკვნით ნაწილში** შეჯამებულია არგუმენტაციული მსჯელობის შედეგები. ეს საშუალებას აძლევს მკითხველს შეიქმნას საკუთარი აზრი წარმოდგენილი

პრობლემის ირგვლივ. დასკვნით ნაწილში ავტორი რიგ შემთხვევაში იმეორებს ზოგიერთ მოსაზრებას, რაც ტექსტებს ერთ კომპოზიციურ მთლიანობად წარმოგვიდგენს.

ვინაიდან საგაზეთო კომენტარებში ავტორი ფაქტების კონსტატაციას ახდენს და ნაწილობრივ აფასებს კიდეც მათ, მისი სტილი არის არა თხრობითი, არამედ წარმოადგენს ავტორის სუბიექტური და შეფასებითი დამოკიდებულების გამოვლენას და გამოირჩევა ირონიული, სარკასტული და პოლემიკური ხასიათით. კომენტარებში სახეზეა სადა, უბრალო და გადაუჭარბებელი ფორმულირებები, რაც გამოხატულია ძირითადად მარტივი და საშუალო სტრუქტურის წინადადებებით. ავტორი მინიმალურად იყენებს დარგობრივ ტერმინებსა და უცხო სიტყვებს და რეალურად აღწერს და გადმოსცემს ვითარებას, ამიტომ მისი ენა მკითხველისათვის კარგად გასაგები, ტრანსპარენტული და დინამიურია (იხ. ქვეთავი 3.2.2.2. - რიტორიკული ტროპები და ფიგურები).

მარიონ დენჰოფი, არა როგორც ერთი რიგითი ჟურნალისტი, არამედ გაზეთის DIE ZEIT პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი განსაზღვრავს საანალიზო კომენტარების პოლიტიკურ მიმართულებას და ტონს. მის საგაზეთო კომენტარებში ჩანს, რომ მას აქვს სრული თავისუფლება საკუთარი მოსაზრების და იდეების წარმოსაჩენად, თუმცა მისი საგაზეთო კომენტარები ასევე გამოხატავს გაზეთის ოფიციალურ პოზიციას და ერთ-ერთი ძლიერი იარაღია საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად.

ბ) ტექსტის ფუნქცია

ტექსტის ფუნქცია გააზრებული უნდა იქნეს ტექსტის სახეობასთან მჭიდრო კავშირში. საანალიზო ტექსტები შექმნილია ავტორის კონკრეტული ინტენციით, თუმცა მისი რეალური განზრახვა, ანუ „შეფარული ინტენცია“ (Große 1976) უნდა განვასხვავოთ ტექსტის ფუნქციისგან. გერმანელი ლინგვისტი და ენის მკვლევარი კლაუს ბრინკერი თვლის, რომ ტექსტის ავტორის რეალური განზრახვა შეიძლება შეესაბამებოდეს ტექსტის ფუნქციას, მაგრამ არ არის აუცილებელი ყოველთვის ემთხვეოდეს მას.

ტექსტის ფუნქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ის გარემოება, თუ რისი გამოხატვა ან ჩვენება სურს ავტორს, როცა ის ტექსტის შედგენისას არსებულ კონვენციებს ეყრდნობა. რაც შეეხება ტექსტის ავტორის „შეფარულ ინტენციას“, ის დამოკიდებულია ტექსტში არსებულ მინიშნებებზე, რითაც რეციპიენტს საშუალება ეძლევა მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ავტორზე ან ტექსტში აღწერილ ფაქტებსა და მოვლენებზე (Brinker 2005: 101-104).

ინტენციის ცნებისგან ერთგვარ დისტანცირებას ახდენენ ვარნკე/შპიცმიულერი. მათ მიაჩნიათ, რომ განზრახვის კატეგორიის ფუნქციონალურ-ლინგვისტური კვლევა არ უნდა შედიოდეს დისკურსის ლინგვისტიკის ინტერესების სფეროში, თუმცა ამით ისინი არ უარყოფენ იმ თვალსაზრისს, რომ ტექსტის სტრუქტურა კონკრეტული ფუნქციის მატარებელია. მათი აზრით დისკურსულ-ლინგვისტური კვლევებისათვის მთავარია ის ეფექტი, რითაც ტექსტები კონკრეტულ გარემოზე ზემოქმედებენ (Spitzmüller/Warnke 2011: 161).

რეციპიენტზე ზემოქმედების ეფექტს განიხილავს ასევე ბრინკერი და განასხვავებს მას ტექსტის ფუნქციისაგან. ბრინკერის აზრით ზემოქმედების ეფექტი, ავტორის ინტენციის მსგავსად, არაკონვენციონალიზებული მოვლენაა და იგი შეიძლება იყოს განზრახ ექსპლიციტურად გამოხატული, ან შეფარული, ანუ იმპლიციტურად მოცემული (Brinker 2005: 105).

ჩვენს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ ტექსტებში ავტორი აღწერს სიტუაციურ კონტექსტს, რაც მისაღები და გასაგებია რეციპიენტისთვის და ემყარება როგორც ავტორის, ასევე რეციპიენტის პრესუპოზიციურ ანუ ფონურ ცოდნას. ეს ფაქტორი ტექსტებში ორ, ერთმანეთის შემავსებელ და გადამფარავ ფუნქციაზე მიაწინებს: 1. ტექსტის ინფორმაციული ფუნქცია, როცა ავტორი აღწერს, ფაქტებით ასაბუთებს ან ადასტურებს რეალობას და რეციპიენტს აწვდის ინფორმაციას არსებული ვითარების შესახებ; 2. ტექსტის აპელაციური ფუნქცია, როცა ავტორი გამოხატავს კონკრეტულ დამოკიდებულებებს, განწყობილებებსა და ემოციებს, რითაც ის რეციპიენტს კონკრეტული პოზიციის გაზიარებისკენ ან კონკრეტული ქმედებისაკენ მოუწოდებს.

საანალიზო ტექსტებში ინფორმაციული ფუნქცია, რომელიც დამახასიათებელია ძირითადად ფაქტობრივი ინფორმაციის შემცველი გამონათქვამებისათვის, სრულიად თავსებადია აპელაციურ ფუნქციასთან, რომელიც ტიპობრივია კონკრეტული თვალსაზრისის გადმოცემაზე ორიენტირებული ენობრივი გამოხატვის ფორმებისათვის.

1. საგაზეთო კომენტარების ინფორმაციული ფუნქცია ექსპლიციტური ხდება უმთავრესად:
 - პერფორმატიული ზმნების მეშვეობით: behaupten, beantworten, begründen, bezweifeln, erläutern, definieren, feststellen, in Frage stellen, kritisieren, verweisen, widerlegen და ა.შ.
 - თემატური პარაფრაზების მეშვეობით: Ich bin der Meinung, daß ..., Es ist halt typisch, daß ..., Wie man berichtet, ist/hat ..., Es ist sehr bedauerlich, daß ..., Es wäre eine Schande, daß/wenn ..., Es ist merkwürdig, daß ..., Er heißt ... და ა.შ.
 - მოდალური ზმნების და მოდალური სიტყვების მეშვეობით: sollen, müssen, wollen, können, bestimmt, wahrscheinlich, sicherlich და ა.შ.
2. აპელაციური ფუნქცია გამოხატულია ძირითადად:
 - ინფინიტიური კონსტრუქციების მეშვეობით: Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchlichten [...] ; Der Diktator könne zum Demokrat werden [...] ; Der Bundeskanzler sah sich genötigt, einen Koalitionsvertrag abzuschließen [...] და ა.შ.
 - თემატური პარაფრაზების მეშვეობით: Man verlangt, daß ..., Man sollte [nicht] versuchen, daß ..., Wir brauchen einen Aufbruch ... და ა.შ.

საგაზეთო კომენტარები ერთზე მეტ ადრესატზეა მიმართული. ისინი აპელირებენ როგორც პოლიტიკურად დაინტერესებულ მკითხველთა წრეზე, რომელიც სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს - ე.წ. „საშუალო მკითხველი“, „Archileser“ (Riffatere 1973) - ასევე პოლიტიკურ აქტორებზეც. კომენტარების განხილვის თემას ძირითადად აქტორების ქმედებები წარმოადგენს. ავტორი აცნობს რეციპიენტს აგრეთვე საკუთარ მოსაზრებებს, შეხედულებებსა და პოზიციას. მისი მიზანია, რეციპიენტმა გაიზიაროს არსებული ვითარების მისეული შეფასებაც. ვინაიდან კომენტარებში ავტორი კონკრეტულ

მოვლენას შეფასებების საშუალებით აღწერს, მათ ევალუაციური ანუ შეფასებითი ფუნქციაც მიეწერებათ (Brinker 2005).

საანალიზო ტექსტების ერთ ნაწილში გამოკვეთილია აგრეთვე ავტორის მიზანი - რეციპიენტზე პერსუასიული ზემოქმედება - რაც ასევე თანხვედრაშია ტექსტების დომინანტურ ფუნქციასთან.

დისკურსულ-ლინგვისტური თვალსაზრისით რელევანტურია ის გარემოება, რომ ტექსტის ფუნქცია კონცენტრირებულია არა მარტო ექსპლიციტურად გამოხატულ მაგალითებში, არამედ ის ასევე ვლინდება იმპლიციტურად, პირველ რიგში კი რეციპიენტზე ზემოქმედების ეფექტების სახით (იხ. ქვეთავი 3.2.2.2. - პრესუპოზიციები და იმპლიკატურები).


გ) ტექსტის თემის გაშლა

ტექსტის თემა ზოგადად სტატიკური მოცემულობაა, მაშინ როცა ტექსტის თემის გაშლა ტექსტის სემანტიკურ ასპექტებს დინამიკაში განიხილავს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თუ რა მიმართებებს ავლენენ საანალიზო ტექსტების თემები ერთმანეთთან, რა თანმიმდევრობით და როგორ ხდება მათი განახლება და საერთო დისკურსის ფარგლებში თავმოყრა, როცა ისინი ერთ დისკურსულ მწკრივს ქმნიან. დისკურსის ლინგვისტიკაში ტექსტის თემის გაშლა როგორც საანალიზო კატეგორია, იგივე მეთოდოლოგიას ეყრდნობა, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკაშია მიღებული. ტექსტის თემის გაშლა ინტრატექსტუალურ დონეზე დისკურსულ-ლინგვისტური ანალიზის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც დისკურსის სტრუქტურა ეფუძნება (Spitzmüller/Warnke 2011: 162).

ჩვენს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი საგაზეთო კომენტარებისათვის ავტორს შერჩეული აქვს რეიტინგული თემა, რომელიც ზუსტად ეხმიანება რეციპიენტების ინტერესებს. კომენტარების ანალიზისას ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს წარმოდგენილ ვითარებას და შესაბამისად სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს. საგაზეთო კომენტარებში ტექსტის თემის განვითარება ძირითადად შეესაბამება თემის

გაშლის არგუმენტაციულ მოდელს, რადგან ავტორი საკუთარ, ხშირად საკამათო მოსაზრებას არგუმენტების მეშვეობით ასაბუთებს, რომლებიც თავის მხრივ ტექსტის ფაქტობრივ მოცემულობას ეფუძნებიან. კომენტარებში თემა გადმოცემულია თემის გაშლის დესკრიპციული მოდელის მიხედვითაც. ტექსტის თემის დესკრიპციული განვითარება როგორც წესი სახეზეა ძირითადად ინფორმაციული ხასიათის ტექსტებში, მაგრამ იგი ხშირად წარმოდგენილია ტექსტის თემის გაშლის არგუმენტაციულ მოდელთან ერთად. ის ტიპობრივია აპელაციური ფუნქციის მქონე ტექსტებისთვისაც, როგორც არის საანალიზოდ წარმოდგენილი საგაზეთო კომენტარების ციკლი, სადაც ტექსტის ძირითადი ინფორმაციული ბაზა შექმნილია დესკრიპციული პრინციპით, რომელსაც ეყრდნობა ავტორი არგუმენტაციული მსჯელობისას და მოვლენების შეფასების დროს. ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდიან ტექსტები, წარმოდგენილია არა დინამიკაში, ანუ მოქმედებათა ჯაჭვის სახით, არამედ სტატიკაში. ისინი კონკრეტულ პიროვნებას/პიროვნებებს ან მოვლენებს/ფაქტებს კონკრეტული ვითარების ფონზე აღწერენ (Brinker 2005: 69).

ტექსტის თემის გაშლის არგუმენტაციული და დესკრიპციული მოდელების შეჯერების შედეგად ჩვენ მივიღეთ არგუმენტაციულ-დესკრიპციული მოდელი, რომელიც საანალიზოდ წარმოდგენილ საგაზეთო კომენტარებში სტრუქტურულად შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:



(სქემა შექმნილია ჰაინემანი/ფიევეგერის(1991) და ბრინკერის(2005) მოდელების მიხედვით)

როგორც ვხედავთ, ტექსტში ჩართული ინფორმაცია, ტექსტის მთავარი თეზა და არგუმენტები სიტუაციურ ჩარჩოშია მოქცეული, რომელიც კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტით არის განპირობებული. ავტორი ტექსტის მთავარ თემას მტკიცების, თეზის სახით წარმოადგენს. მტკიცებისას იგი ეყრდნობა ტექსტში ჩართულ ინფორმაციას და ტექსტში მოყვანილ არგუმენტებს. ტექსტში ჩართული ინფორმაცია, რომელიც ტიპობრივია პოლიტიკური შინაარსის მქონე საგაზეთო კომენტარებისათვის, აღწერს კონკრეტულ ფაქტებს და საფუძველს ქმნის მთავარი თეზისა და არგუმენტებისათვის. არგუმენტების ტრანსფორმირება და მათი ლეგიტიმაცია ხდება საბოლოო ლოგიკური დასკვნის სახით, რომელიც ზოგადი ხასიათის გამონათქვამს წარმოადგენს. იგულისხმება, რომ საბოლოო დასკვნა რეციპიენტისათვის მისაღებია, როცა ავტორი საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად კონკრეტულ თეზას ეყრდნობა, რითაც ის საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებზე და სტანდარტებზე (კანონი, ნორმა და ა.შ.) მიაწვდის (Brinker 2005: 80-85).

საანალიზოდ შერჩეულ საგაზეთო კომენტარებში ავტორი განიხილავს მნიშვნელოვან ფაქტებს და მოვლენებს ომისშემდგომი დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრებიდან. იგი მსჯელობს მათ შესაძლო მოტივებსა და შედეგებზე, რითიც რეციპიენტს საშუალება ეძლევა კონკრეტული ტექსტი ერთ მთლიანობად აღიქვას.

ავტორის მიერ კონკრეტული ფაქტების შერჩევა, მათი კომენტარების ტექსტში გამოყენება, პიროვნებებისა და მოვლენების შეფასება/ევალუაცია მეტწილად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. საანალიზო ტექსტებში გამოკვეთილია აღწერის მთავარი ობიექტი, კერძოდ კი კანცლერ კონრად ადენაუერის პიროვნება, რომელიც კომენტარების ციკლის გამაერთიანებელ და წამყვან თემას ქმნის. ავტორი საკმაოდ დეტალურად აღწერს კანცლერის და მის მიერ წარმოებული პოლიტიკის არსებით თვისებრივ მახასიათებლებს, რაც ძირითადად როგორც ზედსართავების, ასევე არსებითი სახელების, მიმღეობების, სიტყვათშენაერთების და ა.შ. გამოყენებით ხდება:

- საგაზეთო კომენტარი 1:
„[...] **heftig** angefochtene Außenpolitik ADENAUERS [...]“

- „ Jene **merkwürdige, unheilvolle Abart** des Byzantinismus [...]“
- საგაზეთო კომენტარი 2:
„[...] da hätten sie nun in KONRAD ADENAUER endlich einen **wirklichen Staatsmann** [...]“

„[...] die äußerst **nüchternen** und die **Phantasie keineswegs beflügelnden Ausführungen** des *grand old man* [...]“
 - საგაზეთო კომენტარი 4:
„Niemand hätte ihm die **jugendliche Kraft** zugetraut [...]“

„[...] sein **Gespür** für Macht, seine **Beharrlichkeit** und seinen **Instinkt** festzuhalten [...]“

„ Der Kanzler hat immer **in Millimetern gemessen** und **Maßarbeit geleistet.**“
 - საგაზეთო კომენტარი 5:
„[...] [der] **Reineke Fuchs** aus dem Rhöndorfer Rosengarten [...]“
 - საგაზეთო კომენტარი 6:
„[...] die **Schlüsselfigur** der Regierungsbildung [...]“

„ Das Kabinett [...] würde [...] zu einem **Verein von Hampelmännern** werden.“

დ) არგუმენტაციული სტრუქტურა

რაც შეეხება საგაზეთო კომენტარების არგუმენტაციულ სტრუქტურას, იგი შემდეგი ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიებით არის წარმოდგენილი:

საგაზეთო კომენტარი 1:

- *სიტუაციური ჩარჩო*: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რიგით მე-3 საპარლამენტო არჩევნების წინა გარემო
- *მთავარი მტკიცება/თეზა*: Jeder besitzt das Recht, seine Meinung frei und unbegrenzt zu äußern (ტექსტის სეგმენტები: 9-13, 27)¹¹
- *არგუმენტები*:
Viele werden gegen Andersdenkende besonders empfindlich (ტექსტის სეგმენტები: 1, 13, 17, 20-22, 25, 26)
Presseangehörige sind verpflichtet alle gesellschaftsrelevanten Themen uneingeschränkt zu behandeln (ტექსტის სეგმენტები: 18, 19)

¹¹ იხ. დანართი

Zu den Fragen von allgemeiner Bedeutung kann jeder in der „ZEIT“ seine Position offen beziehen (ტექსტის სეგმენტი: 24)

- *საბოლოო დასკვნა:* თავისუფალი პრესა - Die Redaktion einer liberalen Zeitung muß vollständig frei sein und der Öffentlichkeit gegenüber immer offene Kritik aussprechen (ტექსტის სეგმენტი: 28)
- *საყრდენი თეზა:* გამოხატვის თავისუფლება - Seit Gründung der „ZEIT“ hatten die Mitarbeiter den freien Willen zu schreiben, was sie dachten (ტექსტის სეგმენტი: 7)

საგაზეთო კომენტარი 2:

- *სიტუაციური ჩარჩო:* საარჩევნო კამპანიის ბოლო ფაზა
- *მთავარი მტკიცება/თეზა:* In Nachkriegsdeutschland waren die demokratischen Strukturen schwer durchzusetzen (ტექსტის სეგმენტი: 8)
- *არგუმენტები:*
Der deutsche Charakter braucht immer eine starke und charismatische Führerpersönlichkeit (ტექსტის სეგმენტები: 3, 5)
Die Deutschen haben einen schlechten Ruf in Europa und sind nicht zuverlässig (ტექსტის სეგმენტი: 6)

In Nachkriegsdeutschland haben die Leute paradoxe Vorstellungen über die Begriffe *Demokrat* und *Führer* (ტექსტის სეგმენტი: 10)

- *საბოლოო დასკვნა:* დემოკრატიის უპირობო შენარჩუნება - Für demokratische Staatsordnung ist eine gemäßigte Haltung seitens Politiker nötig und wünschenswert (ტექსტის სეგმენტი: 4)
- *საყრდენი თეზა:* გაწონასწორებული პოლიტიკა - Das Verhalten der regierenden Parteien kann keine bedingungslose Aufrechterhaltung der Demokratie garantieren (ტექსტის სეგმენტი: 9)

საგაზეთო კომენტარი 3:

- *სიტუაციური ჩარჩო:* გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები ჯარისა და შეიარაღების თემაზე
- *მთავარი მტკიცება/თეზა:* Parteipolitische Auseinandersetzungen äußern sich negativ auf die Zusammenarbeit zwischen CDU und SPD in Fragen der Wehrpolitik (ტექსტის სეგმენტი: 20)
- *არგუმენტები:*

Das geänderte Verhältnis der SPD zur Wehrpolitik und Bundeswehr wird viel kritisiert (ტექსტის სეგმენტი: 13)

Die Entscheidung der Sozialdemokraten kann nicht glaubwürdig geschätzt werden (ტექსტის სეგმენტები: 6, 7)

Die Taktik des Bundeskanzlers gegenüber den politischen Partnern ist weniger bedacht (ტექსტის სეგმენტი: 12)

- *საბოლოო დასკვნა:* შიდაპარტიული შერიგება - Durch friedliches Zusammenwirken der regierenden Parteien kann das Land nur profitieren (ტექსტის სეგმენტები: 18, 19)
- *საყრდენი თეზა:* მმართველი პარტიების მშვიდობიანი თანამშრომლობა - Innerparteiliche Versöhnung ist viel wichtiger als das Wahlergebnis (ტექსტის სეგმენტი: 21)

საგაზეთო კომენტარი 4:

- *სიტუაციური ჩარჩო:* 1959 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში
- *მთავარი მტკიცება/თეზა:* Konrad Adenauer für das Amt des Bundespräsidenten zu nominieren (ტექსტის სეგმენტები: 6, 19)
- *არგუმენტები:*
Der Entschluss kam aus heiterem Himmel, aber er wirkt überzeugend (ტექსტის სეგმენტი: 3)
Mögliche Änderungen können den Lauf der Dinge positiv beeinflussen (ტექსტის სეგმენტი: 9)
Trotz Bürokratie kann man sich spontan entscheiden (ტექსტის სეგმენტები: 17, 18)
- *საბოლოო დასკვნა:* განახლების პოლიტიკა - Die Entscheidung Adenauers kann historisch entscheidend werden und die Politik der neuen Phase einführen (ტექსტის სეგმენტები: 15, 16)
- *საყრდენი თეზა:* შესაძლო რეფორმები - Im Amt des Bundespräsidenten stecken viele unentschlossene Reserven und Einwirkungsmöglichkeiten (ტექსტის სეგმენტები: 10, 11)

საგაზეთო კომენტარი 5:

- *სიტუაციური ჩარჩო:* ფედერალური კანცლერის შეცვლილი გადაწყვეტილება და სახელმწიფო სტრუქტურების კრიზისი

- *მთავარი მტკიცება/თეზა*: Wankelmut und Prinzipienlosigkeit verursachen schwere Folgen für Politiker (ტექსტის სეგმენტები: 3, 6, 7, 8)
- *არგუმენტები*:
Falsche Entscheidung des Kanzlers gefährdet Innen- und Außenpolitik der Bundesregierung (ტექსტის სეგმენტები: 13, 15, 16, 18)
Parallele zu Bismarck sind recht gewagt (ტექსტის სეგმენტები: 21, 23)

Ergebenheit der meisten Bundestagsabgeordneten ist widerlich (ტექსტის სეგმენტები: 34, 49)

Innenpolitische Kämpfe müssen keinesfalls die außenpolitische Stellung des Landes schwächen (ტექსტის სეგმენტი: 53)

Die Auseinandersetzung im Bundestag ist kein Grund für die grundsätzliche Änderung der innenpolitischen Verhältnisse (ტექსტის სეგმენტები: 51, 52)
- *საბოლოო დასკვნა*: უპრინციპობა და მერყეობა - Das Benehmen des Bundeskanzlers war menschenverachtend und rücksichtslos, was beinahe zur Staatskrise führte (ტექსტის სეგმენტები: 30, 33)
- *საყრდენი თეზა*: სახელმწიფო სტრუქტურების კრიზისი - In der Regierung zeigten sich die Ansätze von Herrschsucht und eine besondere Respektlosigkeit gegenüber den Institutionen im Lande (ტექსტის სეგმენტები: 58, 59)

საგაზეთო კომენტარი 6:

- *სიტუაციური ჩარჩო*: 1961 წლის საპარლამენტო არჩევნები
- *მთავარი მტკიცება/თეზა*: Bei der übertriebenen Maßlosigkeit verliert man das Ziel aus den Augen (ტექსტის სეგმენტები: 5, 28, 29, 31, 33, 35)
- *არგუმენტები*:
Politische Handlungen des Kanzlers sind unberechenbar (ტექსტის სეგმენტები: 1, 2, 3)
Ein unerwünschter aber zwingend erforderlicher Schritt zur Koalitionsvereinbarung (ტექსტის სეგმენტი: 6)

Das Streben zur Macht kennt keine Grenzen (ტექსტის სეგმენტები: 11, 12, 14, 16, 17, 25)

Niederträchtige Schacherei mit den Posten und Ämtern in der Regierung (ტექსტის სეგმენტები: 36, 39)

Die Fähigsten müssen die Regierungsführung übernehmen (ტექსტის სეგმენტები: 53, 54)

- *საბოლოო დასკვნა:* ძალაუფლებისაკენ ლტოლვა - Im Kampf um Macht und Einfluß wurde zuviel Kapital und Ansehen verschleudert; das Land braucht das Kabinett der Besten (ტექსტის სეგმენტები: 44, 52)
- *საყრდენი თეზა:* ზღვარგადასული პოლიტიკური ქმედებები - In den sechs Wochen nach der Wahl wurde der Wille zur Macht schrankenlos demonstriert (ტექსტის სეგმენტები: 29, 32)

საგაზეთო კომენტარი 7:

- *სიტუაციური ჩარჩო:* კოალიციური მთავრობის მიერ კანცლერის კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა
- *მთავარი მტკიცება/თეზა:* Die unerwünschte Wahl (ტექსტის სეგმენტი: 6)
- *არგუმენტები:*
Sogar die Mehrheit der CDU/CSU war gegen die neuerliche Wahl Adenauers (ტექსტის სეგმენტები: 10, 11)
Vorgehensweise für die Regierungsbildung ist für Wähler schwer zu verstehen (ტექსტის სეგმენტები: 9, 12)
Die Zukunft bestimmt die Entwicklung des Landes (ტექსტის სეგმენტები: 18-20)
- *საბოლოო დასკვნა:* იმედგაცრუებული ამომრჩეველი - Die Wähler sind arg enttäuscht über ihre Repräsentation auf höchster Ebene (ტექსტის სეგმენტები: 15, 16)
- *საყრდენი თეზა:* არასასურველი არჩევანი - Nach den stattgefundenen Bundestagswahlen ist die Stimmung im Lande zu deprimierend (ტექსტის სეგმენტები: 3-5)

საგაზეთო კომენტარი 8:

- *სიტუაციური ჩარჩო:* გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რიგით მე-3 საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი
- *მთავარი მტკიცება/თეზა:* Für das ersehnte Ergebnis im Wahlkampf werden allerlei Mittel gerechtfertigt (ტექსტის სეგმენტი: 1)
- *არგუმენტები:*
Wechsel der Regierung muß nicht als eine Katastrophe angenommen werden (ტექსტის სეგმენტი: 3)

Der Regierungschef trägt Verantwortung für innenpolitische Stabilität (ტექსტის სეგმენტები: 2, 5)

- *საბოლოო დასკვნა:* მიზანი ამართლებს საშუალებას - Durch die Aussage in Nürnberg hat der Kanzler das Klima der Innenpolitik ruiniert (ტექსტის სეგმენტი: 4)
- *საყრდენი თეზა:* ამპარტავანი და ქედმაღალი მმართველი - Hochmut und Überheblichkeit sind keine guten Freunde für mächtige Politiker (ტექსტის სეგმენტი: 6)

საგაზეთო კომენტარი 9:

- *სიტუაციური ჩარჩო:* გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რიგით მე-14 საპარლამენტო არჩევნები
- *მთავარი მტკიცება/თეზა:* Wechsel der Regierung bedeutet neue Hoffnungen (ტექსტის სეგმენტები: 17, 19, 20)
- *არგუმენტები:*
Nur Rot-Grün-Koalition könnte eine echte Wende in der Staatsführung bringen (ტექსტის სეგმენტები: 3-6)
Nach großen Umbrüchen wächst die Chance für Entwicklung (ტექსტის სეგმენტები: 15, 18)
- *საბოლოო დასკვნა:* ახალი ერა სახელმწიფო მმართველობაში - Das Land braucht einen Aufbruch (ტექსტის სეგმენტები: 7, 8, 9)
- *საყრდენი თეზა:* ახლებური პოლიტიკური ხედვა - Es gibt genug ungenützte Energien unter den Bürgern (ტექსტის სეგმენტები: 10, 11, 13, 14)

ტექსტში ჩართული ინფორმაციის კატეგორია რეალიზებულია საანალიზო ტექსტების სეგმენტების უმრავლესობაში, სადაც ტექსტის თემის განვითარება დესკრიპციული ფორმით არის წარმოდგენილი.

ე) იზოტოპიური ჯაჭვები და თემატური ოპოზიციები

საანალიზოდ წარმოდგენილ საგაზეთო კომენტარებში ტექსტის ცალკეული მონაკვეთები ერთმანეთისადმი ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებას ავლენენ და მათ შორის კავშირი ემყარება ტექსტის ორგანიზაციისა და სტრუქტურირების პრინციპს. ამას ადასტურებს ტექსტებში იზოტოპიური ჯაჭვებისა და ოპოზიციური ხაზის არსებობა.

ცალკეული ტექსტის სტრუქტურული ორგანიზების სტარტეგიაზე მიაწინებენ
თემატური ოპოზიციები:

- Stellung beziehen ↔ keine Linie haben
- Kapitalisten ↔ Sozialdemokraten
- Besatzungsmächte angreifen ↔ gegen Nazis kämpfen
(საგაზეთო კომენტარი 1)
- Demokrat ↔ Führer/Diktator
- Ausländer ↔ Deutsche
(საგაზეთო კომენტარი 2)
- Parteiführer ADENAUER ↔ Bundeskanzler ADENAUER
- Radikale ↔ gemäßigte Kräfte der Partei/Einsichtige
(საგაზეთო კომენტარი 3)
- Starrheit ↔ Elastizität
(საგაზეთო კომენტარი 4)
- Willkür der Regierenden ↔ Institutionen und Spielregeln
- verachteter, rauchender Trümmerhaufen ↔ geachteter Staat
- zusammengetriebener Haufen der Menschen ↔ zufriedene bürgerliche Gesellschaft
- loyaler Geist ↔ Menschenverächter
(საგაზეთო კომენტარი 5)
- Schacherei ↔ Verhandlung
- Regierungsbildung ↔ Scherbenhaufen der Koalition
- Verein der Hampelmänner ↔ Versammlung der Besten
(საგაზეთო კომენტარი 6)
- jubilierender Ruf ↔ deprimierendes Geschehen
- resignieren ↔ wachsam sein
- private Unterhaltung ↔ Fraktionssitzung
(საგაზეთო კომენტარი 7)
- außenpolitische Linie ↔ das Klima der Innenpolitik
- Regierung ↔ Opposition
(საგაზეთო კომენტარი 8)
- Die Entwicklung hemmen ↔ den Weg weisen

- Stillstand und Bewahren ↔ eine echte Wende
(საგაზეთო კომენტარი 9)

წარმოდგენილი თემატური ოპოზიციები სემანტიკური მიმართების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ანტაგონისტური შინაარსის ცნებების გამოყენებით ხორციელდება და საკმაოდ ზუსტად აღწერს ომისშემდგომ დასავლეთ გერმანიაში ე.წ. „ადენაუერის ეპოქის“ სოციალურ ურთიერთობებს. საგაზეთო კომენტარების ციკლში ამ სტრატეგიას ავტორი იყენებს საკამათო საკითხებზე და აქტუალურ თემებზე არგუმენტირებული მსჯელობისას. ოპოზიციური წყვილები, გამოხატვის ის კატეგორიებია, რითაც ხდება კომენტარების გამაერთიანებელი თემატური ხაზის - კონრად ადენაუერის პოლიტიკური კურსის - განახლება და იმ ფაქტებზე და მოვლენებზე მიზანმიმართული აქცენტირება, რომელთა მიმართ საზოგადოებას განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა.

ტექსტის სტრუქტურირების სტრატეგიის გამომხატველია აგრეთვე სინონიმური წყვილებით, პარაფრაზებით ან ფუნქციური თვალსაზრისით მსგავსი ელემენტის ჩანაცვლებით წარმოდგენილი **იზოტოპიური ჯაჭვები**:

საგაზეთო კომენტარი 1 - განსხვავებული აზრის ფორმირება:

- Andersdenkende → Gegner
- j-s Standpunkt teilen → an [...] Ansichten etw. Richtiges finden
- der „oberste Chef“ der ZEIT → der Verleger

საგაზეთო კომენტარი 2 - ძლიერი ხელის პოლიტიკა:

- der starke Mann → Führer → Verführer
- Umwelt → Gemeinschaft → Europa
- undemokratische Haltung → Persönlichkeitskult

საგაზეთო კომენტარი 3 - სახელმწიფო და პარტიული აპარატი:

- Zivilisten → Staatsbürger
- Vorstand → Führung der Sozialdemokraten → Parteiapparat
- Bundeswehr → Armee → Soldaten

საგაზეთო კომენტარი 4 - ფედერალური კანცლერი როგორც მფარველი და მეურვე:

- Schirmherr und Wächter → der große alte Mann → Bundeskanzler
- Bundespräsident → das höchste Amt im Staate

- Regierungsmaschinerie → Bürokratie

საგაზეთო კომენტარი 5 - პოლიტიკური თავგასულობა და თვითნებობა:

- Fraktion → Ja-Sager
- Wankelmutigkeit → Hin und Her
- Rebellion → Fronde → Aufruhr
- Ansätze von Willkür → Nichtachtung der Demokratie

საგაზეთო კომენტარი 6 - არჩევნებისშემდგომი გარემო და უთანხმოება საპარლამენტო კოალიციის ფორმირებისას:

- Wahlergebnis → böswillige Hirngespinnste
- Koalitionsvertrag → „dieses FDP-Papier“ → Fetzen Papier → Abkommen → Dokument
- Koalitionspartei → Koalitionskräfte → unmittelbare Beteiligte
- FDP → „Zünglein an der Waage“
- Wähler → Staatsbürger → Publikum

საგაზეთო კომენტარი 7 - მართვის სავალალო სტილი:

- die beiden Fraktionen → zukünftige Partner
- Methoden → der miserable Stil
- über etw. klarwerden → etw. überprüfen

საგაზეთო კომენტარი 8 - მთავრობის შესაძლო ცვლილება და ქვეყნის პოლიტიკური კურსი:

- Konzept der Außenpolitik → außenpolitische Linie
- Kanzler → Regierungschef → Feldherr
- die Regierung übernehmen → ablösen → Wechsel der Regierung

საგაზეთო კომენტარი 9 - ჯანსაღი აზრის კონკურენცია და ქვეყნის რეფორმირება:

- Austausch von Argumenten → konkurrierende Meinungen
- der sichtbare Wechsel → Aufbruch → große Umbrüche
(საგაზეთო კომენტარი 9)

საანალიზოდ წარმოდგენილ ტექსტებში იკვეთება რამოდენიმე იზოტოპიური ჯაჭვი, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან ტექსტის იზოტოპიურ სტრუქტურას. იზოტოპიური სტრუქტურები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცალკეული ტექსტის თემატური ხაზის განვითარებაში, მიაწვდიან რეფერენციებს შორის სემანტიკურ კავშირზე და ტექსტის დისკურსულ მარკერებს წარმოადგენენ. სემანტიკური კავშირი ტექსტის განსხვავებულ

რეფერენტებს შორის ხორციელდება სემანტიკური მახასიათებლის ხელახალი გამეორებით, რომელიც აღწერს კონკრეტულ ფაქტებს ან პიროვნებებს კონკრეტული მოცემულობის ფონზე.

ვ) მეტაფორული ველი

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარები არ გამოირჩევა მეტაფორების სიმრავლით. კომენტარების ტექსტებში გვხვდება როგორც მეტაფორული გამონათქვამები, ასევე ე.წ. „მეტაფორული ლექსემები“, როგორც მათ განმარტავს გერმანელი ლინგვისტი კარინ ბეკე. იგი თვლის, რომ მეტაფორები როგორც წესი სიტყვის იმ ფორმაში ვლინდებიან, რომელშიც სიტყვის მორფოლოგიური შემადგენლები მეტაფორული შინაარსის შემცველია (Böke 1996: 443-444).

ვინაიდან მეტაფორების ფორმირება არა მხოლოდ ლექსემებში, არამედ მთლიან ფრაზებშიც ხდება, ისინი ქმნიან მეტაფორულ ველებს, სადაც მათ საერთო კონცეფცია აერთიანებთ. კონკრეტული თემატიკის ირგვლივ გაერთიანებულ მეტაფორულ გამონათქვამებში ფოკუსირება ხდება ცნებებზე, რომლებიც მეტაფორიზებული კონტექსტის მხოლოდ კონკრეტულ ასპექტებს ხდიან თვალსაჩინოდ (Black 1996).

საანალიზო ტექსტებში გამოვყავით შემდეგი თემატიკის მეტაფორული ველები:

1. კონკრეტული საკითხების, თემების, ფაქტების გაშუქება და წარდგენა;

- Wir mühten uns, *das seltsame Gestrüpp* der Nürnberger Prozesse zu *durchlichten* [...]
- [...] und die *Phantasie* keineswegs *beflügelnden Ausführungen* [...]
- Und schon *schleicht sich* in manche Berichterstattung *der Unterton ein* [...]
- Aber diese Erkenntnis *ist noch nicht durch alle Etagen* des Parteiapparates *durchgesickert* [...]
- [...] die [...] einen so *miserablen Stil an den Tag legten* [...]

2. მშვიდობის შენარჩუნება, როგორც საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი:

- [...] *der Friede sei* von den Sozialdemokraten *gepachtet* [...]
- [...] [der Friede sei] *in den Händen der CDU* nicht *gut aufgehoben*.

3. კონკრეტული ემოციის გამოხატვა:

- [...] *es steige* einem *die Zornesröte ins Gesicht* [...]

- [...] *Das Maß ist voll* [...]

- [...] *ist der Zorn* flammend *rot ins Gesicht gestiegen* [...]

4. დემოკრატია, როგორც სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანესი ფორმა:

- [...] ein Demokrat *müsse wie ein Veilchen im Verborgenen blühen* [...]

- [...] *das Einmaleins der Demokratie* [...]

5. მმართველი კოალიციისადმი უნდობლობა:

- [...] *schäbige List*, mit der man sich [...] aus der Affäre ziehen kann [...]

- [...] wir [...] *stehen ratlos am Ufer* und fragen, *wo der (= der Strom der Geschichte) uns wohl hinträgt?*

6. დაპირისპირება მმართველი კოალიციის შიგნით:

- [...] *sei* [...] *ein Dolch in den Rücken* der [...] *Partei* [...]

- [...] *Zünglein an der Waage* [...] *sein* (= entscheidend sein; in bestimmten Situationen große Wirkung haben)

7. ქვეყნის მართვის სირთულეები:

- [...] *das Schiff in schwerer See* [...] (=das Land in Schwierigkeiten)

- [...] der Bundespräsident muß *dem unwürdigen Treiben ein Ende bereiten* [...]

8. მმართველი კოალიციისადმი ბრმა მორჩილება:

- [...] *ein Rädchen greift* zwangsläufig *in das andere* [...] (=Bürokratie in der Regierung)

- [...] *Verein von Hampelmännern* [...]

- [...] das Kabinett, das [...] *an die Leine gelegt* wird [...]

- [...] [Staatsminister] *von der jeweils anderen Couleur* [...]

- *Wenn man einen Blinden und einen Lahmen zusammenspannt* [...] (=Bund zwischen CDU und CSU)

9. ისტორიული პროცესებისა და ქვეყნის მართვა:

- [...] *ohne den* gewohnten *Steuermann* [...] *vom sicheren Kurs abkommen*.

- [...] *bis Gott ihm das Ruder aus der Hand nimmt* [...]

- [...] *das Steuer in die Hand nehmen* [...]

- *Wie ein reißender Strom rast die Geschichte an uns vorüber* [...]

10. კონრად ადენაუერის მმართველობის სტილი:

- *Er selber wird die Arena des Kampfes verlassen* [...] (=zurücktreten)
- Er [...] hat nicht versucht, *den Personalkredit „Konrad Adenauer“ in einen Realkredit „Bundesrepublik Deutschland“ umzuwandeln*.
- [...] hätten alle die politischen Handlungen (Adenauers) für *böswillige Hirngespinnste* gehalten [...]

კონკრეტულ მეტაფორულ ველში გაერთიანებული საერთო კონცეფციის გამომხატველი მეტაფორები ასახავენ ავტორის პოზიციას, რაც თავის მხრივ კონკრეტული სოციოისტორიული და სოციოკულტურული ფონით არის განპირობებული. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექსტის თემის განვითარებისას, როდესაც ხდება არსებული ვითარების დაბალანსებული აღწერა, ვითარების ამსახველი თემატური არგუმენტების წარმოდგენა და ტექსტის სიტუაციური ჩარჩოს ჩამოყალიბება. მეტაფორების გამოყენებით მარიონ დენჰოფი როგორც პუბლიცისტი ცდილობს თავისი დროის საზოგადოებაში სახელმძღვანელო ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას. მათი მეშვეობით შესაძლებელია ტექსტებში არგუმენტების გამოკვეთა და სტრუქტურული მარკირება, მაგ. მეოთხე საგაზეთო კომენტარში მეტაფორული გამონათქვამი *die Arena des Kampfes verlassen* (=zurücktreten) ასოცირდება ტექსტის მეორე არგუმენტის მთავარ თემატურ გზავნილთან „Mögliche Änderungen können den Lauf der Dinge positiv beeinflussen“ (ტექსტის სეგმენტები: 6-11). ტექსტის პირველი არგუმენტის საკვანძო ინფორმაცია „Der Entschluss wirkt überzeugend“ (ტექსტის სეგმენტები: 12-15) იმპლიცირებულია მეტაფორულ გამონათქვამში *das Schiff in schwerer See* (=Staat in Schwierigkeiten), ხოლო ტექსტის მესამე არგუმენტის ამოსავალ თეზაზე „Trotz Bürokratie kann man sich spontan entscheiden“ (ტექსტის სეგმენტი: 18) მიანიშნებს მეტაფორული გამონათქვამი *ein Rädchen greift zwangsläufig in das andere* (= Bürokratie im Regierungsapparat). საანალიზო ტექსტებში გამოყენებული მეტაფორები მიეკუთვნება ე.წ. „ქმედითი, ინოვაციური მეტაფორების“ კატეგორიას, რომელთა მნიშვნელობაც მხოლოდ კონტექსტის მეშვეობით განისაზღვრება (Böke 1996: 448-449). ავტორის მიერ გამოყენებული მეტაფორების „სტრატეგიული ღირებულება“ იმაში მდგომარეობს, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ტაბუიზირებული შინაარსების მეტაფორულად

გამოხატვა (მაგ. ომის თემა - Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchleuchten [...] - იხ. საგაზეთო კომენტარი 1, ტექსტის სეგმენტი: 11). ამდენად ცხადია, რომ მეტაფორული გამონათქვამები, როგორც დისკურსულ-ლინგვისტური საანალიზო კატეგორიები, ტექსტის თემასთან შინაარსობრივ მიმართებებს ავლენენ, მნიშვნელობის იმპლიციტურ ფორმებზე მიანიშნებენ და ტექსტის კოჰერენტულობას განაპირობებენ. მათი გამოყენებით ავტორი უფრო დამაჯერებელს ხდის კომენტარების ტექსტში აღწერილ ვითარებას და გამოკვეთს მეტაფორების სპეციფიკურ ფუნქციას, რომელსაც კარინ ბეკე ვითარების ილუსტრირების და რეციპიენტზე პერსუასიულ-მანიპულაციური ზემოქმედების ეფექტს უწოდებს (Böke 1996: 432-433).

3.2.3. რჩეული პოლიტიკური კომენტარების ანალიზი 2: აქტორები

დისკურსულ-ლინგვისტური ანალიზის საგანს ჩვეულებრივ ის ენობრივი ქმედებები წარმოადგენს, რომლებიც კონკრეტული ტექსტების კონკრეტულ დისკურსში ჩართვას ან პირიქით, მისგან იზოლირებას განაპირობებენ. ქმედებაზე ორიენტირებული დისკურსის ლინგვისტიკის ფოკუსში მოქცეულია აქტორი - სოციოლოგიური მეცნიერებების და ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთი მთავარი კატეგორია, რომელიც ანაცვლებს ისეთ საყოველთაოდ მიღებულ ტერმინებს, როგორცაა მოლაპარაკე/მსმენელი, ინფორმაციის გამგზავნი/მიმღები და ა.შ. აქტორები მონაწილეობენ რეალობის შეფასების პროცესში, ისინი განსაზღვრავენ და ადგენენ პოლიტიკურ, მორალურ და ესთეტიკურ ნორმებსა და სტანდარტებს კონკრეტული საზოგადოებისთვის. თემატურად შემოფარგლული და ინსტიტუციურად განთავსებული დისკურსი კონკრეტული გამოხატვის ფორმას იძენს როგორც საზოგადოებრივი აქტორების, ასევე დისპოზიტივების ქსელის მეშვეობით (იხ. ქვეთავი 1.1. - დისკურსის ცნების ისტორიისთვის). ამ ქსელის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს ბეჭდური მედია, როგორც პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფერო.

ფრანგი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის ბრუნო ლატურის მიხედვით, აქტორი - მოქმედების შემსრულებელი, არ არის აუცილებელი იყოს კონკრეტული პიროვნება. აქტორებს შეიძლება წარმოადგენდნენ ინდივიდები, ინდივიდთა ჯგუფები ან ქსელები, სხვადასხვა ინსტიტუციები, პარტიები, მედიასაშუალებები. აქტორის ცნებაში შეიძლება მოიაზრობოდეს ასევე შენობები ან ქალაქებიც კი (Latour 2007).

აქტორების მთავარ ფუნქციას დისკურსში „გამონათქვამების გაფილტვრა“ წარმოადგენს. შპიცმიულერისა და ვარნკეს მიხედვით, აქტორები, როგორც „ტექსტისა და დისკურსის ფილტრი“, ინტრა- და ტრანსტექსტუალური დონეების ერთმანეთთან დამაკავშირებელ სტრუქტურას წარმოადგენენ. მათ შუამავლის ფუნქცია ეკისრებათ, საზოგადოებრივ დისკურსებში მათ პოზიციონირებას ძირითადად სოციალური პროცესები და დისკურსული პრაქტიკა განსაზღვრავს. აქტორები და მათი გამონათქვამები ყოველთვის ვერ იქნება კონკრეტული დისკურსული დინამიკის ნაწილი, რადგან

ტრანსტექსტუალურ კონტექსტებში მუდმივად ხდება გამონათქვამთა ხელახალი სტრუქტურირება, სადაც აქტორები ახალ ან განსხვავებულ პოზიციას იკავებენ. აქტორები განსაზღვრავენ ასევე ცალკეული ტექსტის მიკუთვნებულობას კონკრეტული დისკურსისადმი. ერთი მხრივ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობენ ე.წ. „დისკურსული წესები“, რომლებიც გამონათქვამების დისკურსში თანამონაწილეობას ზღუდავენ. ისინი აქტორების მეშვეობით „ფილტრავენ“ გამონათქვამებს, განსაზღვრავენ მათ პოზიციებს დისკურსში და აღძრავენ საზოგადოებრივ ინტერესს. შედეგად კონკრეტულ სოციუმში მსჯელობენ კონკრეტულ გამონათქვამებზე, მათი კომენტირების ან მარგინალიზების მიზნით. მეორე მხრივ ფილტრაციის პროცესი მიმდინარეობს ე.წ. „დისკურსის ფორმირებით“, რადგან ყოველი ტექსტის ფორმირება დისკურსული ნიშნით ხდება, რასაც ენის სოციალური ხასიათი განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ტექსტი დისკურსის მიღმა ისევე წარმოუდგენელია, როგორც ტექსტი ინტერტექსტუალური მიმართებების გარეშე (Spitzmüller/Warnke 2011: 172-173).

მიშელ ფუკოს თეორიის მიხედვით დისკურსის ფორმირების პროცესში წამყვანი როლი აქტორებს ეკისრება. შესაძლოა ტექსტი თემატურად ეხმიანებოდეს კიდევ კონკრეტული დისკურსის გამონათქვამებს, მაგრამ ის ამ მხრივ მხოლოდ პოტენციურად არის მისი ნაწილი. სწორედ აქტორები არეგულირებენ იმ გარემოებას, თუ რას ენიჭება დისკურსის სტატუსი და რას არა. მათი მეშვეობით შესაძლებელია დისკურსის „კონტროლი“, „სელექცია“, „ორგანიზება“ და „კანალიზება“ (იხ. ქვეთავი 1.2.1. - მიშელ ფუკოს თეორია).

აქტორებზე ორიენტირებული ანალიზისას განვასხვავებთ სამ საანალიზო კატეგორიას, რომლებიც კონტექსტით განპირობებული „დისკურსული წესებისა“ და „დისკურსის ფორმირების“ შედეგად იქმნებიან და დისკურსსა და ცალკეულ ტექსტს შორის ფილტრის ფუნქციას ასრულებენ. ესენია: აქტორების ინტერაქციული როლები, მათი დისკურსული პოზიციები და დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების მედიალურობა.

3.2.3.1. ინტერაქციული როლები

შპიცმიულერისა და ვარნკეს მიხედვით განსხვავებული საზოგადოებრივი სტატუსის მქონე აქტორებს ინტერაქციის პროცესში ძირითადად ორი სხვადასხვა როლის შესრულება უწევთ: ესენია პროდუცენტისა და რეციპიენტის როლები (Spitzmüller/Warnke 2011: 175). ეს განსხვავება ძირითადად მომდინარეობს კანადელი სოციოლოგის, ირვინგ გოფმანის ე.წ. „სამეტყველო სტატუსის“ კონცეფციიდან, რომლის მიხედვითაც მოლაპარაკე ინდივიდი კონკრეტულ ტექსტში განსხვავებულად პოზიციონირებს, რაც მის ნათქვამს გარკვეულ კონტექსტუალურ ჩარჩოში აქცევს (Goffmann 1979 და 2008). იგივე საკითხს განიხილავს აგრეთვე კირსტენ ადამციკი თავის სტატიაში „ტექსტის სამყაროს“ შესახებ (Adamzik 2002). ეს კონცეფცია უშუალო კავშირშია მიშელ ფუკოს მიერ მის ნაშრომში „დისკურსის წესრიგი“ გამოთქმულ მოსაზრებებთან დისკურსში კონკრეტული გამონათქვამის ავტორის შესახებ. გამონათქვამის ავტორის როლების დიფერენციაცია ფუკოს იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც გამონათქვამების რეალიზებას დისკურსში განსხვავებული აქტორები ახდენენ და ეს პროცესი გარკვეულ გრადაციას ექვემდებარება, რაც პროდუცენტისა და რეციპიენტის როლებში ვლინდება (იხ. ქვეთავი 1.2.1. - მიშელ ფუკოს თეორია).

ა) პროდუცენტის როლები

ჩვენს მიერ გაანალიზებული საგაზეთო კომენტარების ტექსტებში ფიქსირდება ერთი გამოკვეთილი აქტორი, როგორც პროდუცენტი - მარიონ დენჰოფი, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ გერმანულ პოლიტიკურ დისკურსში საკუთარ „ხმას აჟღერებს“ და ქმნის სუბდისკურსს კონრად ადენაუერის თემით, ანუ გვთავაზობს ადენაუერის შესახებ დისკურსის საკუთარ ვერსიას, სადაც ასევე გამოკვეთილია რამდენიმე ქვეთემა, მაგ. საპრეზიდენტო არჩევნები, ადენაუერის კრიტიკა, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიის განვითარება, შეიარაღების თემა, სავალდებულო სამხედრო სამსახური და ა.შ. იგი საგაზეთო კომენტარებში თავად ახდენს აღნიშნული დისკურსის თემების ინტერპრეტირებას და კომენტირებას. ტექსტის

შექმნისას მარიონ დენჰოფი, როგორც პროდუცენტი, მონაწილეობს ინტერაქციაში ორ განსხვავებულ დონეზე და შესაბამისად ორ განსხვავებულ როლში გვევლინება:

1. როგორც კონკრეტული ფორმულირების ავტორი, რომელიც ქმნის ტექსტს მასზე საავტორო უფლებით. მარიონ დენჰოფი, რომელიც იყო ცნობილი ყოველკვირეული გაზეთის DIE ZEIT თანადამფუძნებელი და თანაგამომცემელი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გაზეთის პოლიტიკის განყოფილებას და 1972 წლამდე იყო გაზეთის მთავარი რედაქტორი. მას, როგორც საერთაშორისო აღიარების მქონე ჟურნალისტს, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ფლობდა მოვლენების ხედვის განსაკუთრებულ უნარს. იგი, როგორც ჟურნალისტი, თავის შეფასებებში იყო მაქსიმალურად ობიექტური, შეეძლო მოვლენების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების დანახვა და შეცდომებზე თამამად და მოურიდებლად საუბარი;
2. როგორც ანიმატორი, რომელიც აზრს გამოთქვამს რომელიმე კონკრეტულ თემასთან ან მოსაზრებასთან დაკავშირებით. საგაზეთო კომენტარებში იგი გამოხატავს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, ე.ი. როგორც ანიმატორი, არ არის მხოლოდ მოვლენებზე დამკვირვებელი, არამედ მოქცეულია ამ მოვლენების შუაგულში და ხშირად მათი თანამონაწილეც არის, რომელსაც ვითარების ობიექტური აღქმა და სამომავლო რისკების გააზრება-შეფასება შეუძლია.

თუ გოფმანის თეორიას დავეყრდნობით, ადენაუერის შესახებ მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ დისკურსში შემავალ გამონათქვამებს ჰყავთ კიდევ ერთი პროდუცენტი, თვით კონრად ადენაუერის პიროვნება, რომელიც დისკურსში პრინციპალის როლს ასრულებს, ანუ ეს ის აქტორია, ვისი გავლენითაც შეიქმნა დისკურსი, ვისაც იყენებენ როგორც ავტორიტეტს, რომელმაც თავისი მტკიცე და ურყევი პოლიტიკური კურსით შეძლო დაერწმუნებინა სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების უმრავლესობა ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის უპირატესობაში. მარიონ დენჰოფიც თვლიდა, რომ ომისშემდგომ დასავლეთ გერმანიაში არ არსებობდა ადენაუერის გუნდზე უფრო სანდო ალტერნატივა. ადენაუერმა თავისი უტყუარი პოლიტიკური ალღოს წყალობით და

უდიდესი მოთმინების ხარჯზე გერმანელ ხალხს დაკარგული უფლებები აღუდგინა და ამასთან ერთად დაუბრუნა მათ სამყაროში სწორი ორიენტირების უნარი, ზომიერების შეგრძნება და ნდობა დანარჩენი მსოფლიოს თვალში.

ბ) რეციპიენტის როლები

საგაზეთო კომენტარებს ჰყავთ როგორც ავტორიზებული (დადასტურებული), ისე არაავტორიზებული (დაუდასტურებელი) რეციპიენტები (Goffmann 2008). ავტორიზებულ რეციპიენტებს წარმოადგენენ ინტერაქციის პროცესში მონაწილე აქტორები, რომლებსაც ტექსტის ავტორი უშუალოდ მიმართავს და მოიხსენიებს თავის კომენტარებში. კონრად ადენაუერის გარდა ესენია: რობერტ კემპნერი, ჰერბერტ ვენერი, ვალტერ ულბრიჰტი, კარდინალი ფრინგსი, ეპისკოპოსი დიბელიუსი, გერდ ბუკერიუსი, ერიჰ ოლენჰაუერი, ფრიც ერლერი, კარლ ბერკჰანი, ჰელმუტ შმიდტი, ოიგენ გერსტენმაიერი, ჰანს-ქრისტოფ ზეებომი, ლუდვიგ ერჰარდი, ჰაინრიჰ კრონე, ვილ რაზნერი, ჰაინრიჰ ფონ ბრენტანო, ზიგფრიდ ცოგლმანი, ჰანს გლობკე, ვალტერ შეელი, ოტო ფონ ბისმარკი, ფრიდრიჰ ვილჰელმ ფოიგტი (იგივე „კეპენიკის კაპიტანი“), ჰაროლდ მაკმილანი, კარლ-ვილჰელმ კაიზენი, ოტო ზური. დასახელებულ პიროვნებებს, როგორც კონკრეტული მოსაზრებების ან გამონათქვამების ინდივიდუალურ ავტორებს, აღნიშულ დისკურსში სათანადო პოზიციები უკავიათ, რასაც შედარებით ვრცლად განვიხილავთ საანალიზო კატეგორიაში „დისკურსული პოზიციები“ (იხ. ქვეთავი 3.2.3.2. - დისკურსული პოზიციები).

ტექსტის ავტორის სამიზნე აუდიტორიას მიეკუთვნებიან აგრეთვე ე.წ. არაავტორიზებული აქტორები. ეს ის ინდივიდები არიან, ვისზეც გათვლილია და ვისთვისაც იქმნება მასმედიური ტექსტები. ისინი წარმოადგენენ ინფორმაციის მიმღებ მხარეს, რომელიც ან შემთხვევით, ან გამიზნულად იღებს ინფორმაციას.

3.2.3.2. დისკურსული პოზიციები

აქტორების დისკურსული პოზიციებზე მსჯელობისას ჩვენი ანალიზის საგანია შემდეგი ქვეკატეგორიები: აქტორების სტატუსი საზოგადოებრივ ვერტიკალში, აქტორი როგორც

„ხმა“, აქტორი როგორც „იდეოლოგიური შუამავალი“, დისკურსული გაერთიანებები და სოციალური სტრატეგიკაცია.

ა) აქტორების სტატუსი საზოგადოებრივ ვერტიკალში

აქტორის მიერ სოციალურ ვერტიკალში დაკავებული პოზიცია განსაზღვრავს ენის ლექსიკური მარაგის სტრუქტურულ ერთეულებად ჩამოყალიბებას დისკურსში. გამონათქვამები, ტექსტები და ტექსტური ქსელები განაპირობებენ ძირითადად განსხვავებას ე.წ. „ექსპერტებსა“ და „არაპროფესიონალებს“ შორის, რასაც შესაბამისად უკავშირდება განსხვავება დარგობრივ ენასა და საყოველთაო გამოყენების ენას შორის. აქტორები, რომლებიც ადენაუერის შესახებ დისკურსში სპიკერებად გვევლინებიან, ენობრივი გამოხატვის და რეზონანსის შექმნის განსხვავებულ რესურსებს ფლობენ და მათ მიერ სოციალურ ვერტიკალში დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი გაერთიანება „ექსპერტების“ ან „არაპროფესიონალების“ დაჯგუფებაში.

მარიონ დენჰოფი - ტექსტის ავტორი და მთავარი აქტორი, აღნიშნულ დისკურსში გვევლინება როგორც „ექსპერტი“. იგი შინაარსების ფორმულირებისას მოქმედებს იმ წესების დაცვით, რომლებიც თავის მხრივ მასმედიის ფუნქციონირების ლოგიკას ექვემდებარებიან. ლექსიკური ერთეულები და ენობრივი სტრუქტურები, რომელთაც იყენებს ჟურნალისტი (იხ. ქვეთავი 3.2.2.3. - ტექსტის სტრუქტურის თავისებურებები), ტიპობრივია ჟურნალისტური დარგობრივი ენისათვის. აშკარაა, რომ ვერტიკალში კომუნიკაცია მიმდინარეობს ერთი მხრივ პოლიტიკური თემების კარგად მცოდნე ჟურნალისტსა და პროფესიონალ პოლიტიკოსებს შორის და მეორე მხრივ კი „ექსპერტ“ ჟურნალისტსა და „არაპროფესიონალებს“ შორის. „არაპროფესიონალების“ დაჯგუფებაში მოიაზრებიან ის საზოგადოებრივი აქტორები, რომლებიც პოტენციურად რესაატებს წარმოადგენენ.

კომენტარების ტექსტებში წარმოდგენილ სოციალურ ვერტიკალში იკვეთება ასევე სახელისუფლო ვერტიკალიც, რომელსაც ქმნიან პოლიტიკოსები (ადენაუერი, მისი

მთავრობის მინისტრები, პარლამენტარები), როგორც „ექსპერტები“ და ამ შემთხვევაში კომუნიკაცია ვერტიკალში მიმდინარეობს „ექსპერტების“ ჯგუფებს შორის.

ვინაიდან დისკურსის ლინგვისტიკის ძირითადად ამოცანას კონკრეტული ენის ფარგლებში საზოგადოებრივი ცოდნის შრეების გამოვლენა წარმოადგენს, ამდენად საინტერესოა აქტორებისა და ცოდნის სტრუქტურების ურთიერთკავშირი ადენაურის შესახებ სუბდისკურსის სოციალური ვერტიკალის ჭრილში. გერმანელი ენათმეცნიერის, ზიგურდ ვიჰტერის მიხედვით, „ექსპერტების ცოდნასა“ და „არაპროფესიონალების ცოდნას“ შორის არსებობს ენობრივი ნიშნით განპირობებული განსხვავება და ენობრივ დონეზე ეს განსხვავება სწორედ „ენის ლექსიკური მარაგის ვერტიკალურ სტრუქტურებში“ იკვეთება (Wichter 1994: 117-119). საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტები გვაწვდიან ინფორმაციას ცოდნის განაწილებისა და გავრცელების ფორმებზე, რომლებიც სპეციფიკურია ერთი მხრივ კონკრეტული აქტორებისათვის ან აქტორთა ჯგუფისათვის და მეორე მხრივ, კონკრეტულ განსახილველ სფეროში შემავალი ობიექტებისთვის, როგორებიცაა მაგ. ყოველკვირეული გაზეთი DIE ZEIT, როგორც ბეჭდური მედია, პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, არჩევნები და სხვ. მარიონ დენჰოფის პოლიტიკური კომენტარების ციკლში ცოდნის განფენა სოციალურ ვერტიკალში ხდება „ექსპერტებიდან“ „არაპროფესიონალების“ მიმართულებით, ხოლო ამ ცოდნაზე წვდომას ანუ მისი ენობრივი თვალსაზრისით კოდიფიცირებას განაპირობებს „ექსპერტისა“ და „არაპროფესიონალის“ მიერ გამოყენებული ცოდნის სტრუქტურების ურთიერთშესაბამისობის ხარისხი.

ბ) აქტორი როგორც „ხმა“

აქტორების დისკურსული პოზიციების აღსაწერად გამოყენებული, ე.წ. „ხმის“ კონცეფცია შექმნილია ბელგიელი სოციოლინგვისტისა და ანთროპოლოგის, იან ბლომარტის თეორიული მოსაზრებების ანალოგიით. საქმე ეხება სპიკერების, ანუ მოლაპარაკე ინდივიდების სტრუქტურულ რგოლს დისკურსში, რომელიც დიფუზურ წარმონაქმნს წარმოადგენს. სპიკერებს გააჩნიათ უნარი, შესამჩნევი გახადონ მათი განსხვავებული ინტერაქციული როლები, ანუ მოსმენადი გახადონ მათი „ხმა“,

რომელიც დისკურსში გაბნეულ გამონათქვამებში ფიქსირდება (Spitzmüller/Warnke 2011: 179).

აქტორების „ხმა“ დაკავშირებულია კონკრეტულ დისკურსში მათ მიერ დაკავებულ პოზიციებთან. ადენაუერის შესახებ სუბდისკურსში ამის მაგალითია კომუნიკაცია ცნობილ ჟურნალისტსა და ცალკეულ პოლიტიკოსებს შორის, სადაც მათი „ხმების“ მოსმენადობა განისაზღვრება მათი ცნობადობიდან და საზოგადოებრივი დაფასებიდან გამომდინარე.

მარიონ დენჰოფის „ხმა“ საზოგადოებასთან და პოლიტიკურ წრებთან ურთიერთობისათვის ბეჭდურ მედიას და კორექტული კრიტიკის ფორმებს იყენებს. მისი კრიტიკის მთავარი ობიექტია კანცლერი კონრად ადენაუერი, კერძოდ კი კანცლერის მიერ მიღებული რიგი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. მარიონ დენჰოფი პოლიტიკოსებს, და პირველ რიგში კონრად ადენაუერს, მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მისი აზრით პოლიტიკოსი ძირითადად გონების კარნახით უნდა მოქმედებდეს და არა საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან სწორედ პოლიტიკოსები ქმნიან ეპოქას და განსაზღვრავენ სახელმწიფოს იდეოლოგიურ ხაზს. იგი ნეგატიურად აფასებს კონრად ადენაუერის მმართველობის ბოლო წლებს, საყვედურობს მას ზედმეტ სიფრთხილეს, რისკის გაუწევლობას, ძველი და ნაცადი პრინციპების ერთგულებას და კონსერვატიულობას საგარეო პოლიტიკაში. ჟურნალისტის აზრით, კონრად ადენაუერის მმართველობის ეს ნეგატიური ფაზა აისახა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზეც და გადაიზარდა ერთგვარი თვითგანადგურებისა და თვითდემონტაჟის მცდელობაში, როცა 1959 წლის ზაფხულში მიზანდასახულობითა და ხასიათის სიმტკიცით ცნობილმა კანცლერმა სრული უპრინციპობა გამოიჩინა და რამდენჯერმე შეცვალა მიღებული გადაწყვეტილება: ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ჯერ ეკონომიკის მინისტრის, ლუდვიგ ერჰარდის კანდიდატურა წარადგინა, შემდეგ თქვა, რომ თვითონ იყრიდა კენჭს პრეზიდენტად და ბოლოს განაცხადა, რომ ის შეუცვლელია როგორც ფედერალური კანცლერი და უარს ამბობს საპრეზიდენტო არჩევნებზე. მარიონ დენჰოფის შეფასებით, ეს საქციელი საბედისწერო აღმოჩნდა კანცლერისთვის, რადგან

მან დაკარგა საკუთარი ფრაქციის და რაც მთავარია, ამომრჩევლების ნდობა და საბოლოოდ იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ადენაუერის შესახებ სუბდისკურსში მონაწილე აქტორების ინტერაქციულ როლებს შორის დიფერენციაცია იწვევს მათი „ხმების“ ნაწილობრივ შეზღუდვას, იგულისხმება, როგორც პოტენციური მკითხველების, ასევე რიგი პოლიტიკოსების „ხმები“. პოლიტიკოსების „ხმებს“ შორის ყველაზე მოსმენადია კონრად ადენაუერის „ხმა“, რომელიც ჩრდილავს და ფარავს დანარჩენებს. მას როგორც რაციონალურად მოაზროვნე და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიმღებ პოლიტიკოსს, დანარჩენებისაგან გამოარჩევს პოლიტიკური ვითარების შეცნობისა და სწორი შეფასების უნარი, რაც განსაზღვრავს მის პოპულარობას.

ზოგადი ისტორიული კონტექსტის ცვლილება იწვევს აქტორის დისკურსული პოზიციის ცვლილებასაც და მასთან ერთად იცვლება აქტორის „ხმის“ სოციალური ფუნქციაც, რომელიც არ არის სტატიკური ფენომენი. ამის მაგალითია კონრად ადენაუერის - კანცლერის „ხმა“. იგი არის დომინანტი პოლიტიკური აქტორი, რომლის მართვის სტილი ერთმნიშვნელოვნად პროგრესული მოვლენა იყო ომისშემდგომი დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ რეალობაში. კონრად ადენაუერის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, თავისი მმართველობის პირველ წლებში არ შეექმნა არცერთ პოლიტიკურ ძალასთან კოალიცია, მას საშუალება მისცა გაეტარებინა საკუთარი პოლიტიკა. ამის შედეგი იყო დასავლეთ გერმანიის ე.წ. თავისუფალ სამყაროში სრული ინტეგრაცია და ქვეყნის ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში (EWG) გაერთიანება. დღევანდელ გერმანიაში კი სრულიად წარმოუდგენელია პოპულარული ყოფილიყო ამგვარი პოლიტიკური აქტორის „ხმა“, რომელიც ქვეყნის ავტოკრატიული სტილით მართვისკენ იყო მიდრეკილი.

გ) აქტორი როგორც „იდეოლოგიური შუამავალი“

დისკურსების გააქტიურება ხდება ყოველდღიურ საკომუნიკაციო პროცესებში და პრაქტიკებში ცოდნის კოლექტიური სისტემების და ე.წ. „იდეოლოგიური შუამავლის“

მეშვეობით, რომლის კონცეფციაც დისკურსის სოციოლინგვისტური ანალიზის თეორიიდან მომდინარეობს. ამ კონცეფციის მიხედვით „იდეოლოგიური შუამავალი“ აღიქმება როგორც აქტორების ავტორიტეტის ან ძალაუფლების გამომხატველი პოზიცია დისკურსში, რაც სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგია, როგორცაა მაგ. აქტორის სოციალური პოზიცია ან მისი დარგობრივი კომპეტენცია.

მიშელ ფუკო თავის ნაშრომში „ცოდნის არქეოლოგია“ განიხილავს თითოეული ინდივიდის მიერ დისკურსში დაკავებულ პოზიციას, რომელიც აჩვენებს, თუ რა ხარისხით განსაზღვრავს აქტორის გამონათქვამი მოცემული დისკურსის არსს. ფუკო თვლის, რომ ამ შემთხვევაში ნაკლებად პრიორიტეტულია ე.წ. „აქტორის ავტორიტეტი“, რამდენადაც ის არ წარმოადგენს სოციალური ხასიათის წინასწარმოცემულობას, არამედ მხოლოდ დისკურსში აქტორების პოზიციურ განლაგებაზე დამოკიდებული (იხ. ქვეთავი 1.2.1. - მიშელ ფუკოს თეორია).

შპიცმიულერისა და ვარნკეს აზრით, „იდეოლოგიური შუამავალი“ ცდილობს, საკუთარი მოსაზრებებისა და ღირებულებების დამკვიდრებით, დისკურსში მისთვის მომგებიანი პოზიცია უზრუნველყოს, ეს პოზიცია გააძლიეროს და განავრცოს, ხოლო სხვების პოზიციები კი დაასუსტოს (Spitzmüller/Warnke 2011: 180-181).

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური კომენტარების ანალიზი ინფორმაციას იძლევა ადენაუერის შესახებ სუბდისკურსში მონაწილე აქტორებზე, როგორც „იდეოლოგიურ შუამავლებზე“, რომელთა მნიშვნელოვნებასაც მათი პოლიტიკური პოზიცია და მოცემულ დისკურსში მათი განლაგება განაპირობებს. კომენტარების ავტორის, მარიონ დენჰოფისა და დისკურსის წამყვანი აქტორის, კონრად ადენაუერის გარდა „იდეოლოგიურ შუამავლებს“ წარმოადგენენ ასევე ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები: რობერტ კემპნერი (იურისტი, რომელიც ნიურნბერგის პროცესზე ამერიკელ რობერტ ჯეკსონთან ერთად წარმოადგენდა ბრალდების მხარეს), ჰანს-ქრისტოფ ზეებომი (1946-1966 წწ. ტრანსპორტის მინისტრი), ლუდვიგ ერჰარდი (1949-1963 წწ. ეკონომიკის მინისტრი და 1963-1966 წწ. ქვეყნის მეორე ფედერალური კანცლერი), ჰაინრიჰ ფონ ბრენტანო (1955-1961წწ. საგარეო საქმეთა მინისტრი), ვალტერ

შეელი (პოლიტიკოსი FDP-დან, 1974-1979 წწ. ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი), ჰაროლდ მაკმილანი (ბრიტანელი პოლიტიკოსი, 1957-1963 წწ. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი), ჰელმუტ შმიდტი (პოლიტიკოსი SPD-დან, 1974-1982 წწ. ქვეყნის მეხუთე ფედერალური კანცლერი), გერდ ბუკერიუსი (იურისტი, გამომცემელი და პოლიტიკოსი) და ისტორიულ კონტექსტში, ოტტო ფონ ბისმარკი (1871-1890 წწ. გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი). „იდეოლოგიური შუამავლის“ ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე მედიები (DIE ZEIT, Rheinischer Merkur, Deutsche Soldatenzeitung) და პოლიტიკური პარტიები (CDU/CSU, SPD, FDP, Die Grünen, Labour Party).

საანალიზო ტექსტებში სახეზეა „იდეოლოგიური შუამავლების“ მიერ გამოხატული დომინანტური პოზიციები. პირველ რიგში ეს ეხება მარიონ დენჰოფს, როგორც გაზეთის DIE ZEIT ერთ-ერთ დამფუძნებელს. აქ მას, როგორც მოცემულ დისკურსში შემავალი პუბლიცისტური ტექსტების ავტორს, წამყვანი პოზიცია უკავია. იგი კომენტარებში მიმოიხილავს მნიშვნელოვან თემებს, რაც ადენაუერის ეპოქის გერმანიაში პოლიტიკოსებს შორის დაპირისპირების და კამათის საგანი იყო (მაგ. თავისუფალი პრესა, არჩევნები, თავდაცვის პოლიტიკა, გავლენის სფეროები პარლამენტში და ა.შ.), აღწერს და აანალიზებს მუდმივად ცვალებად პოლიტიკურ ვითარებას. აღსანიშნავია მისი მოვლენების ხედვის ინდივიდუალური უნარი და სტრატეგია, რომელსაც ის როგორც „იდეოლოგიური შუამავალი“ იყენებს კონრად ადენაუერის შეფასებისას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს კონრად ადენაუერის მაღალ კომპეტენციას და გამოყოფს მის სამ ყველაზე მნიშვნელოვან დამსახურებას: კოალიციური პარტიის (CDU/CSU) დაფუძნებას, საფრანგეთთან შერიგებას და ქვეყნისთვის დასავლური განვითარების კურსის არჩევას, მაგრამ ამავე დროს არ ერიდება მის კრიტიკასაც, ადარებს მას ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიც იყვნენ ოტტო ფონ ბისმარკი და ჰაროლდ მაკმილანი, რითაც მიანიშნებს, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსისთვის მიუღებელია მხოლოდ პარტიულ ინტერესებზე მორგებული, სუბიექტური ხასიათის ქმედებები.

საგაზეთო კომენტარებში ასევე დომინანტურია თვით კონრად ადენაუერის, როგორც „იდეოლოგიური შუამავლის“ პოზიცია, რომლის მართვის სტილმაც საბოლოოდ ხელი შეუწყო ქვეყანაში რაციონალური პოლიტიკური ხაზის და დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებას. ამ პოზიციაში ფიქსირდება პროცესები, რომლებიც კანცლერის მიერ ე.წ. „რბილი ძალის“ გამოყენებით იყო მართული. ამის მაგალითია მისი ურთიერთობა საკუთარი ფრაქციის წევრებთან, მინისტრებთან, პარლამენტის წევრებთან და საპარლამენტო პარტიებთან, რაც გამოიხატებოდა ზედმეტ თავდაჯერებულობაში, კოლეგების მიმართ გამოვლენილ სიხისტეში და ასევე მათი აზრის გაუთვალისწინებლობაში.

დისკურსში სახეზეა „შუამავლისათვის“ მომგებიანი პოზიციის დაკავების და „ავტორიტეტის“ მოხვეჭის მცდელობები პოლიტიკოსების, ჰანს-ქრისტოფ ზეებომის და ლუდვიგ ერჰარდის მხრიდან, როცა ისინი საკუთარი გამონათქვამებით ზღვარგადასულ პარტიულ ერთგულებას ავლენენ (ზეებომი) ან ზედმეტ ლოიალურობას გამოხატავენ კანცლერისადმი (ერჰარდი) და ასე სურთ მისი კეთილგანწყობის მოპოვება და ადგილის დამკვიდრება პოლიტიკურ სივრცეში.

საანალიზო ტექსტებში მნიშვნელოვანია ის იმპლიციტური სტრატეგიები, როცა დისკურსში ე.წ. „იდეოლოგიური შუამავლის“ ფუნქციით ერთვებიან დანარჩენი აქტორები, რითაც ხდება მათი გააქტიურება და მათ მიერ დისკურსში სხვა აქტორების კონკრეტული პოზიციების მხარდაჭერა. ასეთ „შუამავლებად“ გვევლინებიან რობერტ კემპნერი, როცა ლაპარაკია პრობლემის გადაჭრის პროგრესულ და ცივილურ გზაზე (ნიურნბერგის პროცესის თემა); გერდ ბუკერიუსი, როცა ის აძლიერებს მარიონ დენჰოფის პოზიციას ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით; ვალტერ შეელი, რომელიც თანაუგრძნობს კონრად ადენაუერის პოლიტიკურ ხაზს; ჰელმუტ შმიდტი, როდესაც მისი პოლიტიკური პოზიცია თანხვედრაშია SPD-ს პოზიციასთან ქვეყნის თავდაცვის საკითხებთან მიმართებაში.

„იდეოლოგიური შუამავლების“ მიერ გამოყენებული ე.წ. „დისკურსის დაცვის და გაკონტროლების“ (gate keeping¹²) სტრატეგიის მაგალითია კონრად ადენაუერის მიერ დისკურსის ერთი კონკრეტული თემის გაკონტროლების მცდელობა (FDP-თან დადებული ხელშეკრულება კოალიციური მმართველობის შესახებ) და იმის განსაზღვრა, თუ ვის უნდა ჰქონდეს წვდომა თემაზე, რასაც თავისი პოზიციის გამო „მსხვერპლად ეწირება“ ჰაინრიჰ ფონ ბრენტანო (საგარეო საქმეთა მინისტრი). დისკურსის თემების გაკონტროლების მცდელობად შეგვიძლია მივიჩნიოთ აგრეთვე ბეჭდური მედიების Rheinischer Merkur და Deutsche Soldatenzeitung პოზიცია, გარკვეულ ცენზურას დაუქვემდებარონ მათი გაზეთების ფურცლებზე გამოთქმული ყოველი აზრი, რადგან ისინი კონკრეტული პოლიტიკური დაჯგუფებების და მათი ავტორიტეტების ინტერესებს გამოხატავენ.

დ) დისკურსული გაერთიანებები

აქტორები ქმნიან სხვადასხვა დაჯგუფებებს, რომელთაც მეტ-ნაკლებად მსგავსი დისკურსული პრაქტიკა აერთიანებთ. შპიცმიულერი და ვარნკე ასეთი დაჯგუფებების აღსანიშნავად გვთავაზობენ ტერმინს „დისკურსული გაერთიანებები“, რა დროსაც ძირითადად ეყრდნობიან მიშელ ფუკოს მიერ გამოყენებულ ცნებას „დისკურსული საზოგადოებები/სოციუმები“ (Foucault 1981). მათი მოსაზრება ეფუძნება ასევე რიგ კონცეფციებს სოციოლინგვისტიკის სფეროდან, რომლებიც ენობრივ ერთობებს არა ჰომოგენური ჯგუფების, არამედ დინამიკური და დაქსელილი ჰეტეროგენული სტრუქტურების სახით წარმოადგენენ, სადაც აქტორს შეუძლია, კონტექსტიდან გამომდინარე, საკუთარი თავი არა ერთ, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ენობრივ ერთობას მიაკუთვნოს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია (Warnke/Spitzmüller 2008a: 34-35).

¹² ტერმინი შემოტანილია დევიდ მ. უაიტის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში, გამოყენება მედიის კვლევებში და გულისხმობს ინფორმაციის შეზღუდვას და მხოლოდ კონკრეტული კომუნიკაციისათვის საჭირო თემების შერჩევას.

იან ბლომარტის მიხედვით, ენობრივი და დისკურსული გაერთიანებები მსგავსი იდენტობის მქონე აქტორების კავშირს წარმოადგენს, რომელთა ენობრივ დონეზე განხილვა სოციოლინგვისტურ თეორიებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი (Blommaert 2005: 210-230).

მათიას იუნგი (Jung 2006) დისკურსულ გაერთიანებებს განიხილავს როგორც დისკურსის „საკომუნიკაციო სფეროებს“, ხოლო შტეფან ჰაბშაიდი და ულა ფიქსი ლაპარაკობენ „კონკრეტული ჯგუფის/გაერთიანების სტილზე“, რაც დისკურსში სოციალური მიკუთვნებულობის მიხედვით გამოყენებულ ენობრივ ფორმებს გულისხმობს (Habscheid/Fix 2003).

ადენაუერის შესახებ სუბდისკურსში მონაწილე აქტორები გაერთიანებული ფორმით არსებობენ. საანალიზო ტექსტებში სახეზეა ერთგვაროვანი „ხმისა“ და საერთო მიზნების მქონე აქტორთა შემდეგი გაერთიანებები:

- ჟურნალისტები, როგორც პრესის წარმომადგენლები (მაგ. მარიონ დენჰოფი + ZEIT-ის რედაქცია);
- გაზეთები ZEIT, Rheinischer Merkur, Deutsche Soldatenzeitung როგორც ბეჭდური მედიები;
- პოლიტიკური პარტიები CDU/CSU, SPD, FDP, Die Grünen, Labour Party;
- მმართველი პოლიტიკური გუნდი;
- საპარლამენტო ოპოზიცია;
- საზოგადოების წევრები

ეს დისკურსული გაერთიანებები მოქმედებენ როგორც „იდეოლოგიური შუამავლების“ ნაკრები და გაერთიანებულები არიან უმრავლესობის პრინციპით. მათში შემავალი აქტორების რაოდენობა განსაზღვრავს მათ ლეგიტიმურობას და წონადობას მოცემული დისკურსისათვის, რაც კონკრეტული დისკურსული გაერთიანების წევრების პოზიციების განმტკიცებას უწყობს ხელს. ამ გაერთიანებებისათვის ნიშანდობლივია ცოდნის განსხვავებული და სპეციფიკური მარაგების გამოყენება. მათი კლასიფიკაციის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აქტორები ენობრივ მექანიზმებს

იყენებენ თვითშეფასების (მაგ. გამონათქვამები, როცა მარიონ დენჰოფი ლაპარაკობს ZEIT-ის ფურცლებზე ყველასათვის აზრის თანაბარი და შეუზღუდავი გამოხატვის უფლების შესახებ) ან სხვათა შეფასების მიზნით (მაგ. მისი დამოკიდებულება მმართველი პოლიტიკური ელიტისადმი და ასევე პოლიტიკოსთა ურთიერთშეფასებები), რაც დისკურსში ჩართულ სხვადასხვა აქტორთა განსხვავებულ დისკურსულ პრაქტიკაზე მიანიშნებს.

საინტერესოა, თუ როგორ ხდება ცალკეულ გაერთიანებებზე მინიშნება დისკურსში მომგებიანი პოზიციონირებისათვის. რეციპიენტების სტიმულირების მიზნით ტექსტებში ხშირად გამოიყენება მრავლობითის ფორმები, კერძოდ კი ნაცვალსახელი wir, რომელშიც ძირითადად საზოგადოების წევრები, ანუ უბრალო მოქალაქეები მოიაზრებიან, თუმცა არის შემთხვევაც, რომ wir მოიცავს ასევე პოლიტიკურ სპექტრსაც, როცა ავტორი მოვლენებს ისტორიულ ჭრილში განიხილავს (იხ. დანართი - საგაზეთო კომენტარები 1, 4, 7, 9).

ე) სოციალური სტრატეგიკაცია

დისკურსის ანალიზი გულისხმობს სოციალურად გაზიარებული ცოდნის სტრუქტურების რეკონსტრუქციას. ეს ცოდნა ძირითადად აისახება ცალკეული ინდივიდების ან ინდივიდთა ჯგუფის დისკურსულ პოზიციებში, რომლებიც უშუალო კავშირშია მათ სოციალურ პოზიციებთან. ცოდნა და შესაბამისად ინფორმაცია, რომელიც ცხადი ხდება დისკურსის მეშვეობით, ყოველთვის სოციალური ნიშნით არის მარკირებული, რასაც აქტორების სოციალური მიკუთვნებულობა განაპირობებს (Spitzmüller/Warnke 2011: 182).

ადენაუერის შესახებ სუბდისკურსში მონაწილე აქტორები სხვადასხვა სოციალურ ფენას წარმოადგენენ და განსხვავებული ენობრივი კომპეტენციები გააჩნიათ, ამიტომაც მათ აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები ჩაერთონ დისკურსში და მოირგონ ინტერაქციული როლები. მარიონ დენჰოფის კომენტარების ანალიზი ცხადყოფს დისკურსულ დიალოგს უპირატესად განსხვავებულ პოზიციებზე მყოფ

პოლიტიკოსებთან სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ თემაზე. ძირითადი განხილვის საგანია უმეტესად საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები, ქვეყნის პოლიტიკური კურსი, მედიის თავისუფლება, ქვეყნის თავდაცვასთან და შეიარაღებასთან დაკავშირებული საკითხები, დემოკრატიული ღირებულებები, ომისშემდგომი სირთულეები და სხვა. ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებენ ძირითადად ორი სოციალური ფენის წარმომადგენლები: მმართველი პოლიტიკური წრე და ბეჭდური მედია. რაც შეეხება საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლებს, მათ ჩართულობას აღნიშნულ დისკურსში იმპლიციტური ხასიათი აქვს.

საანალიზო ტექსტებში სტრატეგიკაცია ვლინდება არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა ჯგუფებში, არამედ ინსტიტუციურ დონეზეც. ამის მაგალითია გერმანიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, სადაც პოლიტიკოსები განსხვავებული გავლენისა და ძალაუფლების მქონე ფენებად არიან წარმოდგენილი, რაც ნათლად აისახება მათ შორის ურთიერთობის ფორმებზე და ასევე განაპირობებს მათ ცნობადობას და დაფასებას საზოგადოების მხრიდან (იხ. დანართი - საგაზეთო კომენტარი 6).

3.2.3.3. დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების მედიალურობა

მედიალურობის თემაზე მსჯელობისას ჩვენი ანალიზის საგანია შემდეგი ქვეკატეგორიები: **მედიუმი, კომუნიკაციის ფორმები და ქცევის მოდელები.**

ა) მედიუმი

მედიალურობაზე საუბრისას ჩვენ ვეყრდნობით კონრად ელიჰის იმ მოსაზრებას, რომ ენა არის სპეციფიკური მედიუმი, რომელიც როგორც საკომუნიკაციო საშუალება აღჭურვილია მნიშვნელოვანი ფუნქციებით. ენას, როგორც მედიუმს, გამოხატვის განსხვავებული ფორმები გააჩნია, რომელთა მეშვეობითაც იგი მართავს მოვლენების მედიალიზების პროცესს (Ehlich 1998: 19-21).

ელიჰის ეს მოსაზრება ახლოს დგას იმ მიდგომასთან დისკურსის ლინგვისტიკაში, რომელიც ენას სპეციფიკური ფუნქციების მქონე გამონათქვამთა ორიგინალურ ანუ

პირველად სისტემად მოიაზრებს. სწორედ ენის საშუალებით ხდება კონკრეტული გამონათქვამების პროდუცირება და მათთვის მნიშვნელობის მინიჭება. გამონათქვამები ვრცელდება დისკურსულ პრაქტიკებში ისეთი საკომუნიკაციო რესურსების მეშვეობით, როგორცაა დისკუსიები, მასმედიები, საკანონმდებლო ტექსტები, დარგობრივი ლიტერატურა, ბელეტრისტიკა, პოლიტიკური მოლაპარაკებები, დემონსტრაციები, სამეცნიერო დებატები და ა.შ. გამონათქვამის მედიალურობას განაპირობებენ პირველ რიგში ბეჭდური მედიები. მედიალურობა გულისხმობს კონკრეტული ინფორმაციის შემცველი გამონათქვამების გავრცელების პროცესს, რასაც თან ახლავს მოლოდინი, რომ საზოგადოება მათ მიიღებს და გაიზიარებს. ამ თვალსაზრისით მედიები განიხილება როგორც აქტორები, რომლებიც დისკურსზე წვდომას აკონტროლებენ (Spitzmüller/Warnke 2011: 183).

მარიონ დენჰოფი თავის პოლიტიკურ დისკურსში კონრად ადენაუერის თემის გადმოსაცემად იყენებს ბეჭდურ მედიას DIE ZEIT. მარიონ დენჰოფი როგორც აქტორი, რომელსაც ასევე „იდეოლოგიური შუამავლის“ ფუნქციაც აკისრია, კარგად იცნობს გაზეთის შესაძლებლობებს და იყენებს მას საკუთარი მოსაზრებების გავრცელება-დომინირებისათვის. გაზეთი გამოირჩევა მკითხველისათვის მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაციის მიწოდებით, რაც სხვა გაზეთებისაგან განსხვავებული მედიალურობის მოლოდინს აჩენს და მისდამი საზოგადოების მაღალ ინტერესს განაპირობებს¹³. DIE ZEIT ითვლება მემარცხენე ლიბერალური მიმართულების ერთ-ერთ წამყვან გერმანულენოვან მედიად, რომლისთვისაც მისაღებია ნებისმიერი განსხვავებული აზრი. გაზეთი ყოველთვის თანმიმდევრულად და კრიტიკულად განიხილავს საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თემებს და არ ცდილობს მათ მარგინალიზებას, რითაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციალური კომუნიკაციის განვითარების პროცესს.

¹³ გაზეთის პირველი ნომერი 1946 წლის 21 თებერვალს გამოვიდა ჰამბურგში. პირველი გამოცემა რვაგვერდიანი იყო. ყოველი სტატია გაზეთში ბრიტანულ ცენზურას ექვემდებარებოდა. DIE ZEIT იყო პირველი გაზეთი, რომელიც გამარჯვებული მოკავშირეების ღია კრიტიკას ბედავდა, რაც იმ დროს არ იყო უსაფრთხო, რადგანაც ინგლისელ პრესის ცენზორებს ადვილად შეეძლოთ გაზეთი აეკრძალათ.

ბ) კომუნიკაციის ფორმები

ლინგვისტური თვალსაზრისით აღიარებული ფაქტია, რომ ენა სოციალურად, ისტორიულად და სიტუაციურად ცვალებადი ფენომენია, რომ ენის გამოყენება კავშირშია ისეთ ცვალებად პარამეტრებთან, როგორცაა სივრცე, დრო, სოციალური პოზიცია, სქესი და შესაბამისად გენდერი, ასაკი და ა.შ. ენა მათ კომუნიკაციური პრაქტიკების მეშვეობით წარმოაჩენს და მათი განმტკიცების მიზნით კომუნიკაციის კონკრეტულ ფორმებს იყენებს.

შპიცმიულერისა და ვარნკეს მიხედვით კომუნიკაციის ფორმებისათვის, რომლებიც დისკურსის ლინგვისტიკის ინტერესის საგანია, დამახასიათებელია სპეციფიკური სიტუაციური პარამეტრები. ისინი განასხვავებენ კომუნიკაციის ბგერით და გრაფიკულ, სინქრონულ და ასინქრონულ, მონოლოგურ და დიალოგურ, ენობრივი თვალსაზრისით დისტანცირებულ და არადისტანცირებულ ფორმებს. კომუნიკაციის ფორმებად ისინი მიიჩნევენ ასევე სტილისტიკურ რეგისტრს და ენობრივ ვარიანტებს, როგორცაა სტანდარტული ენა, დარგობრივი ენა, სპეციალური საჭიროების ენა, საგანმანათლებლო ენა, დიალექტიზმები და ა.შ. (Spitzmüller/Warnke 2011: 185).

მარიონ დენჰოფი თავის პოლიტიკური კომენტარებისათვის იყენებს კომუნიკაციის ფორმას, რომელიც როგორც მედიალურ, ისე კონცეპტუალურ დონეზე წერილობითი სახით არის წარმოდგენილი და რომლისთვისაც რელევანტურია გრაფიკული, ასინქრონული, მონოლოგური და ენობრივი თვალსაზრისით დისტანცირებული სიტუაციური პარამეტრები. ავტორის საკომუნიკაციო ენა წარმოადგენს სტანდარტული და საგანმანათლებლო ენის ნაზავს, სადაც ასევე სახეზეა პოლიტიკური შინაარსის დარგობრივი ლექსიკა. პოლიტიკურ კომენტარებში გამოყენებული კომუნიკაციის ფორმა მიაწინებს ავტორის სოციალურ ლოკაციაზე საზოგადოებაში და გამოხატავს მისი, როგორ ბეჭდური მედიის ერთ-ერთი წარმომადგენლის პოზიციას.

გ) ქცევის მოდელები

ქცევის ენობრივი მოდელები წარმოადგენენ სტანდარტიზებული ქცევის შესაძლო ფორმებს, რომელთა გააქტიურება აქტორის კონკრეტულ ქმედებასთან არის დაკავშირებული. მათი მეშვეობით აქტორს შეუძლია საკუთარი მიზნების რეალიზება. ქცევის მოდელების სტრუქტურირება ხდება სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე. ქცევის მოდელები კონკრეტული დროისა და ეპოქის გავლენით იქმნება და ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესში.

შპიცმიულერი/ვარნკე ეყრდნობიან რა ბარბარა ზანდიგის კონცეფციას ტექსტის ნიმუშების ნაირგვარობის შესახებ, ქცევის მოდელებს განიხილავენ როგორც ქცევის ტიპიზირებულ და კონვენციონალიზებულ ფორმებს, რომლებსაც აქტორები სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად იყენებენ, როცა მათ გააჩნიათ შესაბამისი „შაბლონური ცოდნა“. შპიცმიულერი/ვარნკე თვლიან, რომ ქცევის მოდელები ე.წ. „ხმის“ ნაწილს წარმოადგენენ, რადგან ისინი აქტორების ველში მოქმედებენ, აქტორების ქცევას განსაზღვრავენ და შესაბამისად ჩართული არიან გამონათქვამების მედიალიზების პროცესში. ამიტომ ისინი აღიქმება როგორც გამონათქვამთა ნაკრები, რომელიც დისკურსული წესრიგის ნაწილს წარმოადგენს (Spitzmüller/Warnke 2011: 186).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტები შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ჟურნალისტური ტექსტის სახეობა ‘კომენტარი’, არამედ როგორც გამონათქვამთა ნაკრები და კონკრეტული ნიმუშის მიხედვით შექმნილი ქცევის მოდელი მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ დისკურსში, რომელსაც ავტორი საზოგადოებასთან და პოლიტიკოსებთან კომუნიკაციისათვის იყენებს. იგი ავტორის მენტალურ და ინტერაქციულ ქმედებას განაპირობებს, რომელიც კონკრეტულ ობიექტებზეა მიმართული. საგაზეთო კომენტარი როგორც ქცევის მოდელი ქმედების სოციალურად დამკვიდრებულ ფორმას წარმოადგენს, სადაც მარიონ დენჰოფის, როგორც აქტორის პოზიციებს და გამოცდილებებს ვერბალიზებული სახე აქვს და ერთმანეთს სპეციფიკური ფორმით უკავშირდება.

3.2.4. რჩეული პოლიტიკური კომენტარების ანალიზი 3: ტრანსტექსტუალური დონე

დისკურსი ლინგვისტური კვლევების არსებითად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. დისკურსზე მაშინ შეიძლება საუბარი, როცა ინტრატექსტუალური ფენომენები, აქტორები და ტრანსტექსტუალური სტრუქტურები ურთიერთქმედებენ და ეს სამი დონე ფაქტიურად ერთმანეთშია ინტეგრირებული. კონკრეტული რიტორიკული საშუალებების არჩევანი ცალკეულ ტექსტში იმ შაბლონურ ფორმებით არის განპირობებული, რომლებიც ბევრ სხვადასხვა ტექსტში მეორდება, რაც დისკურსში აქტორების კონკრეტული პოზიციების და თვალსაზრისების გამოკვეთის საშუალებას წარმოადგენს.

დისკურსის ტრანსტექსტუალური ანალიზი გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული ტექსტის კვლევას (რაც ტრადიციულად რიტორიკის, სტილისტიკის ან ტექსტის ლინგვისტიკის მიზანს წარმოადგენს), არამედ შეისწავლის გარკვეული რაოდენობის ტექსტებსა და შესაბამისად, აქტორების გამონათქვამებს სხვადასხვა ტექსტებში ან მედიებში, მაშინ როცა სახეზეა სტრუქტურული თანხვედრები და ურთიერთმიმართებები ცალკეულ შინაარსებს შორის (Spitzmüller/Warnke 2011: 187-188).

ტრანსტექსტუალურ სტრუქტურებზე მსჯელობისას ჩვენ განვიხილავთ დისკურსულ-ლინგვისტურ საანალიზო კატეგორიებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკვლევი კორპუსის ცალკეულ ტექსტებს შორის კავშირის დადგენა და აქტორების მეშვეობით მათი სოციალური კონტექსტუალიზაცია, ესენია: **ინტერტექსტუალობა, ტოპოსის ანალიზი და დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები, ისტორიულობა, იდეოლოგია და მმართველი წრის მენტალიტეტი.**

3.2.4.1. ინტერტექსტუალობა

ინტერტექსტუალურ ფენომენებზე დაკვირვება შესაძლებელია იქ, სადაც ტექსტები სხვა ტექსტებზე მიაწინებენ. ეს მოვლენა იულია კრისტევას მიხედვით ყველა ტექსტისთვის

ნიშანდობლივია, რადგან „ყველა ტექსტი ინტერტექსტუალურია და პირდაპირი თუ ირიბი ციტატების მოზაიკას წარმოადგენს“ (Kristeva 1972).

ტექსტები, რომლებიც როგორც სტრუქტურულად ისე შინაარსობრივად დაკავშირებული არიან სხვა ტექსტებთან, ქმნიან ქსელურ სისტემას. სწორედ ეს ტრანსტექსტუალური გადაჯაჭვულობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს ტექსტების დისკურსში პოზიციონირებისათვის.

გერმანელი ლინგვისტი ზუზანე ჰოლტიუსი განასხვავებს ინტერტექსტუალობის ორ განსხვავებულ ტიპს: ტიპოლოგიურ ინტერტექსტუალობას და რეფერენციული ინტერტექსტუალობას. ტიპოლოგიური ინტერტექსტუალობა გულისხმობს მიმართებას ტექსტებს და გამონათქვამებს შორის ტრანსტექსტუალურ დონეზე, როცა ისინი კონკრეტულ დისკურსში ერთი და იგივე ნიმუშის მიხედვით იქმნება, ხოლო რეფერენციული ინტერტექსტუალობის დამახასიათებელი ნიშანია ტექსტების უშუალო მიმართება ერთ ან რამოდენიმე წინმსწრებ ტექსტთან, ე.წ. „პრეტექსტთან“ (Holtius 1993).

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსი გამოირჩევა კომპლექსური ინტერტექსტუალური ფენომენების სიმრავლით, რასაც მოწმობს ინტრატექსტუალურ დონეზე მისი პუბლიცისტური ტექსტების დეტალური ანალიზი. მხოლოდ ის, რაც ცალკეულ ტექსტში დასტურდება, შესაძლებელია გაანალიზებული იყოს ინტერტექსტუალურ განზომილებაში (იხ. ქვეთავი 3.2.2. - ინტრატექსტუალური დონის ანალიზი).

ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეულ ტექსტებში სახეზეა ინტერტექსტუალობის ორივე ფორმა, როგორც ტიპოლოგიური, ასევე რეფერენციული. ერთი მხრივ ტექსტები შეიძლება განვიხილოთ როგორც ტიპოლოგიური ინტერტექსტუალობის შემქმნელი ფენომენები, რადგან ისინი მსგავსი სტრუქტურული ნიმუშის მიხედვით არიან შექმნილი და შესაბამისად კონკრეტული ტექსტის სახეობის, კერძოდ პოლიტიკური კომენტარის რეალიზებულ ფორმებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ სახეზეა ასევე

რეფერენციული ინტერტექსტუალობა, როგორც უშუალო კავშირი „პრეტექსტებთან“, რაც საანალიზო ტექსტებში შედარებით რთული დასადგენია.

ვოლფგანგ ჰაინემანის მიხედვით, რეფერენციულ ინტერტექსტუალურ ფენომენებს ქმნიან ის იმპულსები, რომელსაც ტექსტის პროდუცენტი იღებს სხვა, მის მიერ დამუშავებული ტექსტებისაგან, რაც ასოციაციურად იწვევს პროდუცენტის და შესაბამისად რეციპიენტის ზოგადი ცოდნის სტრუქტურების გააქტიურებას (Heinemann 1997: 23).

რეფერენციული ინტერტექსტუალური ფენომენები მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ კომენტარებში მიანიშნებენ სოციოკულტურული ცოდნის იმ მარაგზე, რასაც ეყრდნობა ავტორი ტექსტის შექმნის პროცესში.

სოციოკულტურული ცოდნის სეგმენტებთან ერთად საანალიზო ტექსტებში ინტერტექსტუალობის შემქმნელ ფენომენებად შეიძლება განვიხილოთ ის ე.წ. „ინტერტექსტები“ იგივე „პრეტექსტები“, რომლებსაც ირჩევს და იყენებს ავტორი ახალი ტექსტის შექმნის პროცესში:

- პირველ საგაზეთო კომენტარში ციტირებული ანდაზით: „**Wes' Brot ich eß, des' Lied ich sing!**“ ავტორი ექსპლიციტურად მიანიშნებს პრესის ფურცლებზე გამოთქმული აზრის თავისუფლებაზე:
„Keine Sorge, meine Herren, bei uns fordert der „oberste Chef“ nicht, wie Sie es offenbar gewohnt sind, Gehorsam; auch gilt bei uns nicht, wie anscheinend beim „Rheinischen Merkur“, das Gesetz: „**Wes' Brot ich eß, des' Lied ich sing!**“ (საგაზეთო კომენტარი 1);
- მესამე საგაზეთო კომენტარში მოხსენიებული კეპენიკის კაპიტანი უშუალო კავშირშია ფრიდრიჰ ვილჰელმ ფოიგტის ისტორიასთან და კარლ ცუკმაიერის თეატრალურ პიესასთან „კეპენიკის კაპიტანი“ („Hauptmann von Köpenick“), რომელიც ამ ცნობილი ისტორიის მხატვრული გადამუშავების შედეგად შეიქმნა, როგორც პრუსიული მილიტარიზმის კომიკური მანიფესტაცია:
„Die SPD hat es nicht leicht. Seit den Tagen **des Hauptmanns von Köpenick** war für sie das Bekenntnis zum Zivilisten oberstes Gebot. (საგაზეთო კომენტარი 3);

- მესამე საგაზეთო კომენტარში ავტორი ასევე იყენებს იმპერატორ ვილჰელმ II-ის მიერ გერმანულ ენაში დამკვიდრებულ სტანდარტულ პოეტურ ფრაზას „**schimmernde Wehr**“, რომლითაც იმპერატორი გერმანული ფლოტის ძლიერებას აღნიშნავდა, თუმცა მარიონ დენჰოფისათვის მიუღებელია მილიტარისტული სულისკვეთების ნებისმიერი გამოვლინება:
„Aus dem Argwohn gegen den Militarismus und die „**schimmernde Wehr**“ WILHELM II. wurde unbemerkt die Aversion gegen alles Militärische.“ (საგაზეთო კომენტარი 3);
- მეხუთე საგაზეთო კომენტარის სათაურში Mit dem Volke spielt man nicht: grosser Mann – was nun? პერიფრაზირებული ნაწილი **grosser Mann – was nun?** უშუალო მინიშნებაა ჰანს ფალადას ცნობილ რომანზე **Kleiner Mann – was nun?**;
- მეხუთე საგაზეთო კომენტარის პირველ ქვესათაურში *Der Recke aus dem Sachsenwald und der Rheinische Fuchs*, „Rheinische Fuchs“¹⁴-სა „ Der Recke aus dem Sachsenwald“¹⁵-ის მოხსენიებით ავტორი იმპლიციტურად მიანიშნებს ერთ შემთხვევაში კანცლერ კონრად ადენაუერზე და მეორე შემთხვევაში კი პირველ რაიხსკანცლერ ოტტო ფონ ბისმარკზე, ხოლო კომენტარის მეორე ქვესათაურში *Untertanengeist verbrämt mit Nibelungentreue* გამოყენებული ფრაზით „ნიბელუნგების ერთგულება“ („Nibelungentreue“) ირონიული მინიშნება კეთდება მმართველ პოლიტიკურ გუნდზე, რომელსაც კანცლერ ადენაუერისადმი მამებლური დამოკიდებულების გამო ავტორი ადარებს შუასაუკუნეების გერმანულ საგმირო ეპოსში „სიმღერა ნიბელუნგებზე“ („Nibelungenlied“) მოხსენიებულ მითიური განძის მცველებს;
- მეხუთე საგაზეთო კომენტარში ინტერტექსტუალური ჩართულობის მაგალითია ციტატა უილიამ შექსპირის პიესიდან „ჰამლეტი“, რითაც ავტორი კიდევ ერთხელ

¹⁴ ქვემოგერმანულზე შექმნილი შუასაუკუნეების ეპოსის „რაინეკე მელა“ (Reinecke Fuchs“) მთავარი პერსონაჟი. ლექსის ფორმით გადმოცემული ეპოსი 1498 წ. დაიბეჭდა ლიუბეკში, ხოლო 1752 წ. იოჰან კრისტოფ გოტშედმა ის თარგმნა სალიტერატურო გერმანულზე პროზის ფორმით, რაც გახდა ინსპირაცია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს იმავე სახელწოდების ეპოსისათვის.

¹⁵ ფრაზა ფრიდრიჰ ონეზორგეს ლექსიდან „Stimmt an mit hellem Jubelton“, რომელიც შესულია გერმანელი მასწავლებლის, არქივარიუსის და მხარეთმცოდნის, პაულ არასის მიერ შედგენილ 1898 წ. გამოცემულ ლექსების კრებულში „ლექსები ბისმარკზე“ („Bismarck-Gedichte“).

უსვამს ხაზს პარლამენტის წევრების ქვეშევრდომულ მორჩილებას, რომლებიც ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებენ და სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევენ კანცლერ ადენაუერის ნებისმიერ გადაწყვეტილებას:

„Wer dächte da nicht an *Hamlets Phantasien* und des *Polonius Echo*. *Hamlet*: „**Seht ihr die Wolke dort, beinahe in Gestalt eines Kamels?**“ – *Polonius*: „**Beim Himmel, sie sieht auch wirklich aus wie ein Kamel!**“ – *Hamlet*: „**Mich dünkt, sie sieht aus wie ein Wiesel.**“ – *Polonius*: „**Sie hat einen Rücken wie ein Wiesel.**“ – *Hamlet*: „**Oder wie ein Walfisch.**“ – *Polonius*: „**Ganz wie ein Walfisch!**“

- ინტერტექსტუალობის მაგალითია ციტატა გერმანიის ეროვნული ჰიმნის ე.წ. „მეოთხე სტროფიდან“, რომელიც ცნობილია როგორც „შეუპოვრობის სტროფი“ („Trotzstrophe“). აღნიშნული სტროფი, როგორც ეროვნული ჰიმნის დამატება, დაწერა ალბერტ მათაიმ 1921 წელს, რითიც გამოხატა რეაქცია წაგებულ მსოფლიო ომზე და ვერსალის ხელშეკრულებაზე. იგი 1927 წელს შეიტანეს „გერმანელი სამხედრო მეზღვაურების სიმღერების წიგნში“ („Liederbuch der Deutschen Kriegsmarine“) და 1930-იან წლებამდე ამ სტროფს მღეროდნენ ფრონტის მებრძოლთა ისეთ გაერთიანებებში, როგორც იყო „ფოლადის მუზარადი“ („Stahlhelm“) და „გერმანელი ნაციონალისტები“ („Deutschnationale“). სწორედ ნაციონალისტები მოიხსენიებდნენ მას „მეოთხე სტროფად“, თუმცა ის არასდროს ყოფილა გერმანიის ეროვნული ჰიმნის ნაწილი:

„Nein, wenn EUGEN GERSTENMAIER nicht wäre und ein paar Unabhängige, die vergeblich nach Gesinnungsgenossen ausspähten, könnte man verzweifeln an so viel Untertanengeist, der obendrein mit Nibelungentreue verbrämt ist: „**Und im Unglück nun erst recht**““. (საგაზეთო კომენტარი 5)

„Deutschland, Deutschland über alles

Und im Unglück nun erst recht.

Nur im Unglück kann die Liebe

Zeigen ob sie stark und echt.

Und so soll es weiterklingen

Von Geschlechte zu Geschlecht:

Deutschland, Deutschland über alles

Und im Unglück nun erst recht. (ალბერტ მათაის დამატებული სტროფი);

- მეშვიდე საგაზეთო კომენტარში ავტორი იყენებს ცნობილ ფორმულირებას *Habemus Papam*, რომელსაც წარმოთქვამს კარდინალ-პროტოდიაკონი რომის პაპის არჩევნების დასრულებისას, რითაც უმაღლესი სასულიერო პირების მიერ გაკეთებულ წარმატებულ არჩევანზე მიანიშნებს, თუმცა კომენტარის ავტორი ამ ფორმულირებას ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ კონტექსტში წარმოადგენს:

„*Habemus Papam* – wir haben einen Papst! Mit diesem jubelierenden Ruf pflegt der erste Kardinals-Diakon von der Loggia des Sankt Peter den Abschluß der päpstlichen Wahl zu verkünden. **Wir haben wieder einen Kanzler. Endlich.** Aber niemand jubelt, zu deprimierend war das Geschehen und Gebaren der letzten sieben Wochen. [...]“ (საგაზეთო კომენტარი 7);

- მეოთხე საგაზეთო კომენტარის როგორც სათაურში, ასევე ტექსტში ავტორი იყენებს ცნობილ ფორმულირებას *Finis Germaniae*, რომლითაც თავის დროზე რაიხსკანცლერმა თეობალდ ფონ ბეთმან ჰოლვეგმა შეუზღუდავი წყალქვეშა ომის სტრატეგია შეაფასა, რაც მისი აზრით პირველ მსოფლიო ომში აშშ-ს ჩართვას და გერმანიის აღსასრულს მოასწავებდა. ავტორის მიერ აღნიშნული ფორმულირების საგაზეთო კომენტარის ტექსტში ჩართვა ერთი მხრივ ემსახურება ინფორმაციული თვალსაზრისით ტექსტის სტრუქტურირებას, ხოლო მეორე მხრივ, ავტორი ამ გამონათქვამით კანცლერ ადენაუერისა და მისი გუნდის საარჩევნო სტრატეგიას აკრიტიკებს:

„Vielen – auch manchem, der nicht zur SPD gehört - ist der Zorn flammend rot ind Gesicht gestiegen beim Lesen jener Worte, die Konrad Adenauer in Nürnberg sprach: “Wenn die SPD die Regierung übernimmt, so bedeutet das den Untergang Deutschlands” – wörtlich: den Untergang Deutschlands! *Finis Germaniae!* (საგაზეთო კომენტარი 8);

- მეცხრე საგაზეთო კომენტარში ინტერტექსტუალობის ფენომენს ქმნის ციტატა გოეთეს „ფაუსტიდან“, რომელსაც ავტორი იყენებს ქვეყნისა და საზოგადოების შეუქცევად განვითარებასთან და პროგრესთან მიმართებაში, რაც ნებისმიერი ქვეყნისათვის გამოწვევად აღიქმება:

„Chancen sind immer auch mit Risiko verbunden. Wer darum auf Stillstand und Bewahren setzt, über den geht die Geschichte gnadenlos hinweg – denn die Geschichte ist ein Prozess. Das Motto **“Verweile doch, du bist so schön”** gilt für sie nicht.“ (საგაზეთო კომენტარი 9).

საანალიზო ტექსტები ერთმანეთთან ინტერაქციაშია, რასაც მოწმობს კონრად ადენაუერის წინასაარჩევნო გამონათქვამის იდენტური შეფასება პირველ და მერვე საგაზეთო კომენტარებში:

„Das war im Mai. Im Juli schrieben wir, **es steige einem die Zornesröte ins Gesicht, wenn man KONRAD ADENAUERS Nürnberger Rede höre, mit der er den Untergang Deutschlands prophezeite für den Fall, daß die SPD an die Regierung kommen sollte.**“ (საგაზეთო კომენტარი 1)

„Vielen – auch manchem, der nicht zur SPD gehört - **ist der Zorn flammend rot ind Gesicht gestiegen beim Lesen jener Worte, die Konrad Adenauer in Nürnberg sprach: “Wenn die SPD die Regierung übernimmt, so bedeutet das den Untergang Deutschlands”** [...] (საგაზეთო კომენტარი 8)

საანალიზო ტექსტებს შორის კომუნიკაცია სახეზეა ასევე მეორე და მეოთხე საგაზეთო კომენტარებში, როდესაც ავტორი კონრად ადენაუერის პიროვნების შეფასებისას იყენებს გამონათქვამს *grand old man*¹⁶ (საგაზეთო კომენტარი 2) და ამ გამონათქვამის გერმანულ ანალოგს *großer alter Mann* (საგაზეთო კომენტარი 4), რითაც მიაწინებს იმ პატივისცემაზე და დაფასებაზე, რითაც სარგებლობდა კანცლერი საზოგადოებაში, თუმცა მეორე საგაზეთო კომენტარში ამ შეფასებას ირონიული და შესაბამისად ნაწილობრივ ნეგატიური შეფერილობა აქვს:

„Inzwischen sind nun viele Beobachter dem Sonderzug ADENAUERS gefolgt und schildern, wie die Bevölkerung in den Straßen Spalier bildet, [...] wenn sie die äußerst nüchternen und die Phantasie keineswegs beflügelnden Ausführungen **des *grand old man*** – oder vielleicht auch nur seinen Auftritt – zur Kenntnis genommen haben.“ (საგაზეთო კომენტარი 2)

¹⁶ აღნიშნული გამონათქვამი აბრევიატურით GOM გამოიყენება 1892 წლიდან და დაკავშირებულია ბრიტანელ საზოგადო მოღვაწესა და პოლიტიკოსთან უილიამ იუარტ გლადსტონთან, რომელმაც 83 წლის ასაკში გაიმარჯვა თავის ბოლო არჩევნებში.

„Eigentlich hatten die meisten von uns geglaubt, sie kannten **den großen alten Mann**, seine Reaktionen, sein Gespür für Macht, seine Beharrlichkeit und seinen Instinkt festzuhalten – [...]“ (საგაზეთო კომენტარი 4)

საგაზეთო კომენტარებს შორის ინტერაქციული მიმართების მაგალითია მეხუთე- მერვე, მეექვსე-მეხუთე და მეოთხე-მეცხრე კომენტარების ტექსტების ურთიერთქმედება, როდესაც ავტორი აფასებს

- არჩევნების შედეგებს:

„Selten nur werden die Starken von ihren Gegnern erledigt. Gewöhnlich gehen sie an ihren eigenen Fehlern zugrunde.“ (მეხუთე საგაზეთო კომენტარი)

„Es heißt, Feldherren gewinnen ihre Schlachten meist deshalb, weil der Gegner Fehler mache, und nur selten deshalb, weil sie überlegen seien – [...]“ (მერვე საგაზეთო კომენტარი);

- არსებულ პოლიტიკურ ვითარებას:

„Soweit das eindrucksvolle Fazit der letzten sechs Wochen in der Bundeshauptstadt. Die Strecke: **ein Bundeskanzler und ein Vizkanzler waidwund, der Außenminister tot, und alle Institutionen „angekratzt“** [...]“ (საგაზეთო კომენტარი 6)

„*Innenpolitisch:*

1. Der Kanzler hat „sich selbst angeschossen“, und es ist fraglich, ob er je wieder der alte sein wird.

2. Der Vizkanzler ist schwer blessiert – Usgang noch ungewiß.

3. Der Bundespräsident leidet still, aber darum nicht weniger ernsthaft. **Sein Amt wurde in dem vielfältigen Hin und Her entscheidend abgewertet.**“ (საგაზეთო კომენტარი 5);

- მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ გატარებულ პოლიტიკას:

„Daß mithin **jüngere Kräfte die Politik der neuen Phase in die Hand nehmen können, ohne daß ein Erdrutsch entsteht.**“ (საგაზეთო კომენტარი 4)

„Seit Jahren haben wir darauf warten müssen, dass nach einem der seltenen großen Umbrüche **jemand das Steuer in die Hand nehmen und den Weg weisen würde – nichts dergleichen geschah.**“ (საგაზეთო კომენტარი 9).

ტექსტების ურთიერთზემოქმედება, ანუ მათ შორის ინტერაქციული მიმართებები მოწმობს, რომ ინტერტექსტუალობა არ არის შემთხვევითი მოვლენა. ის კავშირშია იმ დისკურსულ წესებთან, რომლებიც მიშელ ფუკოს თეორიის მიხედვით განსაზღვრავენ, თუ რომელი გამონათქვამია მისაღები და დაშვებული კონკრეტული საზოგადოებისათვის და რომელი მათგანი ექვემდებარება შეზღუდვას, რაც ძირითადად ეპისტემური ქსელების მეშვეობით მიიღწევა. ეს ქსელები თავის თავში აერთიანებს ყველა იმ დოგმას, მრწამსს, თვალსაზრისს, შეხედულებას და საზოგადოებრივ პრაქტიკას, რაც საზოგადოებრივ აქტორებს საშუალებას აძლევს განსაჯონ თუ რა არის სწორი და რა არასწორი, ანუ მისაღები და მიუღებელი კონკრეტული დისკურსული ერთობისათვის (იხ. ქვეთავი 1.2.1. - მიშელ ფუკოს თეორია).

სილვია ბენდელ ლარჩერის მიხედვით დისკურსის შეზღუდვის ეფექტური საშუალებაა კონკრეტული თემების, არაპოპულარული პიროვნებების და ა.შ. იგნორირება და მხოლოდ „ერთ ხმაში საუბარი“. დისკურსის ასეთი „დახურვა“ მიიღწევა პირველ რიგში ისეთი დისპოზიტივებით, როგორცაა დაშვებისა და გამორიცხვის მექანიზმები საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა მაგ. განათლება, პოლიტიკა, სამეცნიერო მეინსტრიმი და ა.შ. (Bendel-Larcher 2015: 207).

ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეულ საგაზეთო კომენტარებში ავტორი ძირითადად იმ თემებს განიხილავს (არჩევნები და მმართველი პოლიტიკური გუნდი), რომლებზეც მას საფუძვლიანი და არგუმენტირებული მსჯელობა შეუძლია. წარმოდგენილი შინაარსები კარგად აღწევს რეციპიენტამდე, რადგან ისინი მუდმივი დისკუსიის საგანია და შესაბამისად დაშვებული და მისაღებია საზოგადოებისათვის.

საანალიზო ტექსტები შეიცავენ ასევე ე.წ. შეზღუდულ და გამოტოვებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს თემებს, რისი თავსმოხვევაც არ სურს ავტორს რეციპიენტებისათვის: ნაციონალ-სოციალიზმის და სამხედრო დამნაშავეების თემა და თვითონ ავტორის, მარიონ დენჰოფის, პოლიტიკური ორიენტაცია. პირველი თემაზე მინიშნებას ვხვდებით პირველ საგაზეთო კომენტარში „Meine Meinung, deine Meinung“, სადაც ავტორი ძალიან მოზომილად ეხება მოვლენას, რაც იმდროინდელი

გერმანიისათვის ტაბუს წარმოადგენს (ნიურნბერგის პროცესი), რადგან ომისშემდგომი საზოგადოება ცდილობს ქვეცნობიერად ჩაახშოს უახლოესი წარსული. რაც შეეხება ავტორის პოლიტიკურ მრწამსს, ეს ის თემაა, რის განმარტებაც არ არის საჭირო და რაც იმთავითვე გასაგები და ცხადია რეციპიეტებისათვის, რადგან საანალიზო კომენტარებში ნათლად იკვეთება მარიონ დენჰოფის აშკარა მხარდაჭერა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის მიმართ.

ამრიგად ნათელია, რომ ინფორმაციის გამოტოვება დისკურსით მანიპულირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, ხოლო გამოტოვებული ინფორმაციის მოძიება დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა.

3.2.4.2. ტოპოსის ანალიზი და დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები

ტრანსტექსტუალური სტრუქტურების კვლევაზე ორიენტირებული ლინგვისტიკის ერთ-ერთ წარმატებულ კონცეფციას წარმოადგენს ტოპოსის დისკურსულ-ლინგვისტური ანალიზი.

ტოპოსის ანალიზი ცხადყოფს, რომ არგუმენტაციული სტრატეგიები ნიშანდობლივია არა მხოლოდ ტექსტების, არამედ დისკურსებისთვისაც. ტოპოსები ინფორმაციას გვაწვდიან საზოგადოებაში დამკვიდრებული ცოდნის შესახებ. ისინი წარმოადგენენ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისათვის რელევანტური იდეების ინდიკატორებს და მათ შორის საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანს (Bendel-Larcher 2015: 172).

ლინგვისტიკაში გამოყენებული ტოპოსის ცნება მომდინარეობს რიტორიკიდან და წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ფორმალურ ნიმუშს ან სქემას, რომელიც არგუმენტაციული მსჯელობის შედეგია და რეკურენტული ანუ პერიოდული განმეორებით გამოირჩევა. იგი განსხვავდება ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული ტერმინისაგან, რომელიც ტოპოსის ცნებაში გულისხმობს ლიტერატურულ მოტივს, კლიშეს ან ბანალურ ჭეშმარიტებას.

სოციოლოგიურ, პოლიტოლოგიურ და სოციოლინგვისტურ კვლევებში ტოპოსის ცნება რიგ შემთხვევაში გაგებულია როგორც სააზროვნო ნიმუში/ხატი, რომელიც დამკვიდრებულია სოციუმში და რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია არსებული რეალობიდან კონკრეტული საკითხების გაშუქება. ტოპოსები საზოგადოებრივი ცოდნის მარაგის ძირითად ნაწილს შეადგენენ, რაც სოციალური ჯგუფებისათვის სწორი და მართებული ქმედების საფუძველს ქმნის. შინაარსობრივი თვალსაზრისით ისინი მდგრად ენობრივ ფორმებს წარმოადგენენ, რომლებიც კონკრეტული აქტორების მიერ საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოიყენება. ტოპოსებს აქვთ გამოკვეთილად სოციალური ხასიათი, რადგან ისინი კონკრეტულ ენობრივ და სოციალურ გარემოში ან საკომუნიკაციო სიტუაციებში ფორმირდებიან (Knoblauch 2000: 658-659).

რაინერ კელერის აზრით, ტოპოსები დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების ტიპობრივ საკვანძო კომპონენტებს წარმოადგენენ, რომელთაც მრავალფეროვანი ინტერპრეტაციული რეპერტუარი გააჩნიათ (Keller 1998: 36-37).

ტოპოსის ანალიზის კონცეპტუალური საფუძვლები ძირითადად განმარტებულია მარტინ ვენგელერის შრომებში. მისი აზრით „ტოპოსები გვაწვდიან ინფორმაციას საზოგადოებრივი ცოდნის შესახებ [...], რომელიც თემატურად განსაზღვრული საზოგადოებრივი დისკურსების ფარგლებში ექსპლიციტურად ვლინდება ან არსებობს იმპლიციტური ფორმით როგორც გაგებისათვის რელევანტური ცოდნა, რომელსაც ტექსტის გამონათქვამები ეფუძნება“ (Wengeler 2007: 165).

ტოპოსის ცნებას არგუმენტაციული სტრუქტურების კვლევის კუთხით იყენებენ ასევე ვალტერ კინდტი, მიხაელ პილენცი, ჰელმუტ ფაილკე და სხვ. ვალტერ კინდტი ტოპოსს განმარტავს როგორც არგუმენტაციისათვის განკუთვნილ სოციალური ორგანიზაციის სპეციფიკურ ფორმას, რომლის ლოგიკური სტრუქტურები კონკრეტული გამოყენებისას იმპლიციტური რჩება ან მათი რეალიზება არასრული ფორმით ხდება. მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ პერიოდულად განმეორებად არგუმენტაციულ ფიგურებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თემატური დისკურსებისათვის (Kindt 1992: 191-194).

მიხაელ პილენცის აზრით ტოპოსებში იკვეთება ზოგადი, სოციალური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით რელევანტური სააზროვნო ნიმუშები. მისი განმარტებით ტოპოსი არის „ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი აქტორების კოლექტიური თვითშეფასების შედეგი და იმავდროულად მათ მიერ გამოყენებული რესურსიც. [...] ტოპოსში კრისტალიზებულია კონკრეტული ეპოქის თვითშეფასება [...] მისთვის უცხოა ფორმალურ ლოგიკაზე დაფუძნებული ინტერპრეტაციებისთვის დამახასიათებელი სადა და მონოტონური გამოხატვის ფორმები“ (Pielenz 1993: 130-131). ჰელმუტ ფაილკე ტოპოსებს ათანაბრებს დასკვნებთან, რომელთაც ის ე.წ. „დასკვნის სახით წარმოდგენილ პრესუპოზიციებს“ („Schlusspräsuppositionen“) უწოდებს და თვლის, რომ ასეთი ტერმინი უფრო უკეთ მიანიშნებს ტოპოსების იმპლიციტურობაზე არგუმენტაციულ სტრუქტურებში (Feilke 1996: 10-11).

არგუმენტაციული ტოპოსები, რომლებიც სახეზეა მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარებში, საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ თემებს, რომლებიც აქტუალურია კომენტარების ავტორისთვის, რადგანაც ისინი ასახავენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობას გასული საუკუნის 50-60-იანი წლების გერმანიაში.

ჩვენი ანალიზის საგანია კომენტარების ტექსტებში სპეციფიკური შინაარსის რეკურენტული ანუ განმეორებადი ტოპოსების და ფაქტობრივი მოცემულობების დადგენა, რომლებიც განმსაზღვრელია მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსისათვის. გამოყენებული ტოპოსები ზოგადად ეფუძნება ე.წ. „ყოველდღიურობის ლოგიკის“ (Kienpointner 1992) არგუმენტაციულ ნიმუშებს, კერძოდ კი მოიცავს კომპონენტებს დისკუსიიდან, რომელიც ომისშემდგომი პერიოდის გერმანულ პრესაში (იგულისხმება გაზეთი DIE ZEIT) იყო გამართული და ეხებოდა კანცლერ კონრად ადენაუერის და მისი მინისტრთა კაბინეტის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს, ადენაუერის მმართველობის ბოლო წლებში ჩატარებული არჩევნების ფონზე.

საგაზეთო კომენტარების ტექსტებში არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზზე დაყრდნობით (იხ. ქვეთავი 3.2.2.3. - ტექსტის სტრუქტურის თავისებურებები) შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი ტოპოსებია სპეციფიკური და აქტუალური

ავტორის მიერ გამოყენებული დისკურსული ხაზისათვის. მოძიებული და აღწერილი არგუმენტები არ წარმოადგენენ ლოგიკური სილოგიზმის ნიმუშებს, მაგრამ დამაჯერებელი და დიდი დარწმუნების ძალის მქონეა, რომელთა მეშვეობითაც ხდება ტექსტებში გამოთქმული აზრების, დასკვნების და ქმედებების დასაბუთება. არგუმენტაციის დამაჯერებლობას განსაზღვრავენ ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა ენობრივი გარემო, არსებული კონტექსტი, ეპოქის სპეციფიკა, გამოყენებული არგუმენტების რელევანტურობა, ალბათობა და ხანგრძლივობა (Haltbarkeit).

საანალიზო ტექსტებში იკვეთება ტოპოსები, რომლებიც კონკრეტული კონტექსტის გამომხატველია, მაგრამ ეფუძნება კონტექსტისგან აბსტრაჰირებულ არგუმენტაციულ ნიმუშებს, რომელთაც თომას ნირი მარტინ ვენგელერისაგან განსხვავებით არა ტოპოსებს, არამედ პროტოტიპულ არგუმენტაციებს უწოდებს. მათი იდენტიფიცირება და ამოღება ხდება ტექსტებიდან, ამ ტექსტების პარაფრაზირების მეშვეობით (Niehr 2014: 116-117).

საგაზეთო კომენტარების ტექსტებში ჩვენ მოვიძიეთ ავტორის მიერ გამოყენებული არგუმენტაციების საყრდენი მოდელები, რომელთაც მსგავსი სტრუქტურული ნიმუში აერთიანებთ. ისინი წარმოადგენენ ზოგადი ხასიათის არგუმენტაციული ნიმუშების ტიპოლოგიურ სქემებს, რომლებსაც გვთავაზობენ მანფრედ კინპოინტნერი (Kienpointner 1992, 2000), იოზეფ კლაინი (Klein 1995, 2000) და მარტინ ვენგელერი (Wengeler 2003).

საანალიზო ტექსტებში გამოიკვეთა 15 არგუმენტაციული ნიმუში, შესაბამისად ტოპოსი:

1. **არსებული მოცემულობის ან გარემოების იძულებით თავსმოხვევის ტოპოსი,** რომელიც შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს:

რადგან სამყაროში არსებობს რაღაც როგორც ფაქტი, მოვლენა ან შემთხვევა, ამიტომ ეს რაღაც უნდა გავიგოთ როგორც მოცემულობა, რომლის შეცვლაც სავარაუდოდ ნაკლებად არის შესაძლებელი.

ამ ტოპოსით შესაძლებელია ნებისმიერი ქმედების გამართლება (მათ შორის პირველ რიგში იგულისხმება პოლიტიკურად მოტივირებული ქმედებები), რასაც ადასტურებს შემდეგი მაგალითები ტექსტებიდან:

- „Und wir haben gleichzeitig *mit* den Besatzungsmächten *gegen* unverbesserliche Nazis gekämpft. Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchleuchten, und mußten dabei manchen Strauß mit ROBERT KEMPNER, dem *Ankläger*, ausfechten und manchen Vorwurf der *Angeklagten* einstecken, die nicht verstanden, warum wir uns nicht vorbehaltlos für alle einsetzten, die vor Gericht standen.“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „[...] Der Bundeskanzler, der entschlossen war, um jeden Preis an der Macht zu bleiben [...], war bereit zu versprechen, er werde vor Ablauf der Wahlperiode zurücktreten, denn das verlangten seine eigenen Parteigenossen. Da ihm seine Koalitionspartner, durch Erfahrungen gewitzigt, diese Zusicherung aber nicht glaubten, sah er sich genötigt, einen Koalitionsvertrag abzuschließen, [...] .“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „[...] Eine Vielzahl der CDU-Abgeordneten war gegen eine neuerliche Kandidatur KONRAD ADENAUERS. [...] aber in der Fraktionssitzung vor dem Angesicht des obersten Herrn, da gab es bei der ersten Abstimmung innerhalb der Fraktion nur einen einzigen, beim zweitenmal nur vier Abgeordnete (von 250), die sich offen zu ihrer Überzeugung bekannten.“ (საგაზეთო კომენტარი 7)
- „Viele meinen, die Grünen werden unrealistische Ziele verfolgen, der SPD das Regieren schwer machen, die Entwicklung hemmen. Aber das dürfte eine übertriebene Sorge sein. Der Sachzwang ist in diesem Moment stärker als die Ideologie.“ (საგაზეთო კომენტარი 9)

2. ზემოქმედების ტოპოსი, რომლის განზოგადებაც შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

რადგან კონკრეტული პირი, ინსტიტუცია ან ქვეყანა დამძიმებულია პრობლემებით ან თუ არსებობს ასეთი საფრთხე, მაშინ დასაშვებია ნებისმიერი ზეწოლა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებდა ან არ დაუშვებდა მათ შემდგომ ესკალაციას.

ეს ტოპოსი მიანიშნებს არსებული პრობლემების ნებისმიერი ხერხით აღმოფხვრის აუცილებლობაზე, რასაც მოწმობს ამონარიდი მეექვსე საგაზეთო კომენტარის ტექსტიდან:

- „[...] Das Kabinett, das doch schließlich eine Versammlung der Besten darstellen soll, würde [...] zu einem Verein von Hampelmännern werden. Denn der Minister [...] wäre ja in seinen Entschlüssen grundsätzlich nicht mehr frei; und damit er sich auch nicht

gelegentlich über den allmächtigen Koalitionsvertrag hinwegsetzen kann, sollen die vorgesehenen Staatsminister von der jeweils anderen Couleur auch noch als Aufpasser fungieren.“

3. საფრთხის ტოპოსი, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

რადგან პოლიტიკური ქმედება/გადაწყვეტილება ან საზოგადოებრივი აქტივობა კონკრეტული საფრთხის შემცველია, ის არ უნდა განხორციელდეს.

ეს ტოპოსი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებელ ზომებთან ერთად ასევე კონკრეტული ქმედებების ყველა შესაძლო შედეგს მოიაზრებს, ნეგატიური შედეგების ჩათვლით.

საფრთხის ტოპოსის არგუმენტაციული გამოყენების მაგალითები არის მერვე საგაზეთო კომენტარში:

- „Vielen – auch manchem, der nicht zur SPD gehört - ist der Zorn flammend rot ins Gesicht gestiegen beim Lesen jener Worte, die Konrad Adenauer in Nürnberg sprach: “Wenn die SPD die Regierung übernimmt, so bedeutet das den Untergang Deutschlands” – wörtlich: den Untergang Deutschlands! *Finis Germaniae!*“
- „[...] ein Wechsel der Regierung würde [...] in Deutschland eine totale Veränderung der außenpolitischen Linie mit sich bringen; aber schließlich steht ja noch gar nicht fest, daß die SPD eine solche Veränderung auch tatsächlich durchführen würde.“

4. ისტორიის და ანალოგიების ტოპოსი, რომლის ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება:

რადგან ისტორია გვასწავლის, რომ კონკრეტულ ქმედებებს კონკრეტული შედეგები მოსდევს, მოსალოდნელი ქმედება, რომელიც სავარაუდოდ შესაბამის კონტექსტში ისტორიიდან აღებული მაგალითის ანალოგია, უნდა შესრულდეს ან არ უნდა შესრულდეს.

ისტორიის ტოპოსი გულისხმობს არგუმენტაციული ხასიათის მინიშნებებს ისტორიაზე, ისტორიულ მოვლენებზე, სხვა ქვეყნების ანალოგიურ გამოცდილებებზე, რასაც შეიცავენ შემდეგი მაგალითები:

- „Die SPD hat es nicht leicht. Seit den Tagen des Hauptmanns von Köpenick war für sie das Bekenntnis zum Zivilisten oberstes Gebot. [...] So wurde Die SPD mitschuldig daran, daß die Reichswehr Weimar-Deutschlands – immer mehr in die Isolierung gedrückt – jeden Kontakt mit dem politischen Leben und dem Staatsbürger verlor.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „ KONRAD ADENAUER ist häufig mit BISMARCK verglichen worden. Und manchem erschien dieser Vergleich zwischen dem Recken aus dem Sachsenwald und dem Reineke Fuchs aus dem Rhöndorfer Rosengarten ein wenig gewagt. Dennoch vieles sprach dafür.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „[...] Die Menschen sind vergeßlich – Das Erreichte erscheint immer selbstverständlich. Aber die historischen Akten registrieren es, daß KONRAD ADENAUER Deutschland aus einem verachteten, rauchenden Trümmerhaufen zu einem geachteten Staat zusammengeschiedet hat, dessen politische Wünsche und Notwendigkeiten innerhalb der westlichen Koalition eine wesentliche Rolle spielen. [...]“ (საგაზეთო კომენტარი 5)

5. პოლიტიკური სარგებლის ტოპოსი, რომელიც შემდეგი სახის განმარტებას ეფუძნება:

რადგან კონკრეტულ ქმედებას პოლიტიკური თვალსაზრისით სარგებელი ან ზარალი მოაქვს, ის უნდა შესრულდეს ან შესაბამისად არ შესრულდეს.

აღნიშნული ტოპოსი წარმოდგენილია შემდეგი მაგალითებით:

- „ [...] Jene in Darmstadt gesprochenen Sätze mögen vom Wahltaktischen Standpunkt aus ein Erfolg sein, für das Klima der deutschen Innenpolitik aber waren sie gerade in diesem Moment ganz gewiß schädlich. Solche Aussprüche, die den Radikalen in der SPD Auftrieb geben, sind wir ein Dolch in den Rücken der verständigungsbereiten und gemäßigten Kräfte der Partei. Das ist bedauerlich, denn wesentlich wichtiger als ein CDU-Sieg im hessischen Wahlkampf dürfte doch wohl der parteipolitische Frieden in unserer Armee sein.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „KONRAD ADENAUER wird nun diesen Amt einem Nachfolger überlassen, den er bestimmt (den er nur als Bundespräsident bestimmen kann) und wird damit einen entscheidenden Einfluß auf die Kontinuität der Politik ausüben. Er selber wird die Arena des Kampfes verlassen und über den um die Macht streitenden Parteien stehen. In der größeren Ruhe und Distanziertheit des höchsten Amtes im Staate wird er als Schirmherr und Wächter der Bundesrepublik noch lange wirken können. Vielleicht

wird sich zeigen, daß er von dort aus mehr Einfluß auf den Lauf der Dinge ausüben wird, als man sich bisher träumen lassen konnte.“ (საგაზეთო კომენტარი 4)

- „Bundeskanzler ADENAUER hat den Beschluß, nun doch nicht für das Amt des Bundespräsidenten zu kandidieren, mit der außenpolitischen Situation Deutschlands begründet: Es sei angesichts der sich verschlechternden außenpolitischen Lage besser, so sagte er, wenn er bleibe. [...]“ (საგაზეთო კომენტარი 5)

6. **რეალობის ტოპოსი**, რომლის განზოგადება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

რადგან სინამდვილე/რეალობა ისეთია, როგორც არის, უნდა განხორციელდეს ან არ უნდა განხორციელდეს კონკრეტული ქმედებები, რის ფონზეც ადამიანებმა უნდა მიიღონ ან არ უნდა მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები.

ეს ტოპოსი შეიცავს გამონათქვამებს, სადაც მეტ-ნაკლებად ხაზგასმით ნაჩვენებია, თუ როგორია ის რეალობა, საიდანაც დასკვნები კეთდება, რასაც მოწმობს შემდეგი მაგალითები ტექსტებიდან:

- „Was soll, was kann in dieser Situation geschehen? Die Antwort lautet kurz und bündig: Nichts, was die Verhältnisse grundsätzlich verändern könnte. Eine Rebellion des Parlaments – beispielsweise ein konstruktives Mißtrauensvotum, das den Sturz des Kanzlers herbeiführt – ist in Anbetracht von Genf und Berlin nicht möglich; es würde unsere außenpolitische Stellung entscheidend schwächen.“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „Doch sollte man nicht versuchen, die jüngste Vergangenheit zu „bewältigen“, sondern sich möglichst rasch von ihr ab- und der Zukunft zuwenden. Denn jene ist nicht zu bewältigen, aber diese noch zu gewinnen, mindestens darf sie nicht verloren werden. [...] Jetzt geht es darum, nicht zu resignieren, sondern wachsam zu sein und sich angesichts des neuen Anfangs darüber klarzuwerden, was getan und was unbedingt verhindert werden muß. Wobei wir das, was aus jenen zurückliegenden Wochen in die Zukunft übernommen wird, besonders genau überprüfen sollten.“ (საგაზეთო კომენტარი 7)
- „Es heißt, Feldherren gewöhnen ihre Schlachten meist deshalb, weil der Gegner Fehler mache, und nur selten deshalb, weil sie überlegen seien – auch im Wahlkampf hat diese Regel schon oft ihre Gültigkeit bewiesen.“ (საგაზეთო კომენტარი 8)

7. **პასუხისმგებლობის ტოპოსი**, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს:

რადგან კონკრეტული პირი, პირთა ჯგუფი ან ქვეყანა ნაწილობრივ პასუხისმგებელია პრობლემების შექმნაში, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ შექმნილი პრობლემების მოგვარებაში.

აღნიშნული ტოპოსი წარმოდგენილია შემდეგი მაგალითებით:

- „So muß man es denn aufrichtig begrüßen, daß die SPD sich jetzt entschlossen hat, ihren Parteimitgliedern naheulegen, in die Bundeswehr einzutreten. Tatsächlich haben sich die SPD-Bundestagsabgeordneten BERKHAN sowie HELMUT SCHMIDT, der dem Vorstand der Partei angehört, freiwillig zur Reserveübung gemeldet und die Uniform bereits angezogen. [...] Wie die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ berichtet, hat DR.ADENAUER die Aufforderung der Bundestagsfraktion an die Mitglieder der Sozialdemokratischen Partei, in die Bundeswehr einzutreten, als geradezu unverantwortlich bezeichnet, falls die Sozialdemokraten nicht gleichzeitig bereit seien, der Bundeswehr die notwendigen Waffen zu geben, um einem Angriff entgegentreten zu können.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „Was schließlich die Fraktion anlangt, so wäre es wirklich eine Schande, wenn sie die Nichtachtung der Demokratie, der hier so sichtbar Ausdruck verliehen wurde, schweigend duldet, ohne Protest vor der Öffentlichkeit einzulegen. Die Staatsraison der Demokratie verlangt nicht, daß die Repräsentanten des Volkes durch dick und dünn zum Regierungschef stehen, sondern daß sie dort rebellieren, wo sich Ansätze von Willkür zeigen und die Institutionen der Republik nicht respektiert werden.“ (საგაზეთო კომენტარი 5)

8. ადამიანურობის/ჰუმანურობის ტოპოსი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

რადგან კონკრეტული ქმედება და მისი შედეგები კავშირშია ადამიანის უფლებებთან, შეესაბამება ან უპირისპირდება მათ ჰუმანური თვალსაზრისით, ის უნდა იყოს მხარდაჭერილი ან შესაბამისად უარყოფილი.

ეს ტოპოსი ქმნის იმ არგუმენტაციულ ნიმუშს, რომლისთვისაც ტიპობრივია ადამიანური/ჰუმანური ასპექტების იმპლიცირება:

- „Einer Fronde innerhalb der CDU/DSU aber könnte nur ein Mann Wirkung verleihen: LUDWIG ERHARD; dann nämlich, wenn er erklärte, angesichts der Behandlung, die der

Kanzler ihm zuteil werden ließ, sei er nicht bereit, weiter im Kabinett zu verbleiben. [...] Was ERHARD allerdings verlangen kann, das ist eine Rehabilitierung durch den Kanzler, der ihm (seinem Vizekanzler) das Zeugnis ausstellte, er habe in der Außenpolitik das Ziel der Klasse noch nicht erreicht und müsse noch zwei Jahre nachsitzen.“ (საგაზეთო კომენტარი 5)

9. **სარგებლის ან აუცილებელი საჭიროების ტოპოსი**, რომლის ფორმულირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

რადგან კონკრეტული გადაწყვეტილების ან ქმედების მოსალოდნელი შედეგები აუცილებლად დადგება, ის უნდა იყოს მიღებული და შესაბამისად უნდა შეიცვალოს ის წესები ან რეგულაციები, რომლებიც მოემსახურება გაცხადებულ მიზანს.

აღნიშნული ტოპოსის მაგალითია შემდეგი ამონარიდი მეექვსე საგაზეთო კომენტარის ტექსტიდან:

- „[...] Und noch etwas: wir haben doch alle gesehen, daß die bisher angebotenen Koalitionskräfte einfach nicht ausreichen. Ein Kabinett der Besten, so wie GERD BUCERIUS es an dieser Stelle vor drei Wochen vorschlug, das ist es, was wir brauchen. Also: keine Koalitionsverhandlungen, sondern einen Kanzler, der aus allen drei Parteien die fähigsten Männer auffordert, die ihnen gemäßen Posten zu übernehmen. Mit solch einer Regierung könnten wir etwas beruhigter in die Zukunft blicken. Käme sie zustande, dann hätten die deprimierenden Erfahrungen der letzten Wochen doch wenigstens einen gewissen Sinn gehabt.“ (საგაზეთო კომენტარი 6)

10. **ექსპლუატაციის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ტოპოსი**, რომელიც ემყარება შემდეგი სახის დეფინიციას:

რადგან მისაღწევია პოლიტიკური მიზანი, ამიტომ დასაშვებია ნებისმიერი საშუალებით ნებისმიერი ადამიანის გამოყენება პირადი სარგებლის მისაღწევად.

აღნიშნული ტოპოსი წარმოდგენილია შემდეგი მაგალითებით ტექსტებიდან:

- „[...] Dann, so hat die Fraktion vorgesehen, soll Minister ERHARD Bundeskanzler werden. Arm in Arm mit ihm hatte KONRAD ADENAUER sich auf den Wahlplakaten den Wählern präsentiert. Ein, so schien es vor dem 17. September, unschlagbares *Team*.

Aber das ist lange her. Davon weiß der Bundeskanzler heute nichts mehr. Inzwischen hat er seinem Wirtschaftsminister von neuem bescheinigt, daß dieser von Politik nichts verstehe und darum zu politischen Entscheidungen nicht hinzugezogen werden könne. Welch staatsmännische Art und Weise, seinen Nachfolger auf das Kanzleramt vorzubereiten.“ (საგაზეთო კომენტარი 6)

- „[...] Die FDP, darob erbost, verlangte um so stürmischer ein Opfer – irgendein Opfer, am besten den Außenminister. Und KONRAD ADENAUER zeigte sich, ohne zu zögern, bereits, seinen treuesten Vasallen, HEINRICH VON BRENTANO, zu opfern. [...] Und dies alles nur, um noch ein paar Jahre länger an der Macht zu bleiben.“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „[...] Und die Wähler? An sie hat offenbar niemand mehr gedacht. Sie sind arg enttäuscht über ihre Repräsentation auf höchster Ebene.“ (საგაზეთო კომენტარი 7)

11. პოზიციონირების ტოპოსი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს:

რადგან ხელისუფლების სათავეში ყოფნა დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს, საჭიროა პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალაუფლების და გავლენის სფეროების გადანაწილება.

პოზიციონირების ტოპოსის არგუმენტაციული გამოყენების მაგალითები არის მეექვსე საგაზეთო კომენტარში:

- „Was allein diskutiert wurde, war das Problem, wie viele Ministerien müssen wir ausbieten - wie viele Staatsämter verschleudern -, um eine Koalition zustande zu bringen, die es KONRAD ADENAUER erlaubt, noch ein paar Jahre an der Macht zu bleiben. Die CSU, die bisher mit 55 Abgeordneten vier Ministerien hatte, wollte sich mit dreien nicht zufriedengeben, sondern ihre vier behalten. Darum mußten der FDP, die 66 Abgeordnete hat, fünf Ministerien angeboten werden, obgleich sie höchstens drei Leute hat, die man mit gutem Gewissen zu Ministern machen kann.“

12. კონსენსუსის ტოპოსი, რომლის ფორმულირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

რადგან ქვეყნის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ხელისუფლებისათვის, სასურველია პირველ რიგში ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობა შიდაპოლიტიკურ ძალებს შორის.

აღნიშნული ტოპოსი სახეზეა მესამე საგაზეთო კომენტარში:

- „[...] Jene in Darmstadt gesprochenen Sätze mögen vom Wahltaktischen Standpunkt aus ein Erfolg sein, für das Klima der deutschen Innenpolitik aber waren sie gerade in diesem Moment ganz gewiß schädlich. Solche Aussprüche, die den Radikalen in der SPD Auftrieb geben, sind wie ein Dolch in den Rücken der verständigungsbereiten und gemäßigten Kräfte der Partei. [...]“ (საგაზეთო კომენტარი 3)

13. სტერეოტიპების ტოპოსი, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

რადგან ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი სტერეოტიპულად აზროვნებს, ეს უნდა მივიღოთ როგორც ფაქტობრივი მოცემულობა.

სტერეოტიპების ტოპოსის ნიმუშია მაგალითები მეორე საგაზეთო კომენტარიდან, სადაც ტექსტის ავტორის მიერ წარმოდგენილია ევროპელების სტერეოტიპული ხედვა ომისშემდგომ გერმანიასა და გერმანელებთან დაკავშირებით:

- „[...] da konnte man in manchen ausländischen Zeitungen lesen und von manchem Ausländer hören, [...] in Deutschland seien eben nur die Verführer populär.“
- „[...] Und schon schleicht sich in manche Berichterstattung der Unterton ein: es ist halt typisch für die Deutschen, immer glauben sie an den starken Mann, sie müssen immer einen Führer haben.“
- Die Deutschen können es ihrer Umwelt nicht leicht recht machen: begeistern sie sich für Europa, so steigt der Verdacht auf, sie wollten sich unter solcher Tarnung eine Vormachtstellung in dieser Gemeinschaft sichern, verhalten sie sich dagegen abwartend oder gar skeptisch, so sieht man dies als Beweis für ihren unausrottbaren Nationalismus an. [...] Nun, damit muß man sich abfinden. [...] „

14. თავისუფალი გამოხატვის ტოპოსი, რომელიც შემდეგი სახის დეფინიციას ემყარება:

რადგან ნებისმიერი ადამიანი თავისუფალია საკუთარ ქმედებაში, მას აქვს უფლება შეუზღუდავად გამოხატოს საკუთარი აზრი.

აღნიშნული ტოპოსის მაგალითები გვხვდება პირველ საგაზეთო კომენტარში:

- „[...] Eine Meinung, die sich mit der eigenen nicht deckt, wird als falsch, unberechtigt, ja als Verrat an der guten Sache, die man selbst vertritt, geächtet. [...]“
- „[...] Nicht besser ergeht es dem, der wagt, heute den A zu kritisieren und morgen den B. Das ist sogar besonders schlimm, [...] „aber nicht dieses unentschlossene Hin und Her!“
- „Wir haben uns in der „Zeit“ von Anfang an – das war gewissermaßen das Gesetz, wonach wir 1946 antraten – die Freiheit genommen zu schreiben, was wir dachten. [...]“
- „Um es hier noch einmal ganz deutlich zu sagen: Wir sind der Meinung, daß zu Fragen von *allgemeiner Bedeutung* in unserer Zeitung sowohl links- wie rechtsorientierte Politiker oder Fachleute Stellung nehmen können; [...]“
- „Keine Sorge, meine Herren, bei uns fordert der „oberste Chef“ nicht [...] Gehorsam; auch gilt bei uns nicht [...] das Gesetz: „Wes´ Brot ich eß, des´ Lied ich sing!“ Aus zwei Gründen ist das so: erstens, weil der Verleger, DR. BUCERIUS, die Meinung vertritt, die Redaktion habe das, was sie schreibt, zu vertreten und müsse darum vollständig frei sein, und zweitens, weil die Redaktion, wäre dies nicht so, längst den Dienst quittiert hätte.“

15. ავტორიტეტის და იმიჯის ტოპოსი, რომლის განზოგადებაც შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

რადგან ქვეყნის, ინსტიტუციის ან პიროვნების ავტორიტეტი და სახე მნიშვნელოვანია როგორც ლოკალური, ისე გლობალური თვალსაზრისით, ამიტომ საჭიროა მუდმივად იმაზე ზრუნვა, რომ ისინი არ შეილახოს.

აღნიშნული ტოპოსის არგუმენტაციული გამოყენების მაგალითები სახეზეა შემდეგ საგაზეთო კომენტარებში:

- „[...] Das ist bedauerlich, denn wesentlich wichtiger als ein CDU-Sieg im hessischen Wahlkampf dürfte doch wohl der parteipolitische Frieden in unserer Armee sein.“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „Niemand hätte dem Bundeskanzler die Elastizität zugetraut, abseits von allen bisherigen Erwägungen, gewissermaßen aus heiterem Himmel, den Entschluß zu fassen, sein Amt in Frage zu stellen; in wahrstem Sinne des Wortes sein Amt, denn erst durch ihn wurde es geprägt in Form und Inhalt. [...]“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „Er [...] hat nicht versucht, den Personalkredit „Konrad Adenauer“ in einen Realkredit „Bundesrepublik Deutschland“ umzuwandeln. Er hat es nicht versucht, schlimmer noch: er hat diesen notwendigen (und möglichen) Prozeß nun sogar verhindert.“

- „Der Ruf aller denkbaren Nachfolger für die beiden höchsten Ämter im Staat wurde schwer geschädigt.“
- „Der Begriff der Autorität, im „tausendjährigen Reich“ bis auf den letzten Rest verschlissen und seither mit unendlicher Mühe, Hege und Pflege wenigstens in seinen Grundzügen wiederhergestellt, ist achtlos zertreten worden.“ (საგაზეთო კომენტარი 5)

დასახელებული არგუმენტაციული ნიმუშები, რომლებიც ქმნიან ტოპოსებს, მარტინ ვენგელერის მიხედვით, იმ ე.წ. „კვაზი-ლოგიკური“ დასკვნების შედეგია, რომლებიც ზოგად გამოცდილებას ექვემდებარებიან (Wengeler 2003: 173) და სწორედ ალბათობაზე და დამაჯერებლობაზეა გათვლილი. საგაზეთო კომენტარების ტექსტებში ეს დასკვნები ხშირად იმპლიციტურია და მათში გამოხატულია შინაარსები, რომლებიც დალექილია ინდივიდების ცნობიერებაში როგორც ზოგადი ცოდნა.

ტოპოსის ანალიზი შესაძლებელს ხდის ასევე დადგინდეს, თუ რომელი სააზროვნო ფიგურა/ნიმუში გამოიყენება ავტორის მიერ საკუთარი პოზიციების საყრდენად. სააზროვნო ფიგურების კვლევით დაინტერესებულია დიტრიჰ ბუსე, რომელსაც შემოაქვს ტერმინი „დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურა“. ან ცნების ქვეშ იგი გულისხმობს სააზროვნო ფიგურის/ნიმუშის ანალოგიურ ცნებას. მისი აზრით დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები ჩნდება არა მხოლოდ ავტორის წინასწარი განზრახვით შექმნილ ტექსტებში, რომლებიც ინტერტექსტუალურ ქსელებს ქმნიან, არამედ მათ არსებობას განაპირობებს აგრეთვე ტექსტთა თანხვედრის ის მოულოდნელი და გაუთვლელი ეფექტები, რომლებიც იმპლიციტური ფორმით ვლინდება (Busse 1997).

საანალიზოდ წარმოდგენილ ტექსტებში სახეზეა **დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები**, რომელთა კლასიფიცირება და ორგანიზება შესაძლებელია ისეთ განსხვავებულ ინტრატექსტუალურ ფენომენებზე დაყრდნობით როგორცაა იზოტოპიური ჯაჭვები, თემატური ოპოზიციები, სახელები, საკვანძო სიტყვები და ა.შ. (იხ. ქვეთავი 3.2.2. - ინტრატექსტუალური დონის ანალიზი). ეს ფიგურები დისკურსის კოჰერენტულობას განაპირობებენ, რადგან მათი მეშვეობით ტექსტები გადაკვეთს და უკავშირდება ერთმანეთს.

მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა „საარჩევნო პოლიტიკა“ როგორც ერთ-ერთი ცენტრალური დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურა, როცა საუბარი ეხება კანცლერ ადენაუერის მმართველობის სტილს. საგაზეთო კომენტარების ციკლში ასეთივე საბაზისო ფიგურებს ქმნიან საერთო თემატიკის მატარებელი შემდეგი შინაარსობრივი ელემენტები:

- „თავისუფალი პრესა“, „გამოხატვის თავისუფლება“ (საგაზეთო კომენტარი 1)
- „უპირობო დემოკრატია“, „გაწონასწორებული პოლიტიკა“ „ძლიერი ხელის პოლიტიკა“ (საგაზეთო კომენტარი 2)
- „შიდაპარტიული შერიგება“, „პარტიული აპარატი“ (საგაზეთო კომენტარი 3)
- „განახლების პოლიტიკა“, „რეფორმები“, „მფარველი და მეურვე“ (საგაზეთო კომენტარი 4)
- „უპრინციპობა და მერყეობა“, „პოლიტიკური თვითნებობა“ (საგაზეთო კომენტარი 5)
- „ძალაუფლებისკენ ლტოლვა“, „ავთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნები“ (საგაზეთო კომენტარი 6)
- „არასასურველი არჩევანი“, „იმედგაცრუებული ამომრჩეველი“ (საგაზეთო კომენტარი 7)
- „ამპარტავანი და ქედმაღალი მმართველი“ (საგაზეთო კომენტარი 8)
- „ახლებური პოლიტიკური ხედვა“ (საგაზეთო კომენტარი 9)

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურის გადაკვეთის წერტილი თავს იყრის კონრად ადენაუერის პიროვნებაში. საანალიზო ტექსტებში ასევე სახეზეა ავტორის მისდამი დამოკიდებულება, რაც ფარულად გასდევს ყველა საგაზეთო კომენტარს და ხელს უწყობს მკითხველში ადენაუერის კონკრეტული ხატის შექმნას. აღნიშნული საბაზისო ფიგურები არ გვხვდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ ინტრატექსტუალურ ფენომენში, მაგ. მხოლოდ იზოტოპიებში ან საკვანძო სიტყვებში. მათი გავლენა იგრძნობა სამივე შიდატექსტობრივ დონეზე - სიტყვების, პროპოზიციების და ტექსტის სტრუქტურების ანალიზისას.

3.2.4.3. ისტორიულობა, იდეოლოგია და მმართველი წრის მენტალიტეტი

დისკურსები ჩვეულებრივ დიაქრონულ ან სინქრონულ ჭრილში განიხილება, ისტორიულად განპირობებული დისკურსული ფორმირებების კონტექსტში. შესაბამისად დისკურსის ლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატია საგნების წესრიგი გარემომცველ რეალობაში, აზროვნების, ცოდნის სტრუქტურებისა და ენის, როგორც უნივერსალური კომპეტენციების მქონე სისტემის ისტორიულობის ფონზე, რაც თავის მხრივ ლინგვისტიკის ერთ-ერთ ამოსავალ დებულებას წარმოადგენს (Spitzmüller/Warnke 2011: 194).

დისკურსულ-ლინგვისტური ანალიზისას ისტორიული ცნობიერება მოვლენების ისეთ ხედვას უზრუნველყოფს, რომელიც ტიპობრივია დროის კონკრეტული მონაკვეთისათვის და ასევე ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შეფასებისთვის. ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ფონის გათვალისწინება გულისხმობს არა დიაქრონიული მეთოდით კვლევას, არამედ ენობრივი სტრუქტურების, ანუ ფუკოს მიხედვით „გამონათქვამების“, სინქრონიაში განხილვას. გამონათქვამების ისტორიული ფონი გულისხმობს ისტორიულად გაზიარებულ ცოდნას, რომელიც კონკრეტული დისკურსული გაერთიანებისათვის რეალურ მოცემულობას წარმოადგენს. ეს ცოდნა დისკურსული შეთანხმების შედეგია და დისკურსის ანალიზი ახდენს არა მხოლოდ მის რეკონსტრუქციას, არამედ გამოავლენს, თუ რა ცოდნას ფლობს კონკრეტული საზოგადოება კონკრეტული დროის მონაკვეთში და რა გზით ხდება ამ ცოდნის დისკურსული ფორმირება (Hartz 2014: 36-37).

ცოდნის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საზოგადოებრივ აქტორებს, რომლებიც ცდილობენ შექმნან რეალობის განსხვავებული ფაქტები, დაასაბუთონ მათი ნამდვილობა და დაამკვიდრონ საკუთარი მოსაზრებები. მარიონ დენჰოფი, როგორც გასული საუკუნის 50/60-იანი წლების გერმანიის პოლიტიკურ დისკურსში მონაწილე ერთ-ერთი აქტორი, თავად ქმნის ისტორიულობას, როცა ის თავის პუბლიცისტურ ტექსტებში მიანიშნებს არსებულ პოლიტიკურ ტრადიციებზე და მათ განვითარებაზე. სტატიებში, რეპორტაჟებში, კომენტარებში და ესეებში ის ასახავს

იმ სოციალური ჩარჩოებს, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორ ფუნქციონირებდა იმდროინდელი პოლიტიკური სისტემა, რა ისტორიული მოვლენები იყო ქვეყნისათვის განმსაზღვრელი და ა.შ.

საანალიზოდ წარმოდგენილ საგაზეთო კომენტარების ციკლში ე.წ. „დისკურსის ამონაჭრების“ შესწავლის შედეგად სახეზეა ის ისტორიული და სოციალური ფაქტორები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაში. სუბდისკურსი კონრად ადენაუერის მიერ გატარებული პოლიტიკის კრიტიკის შესახებ გასაგები ხდება იმ ისტორიული მოვლენების ფონზე, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის ომისშემდგომ გერმანიაში. ქვეყნის მიერ გატარებული პოლიტიკური ხაზი ცენტრისტული, უფრო სწორედ კი ნეიტრალური უნდა ყოფილიყო, რადგან გერმანელმა ხალხმა გააკეთა არჩევანი დიქტატურასა და თავისუფალ ცხოვრებას შორის და განვითარების დასავლური კურსი აირჩია. მარიონ დენჰოფი ცხადია ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის მომხრე იყო, მაგრამ იგი თვლიდა, რომ ამ გარემოებას შეიძლებოდა ხელი შეეშალა ორადგაყოფილი ქვეყნის სამომავლო გაერთიანებისათვის. 1950-იანი წლებიდან მსოფლიოში ცვლილებების დრო დადგა - სტალინის გარდაცვალება, კენედის მოსვლა პოლიტიკაში, აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია და შესაბამისად ახალი საგარეო პოლიტიკა - ამ მოვლენებმა რიგ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის რეფორმირება და როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკური კურსის ცვლილება განაპირობა. მხოლოდ ბონში ვერ გამოიტანეს აღნიშნული მოვლენებიდან დასკვნები და ადენაუერმა გაარგძელა იგივე ხისტი და იზოლაციური პოლიტიკა აღმოსავლეთ გერმანიასთან, რის გამოც ის მარიონ დენჰოფის კრიტიკის ობიექტად იქცა, რადგან ჟურნალისტი თვლიდა, რომ ბონმა დააგვიანა აღმოსავლეთ გერმანიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფაზაში შესვლა და ეს თემა საკმაოდ გვიან გახდა დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური დისკურსის ნაწილი.

კრიტიკის მიუხედავად მარიონ დენჰოფი დადებითად აფასებს კონრად ადენაუერს როგორც პოლიტიკოსს და მის მიერ მოვლენების ხედვის, შეფასების და ანალიზის უნარს. მისი აზრით გერმანიის კანცლერის ფრთხილი საგარეო პოლიტიკა არ იყო

საფუძველს მოკლებული, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მას მეტი პოლიტიკური ალლო გამოეჩინა და საკუთარი ცალმხრივი პოლიტიკის მოდიფიცირება მოეხდინა (Dönhoff 1963: 10-11).

საგაზეთო კომენტარების ციკლში მაშინვე თვალში გვხვდება გამონათქვამების ისტორიული ხასიათი. მათი ისტორიულობა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი კონკრეტული დროის მონაკვეთში, კერძოდ კი 1957 წლიდან 1998 წლამდე პერიოდში გამოითქვა, ამგვარი ისტორიულობა მათ ისტორიულ ფუნქციაში გამოიხატა. მარიონ დენჰოფი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც თავისი მწვავე და აქტუალური სტატიებით ქვეყნის უახლოეს წარსულზე ე.წ. „დუმბილის შეთანხმება“ დაარღვია და ტაბუდადებულ თემებზე ხმამაღლა დაიწყო საუბარი (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი და ნაცისტური გერმანიის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები). მან საზოგადოების ყურადღება მიმართა შიდაპოლიტიკურ პრობლემებზე (არჩევნები და ერთპიროვნული მმართველობა) და ასევე იმ სიტუაციურ და სოციალურ ფონზე, რაც ტიპობრივი იყო ომისშემდგომი გერმანიისათვის, რითაც ნაწილობრივ განაპირობა პოლიტიკური დისკურსის ფორმირება მაშინდელ მედიასივრცეში.

თუ საგაზეთო კომენტარების გამონათქვამებს ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ ისინი დღევანდელი გადმოსახედიდან უკვე ნაკლებად აქტუალურია, რადგან შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო პოლიტიკაში და საგანთა ამჟამინდელი წესრიგი, აზრის გამოხატვის თანამედროვე ფორმები და ცოდნის სტრუქტურები სრულიად განსხვავდება მაშინდელი რეალობისგან.

კვლავგაერთიანებულ გერმანიაში პოლიტიკური აქცენტები კეთდება ისეთ თემებზე, როგორცაა ტერორიზმის საფრთხე, ლტოლვილების მშვიდობიანი ინტეგრაცია, ალტერნატიული ენერჯიების ძიება და სხვა.

დისკურსის ისტორიული ხასიათი მნიშვნელოვანწილად აისახება კონკრეტული დისკურსული გაერთიანების მენტალიტეტზე, რომელიც განსაზღვრავს ადამიანების სააზროვნო სტრუქტურებს, გამოავლენს მათ გრძნობებს და ნებელობას (Hermanns 1995: 70-71). დისკურსის ფორმირებას კი წინ უსწრებს კონკრეტული იდეოლოგია, რომელიც კოლექტიურობის ნიშნით არის აღბეჭდილი და აქედან გამომდინარე, სოციალური

შემეცნების ფორმას წარმოადგენს. მაქს ვებერი თვლის, რომ იდეოლოგიის შექმნა ნიშნავს გამოიყენო შანსი და ერთი სოციუმის ფარგლებში წინააღმდეგობის მიუხედავად დაამკვიდრო საკუთარი ნება (Weber 2009). იდეოლოგია ისევე როგორც მენტალიტეტი, მიეკუთვნება დისკურსის იმპლიციტურ ფორმირებებს, რომელთაც დისკურსული აზროვნების ფორმებსა და შინაარსებს უწოდებენ (Dinzelbacher 2008: 21).

მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარებში ორი იდეოლოგია უპირისპირდება ერთმანეთს: ერთი მხრივ სახეზეა მემარჯვენე ორიენტაციის კონსერვატიული იდეოლოგია, რომელსაც წარმოადგენს მმართველი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (CDU) და მასთან ერთად კანცლერი ადენაუერი თავისი პოლიტიკური გუნდით და მეორე მხრივ - მემარცხენე ლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც წარმოადგენს თვით მარიონ დენჰოფი, როგორც აღწერილი პოლიტიკური მოვლენების ერთ-ერთი აქტორი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) უშუალო მხარდამჭერი. ორივე იდეოლოგია ემყარება არსებულ რეალობას და იმ იდეურ ფასეულობებს, რომლებიც კონკრეტული აქტორების მიზნებს და სოციალურ ქმედებებს ასახავენ. ორივე მათგანი მკვეთრად ემიჯნება ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის იდეოლოგიას და ამკვიდრებს ახალი ტიპის მენტალიტეტს.

მმართველი წრის მენტალიტეტს დომინირების პრეტენზია გააჩნია, იგი მართვის ინსტრუმენტია კონკრეტული სახელისუფლებო ჯგუფის (კონრად ადენაუერი და მისი გუნდი) ხელში და მის სტრუქტურებში შეიცნობა ძალაუფლების გამოვლენის მკაფიოდ ფიქსირებული ფორმები, აშკარად გამოკვეთილი იდეოლოგიით. კონკრეტულ იდეოლოგიას ეფუძნება ასევე მარიონ დენჰოფის და მასთან ასოცირებული სოციალ-დემოკრატების პარტიული მენტალიტეტი, რომელიც მათ საბაზისო იდეებსა და გაზიარებულ პოზიციებს აერთიანებს. გაანალიზებულ საგაზეთო კომენტარების ციკლში წარმოდგენილია მენტალიტეტი და იდეოლოგიები, რომლებიც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების მეტყველებას, ქმედებას და მათ მიერ სოციალური და პოლიტიკური მოვლენების აღქმას განსაზღვრავენ.

5. დასკვნები

წინამდებარე ნაშრომში განხილული კატეგორიების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის თავისებურებები, რითაც მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსი გამოირჩევა გერმანული პრესის დისკურსში. საგაზეთო კომენტარების ტექსტებში ენობრივი საშუალებების სტრუქტურულმა ანალიზმა ინტრა-, ტრანსტექსტუალურ და საზოგადოებრივი აქტორების დონეებზე გვიჩვენა, თუ როგორ იქმნება, ივსება და იცვლება თვით რეალობა დისკურსის მეშვეობით, რომელსაც ქმნის ავტორი თავისი პუბლიცისტური ტექსტებით. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ცალ-ცალკე გამოვყავით მიღებული შედეგები:

- აღნიშნულ დისკურსში რეალობის მაკონსტრუირებელი ფუნქცია პირველ რიგში მიეწერება სიტყვათა შემდეგ კლასებს: საკუთარი სახელები, ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და საკვანძო სიტყვები. ისინი განიხილება როგორც ტიპობრივი რეკურენტული ენობრივი საშუალებები. ჩვენს მიერ გამოყენებული დისკურსულ-ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგია (DIMEAN) გვიჩვენებს, რომ ცალკეულ სიტყვებს არა მარტო მიეწერება ეს ფუნქცია, არამედ ისინი ავტორის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პოზიციებსაც განსაზღვრავენ და საზოგადოებრივი ცოდნის სტრუქტურებში მისი გამონათქვამების მეტ-ნაკლებად გარანტირებულ დამკვიდრებასაც განაპირობებენ.

გაანალიზებული ტექსტების დისკურსულ ხაზში განსაკუთრებული ღირებულება აქვთ საკვანძო სიტყვებს (მათ შორის წამყვანია Wechsel, Wähler, Demokratie, Bundeskanzler, Bundesregierung, Wahlkampf, Politiker და სხვ.), რომლებიც დისკურსულ-სემანტიკური ფუნქციის მატარებლები არიან. მათი მეშვეობით შესაძლებელია იმ თემების კონცეპტუალიზება, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დისკურსული გამოხატვის ფორმებს განსაზღვრავენ (იხ. ქვეთავი 3.2.2.1. - სიტყვათა შერჩევა).

ცალკეული ინდივიდების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები, რომლებიც საკმაოდ რაოდენობით ფიქსირდება საგაზეთო კომენტარების ტექსტებში (მათ შორის წამყვანია Andersdenkende, Nazis, Leser, Autor, Beobachter, Funktionäre, Kritiker, Ja-Sager, Opfer, Staatsbürger და სხვ.), წარმოადგენენ საზოგადოებრივ ჯგუფებს კონკრეტული ფუნქციით და განაზოგადებენ მახასიათებლებს, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროებზე და სოციალურ პოზიციაზე მიანიშნებენ.

კომენტარებში გამოყენებულ საკუთარ სახელებში სამი სხვადასხვა კატეგორია გამოიკვეთა: ა) სახელები, რომლებიც ცალკეული ინსტიტუციების აღმნიშვნელია და კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში (DIE ZEIT, Rheinischer Merkur, Deutsche Soldatenzeitung, Frankfurter Allgemeine Zeitung, SPD, CDU/CSU, FDP, Labour Party), ბ) ანტროპონიმები (Konrad Adenauer, Helmut Schmidt, Ludwig Erhard, Heinrich von Brentano, Harold Macmillan, Otto von Bismarck, Gerd Bucerius და სხვ.) და გ) ტოპონიმები (Darmstadt, Genf, Berlin, Sachsenwald, Rhöndorf). ანტროპონიმები იმ სოციალური ჯგუფების აღმნიშვნელია, რომელთაც კონკრეტული ფუნქცია აკისრიათ საზოგადოებაში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ინდივიდების ზოგადი თვისებები, რითაც ისინი ხელმძღვანელობენ კონკრეტული სოციუმის წევრებთან ურთიერთობის დროს.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კომენტარების ავტორი ცდილობს კონკრეტული ინდივიდის სახელის გამოყენებით, ამ სახელთან დაკავშირებული კონოტაციით, ინდივიდის ასოციაციური სტერეოტიპებით ან მისი სოციალური როლით მკითხველზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს.

სიტყვების დადგენილი კლასები აღნიშნულ დისკურსში ცენტრალური მნიშვნელობის მქონე ერთეულებს წარმოადგენენ, რომელთაც დისკურსის მარკირება და ფორმირება შეუძლიათ. მათი მეშვეობით შესაძლებელია ბევრი საკითხის განმარტება. ისინი ასევე გამოხატავენ პოლიტიკური კომენტარების ავტორის მთავარ სათქმელს და კონკრეტული ისტორიული დროის მონაკვეთის ცნობიერებას.

განალიზებულ დისკურსულ ხაზში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ საერთო სემანტიკური მახასიათებლის მქონე ლექსიკურ ველებს, რომელთაც საერთო თემები აერთიანებთ: „თავისუფალი საზოგადოება“ (საგაზეთო კომენტარი 1), „გერმანია და გარესამყარო“ (საგაზეთო კომენტარი 2), „სწორი სახელმწიფოებრივი აზროვნება“ (საგაზეთო კომენტარი 3), „პოლიტიკა“ (საგაზეთო კომენტარი 4), „საზოგადოების განწყობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ“ (საგაზეთო კომენტარი 5), „ხანგრძლივად ხელისუფლებაში ყოფნა ნეგატიურ განწყობებს ქმნის“ (საგაზეთო კომენტარი 6), „ხალხის არჩევანი“ (საგაზეთო კომენტარი 7), „ქედმაღლობა საზიანოა პოლიტიკისთვის“ (საგაზეთო კომენტარი 8), „არჩევნები“ (საგაზეთო კომენტარი 9). მსგავსი ლექსიკური ველების გამოვლენა ტექსტებში უშუალო კავშირშია საზოგადოებაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებასთან. მათი მეშვეობით შესაძლებელია აღნიშნულ დისკურსში შემავალ ტექსტებს შორის ქსელური კავშირების დადგენა და წამყვანი თემატიკის გამოკვეთა - „არჩევნები და პოლიტიკა“, რაც ტექსტების და საბოლოო ჯამში კი დისკურსის კოჰერენტულობას განაპირობებს და აღწერილი მოვლენების უკეთ გააზრებას უწყობს ხელს.

- საგაზეთო კომენტარებში პროპოზიციების ანალიზმა თვალსაჩინო გახადა ავტორისათვის ტიპობრივი და დომინანტური აზროვნების მანერა და სამყაროს აღქმის კანონზომიერება. კომენტარებში მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსი ან აშკარად გამოკვეთილი, ან იმპლიციტური მინიშნების ფორმით გვევლინება.

განალიზებული ტექსტების გამონათქვამები შედგება პროპოზიციებისგან, სადაც ცალკეულ სინტაქსურ ერთეულებს შორის სემანტიკური ხასიათის მიმართებები კონექტორების, ანუ მაკავშირებელი სიტყვების საშუალებით გადმოიცემა. მიმართებები პროპოზიციებს შორის არის ძირითადად განმარტებითი (მაქვემდებარებელი კავშირი dass ან zu ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქცია) და დამაზუსტებელი (მიმართებითი ნაცვალსახელები) ხასიათის.

ისინი განსაზღვრავენ პროპოზიციების სინტაქსურ სტრუქტურებს, რომლებიც თავის მხრივ **სამეტყველო აქტებს** ეფუძნებიან, რომელთა შორის ყველაზე ხშირია ასერტიული, დირექტიული და ვალდებულებითი სამეტყველო აქტები. პროპოზიციების სემანტიკური სტრუქტურა გადმოცემულია რეფერენციული ელემენტებით, რომლებიც რეფერენციულ ჩარჩოს ქმნიან. ეს გარემოება ექსპლიციტურად მიაჩნებს დისკურსის პოზიციებზე გამონათქვამებში და გამოკვეთს საგაზეთო კომენტარების ძირითად თემატიკას.

ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ის პროპოზიციული შინაარსები, რომლებიც წარმოდგენილია **იმპლიკატურებისა და პრესუპოზიციების** სახით, მნიშვნელოვანია დისკურსის კოჰერენტულობისთვის. ისინი ერთი მხრივ გამონათქვამებში ნაგულისხმევი ინფორმაციის თემატიზებას ახდენენ და მეორე მხრივ, იმ ცოდნის გააქტიურებას განაპირობებენ, რომელიც ტექსტის გასაგებად არის საჭირო. მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარები შეიცავენ დაფარულ გზავნილებს, რომლებიც გარკვეული ინტენსიურობით მეორდება ტექსტებში. გამონათქვამებში იმპლიციტირებულია შინაარსები, სადაც ავტორი მრავალგზის მიაჩნებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან თემებზე - *თავისუფალი არჩევნები, დემოკრატიის შენარჩუნება, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ჯანსაღი კრიტიკის აუცილებლობა, ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტები, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილება და სხვ.* ავტორი თავად განსაზღვრავს, თუ ცოდნის რომელი სეგმენტი უნდა გააქტიუროს მკითხველმა. ამას მოწმობს პრესუპოზიციების ანალიზი, რომელიც ცხადყოფს რეალურ სამყაროსთან ურთიერთობის სოციალურ მოდელს, რომელსაც ეფუძნება გაანალიზებული დისკურსული ხაზი (იხ. ქვეთავი 3.2.2.2. - პროპოზიციები: იმპლიკატურები და პრესუპოზიციები).

გამონათქვამები შეიცავენ დაშვებებსა და კონკრეტულ ცოდნაზე დაფუძნებულ ვარაუდებს, რაც ძირითადად კონტექსტით არის განპირობებული. ისინი სავალდებულო, მისაღები და ნორმას დაქვემდებარებული ხდება **მნიშვნელობის**

დეონტიზაციის, ანუ საზოგადოებრივი ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულების მეშვეობით. განხილული ენობრივი ფორმების დეონტიზაცია უფრო აძლიერებს დეონტური მნიშვნელობის ელემენტებს, რომლებიც მოცემულ ვითარებას ასახავენ და მის მიმართ ავტორის პერსონალურ დამოკიდებულებას გამოხატავენ, (zu ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქციები, მოდალური ზმნები: können, müssen, sollen, ნორმატიული შინაარსის შემცველი ზედსართავები, პასივური კონსტრუქციები და სხვ.), და ცხადყოფს გამონათქვამების ლოგიკური შინაარსის შესაბამის დეონტურ კრიტერიუმებს („ნებადართული და დაშვებული“ ან „საჭირო და აუცილებელი“) და დეონტურ განზომილებას (მაგ. კონკრეტული ნების აღსრულების ვალდებულება).

რიტორიკული და სტილისტიკური საშუალებების გამოყენებით გამონათქვამების სტრუქტურის კვლევამ უკეთ გამოკვეთა ის დისკურსულ-ლინგვისტური ინტერესი, რაც გამაერთიანებელია ჩვენს მიერ გაანალიზებული საგაზეთო კომენტარების ციკლისათვის. რიტორიკული ტროპებისა და ფიგურების თემატიზების და ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ენობრივი თავისებურებები, რამაც გერმანული პრესის დისკურსში მისი კონკრეტული პოზიცია განაპირობა. მათი მეშვეობით ხორციელდება კონკრეტულ ვითარებაზე იმპლიციტური (მაგ. მეტაფორები, კონოტაციები, ევფემიზმები) და ექსპლიციტური (მაგ. ეპითეტები, შეფასების გამოხატველი პრედიკატები და სხვ.) მინიშნება, კონკრეტული მოვლენების პრესუპონირება და ინტერპრეტაცია, რაც საშუალებას აძლევს ავტორს თავის კომენტარებში შეეხოს ყველა პოლიტიკურად რელევანტურ თემას და შექმნას განსხვავებული რეალობა. ავტორი მიზანმიმართულად იყენებს პერსუასიული ეფექტის შემქმნელ სტილისტიკურ საშუალებებს, რომლებიც გამოკვეთენ კონკრეტული გამონათქვამების მნიშვნელობას (რიტორიკული და სუგესტიური შეკითხვები), აღწერენ ფაქტებსა და ზეგავლენას ახდენენ რეციპიენტზე (ანდაზები, ცნობილი ავტორიტეტების ციტირება), ქმნიან პერსუასიულ-მანიპულაციურ ეფექტს (გრამატიკული კილოს ცვლილება), მკაფიოდ

გამოხატავენ ავტორის პოზიციას, დამაჯერებლად გადმოსცემენ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს და ქმნიან ადენაუერის ეპოქის დისკურსულ ხაზს (მაგ. ზედსართავი სახელები). გამოყენებული სტილისტიკური და რიტორიკული საშუალებებით (იხ. ქვეთავი 3.2.2.2. - პროპოზიციები: რიტორიკული ტროპები და ფიგურები) ავტორი აფასებს საგაზეთო კომენტარების ტექსტებში აღწერილ პირებს, საგნებსა და მოვლენებს, რაც ქმნის საზოგადოებაში, და განსაკუთრებით კი პოლიტიკის სფეროში, კონრად ადენაუერის პიროვნების ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის და შესაბამისად დისკურსული დაპირისპირების საფუძველს. ამას მოწმობს გასული საუკუნის 50/60-იან წლებში გაზეთში DIE ZEIT სხვა ცნობილი ჟურნალისტების მიერ გამოქვეყნებული კონრად ადენაუერის კრიტიკის შემცველი კომენტარები, სადაც ზოგი აკრიტიკებს ადენაუერის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს და ზოგი კი მისი პოლიტიკის მხარდამჭერია¹⁷.

- საგაზეთო კომენტარების ტექსტების სტრუქტურული თავისებურებების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათი თემატური და შინაარსობრივი შემადგენლობა უშუალო კავშირშია გასული საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულ მედიასივრცეში პოლიტიკური დისკურსის ფორმირების პროცესებთან (იხ. ქვეთავი 3.2.2.3. - ტექსტის სტრუქტურის თავისებურებები). ომისშემდგომი დასავლეთ გერმანიის პრესაში მარიონ დენჰოფმა შექმნა საკუთარი პროფილი, რითაც იგი გამოხატავდა როგორც საკუთარ, ისე გაზეთის DIE ZEIT საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორიენტაციას. კომენტარების ანალიზი ცხადყოფს, რომ მარიონ დენჰოფი კარგად იცნობდა ე.წ. „სამიზნე აუდიტორიის“ ინტერესებს და მათი გათვალისწინებით არჩევდა პრიორიტეტულ და აქტუალურ თემებს საკუთარი პოლიტიკური კომენტარებისათვის, რომელთათვისაც დომინანტურია აპელაციური ფუნქცია. კომენტარებში მარიონ დენჰოფი საკმაოდ დეტალურად განიხილავს მკითხველისათვის შეთავაზებულ თემებს, რომელთა განვითარებაც

¹⁷ იხ. Zeit online-ის არქივი AUS DER ZEIT NR. 42/1963 – <https://www.zeit.de/1963/42?wt>

შეესაბამება თემის გაშლის არგუმენტაციულ-დესკრიპციულ მოდელს, რადგან მისთვის, როგორც ავტორისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი კომენტარების თემატიკასთან დაკავშირებით. იგი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მნიშვნელოვან ფაქტებზე და აღწერს მოვლენებს, რომელთა შემსწრე თავად იყო. გამოყენებული არგუმენტაციული სტრუქტურები, რომლებიც პოლემიკური და აპელატიური ხასიათის ობიექტურ და ფაქტებზე დამყარებულ ინფორმაციას შეიცავენ, განაპირობებენ ავტორის მსოფლმხედველობის ერთგვარ ლეგიტიმაციას, რადგან ზუსტად შერჩეული სიტყვების მეშვეობით იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი საკუთარი პოზიციის სისწორეში.

გაანალიზებულ ტექსტებში დადგინდა ის მახასიათებლები, რომლებიც კონკრეტულ პიროვნებებს, ფაქტებს ან მოვლენებს აღწერენ არა სტერეოტიპული ენობრივი საშუალებებით, არამედ იზოტოპიური ჯაჭვის სახით წარმოდგენილი ცნებებით, რომლებიც ერთიანობაში იზოტოპიურ ბადეს ქმნიან, რაც მნიშვნელოვანია ტექსტების სემანტიკური ნიშნით სტრუქტურირების თვალსაზრისით და დისკურსის კოჰერენტულობას განაპირობებს.

ასევე გამოიკვეთა, რომ ცალკეული ტექსტების დისკურსული მახასიათებლების წარმოჩენა შეუძლიათ თემატურ ოპოზიციურ წყვილებს. ისინი გამოხატვის იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელსაც ავტორი არგუმენტირებული მსჯელობისას მკითხველზე ზემოქმედების მიზნით იყენებს.

ტექსტების მეტაფორული გამონათქვამების ანალიზმა ცხადყო, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს და რომელი მორალური კატეგორიებით აზროვნებს ავტორი. მეტაფორების ანალიზის შედეგად ასევე გამოიკვეთა მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარების ციკლის მთავარი თემა - *კონრად ადენაუერის პოლიტიკური კურსი*, რომელიც მე-20 საუკუნის 50/60-იანი წლების გერმანულ პოლიტიკურ დისკურსში ერთ-ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს.

- საგაზეთო კომენტარების ტექსტების კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ **აქტორების დონე** წარმოდგენილია კატეგორიებით, რომლებიც ცენტრალურ როლს ასრულებენ მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზისას. ვინაიდან აქტორები წარმოადგენენ შუამავლებს ინტრა- და ტრანსტექსტუალურ დონეებს შორის, ამდენად სწორედ ისინი განაპირობებენ საგაზეთო კომენტარების ტექსტების აღნიშნულ დისკურსში ჩართვას და მისი სტატუსის განსაზღვრას. ანალიზის პროცესში დადგინდა, რომ საკვლევ დისკურსში გამონათქვამების რეალიზებას ახდენენ აქტორები, რომელთაც **ინტერაქციის პროცესში პროდუცენტისა და რეციპიენტის** როლების შესრულება უწევთ. პროდუცენტის როლებს ასრულებენ:

1. მარიონ დენჰოფი - მთავარი აქტორი ორი განსხვავებული როლით, როგორც კონკრეტული ფორმულირების ავტორი ტექსტზე საავტორო უფლებით და როგორც ანიმატორი/ინიციატორი კონკრეტულად გამოხატული პოზიციით;
2. კონრად ადენაუერი როგორც პრინციპალი, ანუ აქტორი, ვისი გავლენითაც შეიქმნა დისკურსი და ვისაც იყენებენ როგორც ავტორიტეტს.

რეციპიენტის როლებში არიან ე.წ. ავტორიზებული ანუ კომენტარებში მოხსენიებული აქტორები და არაავტორიზებული აქტორები ანუ ინფორმაციის მიმღები მხარე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ დისკურსში ამ აქტორებს სათანადო **პოზიციები** უკავიათ, რაც საზოგადოებრივ და **სახელისუფლებო ვერტიკალში მათ სტატუსს** განსაზღვრავს, ასევე წარმოაჩენს განსხვავებას ე.წ. „ექსპერტებისა“ და „არაპროფესიონალების“ ცოდნას შორის ენობრივ დონეზე და გვაწვდის ინფორმაციას ამ ცოდნის განაწილებისა და გავრცელების ფორმებზე. აქტორების დისკურსული პოზიციები ასე ვთქვათ მოსმენადი ხდება მათი **„ხმების“** მეშვეობით, რასაც მათი ცნობადობა და საზოგადოებრივი დაფასება განაპირობებს. აქტორების „ხმებს“ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მარიონ დენჰოფისა და კონრად ადენაუერის „ხმებია“, რაც გამოწვეულია მათი

განსხვავებული ინტერაქციული როლებით. მარიონ დენჰოფის „ხმა“ და მის მიერ კომენტარებში განხილული საკითხების უმრავლესობა დღესაც პოლიტიკური დებატების თემაა, მაგრამ რაც შეეხება კონრად ადენაუერის „ხმას“, მისმა სოციალურმა ფუნქციამ დაკარგა აქტუალობა და დღევანდელი რეალობის ფონზე აღარ აღიქმება ერთმნიშვნელოვნად პროგრესულ მოვლენად.

საგაზეთო კომენტარების ანალიზმა ცხადყო, რომ ადენაუერის შესახებ სუბდიკურსში მონაწილე აქტორები ე.წ. „იდეოლოგიური შუამავლების“ სახით არიან წარმოდგენილი, რომელთა წონასაც მოცემულ დისკურსში მათი განლაგება განაპირობებს. ტექსტებში, რომლებიც ქმნიან დისკურსს, გამოიკვეთა ერთი მხრივ მარიონ დენჰოფის როგორც პუბლიცისტის წამყვანი პოზიცია, ხოლო მეორე მხრივ დომინანტური აღმოჩნდა კონრად ადენაუერი როგორც ფედერალური კანცლერი. დისკურსში კონკრეტული პოზიცია უკავიათ და „იდეოლოგიური შუამავლის“ ფუნქციას ასრულებენ ასევე აქტორები ჰელმუტ შმიდტი და რობერტ კემპნერი, რაც მათ პოლიტიკურ სივრცეში ადგილის დამკვიდრების საშუალებას აძლევს. „იდეოლოგიური შუამავლების“ ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელია დისკურსის „გაკონტროლება“ (მაგ. კონრად ადენაუერის ქცევა FDP-თან დადებულ კოალიციურ ხელშეკრულებასთან მიმართებაში) და მისთვის კონკრეტული მიმართულების მიცემა (მაგ. დისკურსის თემების „შერჩევის“ მცდელობა ბეჭდურ მედიებში Rheinischer Merkur და Deutsche Soldatenzeitung).

კვლევისას გამოიკვეთა, რომ კონრად ადენაუერის სუბდისკურსში მონაწილე აქტორები გაერთიანებების ფორმით არსებობენ, რომელთაც ერთგვაროვანი „ხმა“ და საერთო მიზნები აერთიანებთ, ესენია: ჟურნალისტები, გაზეთები, პოლიტიკური პარტიები, მმართველი პოლიტიკური გუნდი, საპარლამენტო ოპოზიცია, საზოგადოება.

ტექსტებში გამოვლინდა დისკურსში მონაწილე აქტორთა სოციალური სტრატეგები ანუ ფენები როგორც ცალკეულ ინდივიდთა ჯგუფებს შორის, ასევე

ინსტიტუციურ დონეზეც. აღმოჩნდა, რომ აქტორები ორ სხვადასხვა სოციალურ ფენას წარმოადგენენ - მმართველ პოლიტიკურ წრეს, სადაც პოლიტიკოსები განსხვავებული გავლენისა და ძალაუფლების მქონე ფენებს განეკუთვნებიან და ბეჭდურ მედიას, ამიტომაც მათ აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები ჩაერთონ დისკურსში. რაც შეეხება საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლებს, ისინი მოცემულ დისკურსში მხოლოდ იმპლიციტური ფორმით არიან წარმოდგენილი.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ **დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების მედიალორებას** ამ გამონათქვამების გამოხატვის ფორმა განსაზღვრავს, რისთვისაც საგაზეთო კომენტარების ავტორი იყენებს ერთ-ერთ წამყვან გერმანულენოვან ბეჭდურ მედიას, მემარცხენე ლიბერალური მიმართულების გაზეთს DIE ZEIT. მარიონ დენჰოფის პოლიტიკური კომენტარები გადმოცემულია წერილობითი **კომუნიკაციის ფორმით**, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია გრაფიკული, ასინქრონული, მონოლოგური და ენობრივი თვალსაზრისით დისტანცირებული სიტუაციური პარამეტრებით. მკითხველთან კომუნიკაციისათვის კი ავტორი იყენებს როგორც სტანდარტულ, ისე საგანმანათლებლო ენას, სადაც ჭარბობს პოლიტიკური შინაარსის დარგობრივი ლექსიკა.

ასევე გამოვლინდა, რომ გაანალიზებულ დისკურსში **ქცევის მოდელად** განიხილება ჟურნალისტური ტექსტის სახეობა *‘კომენტარი’*, რომელიც როგორც გამონათქვამთა ნაკრები, დისკურსული წესრიგის ნაწილს წარმოადგენს. მას როგორც ქმედების სოციალურად დამკვიდრებულ ფორმას, ტიპიზირებული და კონვენციონალიზებული სახე აქვს, რაც გამონათქვამების მედიალიზებას განაპირობებს.

- **ტრანსტექსტუალურ დონეზე** ანალიზისას მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარების ციკლში დავადგინეთ სტრუქტურული თანხვედრები და ურთიერთმიმართებები ტექსტების ცალკეულ შინაარსს შორის, რაც შესაძლებელი გახდა პირველ რიგში **ინტერტექსტუალობის** შემქმნელი

ფენომენების მეშვეობით. მათი ნებისმიერი ფორმა, რომელიც გამოვლინდა კომენტარების ტექსტებში, უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის, რადგან ინტერტექსტუალობა ტრანსტექსტუალური ანალიზის ყველაზე უფრო ყოვლისმომცველი და გამონათქვამების ინტერპრეტაციის დონეზე წამყვანი კატეგორიაა.

ამ დონეზე ინტერტექსტუალობა გამოვლინდა როგორც ტიპოლოგიური, ისე რეფერენციული ფორმით. ანალიზმა ცხადყო, რომ საგაზეთო კომენტარებში ტიპოლოგიური ინტერტექსტუალობა გამოხატულია მსგავსი სტრუქტურის ტექსტის სახეობის, კერძოდ *‘პოლიტიკური კომენტარის’* რეალიზებული ფორმით, ხოლო რეფერენციულ ინტერტექსტუალობას ტექსტების ე.წ. „პრეტექსტებთან“ უშუალო კავშირი განაპირობებს, რომელთაც ავტორი შერჩევითად ააქტიურებს ახალი ტექსტების შესაქმნელად. რეფერენციულ ინტერტექსტუალობას ქმნიან როგორც სტანდარტული ფრაზები, გამოთქმები და ანდაზები, ისე ციტატები და პერიფრაზირებული სათაურები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ავტორის მიერ განხილული თემები ერთმანეთთან ინტერაქციაშია. ამას მოწმობს საგაზეთო კომენტარებში კონკრეტული თემატიკის შემცველი შინაარსების კვლავგამეორების შემთხვევები, რაც ტექსტებს შორის ინტერტექსტუალურ მიმართებაზე მიანიშნებს და ასევე განაპირობებს ინტერტექსტუალურ კავშირს იმ დისკურსულ წესებთან, რომლებიც მოცემულ დისკურსში ინფორმაციის შეზღუდვის მექანიზმებს განსაზღვრავენ.

კომენტარების ტექსტების ტრანსტექსტუალური სტრუქტურების ანალიზმა აჩვენა, რომ არგუმენტაციულ **ტოპოსებს** კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. ტექსტებში გამოიკვეთა სპეციფიკური შინაარსის თხუთმეტი რეკურენტული ტოპოსი, რომლებიც ფაქტობრივ მსჯელობებს ემყარებიან და მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ დისკურსს განსაზღვრავენ. გამოყენებული ტოპოსები კონკრეტული კონტექსტის გამომხატველია, მაგრამ მათი სტრუქტურა

ე.წ. „ყოველდღიურობის ლოგიკის“ განზოგადებულ არგუმენტაციულ ნიმუშებს ეფუძნება, რომლებიც მოდიფიცირებული სახით დღესაც დომინირებენ გერმანული პრესის დისკურსში და თითქმის არ დაუკარგავთ აქტუალობა დროის ცვლილებასთან ერთად.

საგაზეთო კომენტარებში დადგინდა **დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები**, რომლებიც ტექსტთა თანხვედრის შედეგია და რომელთაც ავტორი საკუთარი პოზიციების საყრდენად იყენებს. ტექსტებში გამოიკვეთა შინაარსობრივი ელემენტები, რომელთაც საერთო თემატიკა აერთიანებთ, რაც საბაზისო ფიგურების შექმნის საფუძველია. მოცემული დისკურსისათვის ერთ-ერთ ცენტრალურ საბაზისო ფიგურას „*საარჩევნო პოლიტიკა*“ წარმოადგენს, თუმცა ყველა დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურის გადაკვეთის წერტილი თავს იყრის ფედერალური კანცლერის პიროვნებაში და ემსახურება მკითხველში *კონრად ადენაუერის კონკრეტული ხატის* შექმნას. დისკურსულ-სემანტიკური საბაზისო ფიგურები მარიონ დენჰოფის საგაზეთო კომენტარების ციკლში საკვლევი დისკურსის კოჰერენტულობას უზრუნველყოფენ და მის შინაგან სტრუქტურას განსაზღვრავენ, რომელიც არ არის ყოველთვის თანხვედრაში ტექსტების თემატურ სტრუქტურასთან. ეს ფიგურები ქმნიან ქსელს, რომელიც მოქმედებს როგორც ზედდისკურსული, ანუ დისკურსების გამაერთიანებელი ეპისტემური კონტექსტი.

მარიონ დენჰოფის პოლიტიკურ დისკურსში კონრად ადენაუერის სუბთემის ფორმირების პროცესზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ საკვლევი დისკურსის ლინგვისტური ანალიზისთვის ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს გარემომცველი რეალობის **ისტორიული ფონი** წარმოადგენს, ხოლო თავად დისკურსს კი ორი განსხვავებული **იდეოლოგია** უდევს საფუძვლად - მემარჯვენე კონსერვატიული (კონრად ადენაუერი და მისი პოლიტიკური გუნდი) და მემარცხენე ლიბერალური (მარიონ დენჰოფი, როგორც SPD-ს მხარდამჭერი). ორივე მათგანი ახალი ტიპის **მენტალიტეტს** ამკვიდრებს, რაც წინ უსწრებს დისკურსის

ფორმირებას. საზოგადოებაში მათი გამიზნული და გაცნობიერებული დანერგვა კი მმართველი პოლიტიკური ჯგუფის პრივილეგიების და მდგომარეობის ლეგიტიმაციასაც უზრუნველყოფს და სახელისუფლებო ჯგუფისაგან მკვეთრად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ადამიანების პოლიტიკურ მრწამსსაც განსაზღვრავს.

ჩვენ სინქრონიაში განვიხილეთ ის ისტორიული და სოციალური ფაქტორები, რომლებმაც მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ფორმირება განაპირობეს. მან როგორც ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე ერთ-ერთმა აქტორმა, თავად შექმნა ისტორიულობა, ასახა რა თავის პუბლიცისტურ ტექსტებში დროის კონკრეტული მონაკვეთში მიმდინარე რეალური მოვლენები. ეს მოვლენები თავისმხრივ აისახა განსხვავებულ გზავნილებში (Botschaften), რომლებიც იკითხება მის ცხრავე პოლიტიკურ კომენტარში. ისინი ემყარება დისკურსულ გამონათქვამებს და მათ ერთობლიობას (Ensemble) კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით:

- *ყველას აქვს საკუთარი აზრის შეუზღუდავად გამოხატვის უფლება* (საგაზეთო კომენტარი 1),
- *ომისშემდგომ გერმანიაში ნელ-ნელა მკვიდრდება დემოკრატიული სტრუქტურები* (საგაზეთო კომენტარი 2),
- *პარტიული და პოლიტიკური დაპირისპირებები პარლამენტში* (საგაზეთო კომენტარი 3),
- *კონრად ადენაუერი როგორც საპრეზიდენტო კანდიდატურა* (საგაზეთო კომენტარი 4),
- *მერყევი და უპრინციპო პოლიტიკოსები* (საგაზეთო კომენტარი 5),
- *ზღვარგადასული ქმედება გვაშორებს პოლიტიკურ მიზანს* (საგაზეთო კომენტარი 6),

- არასასურველი და თავსმოხვეული პოლიტიკური არჩევანი (საგაზეთო კომენტარი 7),
- მიზანი ამართლებს საშუალებას (საგაზეთო კომენტარი 8),
- განახლება განვითარების პირდაპირპროპორციულია (საგაზეთო კომენტარი 9).

კომენტარების გზავნილები ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური ხასიათისაა, ხოლო გამონათქვამები, რომლებიც ამ დისკურსულ გზავნილებს ქმნიან, აზრს იძენენ მხოლოდ და მხოლოდ მათ ოპოზიციურ გამონათქვამებთან მიმართებაში. დისკურსის ჩამოყალიბების პროცესში მათ ისტორიული ფუნქცია ეკისრებათ, რადგან მარიონ დენჰოფი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც თავისი სტატიებით ხელი შეუწყო საზოგადოებაში ახლებური აზროვნების ჩამოყალიბებას, რითაც ნაწილობრივ განაპირობა პოლიტიკური დისკურსის ფორმირება გასული საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულ მედიასივრცეში.

1. MEINE MEINUNG, DEINE MEINUNG

1. August 1957

(1)Bei uns ist allenthalben eine merkwürdige Gereiztheit gegenüber Andersdenkenden ausgebrochen. (2)Besonders jetzt, während des Wahlkampfes, kann man das studieren. (3)Eine Meinung, die sich mit der eigenen nicht deckt, wird als falsch, unberechtigt, ja als Verrat an der guten Sache, die man selbst vertritt, geächtet. (4)Und wehe dem, der weder den Standpunkt von A teilt, noch dessen Gegner B zustimmt, sondern der es sich leistet, unter Umständen an beiden Ansichten etwas Richtiges zu finden oder auch die Nachteile und vielleicht die Anfechtbarkeit beider Meinungen zu sehen - von ihm heißt es ganz gewiß, er habe keine Linie!

(5)Nicht besser ergeht es dem, der wagt, heute den A zu kritisieren und morgen den B. (6)Das ist sogar besonders schlimm, denn wenn überhaupt Stellung bezogen wird, dann soll man gefälligst entweder die As immer kritisieren (weil man ein Anhänger der Bs ist) oder (als Parteigänger der As) durch dick und dünn zu ihnen halten – aber nicht dieses „unentschlossene Hin und Her!“

(7)Wir haben uns in der „Zeit“ von Anfang an – das war gewissermaßen das Gesetz, wonach wir 1946 antraten – die Freiheit genommen zu schreiben, was wir dachten. (8)Nicht ins Blaue hinein dachten, sondern mit einer ganz bestimmten Vorstellung von Deutschland vor Augen und einem ganz bestimmten Bild vom Menschen im Herzen.

(9)Wir haben uns in jenen ersten Jahren (in denen das im Gegensatz zu späteren Zeiten noch gefährlich war) nicht gescheut, die Besatzungsmächte anzugreifen, als sie für die Deutschen ein Sonderrecht erfanden, um auf diese Weise deren Unrecht (das auch eine Art „Sonderrecht“ gewesen war) zu strafen. (10)Und wir haben gleichzeitig *mit* den Besatzungsmächten *gegen* unverbesserliche Nazis gekämpft. (11)Wir mühten uns, das seltsame Gestrüpp der Nürnberger Prozesse zu durchleuchten, und mußten dabei manchen Strauß mit ROBERT KEMPNER, dem *Ankläger*, ausfechten und manchen Vorwurf der *Angeklagten* einstecken, die nicht verstanden, warum wir uns nicht vorbehaltlos für alle einsetzten, die vor Gericht standen.

(12)Und heute? Wir haben die Zweckpredigten der SPD zum Thema Atomkrieg („Schluß mit Atomkrieg – wählt SPD“) kritisiert, weil sie dem Wähler den Kurzschluß

aufdrängen möchten, der Friede sei von den Sozialdemokraten gepachtet und darum in den Händen der CDU nicht gut aufgehoben. (13)Schlußfolgerung mancher Leute: „Ja, diese Zeitung ist eben ein Organ von Kapitalisten und lebt von deren Anzeigen“.

(14)Das war im Mai. (15)Im Juli schrieben wir, es steige einem die Zornesröte ins Gesicht, wenn man KONRAD ADENAUERS Nürnberger Rede höre, mit der er den Untergang Deutschlands prophezeite für den Fall, daß die SPD an die Regierung kommen sollte. (16)„Zornesröte“, weil unseres Erachtens der deutsche Bundeskanzler nicht nur seiner Partei, sondern dem ganzen Volke verantwortlich ist. (17)Folge: Einige Leser schreiben, nun wüßten sie, daß wir von den Sozialdemokraten und den Gewerkschaften bezahlt würden, denn wir machten ja Wahlpropaganda für die SPD.

(18)Wir sind hier von jeher für die oft heftig angefochtene Außenpolitik ADENAUERS eingetreten, aber wir halten es für unser gutes Recht – und für unsere Pflicht – , den Kanzler auch zu kritisieren, wann immer dies sachlich gerechtfertigt ist. (19)Jene merkwürdige, unheilvolle Abart des Byzantinismus, die da sagt: „Der Kaiser..., der Führer..., der Kanzler hat immer recht“, hat sich weder für jene noch für das deutsche Volk zum besten ausgewirkt.

(20)In der letzten Woche hat sich der „Rheinische Merkur“ wortreich darüber empört, daß der SPD-Abgeordnete HERBERT WEHNER in der „Zeit“ ein Porträt WALTER ULBRICHTS gab. (21)Man bedenke: Worauf es ankommt, ist doch, seine Gegner und Gegenspieler genau zu kennen und sie einschätzen zu können. (22)Aber der „Rheinische Merkur“ findet, alles, was über das übliche Klischee: Sklavenhalter und Blutsauger hinausgeht, sei von Übel und eine ernsthafte Analyse ULBRICHTS in einer politischen Zeitung vollkommen unnütz. (23)In der Bundesrepublik gibt es niemand, aber auch wirklich niemand, der ULBRICHT so genau kennt wie WEHNER, aber der „Rheinische Merkur“ findet es unerhört, daß ein solcher Autor in der „Zeit“ schreiben darf.

(24)Um es hier noch einmal ganz deutlich zu sagen: Wir sind der Meinung, daß zu Fragen von *allgemeiner Bedeutung* in unserer Zeitung sowohl links- wie rechtsorientierte Politiker oder Fachleute Stellung nehmen können; wir finden, daß es uns zur Ehre gereicht, wenn in der „Zeit“ protestantische Pastoren und auch Jesuiten schreiben und wenn Kardinal FRINGS genauso das Wort ergriff wie Bischof DIBELIUS.

(25)Mit jenen tiefgründigen Betrachtungen gesellt sich der „Rheinische Merkur“ übrigens zwanglos der Münchener „Soldatenzeitung“ zu. (26)Auch sie ist empört über den Autor WEHNER und besorgt darüber, was wohl der „oberste Chef“ der „Zeit“, der Verleger und CDU-Abgeordnete BUCERIUS, dazu sagen werde.

(27)Keine Sorge, meine Herren, bei uns fordert der „oberste Chef“ nicht, wie Sie es offenbar gewohnt sind, Gehorsam; auch gilt bei uns nicht, wie anscheinend beim „Rheinischen Merkur“, das Gesetz: „Wes´ Brot ich eß, des´ Lied ich sing!“ (28)Aus zwei Gründen ist das so: erstens, weil der Verleger, DR. BUCERIUS, die Meinung vertritt, die Redaktion habe das, was sie schreibt, zu vertreten und müsse darum vollständig frei sein, und zweitens, weil die Redaktion, wäre dies nicht so, längst den Dienst quittiert hätte.

2. VON DEMOKRATEN UND FÜHRERN

5. September 1957

(1)Es ist noch nicht lange her, wohl noch keine zwölf Monate, da konnte man in manchen ausländischen Zeitungen lesen und von manchem Ausländer hören, es sei typisch für die Deutschen: da hätten sie nun in KONRAD ADENAUER endlich einmal einen wirklichen Staatsmann, aber nur im Ausland sei er als solcher erkannt. (2)Niemand daheim achte und verehere ihn gebührend. (3)Resümee: In Deutschland seien eben nur die Verführer populär.

(4)Inzwischen sind nun viele Beobachter dem Sonderzug ADENAUERS gefolgt und schildern, wie die Bevölkerung in den Straßen Spalier bildet, wie die Teilnehmer der Wahlversammlungen sich erheben, wenn der Kanzler den Raum betritt, und die Zuhörer befriedigt wieder heimkehren, wenn sie die äußerst nüchternen und die Phantasie keineswegs beflügelnden Ausführungen des *grand old man* – oder vielleicht auch nur seinen Auftritt – zur Kenntnis genommen haben. (5)Und schon schleicht sich in manche Berichterstattung der Unterton ein: es ist halt typisch für die Deutschen, immer glauben sie an den starken Mann, sie müssen immer einen Führer haben.

(6)Die Deutschen können es ihrer Umwelt nicht leicht recht machen: begeistern sie sich für Europa, so steigt der Verdacht auf, sie wollten sich unter solcher Tarnung eine Vormachtstellung in dieser Gemeinschaft sichern, verhalten sie sich dagegen abwartend oder gar skeptisch, so sieht man dies als Beweis für ihren unausrottbaren Nationalismus an.

(7)Nun, damit muß man sich abfinden. (8)Schlimmer ist, daß auch im eigenen Land recht konfuse Vorstellungen über die Begriffe Demokratie und Führer herrschen. (9)Und zwar nicht nur jetzt in der letzten Phase des Wahlkampfes, in der die beiden großen Parteien einander mit Vorliebe undemokratische Haltung vorwerfen, obgleich doch eine der wenigen Tatsachen, auf die man sich verlassen kann, die ist, daß sowohl ADENAUER wie OLLENHAUER die absolute Gewähr für eine bedingungslose Aufrechterhaltung der demokratischen Staatsordnung bieten. (10)Offenbar aber meinen viele, ein Demokrat müsse wie ein Veilchen

im Verborgenen blühen, andernfalls (als wenn von ihm zu viel die Rede ist) werde eben durch diese spezifische Form des „Persönlichkeitskults“ aus dem Demokrat ein Führer.

(11)Das aber stimmt ebensowenig wie die Vorstellung, der Diktator könne zum Demokraten werden dadurch, daß er die KZs verschweigt und von sozialen Errungenschaften redet.

3. DER DOPPELTE KONRAD: WENN DER CDU-CHEF STÄRKER IST ALS DER KANZLER

24. Oktober 1958

(1)Die SPD hat es nicht leicht. (2)Seit den Tagen des Hauptmanns von Köpenick war für sie das Bekenntnis zum Zivilisten oberstes Gebot. (3)Aus dem Argwohn gegen den Militarismus und die „schimmernde Wehr“ WILHELMS II. wurde unbemerkt die Aversion gegen alles Militärische. (4)So wurde die SPD mitschuldig daran, daß die Reichswehr Weimar-Deutschlands – immer mehr in die Isolierung gedrückt – jeden Kontakt mit dem politischen Leben und dem Staatsbürger verlor.

(5)Die heutige Führung der Sozialdemokraten ist sich dieses historischen Versäumnisses durchaus bewußt. (6)Aber diese Erkenntnis ist noch nicht durch alle Etagen des Parteiapparates durchgesickert, und so läßt denn die Bereitschaft der „Genossen und Funktionäre im Lande“, an die ERLER in den vorigen Wochen appellierte, noch zu wünschen übrig. (7)Sie können sich offenbar nicht entschließen, so rasch mit der alten Tradition zu brechen.

(8)Auf allen Parteitag der Sozialdemokratie spielte die Frage nach dem Verhältnis zur Wehrpolitik und zur Bundeswehr eine entscheidende Rolle. (9)Immer und immer wieder ist in den verschiedensten Gremien um die Einstellung zu diesen Fragen schwer gerungen worden. (10)Fragen, die darum besonders kompliziert sind, weil sie sich schließlich von der Wehr- und Außenpolitik kaum trennen lassen.

(11)So muß man es denn aufrichtig begrüßen, daß die SPD sich jetzt entschlossen hat, ihren Parteimitgliedern nahezu legen, in die Bundeswehr einzutreten. (12)Tatsächlich haben sich die SPD-Bundestagsabgeordneten BERKHAN sowie HELMUT SCHMIDT, der dem Vorstand der Partei angehört, freiwillig zur Reserveübung gemeldet und die Uniform bereits angezogen.

(12)Unter diesen Umständen (jetzt also, da die Sozialdemokratie sich endlich zu einer positiven Einstellung zur Bundeswehr durchzuringen scheint) ist es besonders bedauerlich, daß der Bundeskanzler die Eröffnung des hessischen Wahlkampfes in Darmstadt dazu benutzt hat, gerade die Einsichtigen in der SPD mit einem Eimer kalten Wassers zu übergießen. (13)Wie

die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ berichtet, hat DR. ADENAUER die Aufforderung der Bundestagsfraktion an die Mitglieder der Sozialdemokratischen Partei, in die Bundeswehr einzutreten, als geradezu unverantwortlich bezeichnet, falls die Sozialdemokraten nicht gleichzeitig bereit seien, der Bundeswehr die notwendigen Waffen zu geben, um einem Angriff entgegentreten zu können.

(14)„Die notwendigen Waffen“, damit dürften ja wohl atomare Waffen gemeint sein. (15)Nun hat zwar die Bundesregierung im März beschlossen, die Bundeswehr mit taktischen Atomwaffen auszurüsten für den Fall, daß keine allgemein kontrollierte Abrüstung zu erreichen sei, und diese Entscheidung gilt natürlich. (16)Stellt man aber die Frage, welche Waffen für Deutschland „notwendige Waffen“ sind – so notwendig, daß man den, der sie nicht will, unverantwortlich nennen könnte (so unverantwortlich wie etwa den General, der seine Truppe ohne Sanitäter ins Feld ziehen ließe) –, stellt man die Frage so, dann läßt sie sich nicht beantworten. (17)Es gibt nämlich keine Instanz, die da sagen könnte, es sei moralisch „unverantwortlich“, seine Soldaten nicht mit Atomwaffen auszurüsten.

(18)Abgesehen von der sachlichen Fragwürdigkeit jener Behauptung aber ist es sehr bedauerlich, daß der *Parteiführer* ADENAUER so eindeutig die Oberhand gewann über den *Bundeskanzler* ADENAUER. (19)Jene in Darmstadt gesprochenen Sätze mögen vom wahltaktischen Standpunkt aus ein Erfolg sein, für das Klima der deutschen Innenpolitik aber waren sie gerade in diesem Moment ganz gewiß schädlich. (20)Solche Aussprüche, die den Radikalen in der SPD Auftrieb geben, sind wie ein Dolch in den Rücken der verständigungsbereiten und gemäßigten Kräfte der Partei. (21)Das ist bedauerlich, denn wesentlich wichtiger als ein CDU-Sieg im hessischen Wahlkampf dürfte doch wohl der parteipolitische Frieden in unserer Armee sein.

4. KONRAD ADENAUERS GROSSER ENTSCHLUSS

ZUR RICHTIGEN STUNDE

10. April 1959

(1)Eigentlich hatten die meisten von uns geglaubt, sie kannten den großen alten Mann, seine Reaktionen, sein Gespür für Macht, seine Beharrlichkeit und seinen Instinkt festzuhalten – Eigenschaften, die man oft als Starrheit empfand. (2)Aber wie schon so oft hat KONRAD ADENAUER gerade in dem Moment jene Theorien erschüttert, in denen sie unbezweifelbarer schienen denn je.

(3)Niemand hätte dem Bundeskanzler die Elastizität zugetraut, abseits von allen bisherigen Erwägungen, gewissermaßen aus heiterem Himmel, den Entschluß zu fassen, sein Amt in Frage zu stellen; in wahrstem Sinne des Wortes sein Amt, denn erst durch ihn wurde es geprägt in Form und Inhalt. (4)Niemand hätte ihm die jugendliche Kraft zugetraut, sein, KONRAD ADENAUERS, Bild für einen Augenblick ganz wegzuwischen und dann wieder neu konzipieren zu können. (5)Denn Flexibilität war nicht gerade das Epitheton, das ihm (vor allem in letzter Zeit) zuerkannt wurde, weder von seinen Bewunderern noch von seinen Kritikern.

(6)KONRAD ADENAUER wird nun diesen Amt einem Nachfolger überlassen, den *er* bestimmt (den er nur als Bundespräsident bestimmen kann) und wird damit einen entscheidenden Einfluß auf die Kontinuität der Politik ausüben. (7)Er selber wird die Arena des Kampfes verlassen und über den um die Macht streitenden Parteien stehen. (8)In der größeren Ruhe und Distanziertheit des höchsten Amtes im Staate wird er als Schirmherr und Wächter der Bundesrepublik noch lange wirken können. (9)Vielleicht wird sich zeigen, daß er von dort aus mehr Einfluß auf den Lauf der Dinge ausüben wird, als man sich bisher träumen lassen konnte. (10)Denn in diesem Amt stecken viele bisher noch nicht erschlossene Reserven. (11)Es wird interessant sein zu sehen, wieviel Gewicht das Amt des Bundespräsidenten auch in einer sozusagen antipräsidential angelegten Verfassung dann bekommt, wenn es jemand übernimmt, der all das nicht nur an Eigenschaften, sondern vor allem auch an Renommee mitbringt, was in jenem Hause nicht entstehen kann.

(12)Multipliziert man die beiden Faktoren Dauer und Einwirkungsmöglichkeiten miteinander, so kann es sehr wohl sein, daß die Summe an politischem Einfluß, die KONRAD ADENAUER als Staatsoberhaupt haben wird, größer ist als die, die ihm als Bundeskanzler verblieben wäre. (13)Der Kanzler hat immer in Millimetern gemessen und Maßarbeit geleistet. (14)Das sollte diejenigen beruhigen, die fürchten, ohne den gewohnten Steuermann würde das Schiff in schwerer See vom sicheren Kurs abkommen. (15)Das ist ja gerade das Überzeugende an diesem Entschluß: daß ADENAUER selber die Ablösung überwacht, die Kontinuität also gewährleistet ist. (16)Daß mithin jüngere Kräfte die Politik der neuen Phase in die Hand nehmen können, ohne daß ein Erdbeben entsteht.

(17)Und noch etwas: Man spricht oft von der Regierungsmaschinerie, und dann meint man zu sehen, wie ein Rädchen zwangsläufig in das andere greift, wie keines aus seiner Bahn herauskann und Funktionäre das Ganze jeweils an- und abstellen. (18)Angesichts solcher Vorstellungen ist es wirklich bewegend zu sehen, wieviel Spontaneität – und das heißt doch nicht nur Geist, sondern auch Menschlichkeit – ungeachtet aller Bürokratie am Werke ist. (19)Das gilt auch für die 63 Männer, die in jener historischen Sitzung den entscheidenden Entschluß faßten, ADENAUER für das Amt des Bundespräsidenten zu nominieren.

5. MIT DEM VOLKE SPIELT MAN NICHT: GROSSER MANN – WAS NUN?

12. Juni 1959

(1) Bundeskanzler ADENAUER hat den Beschluß, nun doch nicht für das Amt des Bundespräsidenten zu kandidieren, mit der außenpolitischen Situation Deutschlands begründet: Es sei angesichts der sich verschlechternden außenpolitischen Lage besser, so sagte er, wenn er bleibe. (2) Besser? (3) Er müsste außenpolitische Wunder vollbringen, wenn der Schaden, den seine Wankelmütigkeit auf innenpolitischem Gebiet angerichtet hat, vergessen oder gar wettgemacht werden sollte. (4) Denn wie sieht schließlich die Bilanz der letzten Tage und Wochen aus?

Außenpolitisch:

(5) Der Kanzler hat dem Ausland seine ganz eindeutige Meinung vor Augen geführt, daß alle Deutschen, bis auf einen, unzuverlässig seien. (6) Er, dem seit Jahren das Vertrauen des Auslands sicher ist, hat nicht versucht, den Personalkredit „Konrad Adenauer“ in einen Realkredit „Bundesrepublik Deutschland“ umzuwandeln. (7) Er hat es nicht versucht, schlimmer noch: er hat diesen notwendigen (und möglichen) Prozeß nun sogar verhindert.

Innenpolitisch:

(8) 1. Der Kanzler hat „sich selbst angeschossen“, und es ist fraglich, ob er je wieder der alte sein wird.

(9) 2. Der Vizekanzler ist schwer blessiert – Ausgang noch ungewiß.

(10) 3. Der Bundespräsident leidet still, aber darum nicht weniger ernsthaft. (11) Sein Amt wurde in dem vielfältigen Hin und Her entscheidend abgewertet.

(12) 4. Die Fraktion ist – von ein paar Ausnahmen abgesehen – zu zwar zornigen, aber doch zu Ja-Sagern abgestempelt worden.

(13) 5. Der Ruf aller denkbaren Nachfolger für die beiden höchsten Ämter im Staat wurde schwer geschädigt.

(14) 6. Das Gefühl, in der Demokratie seien der einzelne und sein freier Wille gut geborgen, weil die Institutionen und die Spielregeln ausschlaggebend seien und nicht die Willkür der Regierenden, scheint in Frage gestellt.

(15)7. Jetzt werden das alte Vorurteil und die mühsam überwundene Skepsis, Politik sei ein schmutziges Geschäft, wieder in alter Frische erstehen: „Da sieht man es wieder, daß keiner wegfahren kann, ohne daß der andere ihn betrügt“.

(16)8. Der Begriff der Autorität, im „tausendjährigen Reich“ bis auf den letzten Rest verschlissen und seither mit unendlicher Mühe, Hege und Pflege wenigstens in den Grundzügen wiederhergestellt, ist achtlos zertreten worden.

(17)Dies ist die erschreckende Bilanz weniger Wochen. (18)Das Erstaunlichste aber ist, daß der große Trümmerhaufen nicht etwa von den Widersachern der Demokratie angerichtet wurde oder von den neidischen Gegnern derer, die unseren Staat in den harten Jahren nach dem Zusammenbruch aufgebaut haben, sondern gerade von denen, die all dies vollbrachten: von ihnen selbst.

Der Recke aus dem Sachsenwald und der Rheinische Fuchs

(19)Selten nur werden die Starken von ihren Gegnern erledigt. (20)Gewöhnlich gehen sie an ihren eigenen Fehlern zugrunde.

(21)KONRAD ADENAUER ist häufig mit BISMARCK verglichen worden. (22)Und manchem erschien dieser Vergleich zwischen dem Recken aus dem Sachsenwald und dem Reineke Fuchs aus dem Rhöndorfer Rosengarten ein wenig gewagt. (23)Dennoch vieles sprach dafür.

(24)Zwar: Die Menschen sind vergeßlich – Das Erreichte erscheint immer selbstverständlich. (25)Aber die historischen Akten registrieren es, daß KONRAD ADENAUER Deutschland aus einem verachteten, rauchenden Trümmerhaufen zu einem geachteten Staat zusammenschmiedet hat, dessen politische Wünsche und Notwendigkeiten innerhalb der westlichen Koalition eine wesentliche Rolle spielen. (26)Unter seiner Regierung wurde aus einem zusammengetriebenen Haufen zerlumpter, geflüchteter, ausgebombter, hungernder, verängstigter Menschen eine zufriedene (vielleicht allzu zufriedene) bürgerliche Gesellschaft ohne schwere soziale Spannungen.

(27)Soweit die Geschichtsbücher bis zur Jahreswende 1959... (28)Aber die Fortsetzung? (29)Wer wird in Zukunft noch das Wort des demokratischen Regierungschefs ernst nehmen können, der erst das Grundgesetz ändern wollte, um die Amtszeit des Bundespräsidenten um zwei Jahre zu verlängern... der dann seinen Vizekanzler auf diesen Posten kaltzustellen trachtete... der am 7. April seinen Beschluß verkündete, selber Bundespräsident werden zu

wollen (wegen der „Kontinuität“...), schließlich aber (zwei Monate später!) erklärte, daß er wegen der gleichen Kontinuität Bundeskanzler bleiben müßte?

(30)Jetzt ist der Kanzler ein Opfer seiner Menschenverachtung geworden. (31)Er glaubte dem Volk und den Mitgliedern seiner Fraktion ohne jede Rücksicht alles zumuten zu können. (32)Die Fraktion aber, die ihren Chef schon erhöht und – gebändigt sah, erhielt die Quittung für ihr vorzeitiges Frohlocken. (33)Hätte sie sich nicht soviel zugute getan auf ihre künftige Selbstherrlichkeit und die fortan geringen Kompetenzen ihres bisher mächtigen Chefs – es wäre diese Staatskrise an uns vorübergegangen.

Untertanengeist verbrämt mit Nibelungentreue

(34)Was aber kann man von Abgeordneten erwarten, die vor zwei Monaten einstimmig den damaligen Beschluß des Kanzlers bejubelten und von denen jetzt, da er ihn widerrief, kaum einer aufbegehrte? (35)„KONRAD ADENAUER Bundespräsident? (36)Ja, Bundespräsident! ... (37)KONRAD ADENAUER Bundeskanzler? (38)Ja, Bundeskanzler!“

(39)Wer dünkte da nicht an *Hamlets* Phantasien und des *Polonius* Echo. (40)*Hamlet*: „Seht ihr die Wolke dort, beinahe in Gestalt eines Kamels?“ – (41)*Polonius*: „Beim Himmel, sie sieht auch wirklich aus wie ein Kamel!“ – (42)*Hamlet*: „Mich dünkt, sie sieht aus wie ein Wiesel.“ – (43)*Polonius*: „Sie hat einen Rücken wie ein Wiesel.“ – (44)*Hamlet*: „Oder wie ein Walfisch.“ – (45)*Polonius*: „Ganz wie ein Walfisch!“

(46)Auch aus ministeriellem Munde war keine Empörung zu vernehmen. (47)Nur ein denkwürdiger Ausspruch bleibt zu verzeichnen: Bundesverkehrsminister SEEBOHM, so berichtet „Die Welt“ stellte fest, der Bundeskanzler habe sein Mandat vom Volk erhalten... „bis Gott ihm das Ruder aus der Hand nimmt“! (48)Ein Minister, der seit der Gründung der Bundesrepublik amtiert und der das Einmaleins der Demokratie noch immer nicht erfaßt hat! (49)Es ist eine Lust, sich in Deutschland mit Politik zu befassen.

(50)Nein, wenn EUGEN GERSTENMAIER nicht wäre und ein paar Unabhängige, die vergeblich nach Gesinnungsgenossen ausspähten, könnte man verzweifeln an soviel Untertanengeist, der obendrein mit Nibelungentreue verbrämt ist: „Und im Unglück nun erst recht“.

(51)Was soll, was kann in dieser Situation geschehen? (52)Die Antwort lautet kurz und bündig: Nichts, was die Verhältnisse grundsätzlich verändern könnte. (53)Eine Rebellion des Parlaments – beispielsweise ein konstruktives Mißtrauensvotum, das den Sturz des Kanzlers

herbeiführt – ist in Anbetracht von Genf und Berlin nicht möglich; es würde unsere außenpolitische Stellung entscheidend schwächen.

(54) Einer Fronde innerhalb der CDU/DSU aber könnte nur ein Mann Wirkung verleihen: LUDWIG ERHARD; dann nämlich, wenn er erklärte, angesichts der Behandlung, die der Kanzler ihm zuteil werden ließ, sei er nicht bereit, weiter im Kabinett zu verbleiben. (55) Ein Rücktritt ERHARDS würde zweifellos zum Aufruhr der Fraktion und zu einer Kabinettskrise führen. (56) Freilich ist kaum anzunehmen, daß ein so loyaler Geist wie ERHARD seine Hebelstellung zu solchem Druck benutzt, zumal in einem Augenblick, in dem Böswillige meinen könnten, er täte es nur, um selber Kanzler zu werden. (57) Was ERHARD allerdings verlangen kann, das ist eine Rehabilitierung durch den Kanzler, der ihm (seinem Vizekanzler) das Zeugnis ausstellte, er habe in der Außenpolitik das Ziel der Klasse noch nicht erreicht und müsse noch zwei Jahre nachsitzen.

(58) Was schließlich die Fraktion anlangt, so wäre es wirklich eine Schande, wenn sie die Nichtachtung der Demokratie, der hier so sichtbar Ausdruck verliehen wurde, schweigend duldete, ohne Protest vor der Öffentlichkeit einzulegen. (59) Die Staatsraison der Demokratie verlangt nicht, daß die Repräsentanten des Volkes durch dick und dünn zum Regierungschef stehen, sondern daß sie dort rebellieren, wo sich Ansätze von Willkür zeigen und die Institutionen der Republik nicht respektiert werden.

6. DAS MASS IST VOLL!

3. November 1961

(1) Merkwürdig, daß es soviel leichter ist, die politische Meinung von 37 Millionen Wählern vorauszusagen als die politischen Handlungen eines einzigen Mannes nach der Wahl. (2) Eines Mannes, der nach 12 jähriger Regierungszeit, so hätte man meinen können, in seinen politischen Reaktionen doch einigermaßen berechenbar sein müßte.

